

Академия Наук Грузинской ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ
им. РУСТАВЕЛИ

Крупнейший грузинский учёный
акад. К. С. Кекелидзе

Сборник составил и подготовил к печати
С. И. Кубанеишвили

Издательство „Мецниереба“
Тбилиси
1965

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტი

დიდი ქართველი მეცნიერი
აკად. კორნელი კეკელიძე

გრძელი შეადგინა და გამოისაგემად მოამზადა
სოლომონ ყუბანეიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი
1965

811

899.962.1.092 [კეკელიძე, კ.]
დ 451

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს აკად. კორნელი სამსონის ძე კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის დოკუმენტურ მიმოხილვას. მასში ნათლად ჩანს საბჭოთა საზოგადოებრიობის ცხოველი ინტერესი კორნ. კეკელიძის დიდი სამეცნიერო და საზოგადო მოღვაწეობისადმი, აგრეთვე ის მწუხარება, რომელიც გამოიწვია ამ დიდი ქართველი მეცნიერის გარდაცვალებამ.

ნაშრომს დართული აქვს კორნ. კეკელიძის ნაწერების ბიბლიოგრაფია, რაც დიდ დახმარებას გაუწევს მისი მემკვიდრეობის, ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლათ დაინტერესებულ პირებს.



S. S. K. M. 3

კორნელი კეკელიძე

ცნობრება და სამეცნიერო მოღვაწეობა

კორნელი სამსონის ძე კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 18 აპრილს სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი) ხელმოკლე გლეხის ოჯახში. წერა-კითხვა შინ შეისწავლა. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. აქედან გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1893 წელს მონაწილეობდა სემინარიელთა არეულობაში. როგორც სასულიერო სასწავლებელში. ისე სემინარიაში კორნელი კეკელიძე გამოირჩეოდა ბეჯითობით, გულმოდკინეობითა და ნიჭიერებით. მასწავლებლებმა პოლიევკტ კვიციანიძემ და თედო ყორღანიამ ჩაუნერგეს მას მშობლიური წარსულისადმი სიყვარული. ის ბევრს კითხულობდა ქართულ წიგნებს; თვალყურს ადევნებდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებს. სემინარიის წარმატებით დასრულების შემდეგ კორნელი აპირებდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე შესვლას, მაგრამ ხელმოკლეობის გამო ეს განზრახვა ვერ განახორციელა. სამაგიეროდ „სახელმწიფო ხარჯით“ მოეწყო კიევის სასულიერო აკადემიაში (1900 წელს). აკადემიაში თეოლოგიურ დისციპლინებთან ერთად ფართოდ ისწავლებოდა სამოქალაქო დისციპლინები. კერძოდ, ფილოლოგიის დარგიდან. კორნელი კეკელიძე ჩაირიცხა სიტყვიერების განყოფილებაზე. დაეწაფა სწავლას და იმთავითვე ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში. აღმოსავლეთისა და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურული წარსულის გაცნობამ მწვავედ აგრძნობინა მას მშობლიური მწერლობისადმი არსებული სამეცნიერო ინდიფერენტისმის სიმწარე. ასეთ პირობებში არაჩვეულებრივად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პატრიოტულად განწყობილს ყმაწვილკაცზე ნიკო მარის ცნობილმა წერილმა «Предварительный отчет о работах на Синая и в Иерусалиме». ნ. მარის ამ წერილმა დასავლეთ ევროპის ზოგიერთ გამოჩენილ მეცნიერსაც კი გაუღვიძა ინტერესი ძველი

ქართული სულიერი კულტურისადმი. კ. კეკელიძემ საბოლოოდ გადაწყვიტა ძველ-ქართული მწერლობის შეუსწავლელი უბანი გაეხადა თავისი სპეციალური მუშაობის საგნად. უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა სტუდენტის გადაწყვეტილებას ფრთები შეასხა მისი ორი მასწავლებლის, თავისი დროისათვის გამოჩენილი რუსი მეცნიერების, კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორებისა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტების ნ. პეტროვისა და ა. დმიტრიევსკის გამამხნეველებმა თანაგრძნობითა და მოკვდებულებამ. ნ. პეტროვი და ა. დმიტრიევსკი რამდენადმე თვითონაც იცნობდნენ საქართველოს წარსულს და მათ საკმაოდ ჰქონდათ გათვალისწინებული ძველი ქართული სულიერი კულტურის მნიშვნელობა მსოფლიო ქრისტიანული კულტურის ზოგადი ისტორიის თვალსაზრისით.

პროფესორმა დმიტრიევსკიმ წინადადება მისცა კორნელი კეკელიძეს საკანდიდატო დისერტაციის თემა აერჩია ძველი ქართული მწერლობიდან. კორნელი ხალისით მოეკიდა ამ წინადადებას, საფუძვლიანად შეისწავლა ქართული სიძველეთსაცავების ფონდები და 1904 წელს წარადგინა ვებერთელა ნაშრომი სათაურით: „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах“.

ამ შრომას დიდი წარმატება ხვდა წილად. ორივე ოფიციალურმა რეცენზენტმა (დოც. ა. გლაგოლევი და პროფ. ა. დმიტრიევსკი) მას მისცა მაღალი შეფასება¹. განსაკუთრებით აღფრთოვანებულნი დარჩა კ. კეკელიძის ხელმძღვანელი მასწავლებელი პროფ. დმიტრიევსკი. წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. პროფ. დმიტრიევსკი აღიარებდა: „Скромные наши ожидания сводились лишь к желанию развить в студенте Кекелидзе охоту и навык к занятиям в области древней грузинской, родной для него, письменности, чтобы потом, в будущем, приобрести в нем полезного для науки работника. Но, представленный им на степень кандидата внушительный, по объему, труд, в 822 страницы, основательный по научным приемам и весьма любопытный по собранным, неизвестным науке данным, признается откровенно, превзошел далеко наши скромные ожидания и показывает с достаточной ясностью, что в лице К. С. Кекелидзе грузинология и наша наука приобретают трудолюбивого и даровитого труженика“ (стр. 311).

¹ Извлечение из журналов совета КДА за 1903 – 1904 учеб. год. К., 1904, год, стр. 306–317.

პროფ. დმიტრიევსკი მიუთითებდა 'შრომის ზოგიერთ წერილმან დეფექტზე და ასკვნიდა: „ყველა ამ ნაკლზე ჩვენ მიუთითებთ მხოლოდ იმ კეთილი განზრახვით, რომ მათზე ყურადღება მივაქციეინოთ შრომისმოყვარე და ნიჭიერ ავტორს და არა იმისათვის, რომ შევამციროთ შრომის იშვიათი მეცნიერული ღირსებანი. ეს შრომა არა თუ საკმარისია თავისი პირდაპირი დანიშნულებისათვის, არამედ მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და აღწერილი ძეგლების ხელმეორე უფრო ბეჭითი გადასინჯვის შემდეგ. ჩვენი აზრით, იგი შეიძლება წარმოდგენილი იქნას სამაგისტრო დისერტაციად“.

დოც. ა. გლაგოლევიც აღნიშნავდა ორიოდ ნაკლს და წერდა: „ჩვენ, რასაკვირველია, შორსა ვართ იმისაგან, რომ რაიმე არსებითი მნიშვნელობა მიეცეთ აქ აღნიშნულ შემთხვევით დეფექტებს. ეს დეფექტები მხოლოდ წარმოადგენენ სტუდენტ კეკელიძის შრომის მთლიან ნათელ ფონზე შემჩნეულ შავ ლაქებს. ეს შრომა უცილობლად გამოირჩევა საუკეთესო საკანდიდატო დისერტაციებიდან და ზოგიერთი შესწორების შემდეგ დაიმსახურებს მაგისტრის ხარისხს“.

რეცენზენტების წარდგენის შედეგად კ. კეკელიძის საკანდიდატო შრომა დაჯილდოებული იქნა ფულადი პრემიით.

სწავლის დამთავრების შემდეგ კ. კეკელიძე აკადემიის საბჭოს დადგენილებით დატოვეს პროფესორობისათვის მოსამზადებლად. მასლობელ აღმოსავლეთში მივლინებით, იქაური ქართული ხელნაწერების შესასწავლად. ამ ფაქტთან დაკავშირებით „ივერია“-ში (1904. № 148) დაიბეჭდა გაზეთის კიეველი სპეციალური კორესპონდენტის მალაქია ბოლქვაძის მოკლე საყურადღებო წერილი:

„ამ მოკლე წერილით მინდა ვამცნო მკითხველს შემდეგი ახალი და სასიამოვნო ამბავი. კარგი რამ და ისიც ქართველ ახალკვაზრდის შესახებ ვის არ გაუხარებს გულს, რომ ვულწრფელ ქართველს არ აგრძნობინებს სიამოვნებას.

კ. კეკელიძე, რომლის თხზულების შესახებ უკვე იყო „ივერია“-ში დასტამბული წერილი და რომელმაც წელს დაამთავრა სწავლა კიევის სასულიერო აკადემიაში, აკადემიის პროფესოროთა კრების გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა აკადემიაში სტიპენდიატად. ესე იგი საპროფესოროდ მოსამზადებლად. კეკელიძემ მომავალში უნდა დაიჭიროს პროფესორ დმიტრიევსკის ადგილი. ეს პირველი მაგალითია ქართველის აკადემიაში სტიპენდიატად დატოვებისა.

აი რას ნიშნავს შრომა. ცოდნის შესწავლის სურვილი და სიყვარული მეცნიერებისადმი, რასაც ჩვენების დიდი ნაწილი აქ არა სცემენ თავყვანს მაინცადამაინც, თვისდა საუბედუროდ ზარმაცობენ.

სალამი მშრომელ ახალგაზრდას და ბრწყინვალე მომავალი ჩვენ-
და სასიხარულ-სასიქადულად“.

სასულიერო აკადემიის მხრით საქართველოს წარსულისადმი ყურადღების ასეთი გამოხატულება მეფის რუსეთის სინოდმა არ მო-
იწონა და აკადემიის საბჭოს დადგენილება არ დაამტკიცა. სინოდის
მიერ შექმნილმა დაბრკოლებამ გული ვერ გაუტეხა ახალგაზრდა ენ-
თუხიასტს. საკუთარი თაოსნობით ის გულმოდგინედ იწყებს ჯერ
კიდევ პირველი დაგროვების სტადიაში მყოფი ძველი ქართული წე-
რილობითი წყაროების სისტემურ შესწავლას. ის აფართოვებს და
აღრმავებს თავის სადისერტაციო ნაშრომს.

1905 წელს კ. კეკელიძე იწყებს მასწავლებლობას ქუთაისის ეპარ-
ქიალურ სასწავლებელში, პარალელურად ეცნობა გელათის ხელნა-
წერ კოლექციებს და ადგენს ამ ხელნაწერების აღწერილობას. 1906
წელს გადმოდის თბილისში და განაგრძობს მასწავლებლობას თბი-
ლისის ეპარქიალურ სასწავლებელში. როგორც ამ სასწავლებლის
სასწავლო ნაწილის უფროსმა, მან დიდად შეუწყო ხელი ქართული
დისციპლინების (ქართული ენის, ქართული ლიტერატურისა და სა-
ქართველოს ისტორიის) სწავლების გაძლიერებას, რითაც დაიმსახურა
მამზინდელი ეგზარხოსის რისხვა (კ. კეკელიძემ ეგზარხოსის გვერ-
დის ავლით ვრცელი გაბედული მოხსენებით მიმართა სინოდს ეპარ-
ქიალურ სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების მდგომარეობის
თაობაზე).

თბილისში კ. კეკელიძე აქტიურად მონაწილეობს საეკლესიო მუ-
ზეუმის კომიტეტში. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოები-
ს და ახლად დაარსებული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოე-
ბის მუშაობაში. სწავლობს ხელნაწერებს, ადგენს კატალოგებსა და
აღწერილობებს. აქვეყნებს საინტერესო დოკუმენტებს. 1905 წელს
დაიბეჭდა კ. კეკელიძის პირველი შრომები:

1. ახალი საგალობლები აბო ტფილელისა („მწყემსი“, 1905,
№ 13--14).

2. К вопросу о времени празднования рождества Христова
в древней церкви (ГКА, 1905, № 1, стр. 1—10).

1907 წელს კ. კეკელიძემ დაასრულა თავისი საკანდიდატო შრო-
მის გადამუშავება და წარუდგინა იგი კიევის აკადემიას მაგისტრის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ბეჭდურად გამოქვეყნდა ეს
შრომა 1908 წელს აკადემიის ხარჯით.²

² „Литургические грузинские памятники в отечественных книгохрани-
лищах и их научное значение (Тбилиси, 1908, XXXI+515+XIII стр.).“

მნიშვნელოვნად გაფართოებულსა და გაღრმავებულ სამაგისტრო შრომას ისეთივე წარმატება ხვდა წილად, როგორც ამავე შრომის საკანდიდატოდ დაწერილ ვარიანტს. ეს იყო პირველი შემთხვევა რუსეთის აკადემიათა პრაქტიკაში, როდესაც სამაგისტრო დისერტაციას იცავდა ქართველი კაცი ქართულ თემაზე. ამჭერადაც ოფიციალურმა ოპონენტმა პროფ. დმიტრიევსკიმ სადისერტაციოდ წარმოდგენილ ვეებერთელა ტომს უწოდა „სოლიდური და ჭეშმარიტად მონუმენტური ნაშრომი“ და შენიშნა: „თავმოყრილი მასალის სიუხვითა და მეცნიერულ მონაცემთა სიახლით ეს იქნება ლიტურგიული მეცნიერების ძვირფასი განძი და იგი გახდება ლიტურგისტთა სამაგიდო წიგნად“. პროფ. ა. დმიტრიევსკიმ თავის რეცენზიაში გაუსვა ხაზი ნაშრომის ეროვნულ-პოლიტიკურ ტენდენციას. ეს ტენდენცია რეცენზენტმა ოფიციალურად მაინც არ მოუწონა მკვლევარს. პროფ. დმიტრიევსკი ამბობდა. რომ კ. კეკელიძის სადისერტაციო ნაშრომს „აღბეჭდილი აქვს ის პოლიტიკური და ლიტერატურული მიმდინარეობა, რომლის უცალობელი გავლენის ქვეშ იმყოფება ახალგაზრდა ავტორი -- თავისი მშვენიერი. მაგრამ უბედური სამშობლოს კანონიერი შვილი. აღზრდილთა და სამსახურებრივი მდგომარეობითაც კი იგი იმყოფება თანამედროვე ცხოვრებისა და ლიტერატურის ნაციონალისტურ მოძრაობათა შუაგულში“. რეცენზენტის მოსაზრებით, კ. კეკელიძე მაშინ „მოხიბლული იყო ქართველოლოგების ნ. მარის, ალ. ცაგარლის, ივ. ჯავახიშვილისა და სხვათა მიერ და მათი მფარველობით იკაფავდა გზას ქართული ლიტერატურის პანთეონში“. პროფ. დმიტრიევსკი ეკამათებოდა თავის მოწაფეს ერთი კერძო საკითხის გამო და ფრთხილი საყვედურის კილოთი შენიშნავდა. ვითომც უეჭველიაო. „რომ აქ ყოველი ქართველოფილისათვის მახლობელსა და აკვიატებულ იდეას და ტენდენციას მსხვერპლად ეწირება ისტორიული სიმართლე და უცილობელი ფაქტები“.

მეორე ოფიციალური რეცენზენტი ა. გლაგოლევიც, მაშინ უკვე პროფესორი, უყურადღებოდ არ სტოვებდა კ. კეკელიძის სამეცნიერო ნაშრომის გარკვეულ ნაციონალურ-პატრიოტულ იდეას და მიუთითებდა ამ იდეის სახიფათო პოლიტიკურ ტენდენციაზე. ერთი სიტყვით. რეცენზენტებმა სწორედ ის არ მოუწონეს ახალგაზრდა პატრიოტი მკვლევარის ნაშრომს, რაც ჩვენი აზრით. მას განსაკუთრებულად დიდ ფასსა და ღირებულებას აძლევს.

ა. დმიტრიევსკისა და ა. გლაგოლევის რეცენზიები მიეძღვნა კ. კეკელიძის ნაშრომის ხელნაწერის სახით წარდგენილ რედაქციას. ორივე რეცენზენტი მოითხოვდა შრომის ბეჭდურად გამოქვეყნებას

კ. კეკელიძეს საშუალება ეძლეოდა ერთხელ კიდევ გადაეხედა თავისი ნაშრომისათვის და აეცილებინა რეცენზენტების მიერ აღნიშნული ეროვნულ-პოლიტიკური ტენდენციები. მაგრამ ავტორმა არა თუ ეს არ ისურვა, არამედ შრომის საჯაროდ დაცვის წინ წარმოთქვა მხურვალე სიტყვა³. ამ სიტყვაში კ. კეკელიძემ მკაცრად გააკრიტიკა სასულიერო აკადემიების ნიპილისტური დამოკიდებულება ძველი ქართული კულტურის საკითხებისადმი და ხმამაღლა განაცხადა: „ქართული ეკლესია აღმოცენდა ქრისტიანობის გარიჟრაჟზე. მან ჯერ კიდევ მე-4—5 სს. შეიმუშავა თავისი საკუთარი სალიტერატურო ენა, რომლის საშუალებითაც დაიწყო ბერძნულ-ბიზანტიური საქრისტიანო ცივილიზაციის ათვისება და ეროვნული გენიის ძალით გარდაქმნა იგი ივერიზმის ცხადად გამოკვეთილი ნიშნების მქონე თავისებურ კულტურულ სისტემად“.

კ. კეკელიძე აღნიშნავდა, რომ ქართული კულტურა ზეგავლენას ახდენდა თვითონ განათლებულ ბერძნებზე, რომ ქართულმა მწერლობამ კაცობრიობას გადაურჩინა საქრისტიანო ცივილიზაციის დიდი საგანძური და რომ ამიერიდან „არც ერთ ნაშრომს, რომელიც კი ძველი საქრისტიანო-საეკლესიო მწერლობის ამა თუ იმ საკითხის შესწავლას ეძღვნება, სათანადო საკითხის ყოველმხრივად გაშუქებისა და გამოკვლევის თვალსაზრისით არ შეიძლება ჰქონდეს სამეცნიერო პრეტენზია ქართული ხელნაწერი საგანძურებით შემონახული ცნობების გარეშე“. „ფაქტობრივ მხოლოდ დღეიდან, ამ საპატიო ტრიბუნაზე ჩვენი ახლანდელი გამოსვლით, იწყება აკადემიების სისტემაში ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლების მეცნიერული შესწავლა“. აცხადებდა კეკელიძე. დისერტანტის მართებული შენიშვნით, მისი ნაშრომი მნიშვნელოვნად ავსებდა არსებულ ზარევს. „კაცმა რომ თქვას, — აბობდა იგი, — ჩვენი ნაშრომით მთავრდება ლიტურგიკული მეცნიერების დამუშავების ისტორიაში შემკრებლობითი პერიოდი და იწყება სინთეტიკური პერიოდი, სამეცნიერო განზოგადებათა პერიოდი“.

კ. კეკელიძემ ბრწყინვალედ დაიცვა თავისი შრომა და დამსახურებულად მოიპოვა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი. მისმა თამამმა პრინციპულმა, ღრმად მეცნიერულმა და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულმა სიტყვამ კიევისა და პეტერბურგის საზოგადოებისა და პრესის ყურადღება მიიპყრო.

³ К вопросу о важности и своевременности научной разработки памятников древнегрузинской церковной, в частности— литургической письменности, ТКДА, 1908, XI, стр. 1—9.

1908 წელს კიევის აკადემიაში გათავისუფლდა კ. კეკელიძის მასწავლებლის პროფესორ ა. დმიტრიევსკის კათედრა (იგი პეტერბურგში გადავიდა). თვითონ დმიტრიევსკის და პროფ. ნ. პეტროვის წინადადებით ვაკანტურ კათედრაზე მიიწვიეს კ. კეკელიძე. მაგრამ აღნიშნულ საპატიო თანამდებობაზე მან უარი განაცხადა. რადგანაც ფიქრობდა, რომ მისი სამოღვაწეო ასპარეზი უნდა ყოფილიყო საქართველოში, ახლოს საცვლევადიებო ობიექტებთან, კიევში გადასვლა კი მოწყვეტდა მას ქართული ხელნაწერი მასალების კერებს. ოღონდ ქართველ მეცნიერს არ შეუწყვეტია კავშირი თავის აღმზრდელ უმაღლეს სასწავლებელთან, 1905—1912 წლების განმავლობაში იგი სისტემატურად თანაშრომლობდა ამ სასწავლებლის სამეცნიერო ორგანოში¹.

1912 წლიდან კ. კეკელიძე ლექციებს კითხულობდა ქალთა უმაღლეს კურსებზე თბილისში.

1912 წლიდან 1917 წლამდე კ. კეკელიძე სისტემატურად თანაშრომლობდა ნ. მარის მიერ დაარსებულ ცნობილ სამეცნიერო ორგანოებში². 1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კ. კეკელიძეს მიანდო მრავალ ტომად განზრახული სერიის „Monumenta hagiographica Georgica-ს რედაქტორობა.“ თავის სამეცნიერო შტუდიებითა და პუბლიკაციებით კ. კეკელიძემ მალე მოიხვეჭა მოწინავე მეცნიერი-მკვლევრის სახელი. მას ცხოველი ურთიერთობა და საქმიანი მიმოწერა ჰქონდა რუსეთისა და საზღვარგარეთის მრავალ გამოჩენილ მეცნიერთან (ლათიშევთან, დმიტრიევსკისთან, მართან, პეტერსთან, გუსენთან, კონიბერისთან, ბაუმშტარკთან და სხვებთან).

1912 წელს თბილისში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის მეცნიერული რედაქციითა და გამოკვლევით ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი „იერუსალიმის განჩინება“³. მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ეს უნიკალური ძეგლი დაუფასებელი წყაროა პალესტინის, როგორც უძველესი საეკლესიო ცხოვრების, ისე ამ მხარის მთელი მატერიალური და სულიერი კულტურის ისტორიის შესასწავლად. შესავალ წერილში მეცნიერი გამოიმკვმელი მოკრძალებით შენიშნავდა: „უშუალოდ დაინტერესებული სპეციალისტები თვითონ შეაფასებენ გამოცემული ძეგლის მთელ მნიშვნელობას პალესტინათმცოდნეობისა და საქრისტიანო ჰაგიოლოგიისა და ლატურჯი“

¹ Труды Киевской духовной академии.

² „Христианский Восток“, „Bibliotheca Armeno-Georgica“.

³ К. С. Кекелидзе, Иерусалимский Каионарь VII века, VII-346

კისათვის“. თითქოს ამის საპასუხოდ სჯნის საუკეთესო სპეციალისტ-მა, კიევის აკადემიის ყოფილმა პროფესორმა და მაშინ პალესტინის საზოგადოების მდივანმა პეტერბურგში. ... დმიტრიევსკიმ „იერუსალიმის განჩინება“ დაახასიათა როგორც თავისი ინტერესითა და უხიკუმობით განსაკუთრებული ძეგლი“. ა. დმიტრიევსკიმ აღნიშნა „იერუსალიმის განჩინების“ დიდი მნიშვნელობა უძველესი საქრისტიანო კულტურის ისტორიისა და პალესტინათმცოდნეობისათვის, ქართული ტექსტი გვერდში დაუყენა იტალიელი მეცნიერის გ. გამპურინის მიერ აღმოჩენილსა და 1887 წელს გამოქვეყნებულ განთქმულ ჰეგლს „Peregrinatio ad loca Sancta“ ა. დმიტრიევსკი დასძენდა: „კ. კეკელიძის წიგნი რომ 20 წლით ადრე გამოსულიყო, ყოველ ეჭვს გარეშე იგი მოახდენდა მეცნიერთა შორის ნამდვილ ფურორს“. ა. დმიტრიევსკიმ თავისი მიუზღა კ. კეკელიძის იშვიათ შრომისმოყვარეობას და მეცნიერულ კეთილსინდისიერებას. სარეცენზიო ნაშრომი ცხადყოფს. -- ამბობდა გამოჩენილი სპეციალისტი. „ახალგაზრდა მეცნიერის სამაგალითო შეუპოვრობას და მსურვალე სიყვარულს თავის სამშობლოსა და თავის სპეციალობისადმი. ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ მის შრომას წილად ერგო, შეიძლება ითქვას, ბრწყინვალე წარმატება“.

გულთბილი რეცენზია მიუძღვნეს „იერუსალიმის განჩინებას“ პროფესორმა ი. კარაბინოვმა, პ. პეტერსმა, აკად. ნ. მარმა. თავის ვრცელ რეცენზიას ნ. მარი ასე იწყებდა: „В городе, где основание университета считается несвоевременным в виду предполагаемой незрелости туземного общества, появляется книга, составленная туземцем, которая особенно живо заставляет сожалеть об отсутствии там университета. Задуман труд, серьезный по отвлеченности темы и по важности новооткрытого текста, проникнутый искренним стремлением к строгой научной трактовке предмета и выполненный автором, хорошо ориентированным как в специальной литературе, так и в разнообразных источниках, дающих ему возможность искусно разъяснять и комментировать трудные места текста; в труде попутно сделаны существенные поправки к принятым в использованных работах утверждениям“⁷.

ნ. მარის წარდგინების შედეგად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ „იერუსალიმის განჩინების“ გამოცემისათვის კ. კეკელიძე დააჯილდოვა მ. ახმატოვის სახელობის პრემიით. ნ. მარმა საგანგებო წერილით მიულოცა მკვლევარს მისი ნაშრომის დიდი წარმატება.

კ. კეკელიძის შრომებმა გულწრფელად აღაფრთოვანა მისი ყო-

⁷ „Христианский Восток“, I, 1912, стр. 114.

ფილი სემანარიელი მასწავლებელი, ცნობილი ისტორიკოსი თედო ჟორდანია. საგულისხმოა, რომ ჭეშმარიტების მაძიებელმა მასწავლებელმა დაუზოგავი კრიტიკაც მოუწონა თავის ნიჭიერ მოწაფეს. თ. ჟორდანია სწერდა კორნელის: — „მივიღე ძვირფასი საჩუქარი — თქვენი ახალი წიგნი „Иерусалимский канонар“. თვალ გადავაველე და მადლობა შევსწირე ღმერთს, რომელმაც აღმისრულა მე ჩემი წადილი: როგორც იყო, ამ ბოლო ეპოს მოგვივლინა ქართველებს გამკრიახი, საქმიანი და მტკნდნე გამომძიებელი ქართული ხელნაწერებისა... აქამდის თუ პატივსა გცემდით, ახლა ძმაზე უძმეს სარტ ჩემთვის... თქვენი მეცადინეობა, ახალგაზრდობა, ნიჭი, ცოდნა. სიყვარული მეცნიერებისადმი ჭეშმარიტს, უმწიკვლოს მოჰფენს დიდებულს ჩვენს ისტორიას.

თქვენი სამართლიანი შენიშვნა დიდად მიამა: თქვენ ყველას სამართლიანად გავვისწორეთ შეცდომა მეხურზე. [კ. კეკელიძემ გარკვეა, რომ წინააღმდეგ გავრცელებული შეხედულებისა, მეხური არაა ეროვნების აღმნიშვნელი სიტყვა (მესხური, სომხური) და იგი ეწოდებოდა გალობით შესასრულებელ ჰიმნებს. „იერუსალიმის განჩინება“. გვ. 332; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960. გვ. 604—606]. აგაშენოს ღმერთმა! აი, ეს მართალი არი. თქვენი უკანასკნელი შრომა არის გვირგვინი თქვენი ნაშრომებისა. ღირსი სამეცნიერო დოკტორობის ხარისხისა (დაუცველად). თქვენი ყოფილი მასწავლებელი დღეს თქვენ ათასჯერ მეტად გაფასებთ. ვიდრე დღემდე.

ღამიჯერე, ჩემს ძმათაგან უძმესო კორნელი. რომ ჩვენ უნდა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლოთ დასაცველად ჩვენის მწერლობა-ისტორიის ღირსებათა. რაც კარგი ენახოთ, ის შევითვისოთ, გამოვააშკარავოთ, გამოვაბრწყინოთ. ხოლო ნაკლოვანებანი დეე მტრებმა ეძიონ“ (წერილს თარიღი არ უზის. მაგრამ უდავოდ დაწერილია 1912 წელს).

მეორე წერილშიც (1912 წლის 3 მარტის თარიღით, ქ. გორიდან) თედო ჟორდანია სწერდა: „მე მახარებს და მაცოცხლებს ის, რომ ჩვენს მწერლობას ბუმბერაზი მაძიებელი გამოუჩნდა და ეს გმირი ჩემი ნამოწაფარია. რა ვუყოთ, რომ მოძღვარს მოწაფე სწიხლავს. ათასიც რომ მწიხლოთ და დიდად უსამართლოდაც. მაინც კარგ მოძღვარს უნდა უხაროდეს მოწაფის გაძლიერება. გაზვიადება და პირფერობა მე სრულებით არ მახლავს და თუ შენი შრომა (იგულისხმება „იერუსალიმის განჩინება“—ა. ბ.) ვაქე. ეს პირფერობა არ არის. წმინდა ნაყოფია ჩემის წრფელის გონება-გამოცდილებისა... თქვენს შრომას იმიტომ კი არ ვაქებ. რომ ის უნაკლოა ვითომ. მე ვა-

ქებ და საქებელია შენი მეცნიერული მომზადება და ... უმეტეს ამისა — შენი გონება-ძლიერება, ნიჭიერება, ბასრი ლოლიკა“.

იმავე 1912 წელს კ. კეკელიძემ გამოსცა ძველი საეკლესიო მწერლობის მეორე მნიშვნელოვანი ძეგლი — ძველ-ქართული არქიერატრიკონი. ნიკო მარმა ამასაც აღფრთოვანებულ რეცენზია უძღვნა. იგი, სხვათა შორის, აღნიშნავდა: „გამოცემის სიახლეა მისი ფილოლოგიური აპარატი. ამ სიახლით მეცნიერი გამომცემელი თამამად დგება ძველი ქართული ენის თანამედროვე მეცნიერული გაგების მხარეზე“.

1915 წ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემია ნ. მარის თაოსნობით შეუდგა ქართული ენის დიდი აკადემიური ლექსიკონის გამოცემის სამზადისს. საჭირო შეიქნა რიგი წინასწარი სამუშაოს შესრულება. გადაწყდა გამოქვეყნებულიყო ძველი ქართული ენის ძეგლები, უწინარეს ყოვლისა, ჰაგიოგრაფიული ტექსტები—ეგრეთ წოდებული „წმიდათა ცხოვრებანი“. ლექსიკონის შემდგენმა კომისიამ თავის სხდომაზე 1915 წლის 22 თებერვალს დაადგინა კ. კეკელიძის მიწვევა თანამშრომლად. 15 თებერვლის თარიღით ნ. მარმა აცნობა მას საქმის ვითარება და კომისიის სახელით სთხოვა ეკისრა შესაფერისი ძეგლების გამოცემა. თავის ოფიციალურ მოხსენებითს ბარათში ნ. მარი აღნიშნავდა: «Когда речь зашла об исполнителе предначертанной серии, не могло быть двух мнений и все остановились на том, что для этого предприятия должен быть привлечен К. С. Кекелидзе. Кроме основательной научной подготовки, сотрудничество его делалось неизбежным и его последние работы, помещавшиеся в «Христианском Востоке» и в „Bibliotheca Armeno-Georgica“ по грузинской агиографической литературе. В них сказывается уже опытный агиолог, прекрасно знающий, с одной стороны, родную литературу и научные запросы по жиптийным памятникам, с другой — усвоивший в совершенстве всю теорию пружинского языка, необходимую для ученого издателя древнегрузинских текстов».

⁶ძველ-ქართული არქიერატრიკონი გადათარგმნილია ინგლისურად (The Georgian version of the Liturgy of saint-james by Fred. Conybeare and Ol. Wardrop "Revue de l'orient Chrétien", t. XIX, 1914, იერუსალიმის განჩინება კი გერმანულად (Übersetzung von Dr. Theodor Kluge mit Einleitung und Anmerkungen von Dr. Anton Baumstark. Oriens Christianus, 1915, T. V. H. 2; T. VI, H 2). ცალკე ნათარგმნია შობის დღესასწაული (Die Weihnachtsfeier Jerusalems im siebtem Jahrhundert, Übersetzung von Dr. Peradze mit Einleitung und Anmerkungen von A. Baumstark (იქვე, Dritte Serie, I Band, S. 310—318).

კ. კეკელიძე დიდი კმაყოფილებით შეხვდა ამ წინადადებას და იშვიათი მონდომებით შეუდგა კოლოსალური, მაგრამ მეტად საპატიო საქმის შესრულებას.

კ. კეკელიძის საქმიანობა დიდ თანაგრძობასა და მოწონებას იმსახურებდა რუსეთის მოწინავე სამეცნიერო წრეებში, სამაგიეროდ ექვითა და ცხადი უნდობლობით ხვდებოდა ამ საქმიანობას როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი სასულიერო უწყება. მაგრამ რუსეთის სასულიერო უწყება იძულებული ხდებოდა ანგარიში გაეწია კორნელი კეკელიძის მიერ დამსახურებულად მოპოვებული გამოჩენილი მეცნიერის სახელისათვის. ამით აიხსნება, რომ კ. კეკელიძე იყო პირველი ქართველი პედაგოგი, რომელიც 1916 წელს დაინიშნა თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად. ამ თანამდებობაზე მოუსწრო მას თებერვლის რევოლუციამ.

ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის დროიდან იწყება ახალი პერიოდი კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობისა. 1918 წელს ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით საფუძველი ჩაეყარა ქართული სამეცნიერო აზრის იმ დიდებულ კერას, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეწოდება. კორნელი კეკელიძე თბილისიდან მხურვალედ გაეხმაურა პეტერბურგის ქართველ მეცნიერ-ენთუზიასტთა ჯგუფს, რომელსაც ქართული უნივერსიტეტის გახსნა გადაეწყვიტა. კ. კეკელიძე ერთი იმ ბურჯთაგანია, რომელზედაც დაეფუძნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში. კორნელი კეკელიძე პირველი და სიკვდილამდე უცვლელი ხელმძღვანელი იყო ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრისა. ის პირველი პროფესორია იმ სამეცნიერო-სასწავლო დისციპლინისა, რომელსაც მან შესწირა თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა. ლექტორობასთან ერთად კ. კეკელიძე წლების მანძილზე ეწეოდა საპასუხისმგებლო სამეცნიერო-ადმინისტრაციულ მოღვაწეობას, 10 წელი იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, 5 წელი კი — უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორი.

არაჩვეულებრივად გაფართოვდა და გაღრმავდა ქართული უნივერსიტეტის მუშაობა საბჭოთა პერიოდში. კორნელი კეკელიძე ერთ-ერთი სულის ჩამდგმელთაგანია უნივერსიტეტის წინსვლისა და ზრდისა. ის ერთი პირველთაგანი იყო საუნივერსიტეტო ცხოვრების ახალ სამეცნიერო ნიადაგზე გადაყვანისა; ფრთები გაშალა კორნელი კეკელიძის სამეცნიერო-კვლევითმა საქმიანობამ. საკმარისია თუ აღვნიშნავთ, რომ 1923--24 წლებში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის ორტო-

მიანი კაპიტალური ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია“ (ტომი I. თბ., 1923; ტ. II. თბ., 1924), კორნელი კეკელიძე აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაშიც. ის იყო ქალაქ თბილისის მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს დეპუტატი (1927, 1929. 1931), საქართველოს და ა/კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი (1927, 1929); სოციალისტური სამშობლოს კულტურული მშენებლობის ენერგიული მონაწილე (წევრია გახათლების; სახალხო კომისარიატის კოლეგიისა, თავმჯდომარის მოადგილეა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოში, სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარეა. წევრია რუსეთიდან ქართული სიძველეების სარევევაკუაციო კომისიისა, მრავალი სამეცნიერო და პოლიტიკური კონფერენციის მონაწილეა როგორც საქართველოში, ისე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში და საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრებში — მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში. სომხეთში. აზერბაიჯანში, უზბეკეთში).

დიდა კორნელი კეკელიძის დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მისი დაუღალავი, მზრუნველი და მოსიყვარულე ხელმძღვანელობის მადლიერი მოწამეა ამ სტრიქონების ავტორი. კორნელი კეკელიძის უშუალო ხელმძღვანელობით მომზადდა თერთმეტი სადოქტორო და ოცზე მეტი საკანდიდატო შრომა.

ღვაწლმოსილი მეცნიერი 1941 წელს არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილ წევრად. მრავალი წლის განმავლობაში ის ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტს. ერთხანს კ. კეკელიძე სათავეში ედგა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

დიდი სამეცნიერო-საზოგადოებრივი მუშაობისათვის კორნელი კეკელიძე ორჯერ იქნა დაჯილდოებული საპატიო სიგელით: 1928 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათი წლისთავზე საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლუციური საბჭოს მიერ და 1938 წელს საქართველოს უმაღლეს საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცი წლისთავთან დაკავშირებით. 1943 წელს კორნელი კეკელიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 1944 წლის დეკემბერში კორნელი კეკელიძე დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით. 1945 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის საგანგებო ბრძანებულებით კ. კეკელიძე მეო-

რედ იქნა დაჯილდოებული შრომის წითელი დროშის ორდენით „ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და ლიტერატურის გამოკვლევის დარგში ძვირფასი ნაშრომებისათვის და მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით“ (გაზეთი „კომუნისტი“, 24. X. 45). 1954 წ. ივნისში კ. კეკელიძე დააჯილდოვეს ლენინის ორდენით

იმავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტს ეწოდა კორნელი კეკელიძის სახელობის კაბინეტი.

ჩვენმა საზოგადოებრიობამ სამგზის (1945, 1954, 1959 წლებში) აღნიშნა კორნელი კეკელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. განსაკუთრებით თბილად ჩატარდა კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო-სახეი-მო სხდომა რუსთაველის სახელობის თეატრში 1959 წლის 8 ივნისს. დიდი კმაყოფილებით მოისმინა მრავალრიცხოვანმა აუდიტორიამ კეკელიძის მშობლიურა სოფლის ტომანიერის კოლმეურნეობის დადგენილება, მხცოვანი მეცნიერების თავის საპატიო წევრად არჩევის შესახებ.

კორნელი კეკელიძეს გამოქვეყნებული აქვს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. აქედან ორ ათეულზე მეტი ცალკე წიგნის სახით. კ. კეკელიძის მრავალფეროვანი სამეცნიერო მუშაობა შეიძლება ასე დაეჯგუფოთ: 1. ძველ-ქართული სამწერლო ძეგლების აღნუსხვა-კატალოგიზაცია და სამეცნიერო აღწერილობათა შედგენა; 2. ძეგლების სამეცნიერო პუბლიკაცია; 3. მონოგრაფიული გამოკვლევების დამზადება; 4. კვლევა-ძიებითი გზით მიღებული შედეგების განზოგადება-დასისტემება და ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი სამეცნიერო კურსის ჩამოყალიბება.

1889 წელს პროფ. ა. ცაგარელი წერდა: „ქართული ლიტერატურის ისტორიის დამუშავება ახლა იმყოფება, ასე ვთქვათ, ბიბლიოგრაფიულს, ანუ სტატისტიკურ პერიოდში.“

ამ სტრიქონების გამოქვეყნების შემდეგ კორნელი კეკელიძის სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლამდის ბევრი ვაკეთდა ძველ-ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. მაგრამ არსებითად მაინც დაუძლეველი რჩებოდა ქართული სალიტერატურო ძეგლების პირველი რეგისტრაციისა, თუ დაგროვების. ან. — ცაგარლის ტერმინოლოგიით — სტატისტიკური პერიოდი. კ. კეკელიძე იმთავითვე გულმოდგინედ დაეწაფა ძველ-ქართული მწერლობის პირველ წყაროებს, საკვლევ ობიექტებს ის უშუალოდ ეცნობოდა სიძველეთსაცა-

ვებში, არქივებში, ეკლესია-მონასტრებში, კერძო მეპატრონეების კოლექციებში და ა. შ.

საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ალექსანდრე ცაგარლისა, ნიკო მარისა და ივანე ჯავახიშვილის წყალობით, მიმდინარე საუკუნის დასაწყისისათვის უკეთ იყო მოგვარებული ათონის. იერუსალიმისა და სანის მთის ქართული ხელნაწერების აღრიცხვა-კატალოგიზაციის საქმე. ვიდრე საქართველოსა და რუსეთის სიძველეთსაცავებში დაცული ფონდებისა (საგულისხმოა, რომ მხოლოდ 1903 წელს დაიბეჭდა თ. ჟორდანიას „აღწერილობები“ პირველი წიგნი). უფრო მივიწყებული იყო ძველ-ქართული მწერლობის სწორედ ის უბანი. რომელიც სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა კ. კეკელიძემ. მას თავიდანვე უხდებოდა მძიმე შავი სამუშაოს შესრულება. სიძველეთა სპეციფიკური სურნელებისადმი სიყვარული, ენერგია და ახალგაზრდული გატაცება კ. კეკელიძეს ძალას მატებდა, ხოლო პირველი შედეგების დიდი ეფექტი მას ამხნევებდა და ახალისებდა მომავალი მუშაობისათვის. რუსეთისა და საქართველოს სიძველეთსაცავებში, განსაკუთრებით მანამდის სრულიად ხელუხლებელი გელათის მდიდრულ კოლექციაში კ. კეკელიძემ 1905—1906 წლების მანძილზე მუშაობისას აღმოაჩინა ძველ-ქართული (და მსოფლიო ქრისტიანული) სულიერი კულტურის უდიდესი საგანძური.

კ. კეკელიძეს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, რომ ძველ-ქართული მწერლობის მეცნიერულ შესწავლას ჰქონდა ორმაგი მნიშვნელობა — ერთი კერძო, საკუთრივ ქართული კულტურის ისტორიის თვალსაზრისით, მეორე — ზოგადი, მსოფლიო საქრისტიანო კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. თავის ერთ შემაჯამებელი ხასიათის გვიანდელ წერილში კ. კეკელიძე წერს: „ქართულ ლიტერატურას, მეტი თუ არა. თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია მაინც აქვს, — ლიტერატურული ძეგლები ჩვენ უკვე მეხუთე საუკუნიდან მოგვებოვება. — ამ მხრივ ჩვენი ლიტერატურა მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი ლიტერატურაა. დიდია და განუზომელი, მეცნიერული თვალსაზრისით, ამ ლიტერატურის მნიშვნელობა: იმაში აღბეჭდილია ქართველი ერის კულტურულ-ისტორიული ცხოვრების პერიპეტეები. მის ძეგლებში, ორიგინალურსა და ნათარგმნში, გამოვლინებულია უღაო ნიშნები ქართველთა შემოქმედებითი პოტენციისა. ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინააზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან, სახელდობრ: სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და [დასავლეთ] ევროპულთან: ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერი-

ოდის თარგმანებში ისეთი ძეგლებია. რომელთა ორიგინალი დროთა
 წსვლელობაში დაკარგულა და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა“
 (ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი. თბილისის
 სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XIX. თბ., 1941, გვ. 141).
 განსაკუთრებულად ძლიერი იყო ძველი საქართველოს სულიერი
 კავშირი ქრისტიანულ მსოფლიოსთან, პირველ რიგში მართლმადიდებ-
 ლური ქრისტიანობის კლასიკურ ქვეყანასთან. ბიზანტიასთან. კ. კე-
 კელიძის ძირითადი გულისყური მიმართული იყო ბიზანტიურ-ქართუ-
 ლი ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემებისადმი. იგი წლე-
 ბის განმავლობაში სისტემატურად აქვეყნებდა (და მეცნიერულ-ფი-
 ლოლოგიური აპარატით ამკობდა) ძველ-ქართული მწერლობის ისეთ
 პირველხარისხოვან ძეგლებს, რომლებითაც, ერთი მხრით. შუქი შეჰ-
 ქონდა ჩვენი ისტორიული წარსულის ბუნდოვანი საკითხების გარკ-
 ვევაში. ხოლო, მეორე მხრით. მნიშვნელოვნად ავსებდა მსოფლიო
 საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს. საკმარისი იქნება
 თუ აღვნიშნავთ, რომ ბიზანტიური და მსოფლიო საქრისტიანო ლი-
 ტერატურის დიდი წარმომადგენლის, სვიმეონ ლოლოთეტის მოღვა-
 წეობის ხასიათისა, დროისა და შრომების მოცულობის „ამდენხანს
 მეცნიერებაში საცილობელი და გაურკვეველი [საკითხები]. საბოლო-
 ოდ გაირკვა ქართული მასალების საშუალებით“ (შრომები. XIX.
 151). კ. კეკელიძემ იპოვა და გამოაქვეყნა ეფრემ მცირის „მოსახსენე-
 ბელი მცირე სვიმეონისათვის ლოლოთეტისა“, რომლითაც ნათელი
 გახდა X ს. გამოჩენილი ბიზანტიელი მწერლის მთელი სამწერლობი:
 მოღვაწეობა. მაგრამ ეს ცოტაა. სვიმეონ ლოლოთეტს გადამეტაფრა-
 სებული ჰქონია სექტემბერ-იანვრის თვეების ჰაგიოგრაფიული ტექს-
 ტები. არაფერი ჩანდა დანარჩენი შვიდი თვის, თებერვალ-აგვისტოს,
 ტექსტების შესახებ. კ. კეკელიძეს ბედნიერი შემთხვევა მიეცა ქარ-
 თულ მასალებში აღმოეჩინა სვიმეონ ლოლოთეტის გამგრძელებლის.
 მანამდის უცნობი ნაყოფიერ მწერლის, იოანე ქსიფილინოსის ანდერ-
 დი. რომლითაც ერთბაშად გადაწყდა ბიზანტიური ლიტერატურის ის-
 ტორიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემათაგანი. გამოიჩინ-
 ვა. რომ XI საუკუნის მოღვაწეს „პალატისა მწიგნობართა უაღრესს,
 ყოვლად ბრძენ კვილოსოფოს“ ქსიფილინოსს გაუგრძელებია და და-
 უსრულებია სვიმეონ ლოლოთეტის საქმიანობა. ქსიფილინოსს გადაუ-
 მეტაფრასებია თებერვალ-აგვისტოს თვეების ჰაგიოგრაფიული ტექს-
 ტები. საყურადღებოა. რომ „ქსიფილინოსის შრომა. რომელიც ბერძ-

9 Симеон Метафраст по грузинским источникам. Труды Киевской духовной Академии, 1910.

ეულ ენაზე არ შენახულა, ქართულად თითქმის მთლიანადაა დაცუ-
 ლი. ისე რომ შესაძლებელი ხდება საშუალო საუკუნეთა ბიზანტიუ-
 რი მწერლობის ერთ-ერთი მსხვილი ხარვეზის ამოვსება“ (შრომები.
 XIX. 152). კ. კეკელიძის ნარკვევმა და პუბლიკაციამ „*Николаи Кси-
 филии, продолжатель Симеона Метафраста*“ (Христианский
 Восток, т. I, вып. III, 1912) დიდი სენსაცია გამოიწვია როგორც
 რუსეთის, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეებში. აკა-
 დემიკოსი ვ. ლატიშევი, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლო-
 ბაში სპეციალურად მუშაობდა ბერძნულ ჰაგიოგრაფიულ ტექსტებზე
 და მას კიდევაც გამოქვეყნებული ჰქონდა ორ ტომად. „*Menologii
 auctorum Byzantini*“, დაუყოვნებლივ გამოეხმაურა კ. კეკელიძის
 აღმოჩენას საგანგებო წერილით „*Челн-мнией Николаи Ксифи-
 лии*“ (Предварительное соображение)¹⁰.

კ. კეკელიძის მიერ მოპოვებულ ტექსტს (იოანე ქსიფილინოსის ან-
 დერძის თარგმანს) ვ. ლატიშევი უწოდებს „შუალრესად საინტერესო-
 სა და მნიშვნელოვან დოკუმენტს“. ლატიშევი აღნიშნავს, რომ იოანე
 ქსიფილინოსის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ დღემდის
 არავითარი ცნობები არ მოპოვებოდა, ამიტომაც კ. კეკელიძეს
 სრული უფლება ჰქონდაო მის მიერ გამოცემული დოკუმენტი ჩაეთ-
 ვალა „своего рода откровением“ (იქვე, გვ. 237)¹¹. სხვათა
 შორის. აკად. ლატიშევმა: ანონიმურად მიჩნეული და მის მიერვე გა-
 მოცემული ჰაგიოგრაფიული ტექსტები სწორედ იოანე ქსიფილინოსს
 მიაწერა (გვ. 239). შემდგომ მანვე გამოაქვეყნა კ. კეკელიძის მიერ
 რუსულად თარგმნილი ერთ-ერთი ტექსტი ქსიფილინოსის ქართუ-
 ლი კრებულისა (Житие св. епископов херсонских в грузинс-
 кой мнее IIIAK, вып. 49, 1913г., გვ. 75—88). ამ ტექსტს
 გაცნობის საფუძველზე ლატიშევი იძულებული გახდა ელიარებინა
 რომ: „Грузинский текст не тождествен с текстом, нахо-
 дящимся в изданной мною минологии, и представляет собою
 особую редакцию“ (გვ. 76), „Грузинский агнографический сбор-
 ник, открытый К. Кекелидзе, неожиданно дал нам совершенно
 новую редакцию жития св. епископов херсонских...
 Грузинский текст представляет собою типичное „житие“ или
 „подвигание“ в агнографическом смысле этого слова“. და

¹⁰ ИАН. 1913, гв. 231—240.

¹¹ შტრ. История русской литературы. I. М.-П., 1941, гв. 104—105.

რომ, დასასრულ, ქართული ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ის შედგება „старательной литературной обработки“ (79), ანუ გადამეტაფრასებული ტექსტია. მაშასადამე, ამით გაზართლდა კ. კეკელიძის მოსაზრება, რომ იოანე ქსიფილინოსის ტექსტი შემოუნახავს მხოლოდ გელათის ქართულ კრებულს (ლათინურის განოცემული ტექსტები კი კვლავ ანომიმური რჩება, თუმცა თვითონ ლათინურმა საბოლოო დასკვნის მიღებისაგან თავი შეიკავა (გვ. 80—82). 1947 წელს კ. კეკელიძემ კიდევ ერთი ახალი ნაშრომი მიუძღვნა ბიზანტიური მეტაფრასტული მწერლობის საკითხს (ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია „უნივერსიტეტის შრომები“, XXX B, გვ. 19—95).

აღნიშნულ აღმოჩენებთან დაკავშირებით კ. კეკელიძემ ცხადად გაარკვეა საცილობელი ლიტერატურული ტერმინის „კიმენის“ აზრი და მნიშვნელობა. კიმენი ჰრქმევია არა მწერალს, არა მთარგმნელს (როგორც ფიქრობდა. მაგალ., თ. ყორდანია). არამედ იმ პირველად. ლიტონად ნათარგმნ ტექსტს, რომელიც გამხდარა წყაროდ ლიტერატურული გადამუშავებისა (გადამეტაფრასებისა).

კ. კეკელიძე ბეჯითად განაგრძობდა საქრისტიანო მსოფლიოსათვის უცნობი ლიტერატურული ძეგლების გამოქვეყნებას. გარდა ხერსონელი წმინდანების ცხოვრების ტექსტისა (რომლის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი) მან დაბეჭდა: 1. Новоткрытый археологический памятник иконоборческой эпохи (Житие св. Романа Нового [ТКА, 1910, VI]). 2. Эпизод из начальной истории египетского монашества (ТКА, 1911, II). 3. Сведения грузинских источников о препод. Максиме Исповеднике (ТКА, 1912 IX, XI); 4. Житие и подвиги Иоанна католика Уршайского (ХВ., т. II, в. 3, 1914); 5. Грузинская версия арабского жития св. Иоанна Дамаскина (ХВ., т. III, вып. 2, 1915), 6. Житие Петра Нового, мученика Капетолийского (ХВ., т. IV, в. I, 1915); 7. Житие Агафангела, католика Дамасского (ХВ., т. IV, в. 3, 1916) და სხვ.

1915 წელს კ. კეკელიძემ შეადგინა გეგმა¹², რომლითაც 8 ტომად უნდა გამოცემულიყო „ქართული პაგიოგრაფიის ისეთი ტექსტები. რომელთა ბერძნული თუ სხვა დედანი დღეს უკვე დაკარგულია“ (შრომები: XIX, 151). 1918 წელს განხორციელდა ამ გრანდიოზული წამოწყების პირველი მონუმენტური ტომის გამოცემა (ქარ-

¹² ეს გეგმა დაამტკიცა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ.

თული ჰაგიოგრაფიული ძეგლები; ნაწილი პირველი. კიმენი. ტომი I. თბ., 1918, XLVIII+350 გვ.). კიმენის გამოცემამ „იმდენი ყურადღება დაიმსახურა საზღვარგარეთულ სამეცნიერო წრეებში. რომ იმაში მოთავსებული მასალა ნაწილ-ნაწილ ითარგმნებოდა ლათინურ ენაზე ცნობილი ორიენტალისტიკისა და ჰაგიოლოგიის პეტერსის მიერ“ (იქვე. 151). კ. კეკელიძეს დამზადებული აქვს მასალები ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების არაერთი ტომის გამოსაცემად¹³. აქედან 1940 წელს ვრცელი გამოკვლევით გამოაქვეყნა „ცხოვრება და მოქალაქობა ტიმოთე ანტიოქელისაჲ“ (ენიმკი-ს მოამბე. VII. 1940). ეს უაღრესად საყურადღებო თხზულება „თავდაპირველად დაწერილი ყოფილა არაბულ ენაზე, არაბულიდან უთარგმნიათ ბერძნულად. ბერძნულიდან კი ქართულად. არც არაბული, არც ბერძნული ტექსტი მისი ცნობილი არაა, ყოველ შემთხვევაში ჭერჯერობით. მაშასადამე, დაგვრჩენია ქართული თარგმანი, რომლითაც შესაძლებელი ხდება ამ საინტერესო ძეგლის აღდგენა და ყოველმხრივ გათვალისწინება. ამასთან საყურადღებოა ისიც. რომ ქართული თარგმანის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ არაბულ-ქრისტიანული მწერლობის ძეგლი; არაბულ-ქრისტიანული ლიტერატურა კი ჭერ შეუსწავლელია. ის ამ უკანასკნელ ხანებში იპყრობს ორიენტალისტების სერიოზულ ყურადღებას. ამრიგად, ძველ-ქართულ ლიტერატურას ამ ძეგლის სახით საკმაოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის ისტორიაში“ (ტიმოთე ანტიოქელა, გვ. 10).

ჩვენ აღვნიშნეთ კ. კეკელიძის ღვაწლი ქართულ-ბიზანტიური და ქართულ-აღმოსავლური საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიაში მარტოოდენ. ან თითქმის მარტოოდენ ჰაგიოგრაფიის დარგში (ნაწილობრივ აგრეთვე ლიტურგიკის დარგში). თავისი გამოკვლევებით:

¹³ სხვათა შორის. კიმენისადმი მიძღვნილ თავის ვრცელ რეცენზიას (Analecta Bollandiana. 1925, t XLIII, p. 379—381) პ. პეტერსი ამთავრებს შემდეგ საგულისხმო სიტყვებით: „Nous voulons garder l'espoir qu'un jour viendra ou' les initiateurs de cette grande oeuvre pourront la reprendre et l'achever en union avec tous ceux qui en ont jeté les fondements“ (— ჩვენ გვინდა ვიკონიოთ იმედი, რომ დადგება ის დღე, როდესაც ამ დიდი საქმის ინიციატორები შეძლებენ მის გაგრძელებას და დამთავრებას ყველა იმათთან კავშირში, რომელთაც ჩაჰყარეს [დიდი წამოწყების] საფუძვლები). მართლაც კ. კეკელიძე წარმატებით განაგრძობდა კიმენური ტექსტების პუბლიკაციას (კიმენის მეორე ტომი მან გამოაქვეყნა 1946 წელს — ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი პირველი. კიმენი. ტომი II, 1—239 გვ.).

და პუბლიკაციებით კ. კეკელიძემ მნიშვნელოვანი სამსახური გაუწია საქრისტიანო ლიტერატურის სხვა სპეციფიკურ დარგებსაც, როგორცაა ბიბლიოგრაფია, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა და სხვ. მაგრამ ყველაფერ ამის მიმოხილვას აქ ველარ შევუდგებით. დაინტერესებულ პირთ მივუთითებთ კ. კეკელიძის ნაშრომზე „ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი“ (უნივერსიტეტის შრომები, XIX, 1941). ოღონდ აქვე აღვნიშნავთ კ. კეკელიძის კაპიტალურ ისტორიულ-ბიბლიოგრაფიულ ნარკვევებს „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“¹⁴ და „კიმენის რედაქციის ჰაგიოგრაფია“ (უნივერსიტეტის მოამბე, VIII, 1927; ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 569—698).

უნდა დავძინოთ, რომ—როგორც კ. კეკელიძე სამართლიანად ამტკიცებს — ძველი ქართული მწერლობის ნათარგმნი ძეგლები საერთო ქართული მწერლობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია. ძველ-ქართული მთარგმნელობითი მეთოდის თავისებურებას კ. კეკელიძემ მიუძღვნა სპეციალური ნაშრომი (მთარგმნელობითი მეთოდი ძველ-ქართულ მწერლობაში და მისი ხასიათი, „ლიტერატურული ძიებანი“, 1951, VII, გვ. 169—183).

არა ნაკლებია კ. კეკელიძის დეაწლი ძველ-ქართული ორიგინალური მწერლობის შესწავლის საქმეში. კვლევა-ძიებისას კ. კეკელიძე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ძველ-ქართული საქრისტიანო მწერლობის საწყისების პრობლემურ მხარეებს და ამასთან დაკავშირებით იმ უდიდესი მოვლენის კულტურულ-ისტორიულ ფაქტს. როგორც იყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში. უკანასკნელ საკითხს აქვს მიძღვნილი გამოკვლევა: „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“ (მიმომხილველი, 1926, № 1, გვ. 1—53). ს. კეკელიძის ამ ნაშრომმა (რომელიც გერმანულადაც გამოქვეყნდა, *Die Bekehrung Georgiens zum Christentum*, Leipzig, 1928) ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა უცხოეთშიც: ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და იტალიურ სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში ამ ნაშრომზე დაიბეჭდა ბევრი ანოტაცია და რეცენზია. სპეციალური ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა კ. კეკელიძემ ათონის სალიტერატურო სკოლის ისტორიას (უნივერსიტეტის შრომები, VI, 1938). ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის ძეგლები კი იყო მისი მუდმივი მეცნიერული ყურადღების საგანი. მრავალთაგან დავასახელებთ ამ მხრივ მხოლოდ ზ. აკაერთ ნაშ-

¹⁴ გადათარგმნილია გერმანულ ენაზე (*Oriens Christianus*, III Serie, VIII).

რომს: 1. ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (უნივერსიტეტის მოამბე, №.1, 1920); 2. კონსტანტი კახის მარტილობა და ვინაობა (იქვე, VIII, 1927), 3. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა (თბ., 1935). ეს წიგნი შეიცავს აბო ტფილელის წამებისა და სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების ტექსტებს ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული ნარკვევით. არსებითად ჰაგიოგრაფიული მწერლობის პრობლემას შეეხება კ. კეკელიძის ნაშრომი „საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“ (უნივერსიტეტის მოამბე, VI, 1926). სხვათა შორის, არ შემიძლია არ აღვნიშნო. რომ კ. კეკელიძე, რომელმაც ესოდენი სამსახური გაუწია ქართული (და ქართულის საშუალებით მსოფლიო ჰაგიოგრაფიული) მწერლობის ისტორიას. მოკრძალებით აცხადებდა 1941 წელს დაწერილ ნარკვევში: „ქართული ჰაგიოგრაფიის შესწავლა ჯერ ხეირიანად არც კი დაწყებულა“-ო (უნივერსიტეტის შრომები, XIX, გვ. 150).

კ. კეკელიძეს ეკუთვნის ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები-სადმი მიძღვნილი რამდენიმე წერილი: 1. როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება (უნივერსიტეტის მოამბე, II, 1922); 2. ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი (ენიმკი-ს მოამბე, V—VI, 1940); 3. ძველი ქართული წელიწადი (უნივერსიტეტის შრომები, XVIII, 1941) და სხვ. საყურადღებოა კ. კეკელიძის ისტორიულ-კულტურული და ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნარკვევები, შენიშვნები და მისთანანი. სანიშნოდ: 1. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები (უნივერსიტეტის მოამბე, III, 1923); 2. ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია (ჩვენი მეცნიერება, IV, 1923); 3. რამოდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა (უნივერსიტეტის მოამბე, V, 1925); 4. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში (იქვე, X, 1930); 5. ნიკიფორე ირზახი, ინიციატორი ქართული სტამბისა რომში (ლიტერატურული მემკვიდრეობა, I, 1935); 6. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ-ქართულ მწერლობაში (უნივერსიტეტის შრომები, XVII, 1938); 7. ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა (იქვე, XVI, 1940); 8. ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში (იქვე, XXV, 42); 9. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერები საშუალო საუკუნეთა ახლობელ აღმოსავლეთში (ენიმკი-ს მოამბე, XIII, 43); 10. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები (ლიტერატურული ძიებანი, I, 43); 11. კომენტარები აბდულ-მესიანის ზოვიერთი

ტაეპისა (ლიტერატურული ძიებანი, 1947, 111); 12. კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ-ქართულ მწერლობაში (გამომცემლობა „ცოდნა“, 1949, გვ. 31); 13. იოანე ქართველის კალენდარი (უნივერსიტეტის შრომები. XXIX. 1950); 14. ზოგიერთი საკითხი ექვთიმე ათონელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ (იქვე, ტ. 51, 1953). უკანასკნელად დასახელებულ წერილში კ. კეკელიძე სხვათა შორის იხილავს ექვთიმე ათონელის ბერძნულად შეთხზულ ერთ ორიგინალურ ნაშრომს. ეს ნაშრომი მანვე აღმოაჩინა.

კოლოსალური ერუდიცია სასულიერო-საეკლესიო მწერლობის ვიწრო სპეციალურ საკითხებში, ხანგრძლივი კვლევითი მუშაობის შედეგად მიღებული დიდი გამოცდილება, ნიჭი, ენერჯია და გულმოდგინეობა ჩააქსოვა კ. კეკელიძემ თავის დიდტანიან წიგნში „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომლის პირველი ტომი დაიბეჭდა თბილისში 1923 წელს (II+694 გვ.). იგივე წიგნი შეესებულ და გადამუშავებული სახით მეორედ 1941 წელს (726 გვ.), მესამედ 1951 წელს, მეოთხედ 1960 წელს (გვ. 720), გამოვიდა. კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველი ტომი წარმოადგენს ქართული სასულიერო (საეკლესიო) მწერლობის ვრცელ სისტემურ კურსს უძველესი პერიოდიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე. ეს წიგნი დაგვირგვინებდა ავტორის მიერ წლების განმავლობაში წარმოებული დაძაბული და დაუცხრომელი კვლევაძიებითი მუშაობისა. კ. კეკელიძემ შეაჯამა, დაასისტემა და მთლიან სამეცნიერო კურსად ჩამოაყალიბა ძველ-ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორია. კ. კეკელიძის კურსი უკანასკნელი სიტყვაა ქართული ფილოლოგიური მეცნიერების მიღწევისა ლიტერატურის ისტორიის დარგში. ავტორმა გამოიყენა როგორც საკუთარი მიღწევები, ისე მიღწევები მთელი ქართულმეტყველებისა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

მაგრამ, ვიმეორებ, კ. კეკელიძის კურსი ძირითადად ავტორის ნაფიქრ-ნააზრებისა და დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგია. წიგნი ემყარება პირველ წყაროებს. უპირატესად ჯერ სრულებით ხელუხლებელ ნედლ საარქივო-სამუზეუმო ხელნაწერ მასალებს, მოფიქრებულთა და შესრულებულთა უაღრესად ორიგინალურად. მასალის ჰიმდიდრითა და სიხშირით. ისტორიულ-ლიტერატურული ანალიზის სისრულით კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ მაღალ მეცნიერულ დონეზე დგას და ღირსეულად უპასუხებს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის მოთხოვნილებებს. კ. კე-

კელიძის წიგნი არღვევს ქართულ ფილოლოგიურ მეცნიერებაში განმტკიცებულ არა ერთსა და ორ შეხედულებას და ახალ ჰორიზონტებს შლის ქართულმცოდნეობის შედარებით ნაკლებად დამუშავებულ. მაგრამ დიდ მნიშვნელობის მქონე დარგში. კ. კეკელიძის წიგნი მთელი ძველი ქართული წერილობითი კულტურის ისტორიაა. ის აუცილებელი სამაგიდო წიგნია ყველა იმათთვის. ვისაც კი რაიმე ინტერესი გააჩნია ამ კულტურის ისტორიისადმი. ამავე დროს კ. კეკელიძის კურსი ერთადერთი სახელმძღვანელო წიგნია ძველი ქართული მწერლობისა ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეათვის. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კ. კეკელიძის „ძველი ქართული მწერლობის ისტორია“ არ არის სახელმძღვანელოს სახით დაწერილი ნაშრომი. თვითონ ავტორი ამის თაობაზე ამბობს: „მართალია ამ შრომას, სკოლებშიაც იყენებენ, რადგან მასში მოცემულია ის მასალაც, რაც გათვალისწინებულია სკოლის, განსაკუთრებით უმაღლესის, სასწავლო პროგრამით, მაგრამ ის არაა სასკოლო სახელმძღვანელო ამ სიტყვის ჩვეულებრივი, ვიწრო გაგებით — მას რომ ასეთი დანიშნულება ჰქონოდა, სხვა გეგმითა და მოცულობით დაიწერებოდა. მას ისეთი მიზნები აქვს დასახული და ისეთი ფარგლები მოხაზული, რომელიც სასკოლო სახელმძღვანელოსათვის სავალდებულო არაა, ვინაიდან ეს უკანასკნელი მასალის შერჩევასა და დალაგებაში თავისი საკუთარი, პედაგოგიური მიზნებიდან გამოდის. ეს კურსი არის ფართოდ წამოწყებული ისტორიულ-ლიტერატურული, უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული კვლევა-ძიებათა ხასიათის ნაშრომი. რომელმაც, შესაძლებლობის ფარგლებში, უნდა გაარკვიოს და დააზუსტოს ჯერ კიდევ გაურკვეველი საკითხები და მოამზადოს სასკოლო სახელმძღვანელოს შესადგენად ბაზა და საიმედო მასალა, ამასთან ერთად დააკმაყოფილოს მოთხოვნილებანი უმაღლესი და საშუალო სკოლის მასწავლებლებისა, ასპირანტებისა, მეცნიერების სხვა დარგის მუშაკებისა და საბჭოთა ინტელიგენციის დაინტერესებული წრეებისა“¹⁵.

აქ გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად კ. კეკელიძემ თავისი ნაშრომის საფუძველზე დაამუშავა უმაღლესი სკოლის სახელმძღვა-

¹⁵ ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1, 1951, გვ. 5.

წელოდ და ფართო საზოგადოების საკითხავ წიგნად ძველი ქართული მწერლობის ისტორიის პირველი ტომის პირველი ნაწილი (V—XI საუკუნეები) კ. კეკელიძე. ა. ბარამიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. I. ძველი ქართული მწერლობა, თბილისი, 1954 (რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი).

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ კორნელი კეკელიძემ რომელიც ადრე იფარგლებოდა მართოდენ სასულიერო მწერლობის ინტერესით, 1924 წელს გამოაქვეყნა ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიაც (ქართული ლიტერატურის ისტორია. II ტომი, საერო მწერლობა, XI—XVIII საუკ., თბ., 1924. II+528 გვ.). 1941 წელს გამოვიდა აღნიშნული წიგნის მეორე, შევსებული, შესწორებული და საფუძვლიანად გადამუშავებული გამოცემა (ქართული ლიტერატურის ისტორია, ძველი მწერლობა, ტომი II, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა. თბ., 1941. 671 გვ.). 1952 წელს იგივე წიგნი მესამედ დაიბეჭდა (ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტომი მეორე, მესამე, გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. თბ., 1952, გვ. 623), ხოლო 1958 წელს მეოთხედ (ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 749), კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეორე ტომის გამოცემამ ერთხელ კიდევ ცხადყო მისი ავტორის დიდი ერუდიცია და ქეშმარიტად უსაზღვრო შრომისმოყვარეობა. ძველ-ქართული საეკლესიო ლიტერატურის დიდმა სპეციალისტმა მცირეოდენი დროის განმავლობაში მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული კეთილსინდისიერებითა და გულმოდგინებით ამომწურავად შეისწავლა ქართული სულიერი კულტურის ახალი, რთული საფეხური. მან მოგვცა ძველ-ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი და მრავალწახნაგოვანი ისტორიის ერთობლივი შემოქმედებითი პროცესის მეცნიერული ანალიზი. მართალია, ძველ-ქართული საერო მწერლობის ისტორიის კურსის ჩამოყალიბებისათვის შედარებით უკეთ იყო ნიადაგი მომზადებული. მაგრამ კ. კეკელიძეს მაინც დასჭირდა კოლოსალური შრომის გაწევა. რომ წესრიგში მოეყვანა. შეემოწმებინა, აეწონა-დაეწონა. განეზოგადებინა და დაესისტემებინა დაგროვილი მასალა; მკვლევარს უხდებოდა ჯერ გამოუქვეყნებელი და შეუსწავლელი დიდძალი ხელნაწერი მემკვიდრეობის გათვალისწინებაც. ერთი სიტყვით. კ. კეკელიძის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეორე ტომიც თავის მნიშვნელოვან ნაწილში ემყარება პირველ (ხელნაწერ) ტექსტებს და

ნედლ დაუნაწევრებელ მასალას. ეს შრომაც დღემდის რჩება ქართული ლიტერატურის ისტორიის გარკვეული პერიოდის ერთადერთ სისტემურ სამეცნიერო კურსად, სამაგიდო და სასელმძღვანელო წიგნად¹⁶. ჩვენი გამოჩენილი მკვლევარი ყოველთვის სერიოზულ ანგარიშს უწევდა საქმიან კრიტიკულ შენიშვნებს, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად ეპყრობოდა თავის ნარკვევებს და ნაფიქრ-ნააზრევს. კეკელიძისეული ძველი ქართული მწერლობის ისტორიის კურსის ყოველი ახალი გამოცემა წინა გამოცემასთან შედარებით საფუძვლიანად არის გადასინჯული და გადამუშავებული. შესაფერისად შევსებული და შესწორებული.

ამრიგად, თუ 1886 წელს პროფ. ალ. ცაგარელი გულისტკივილათ ჩიოდა: „რამდენადმე მეცნიერული იერის მქონე შიშობილვა ქართული ლიტერატურის ისტორიისა ჯერ თითქმის შეუძლებელიაო“¹⁷. 1923—24 წლებში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ძველ-ქართული ლიტერატურის ისტორიის სრული მეცნიერული კურსი. დიდი კულტურული მნიშვნელობის მქონე ეს ფაქტი კარგად შეაფასა ბელგიელმა ორიენტალისტმა პაულ პეტერსმა, რომელიც სამართლიანად აღნიშნავდა, რომ კ. კეკელიძის დიდი ტომების ჩამოყალიბება მოხდა იმ პერიოდში, როდესაც „ქართველი ხალხი შევიდა თავისი (ეროვნული) განვითარების გადამწყვეტ ფაზაში“ (— „Ces deux gros volumes... rédigés d'un bout à l'autre en géorgien à un moment où la nationalité géorgienne venait d'entrer dans une phase décisive de son évolution“). პაულ პეტერსი ხმამაღლა აცხადებს ევროპელი მკითხველის საყურადღებოდ, რომ კ. კეკელიძის „L'Histoire de la littérature géorgienne est une affirmation en douze cents pages des titres intellectuels de la Géorgie et de son droit à vivre de sa vie propre. Titres éclatants et droit incoutestable“¹⁸ (—ათას-ორას გვერდიანი ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათა და იმის უფლებისა, რომ იცხოვროს თავისი საკუთარი ცხოვრებით. ღირსებანი ბრწყინვალეა და უფლება უცილობელი). ვრცელი რეცენზიით აღნიშნა კ. კეკელიძის კურსის პირველი ტომის გამოცემა ამერიკელმა მეცნიერმა რობერტ ბლაიკმა (Georgian

¹⁶ თავისი ორტომიანი ქართული კურსის საფუძვლზე კ. კეკელიძემ დაწერა „Конспективный курс истории древнегрузинской литературы“, Тб., 1939, გვ. 118

¹⁷ Сведения, I, გვ. 1.

¹⁸ Analecta Bollandiana, t. XLIV, 1926, p. 151.

theological literature. The Journal of theological studies, october 1924, vol. XXVI, № 101, 50—64, ცალკე ამონაბეჭდი).

იმდენად დიდია კ. კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მნიშვნელობა, რომ იმის საფუძველზე ევროპულ ქვეყნებში შეიქმნა ახალი შრომები. კურსის ცალკეული ნაწილები დროდადრო იბეჭდებოდა საცნობაროდ სხვადასხვა პერიოდულსა თუ არაპერიოდულ გამოცემებში. 1955 წელს რომში გამოქვეყნდა ქართული ლიტერატურის ისტორია, რომლის სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ: „Geschichte der Kirchlichen georgischen Literatur Auf Grund des ersten Bandes der georgischen Literaturgeschichte von K. Kekelidze bearbeitet von Michael Tarchnisvili in Verbindung mit Dr. Julius Assfalg. გვ. XVIII+521. (ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია, კ. კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი ტომის საფუძველზე დამუშავებული მიქაელ თარხნიშვილის მიერ, დოქტორ იულაუს ასფალგის თანამშრომლობით). შესავალში ვანცხადებულა, რომ გერმანული გამოცემა ემყარება ქართულის მეორე: 1941 წლის გამოცემას, რომ იგი არაა დედნის „უბრალო თარგმანი“. არამედ უფრო მეტად მისი „ახალი თავისუფალი დამუშავება“ (eine freie Neubearbeitung), რომ შრომის დიდი ნაწილი ვადამუშავებულა. საფუძვლიანად. „ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორიის“ გერმანული გამოცემის გამო კ. კეკელიძე ამბობს: „შრომა მისაღმებ-ის ღირსია, რადგანაც ის, ნაწილობრივ. მაინც. ავსებს საზღვარგარეთული მეცნიერების შეუწყნარებელ ხარვეზს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ხაზით. ეს შრომა არის ოდნავ შემოკლებული თარგმანი კ. კეკელიძის პირველი ტომისა; მთარგმნელს ალაგ-ალაგ მოაქვს ამა თუ იმ საკითხის გამო თავისი მოსაზრებანი. რომელნიც უმეტეს შემთხვევაში არ შეიძლება გამართლებულ იქნეს“. მოყვანილ ტექსტს ახლავს სამართლიანი გულისწყრომის გამოხატველი შენიშვნა სქოლიოში: „ამ შრომის ხასიათის გათვალისწინებით. იმ სათაურის მაგიერ, რომელიც მისთვის მ. თარხნიშვილს მიუცია. უფრო სამართლიანი იქნებოდა შემდეგი: K. Kekelidze. Geschichte der Kirchlichen georgischen Literatur. Übersetzung und Bearbeitung von M. Tarchnisvili... (კ. კეკელიძე. ქართული საეკლესიო ლიტერატურის ისტორია. თარგმანი და დამუშავება მ. თარხნიშვილისა). „გამოთქმა auf Grund (საფუძველზე) იმდენად ზოგადია, რომ უცხო მკითხველი, რომელსაც კ. კეკელიძის ქარ-

თულად დაწერილი შრომა არ უნახავს, ოდნავადაც ვერ გაერკვევა ამ Grund-ის (საფუძვლის) მოცულობაში; ის ვერ გაერკვევა. რა ეკუთვნის ამ შრომაში ავტორს და რა ეკუთვნის მის მთარგმნელს: მან შეიძლება იფიქროს, რომ დედანში ყველაფერი ისეა, როგორც თარგმანში. არას ვამბობ იმაზე რომ მეცნიერული ეტიკა მოითხოვდა მ. თარხნიშვილს წინასწარ ნებართვა გამოეთხოვა ავტორისაგან მისი შრომის ამ ზომამდე და ამ სახით გამოყენებისა (ამის შესახებ იხ. სხვათა შორის H. Vogt-ის რეცენზია მ. თარხნიშვილის თარგმანზე Orientalistische Literaturzeitung-ში, 1957, № 11—12, გვ. 531—534 და J. Molitor-ისა Oriens Christianus-ში, 1957, ტომი 41, გვ. 145—148. (ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I. 1960, გვ. 28—29, შენიშვნა 1).

უცხო ენებზე გადათარგმნილია ქ. კეკელიძის ბევრი შრომა. ღირსეულად არის შეფასებული „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ ჩვენს ქვეყანაში. პროფესორმა აკაკი შანიძემ აბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1923 წელს მოპოვებული დიდა სამეცნიერო მიღწევების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მხარედ ჩათვალა ქ. კეკელიძის პირველი ტომის გამოქვეყნება („ქართული სიტყვა“, 1924, № 7, 1 იანვარი). 1923 წელს იქნა აღმოჩენილი განთქმული ხანმეტურ-პაემეტური ტექსტები. ამ აღმოჩენებს ქ. კეკელიძემ უძღვნა სპეციალური წერილი („მომომხილველი“, 1926, № 1, გვ. 261—267). ა. შანიძის სიტყვით, ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები ქ. კეკელიძის ორტომეულში „ჩინებულად-არის განხილული. დახვეწილი და სისტემატური სახით წარმოდგენილი. ეს ორი დიდტანიანი წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორიისა ქართული კულტურის ყოველი მოტრფიალის ბიბლიოთეკას ამშვენებს“. (ლიტერატურული ძიებანი, IX, 1955 წ.)

რუსულად გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც კორნელი კეკელიძისადმი მიძღვნილი, აკაკი შანიძე ამბობს: „Огромное количество фактов, накопленных за длительный период (V—XVIII вв.) литературной деятельности древнегрузинских писателей, нашло в этих двух томах научное освещение, основанное на непосредственном знакомстве с первоисточниками. Широта взглядов, проникательный дух, умение привести в связь разрозненные явления—вот чем характеризуется этот капитальный труд, который появился в итоге целого ряда изысканий по отдельным вопросам“. (Выдающийся ученый современности „Заря Востока“, 7.VI.61).

პროფ. არნოლდ ჩიქობავას მოსაზრებით, კ. კეკელიძის ხანგრძლივისა და ინტენსიურ კვლევა-ძიებით მუშაობას ნაწილობრივ აჯამებს „პირველწყაროების ღრმა ცოდნასა და ფაქიზ ანალიზზე დაფუძნებული დიდი ორტომეული“. არნოლდ ჩიქობავა აღნიშნავს, რომ: „ამ ფუნდამენტალურ შრომაზე ქართველი საბჭოთა ფილოლოგების თაობები აღიზარდა. კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ქართული ფილოლოგიის ქვაკუთხედს ქმნის. მარტოოდენ პირველი ტომიც რომ ავიღოთ, იგი ერთი სპეციალისტის სასიცოცხლო საქმეს ეტოლება“ (ლიტერატურის ძიებანი, IX, 1955).

პროფ. გიორგი წერეთელი თვლის, რომ კ. კეკელიძემ ბრწყინვალედ განაგრძო მისი წინამორბედების მიერ დაწყებული დიდი საქმე. კ. კეკელიძეს წილად ხვდა შეესრულებინა „უფრო დიდი მისია“. მან დააფუძნა მეცნიერების ახალი დარგი — ქართული ლიტერატურის ისტორია. „თუ დღეს არსებობს დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა — ქართული ლიტერატურის ისტორია, ეს უმთავრესად და ძირითადად კ. კეკელიძის დამსახურებაა“ (იქვე).

პროფ. გ. ჯიბლაძის დასკვნით „კ. კეკელიძე ძველი ქართული ლიტერატურის უდიდესი და უბადლო მცოდნეა. მეცნიერულ სისტემაში სწორედ მან მოიყვანა პირველად ძველი ქართული მწერლობა“. კ. კეკელიძის ორტომეულს გ. ჯიბლაძე უწოდებს „ფუნდამენტალურ კლასიკურ ნაშრომს“. (ქართული ფილოლოგიის პატრიარქი. საიუბილეო კრებული).

დამახასიათებელია მწერალ-აკადემიკოსის კონსტანტინე გამსახურდიას შეფასება: „სასულიერო მწერლობის უბადლო მცოდნე, ფრიად ფრთხილი ფილოლოგი... კორნელი კეკელიძე სამართლიანად ითვლება ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუძემდებლად. აკად. კ. კეკელიძეს არ შეხვედრია ისეთი წინასწარი შემზადებული ნიადაგი, როგორც დაუხვდათ დასავლეთის ლიტერატურის ისტორიკოსებს, რომელნიც ამყარებდნენ თავიანთ თეორიებს მეცნიერთა თაობების მიერ საუკუნეთა მანძილზე გამოკვლეულ და შესწავლალ მონაცემებზე. კ. კეკელიძე იძულებული იყო თავად ყოფილიყო პირველწყაროთა მკვლევარი და შემდგომ ამისა მოეხდინა მასალის განსაზღვრულ სისტემაში მოყვანა და კლასიფიცირება... კ. კეკელიძის განსაკუთრებული დამსახურება ისაა, რომ მან ცალკეულ ეპოქათათვის მიძღვნილ სპეციალურ შრომებთან ერთად შესძლო ერთი მთლიანი ფუნდამენტური ისტორიის შექმნა, რომელსაც მან მოანდომა თავისი სიცოცხლის არა ერთი ათეული წელი“. (კორნელი კეკელიძე. საიუბილეო კრებული).

პროფ. ა. გაწერელია მოხდენილი შედარებით კვერს უკრავს ყოველივე ზემოთქმულს: „კ. კეკელიძე ამშვენებს იმ დარგს, რომლის მთავარი დედაბოძი თვითონაა. ამშვენებს არა მარტო მონუმენტური შრომებით, იგი თავისი გარეგნობითაც ამ მონუმენტურობის შთაბეჭდილებას სტოვებს. კ. კეკელიძე ერთგვარად ჰგავს კიდევაც მისივე „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ვეება, ბიბლიის მსგავს. ტომებს“ (კორნელი კეკელიძე, იგივე კრებული).

მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, როგორ შეიყვარა და დააფასა ჩვენმა საზოგადოებრიობამ კორნელი კეკელიძის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“. საესებით სწორად გამოთქვა პროფ. გიორგი წერეთელმა ჩვენი ხალხის საერთო გულისთქმა, როდესაც შემდეგი სიტყვებით მიმართა კორნელი კეკელიძეს დაბადების 75 წლისთავის აღსანიშნავ საღამოზე: „ვიდრე არსებობს ქართული ენა. ქართული მეცნიერება და ქართული მწერლობა, დაუვიწყარი იქნება თქვენი სახელიც“. (ლიტერატურული ძიებანი, IX).

თავისი დიდი ორტომეულის საფუძველზე კ. კეკელიძემ დაამუშავა და რუსულ ენაზე გამოსცა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კონსპექტური კურსი¹⁹, რომელიც სახელმძღვანელო წიგნად იხმარება ფილოლოგიური ფაკულტეტების რუსულ სექტორებზე.

შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ, როგორც ძველი ქართული მწერლობის, განსაკუთრებით ძველი ქართული სასულიერო მწერლობის, მკვლევარსა და ამ მწერლობის ისტორიის სისტემატიზატორს, კორნელი კეკელიძეს ტოლი არ ჰყავს. ამ მხრივ ერთგვარად შესაძლებელია გავიმეოროთ გიორგი ათონელის მიერ ექვთიმე ათონელის მისამართით თქმული სიტყვები. მკვლევარი-მეცნიერი „ეგვევითარი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვკგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“.

კ. კეკელიძე ოდნავადაც არ დაკმაყოფილებულა ძველი ქართული მწერლობის კურსის პუბლიკაციით. 1924 წლიდან ის შეუწყვეტილი ენერგიით განაგრძობდა სასულიერო მწერლობის საკითხების კვლევა-ძიებას, მაგრამ პარალელურად დიდი ნაყოფიერებით მუშაობს საერო მწერლობის დარგში. კ. კეკელიძემ დამოუკიდებლად, თუ სხვებთან თანამშრომლობით, გამოაქვეყნა ძველ-ქართული საერო მწერლობის ისეთი ძეგლები, როგორიცაა 1. შვიდი მთიები ანუ ბარამგურიანი (თბ., 1930); 2. როსტომიანის ქართული ვერსიის ვეებერთელა მეორე ტომი (1936 წელს. იუსტ. აბუ-

¹⁹ К. Кекелидзе. Конспективный курс истории древнегрузинской литературы. Тб., 1938. стр. 118.

ლაძესთან, ალ. ბარამიძესთან, პ. ინგოროყვასთან და ა. შანიძესთან ერთად); 3. კალმასობა ალ. ბარამიძესთან ერთად; I, 1936; II, 1948; 4. ვისრამიანი (1938 წელს ალ. ბარამიძესთან და პ. ინგოროყვასთან ერთად); 5. კ. კეკელიძე თავმჯდომარეობდა იმ კომისიას, რომელმაც დაამზადა გამოსაცემად „ვეფხისტყაოსნის“ საფუბილეო ტექსტი. კ. კეკელიძის თანარედაქტორობით მომზადდა ვეფხისტყაოსნის 38-ე და 39-ე გამოცემანი (თბილისი, 1951). კ. კეკელიძემ ნათელჰყო თამარის პირველი ისტორიის დიდი მნიშვნელობა, როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის წყაროსი (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, როგორც ლიტერატურული წყარო, „რუსთაველის კრებული“, თბ., 1938) და კიდევაც გამოსცა ამ ისტორიის მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი (ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, ცდა ტექსტის აღდგენისა, კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941, გვ. 64).

1924—58 წლების განმავლობაში კ. კეკელიძეს დაბეჭდილი აქვს არა ერთი ათეული სხვადასხვა ხასიათისა და მოცულობის მონოგრაფია, ნარკვევი, რეცენზია და მისთანანი ძველ-ქართული საერო მწერლობის საჭირბოროტო საკაზხებზე. კერძოდ, დიდ ყურადღებას აქცევდა კორნელი კეკელიძე ვეფხისტყაოსნის საკითხებს. მისაშეხედულეებანი ვეფხისტყაოსანზე შეჯამებულად მოცემულია ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მეორე ტომში.

დიდ მუშაობას ეწეოდა კ. კეკელიძე ძველი ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლებს რუსულ ენაზე გადათარგმნისა და გამოქვეყნების მხრით. აქედან დავასახლებთ:

1. История и восхваление венценосцев. Грузинский текст перевел, предисловием и примечаниями снабдил действительный член Академии наук Грузинской ССР проф. К. С. Кекелидзе, Тбилиси, 1954;

2. Памятники древнегрузинской агнографической литературы. (Грузинский текст перевел, исследованьем и примечаниями снабдил академик Академии наук Грузинской ССР проф. К. С. Кекелидзе, Тбилиси, 1956).

ეს თარგმანები შესრულებულია დიდი ცოდნითა და ოსტატობით. ისინი მაჩვენებელია ქართული საბჭოური მთარგმნელობითი კულტურის მაღალი დონისა. კ. კეკელიძის თარგმანები ემსახურება საბჭოთა ხალხების კულტურული დაახლოებისა და დაძმობილების კეთილშობილურ საქმეს.

დიდი სიღრმითა და გულმოდგინებით იკვლევს კ. კეკელიძე ძველ-ქართული საერო მწერლობის აღმოცენებისა და განვითარების უაღრესად რთულსა და საინტერესო პრობლემას. ამ საკითხისად-

მია მიძღვნილი მნიშვნელოვანი ნაწილი კ. კეკელიძის მონოგრაფიისა „ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია (სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა. თბ., 1933). უკანასკნელ ხანებში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა რამდენიმე ნარკვევი, რომლებითაც აღრმავებს და აფართოებს თავის შეხედულებას ძველ-ქართული სასულიერო მწერლობის საერო მწერლობაში გადაზრდის თაობაზე. ის ახალი არგუმენტებით აძლიერებს თეორიას ძველ-ქართული სასულიერო მწერლობის წიაღში საერო მწერლობის ნიადაგის მომზადებისა და ცალკეული პარალელური მოტივების ჩასახვის შესახებ: ა. „წმიდა“ მხედარი ძველ-ქართულ მწერლობაში, ბ. „სამიჯნურო ცთუნების“ პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში, გ. რომანი „ტავრომენიანი“ ძველ-ქართულ ლიტერატურაში, დ. ძველი ქართული „ავანტიურული რომანი“ და მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში (იხ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, თბ., 1945, გვ. 1—63). კ. კეკელიძეს ეკუთვნის სპეციალური ნარკვევები სპარსულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემებიდანაც. მაგალითად: 1. ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსია (ჩვენი მეცნიერება, 1926, № 17—18); 2. შვიდი მთიების წინასიტყვაობა (1930); 3. Руставели и Низами Гянджеви, თბ., 1936; 4. საქართველო და ნიშამი განჯევი (გაზეთი „სახალხო განათლება“, 1947, № 39) და სხვ.

კ. კეკელიძე უყურადღებოდ არ ტოვებს არც ქართული ფოლკლორისა და ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხებს. ამ მხრივ საგულისხმოა წერილები: 1. ბარამ-გურიანის ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში („მნათობი“, 1942, № 10); 2. ბაში-აჩუკის ერთი ეპიზოდისათვის (აკაკი წერეთლის საიუბილეო კრებული, თბ., 1940); 3. ორი მონეტიალე სიუჟეტისათვის ქართულს ფოლკლორსა და მწერლობაში (ეტიუდები, II, 87—98). კ. კეკელიძის მეთაურობით მომზადდა და დაიბეჭდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ნაწერების საიუბილეო გამოცემა (თბილისი, 1945).

კ. კეკელიძის ნარკვევების მნიშვნელოვანი ნაწილი თავმოყრილია მის კრებულებში — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდანა“. ვაჟაქვეყნებულთა „ეტიუდების“ ცხრა ტომი, მზადდება გამოსაცემად მორიგი ტომები.

განმაცვიფრებელ ენერგიასა და ნაყოფიერებას იჩენდა კ. კეკელიძე დიადი სამამულო ომის პერიოდში, მახვილი მეცნიერული სიტყვითა და საქმით ის თავის მხრით ზურგს უმაკრებდა ფრონტის

მამაც მებრძოლებს. სამამულო ომის განმავლობაში არ ჩატარებულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითქმის არცერთი სესია, თუ სამეცნიერო სხდომა, რომელზედაც კ. კეკელიძე არ გამოსულიყო სპეციალური მოხსენებით, თუ საგანგებოდ მომზადებული სიტყვით. 1940—44 წლების განმავლობაში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი კურსის ორივე ტომის გადამუშავებული გამოცემა და ოცდაათამდე სამეცნიერო ნარკვევი. 1942 წლის ზაფხულის მრისხანე დღეებში კორნელი კეკელიძე იმედიანი სიმშვიდით წერდა: „ჯერ კიდევ 1757 წელს გაერთიანებულმა რუსულ-ურკაინულ-ქართულმა ჯარმა, დავით გურამიშვილის უშუალო მონაწილეობით, როგორც თვით პოეტი ამბობდა. პრუსიის ან „ბრუსის კოროლს შეუტყუა ტახტის სვეტი“. მალე, ძალიან მალე დადგება ის ბედნიერი დღე, როდესაც გაერთიანებული საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი არმია, წითელი არმია, არა თუ შეარყევს პრუსიულ-გერმანული ფაშიზმის სვეტს, არამედ საბოლოოდ დაამხოვს მას“-ო (ლიტერატურული საქართველო, 24. VII. 1942).

მგზნებარე პატრიოტი მეცნიერის სიტყვები ასრულდა და ნანატრი დღეები დადგა. ეს დღეები დაემთხვა თეთრად შევერცხლილი პროფესორისა და აკადემიკოსის სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავს. ომის შემდეგდროინდელ პერიოდში კ. კეკელიძე დაუცხრომელი ენერგიით განაგრძობდა სამეცნიერო-კვლევითსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას. საკმარისია თუ ვიტყვით, რომ 1945—1958 წლების მანძილზე მან გამოაქვეყნა ორმოცდაათზე მეტი ნაშრომი. მიუხედავად მსცოვანებისა, ოთხმოცი წლის მკვლევარი მხნედ და დაუღალავად ეწეოდა სამეცნიერო-შემოქმედებითი ცხოვრების ჭაპანს.

ბოლო ხანებში მსცოვანი მეცნიერი თავს უგუნებოდ გრძნობდა და ხშირად ავადმყოფობდა, დროს შინ ატარებდა, თავის საწერ მაგიდასთან. მას შენარჩუნებული ჰქონდა განმაცვიფრებელი სულიერი მხნეობა, მკვლევარი-მეცნიერის ნათელი და ფხიზელი გონება, შრომისმოყვარეობის უნარი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის საზეიმო დღეებში (1961 წლის მაისში) ლოგინად იწვა, მაინც შეძლო პატარა მშვენიერი წერილით („განახლებული საქართველო“) გამოხმაურებოდა ქართველი ხალხის ამ ეროვნულ დღესასწაულს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა გაზეთი 16.5. 61). წერილში მოკლედ მიმოხილულია

ქართველი ხალხის მიერ გამოვლილი მძიმე ისტორიული წარსული, აღნიშნულია, რომ განახლებული სამშობლო ახლა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად ხალხით მონაწილეობს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, რომ ორმოცი წლის მანძილზე ჩვენში გაკეთდა იმდენი, „რასაც საუკუნეები დასჭირდებოდა“. წერილი მთავრდება ახალგაზრდობისადმი მიმართული მხურვალე მოწოდებით: „გიხაროდეთ და იამაყეთ, ჭაბუკებო! მაგრამ გახსოვდეთ, რომ იმ პირობებს, რომელშიაც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, შენახვა და შენარჩუნება უნდა; და თქვენ, ახალგაზრდებო, რომელთაც მომავალში უნდა შეცვალოთ დღევანდელი ცხოვრების მესვეურები. ეცადეთ წმინდად, უმწიკვლოდ და ადამიანთა საკეთილდღეოდ დაიცვათ სოციალისტური ცხოვრების პირობები, რათა გული არ გაუტეხოთ ხალხს, რომელშიც ნდობა და სიყვარული გამოუცხადა ამ ცხოვრებას და არ გაახაროთ მისი მოძულენი.

გაუმარჯოს განახლებულ, 40 წლის საბჭოთა საქართველოს, გაუმარჯოს მის წარმატებას და წინსვლას“.

1961 წლის ზაფხული კორნელი კეკელიძემ სოფელ ახალქალაქში გაატარა. საგრძნობლად მომჯობინდა. შემოდგომაზე განაგრძო ინტენსიური მუშაობა. ოთხშაბათობით მას ნახავდით უნივერსიტეტში, მისი სახელობის კაბინეტში, ხან კათედრის სხდომას ხელმძღვანელობდა, ხან სტუდენტებთან საუბრობდა. იშვიათად დააკლდებოდა სამეცნიერო საბჭოს სხდომებს. ახალ წელს მხიარული შეხვდა. იანვრის მეორე ნახევარში გრიპი შეეყარა, წნევამ უმატა, შაქრის ავადმყოფობამ გაუხსენა, გულშიც შეუტია. ყველაფერი თითქოს დაძლია. 7 მარტს ოფიციალურ ოპონენტად განოვიდა გაიოზ იმედაშვილის სადოქტორო დისერტაციაზე. 12 აპრილს თავის უახლოეს მოწაფეებს შეხვდა პურობაზე, თავს მშვენივრად გრძნობდა, ძლიერ მოილხინა. შესანიშნავი. ნამდვილად საპროგრამო სიტყვა წარმოთქვა (ეს სიტყვა ანდერძი გამოდგა). ამ დღის შემდეგ გარეთ აღარ გამოსულა. 19 აპრილიდან ავადმყოფობამ უძალა, ლოგინს მიაკრა. ლოგინს კი არა—სავარძელს. სავარძელს მიჯაჭვული შრომას არ ანელებდა. მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, დროს იპარავდა. კალამს არ ელეოდა. ხასჩიჩინებდა წიგნებს, ასწორებდა ეტიუდების მერვე ტომის საკორექტურო ფურცლებს, ამოწმებდა და აზუსტებდა შემდეგი ტომის მასალებს, სამერმისო საკვლევა-ძიებო და საგამომცემლო გეგმებს ადგენდა. თანაც წუხდა, ლელავდა, შფოთავდა. შფოთავდა, რომ მართლურებული სხეული ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა, ფრთებს აკვეცდა მის სამეცნიერო-შემოქმედებითს აღმაფრენას. წუხდა, უზო-

მოდ წუხდა, რომ განუხორციელებელი რჩებოდა ბევრი ნაფიქრ-ნა-
აზრევი, ბევრი ნაოცნებარი. მისთვის ჩვეული ენერგიითა და შემარ-
თებით ავადმყოფი მკვლევარი გულდაგულ ებრძოდა მისი სადგომის
კარებზე მომდგარი სიკვდილის აჩრდილს.

17 მაისს კორნელი კეკელიძის ბინაზე მოვაწყეთ ასპირანტების
გამოცდები. გახალისდა, შეკითხვებს თვითონ იძლეოდა, გულდასმით
უგდებდა ყურს პასუხებს. 26—30 მაისს სომხეთში ვიყავი, მესროპ-
მაშტოცის იუბილეზე. რომ დავბრუნდი, 31 მაისს, ხუთშაბათს, ვეწ-
ვით ლევან მენაბდესთან ერთად: ძალზე გამოცვლილიყო, ფერდაკარ-
გული მეჩვენა, დასუსტებული. მაინც ვრცლად გამომკითხა და დიდი
ინტერესით მოისმინა სომხეთის ამბები. შაბათს, 2 ივნისს კიდევ უფ-
რო სუსტად გამოიყურებოდა. საზაფხულოდ კრწანისში გადასვლაზე
ოცნებობდა, იმედოვნებდა, რომ მოუხდებოდა ჰაერის გამოცვლა.
მეორე დღეს, სამ ივნისს, უარესობა დაეტყო. ამოუღეს სისხლი და
წყალი. იგრძნო ერთგვარი შვება და კრწანისში გადასვლის სამზა-
რისს შეუდგა. სამშაბათს, ხუთ ივნისს, საღამოს, ვინახულე აკაკი შა-
ნიძესა და გიორგი ახვლედიანთან ერთად. მაგრამ ვაი ამ ნახვას!
ავადმყოფს სასიციოცხლო პირი აღარ უჩანდა. ბორგავდა. სიტყვის
დაძვრა უჭირდა, საწყალობელად გადმოგვხედა, სცადა გალიმება.
ამაოდ. აშკარა იყო, რომ დიდი მეცნიერი ხელიდან გვეცლებოდა.
ოთხშაბათს, 6 ივნისს, ისევ გამოიხედა, მაგრამ 7 ივნისის გამთენი-
ისს სამ საათზე. დამბლა მოუვიდა და გრძნობა დაკარგა. იმავე დღის
საღამოს 10 საათზე და 25 წუთზე კორნელი კეკელიძე გარდაიცვალა.
12 ივნისს მივაბარეთ მიწას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეზოში. ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით.

ალ. ბარამიძე

მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავი

საბჭოთა ხალხმა და საბჭოთა ხელისუფლებამ ღირსეულად დააფასეს აკად. კეკელიძის სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა¹. ის ორჯერ იქნა დაჯილდოვებული საპატიო სიგელით: 1928 წელს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ათი წლის თავზე საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციური საბჭოს მიერ და 1938 წელს საქართველოს უმაღლესი საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ოცი წლისთავთან დაკავშირებით.

¹ აკად. კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ოცდაათი წლის თავთან დაკავშირებით, „ჩვენი უნივერსიტეტის შესანიშნავი ადამიანების“ რუბრიკის ქვეშ 1937 წელს უნივერსიტეტის გაზ. „ბოლშევიკური კადრებისათვის“ (10. I, № 2) წერდა: „ჩვენს უნივერსიტეტს ჰყავს შესანიშნავი ადამიანები, რომელთა შორის კ. კეკელიძეს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ის ერთ-ერთი ძირითადი მუშაკია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა დღიდან მისი დაარსებისა.

1937 წელს მას უსრულდება 30 წელი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და 25 წელი პროფესორობისა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ის თავიდანვე განაგებს ძველი ქართული ლიტერატურის (5—19 საუკ.) კათედრას, გარდა ამისა ეწეოდა და ეწევა აღმინისტრაციული ხასიათის მუშაობასაც. ექვსი წელიწადი იყო სასწავლო ნაწილის პრორექტორად, ხოლო 11 წელიწადი — დეკანად, ამჟამად არის ფილოლოგიური ფაკ. დეკანი.

1905 წლიდან დაწყებული დაბეკდილი და გამოქვეყნებული აქვს 70-მდე კაპიტალური სამეცნიერო შრომები ქართულ-რუსულ და გერმანულ ენებზე; ზოგიერთი ამ შრომიდან, მთლიანად თუ ნაწილობრივ, ნათარგმნია უცხო ენებზე.

რუსთაველის სახელობის საკვლევ ინსტიტუტში ხელმძღვანელობს ძველი ქართული ლიტერატურის სექციას და ახალგაზრდა მეცნიერ მუშაკების მომზადებას ძველ ქართულ ლიტერატურის ისტორიაში...

გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობისა პროფ. კეკელიძე ეწევა საზოგადოებრივ მუშაობასაც: ის აქტიური წევრია ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობისა, ამით აიხსნება. რომ ის არჩეული იყო საქართველოს ცაკის წევრად, ამიერკავკასიის ცაკისა და სამჭერ თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოში².

1943 წელს კორნელი კეკელიძეს მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1944 წლის დეკემბერში დაჯილდოვებული იქნა საბჭოთა კავშირის შრომის წითელი დროშის ორდენით.

1945 წელს კ. კეკელიძე მეორედ იქნა დაჯილდოვებული შრომის წითელი დროშის ორდენით.

1954 წლის ივნისში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კ. კეკელიძე დააჯილდოვა ლენინის ორდენით.

დაჯილდოვებული იყო ის აგრეთვე მედლებით.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის კ. ს. კეკელიძის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ფილოლოგიურ მეცნიერებათა დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის, ძველი ქართული მწერლობისა და ლიტერატურის გამოკვლევის დარგში ძვირფასი ნაშრომებისათვის და მეცნიერული მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი კორნელი სამსონის ძე კეკელიძე დაჯილდოებულ იქნას შრომის წითელი დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

მ. კალინინი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1945 წლის 23 ოქტომბერი*.

აკად. კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობის ორმოცი წლისთავს მიძღვნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველს სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საგანგებო სხდომა, სადაც მოსმენილი იყო პროფ. ალ. ბარამიძის მოხსენება „კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერ-

* გაზ. „კომუნისტ“, 1945, 24 X, № 211.

რო მოღვაწეობა“. იუბილარს მიეძღვნა ამავე ინსტიტუტის ორგანო „ლიტერატურული ძიებანის“ მე-2 ტომი, სადაც დაბეჭდილია ნარკვევები ალ. ბარამიძის, გ. ახვლედიანის, ა. შანიძის, ვ. ბერიძის, ილ. აბულაძის, ლ. მელიქსედ-ბეგის, მ. ჩიქოვანის, გ. ჩუბინაშვილის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურას. ს. ყაუხჩიშვილის. გ. წერეთლის, გ. ქიქოძის, ი. გრიშაშვილის, გ. იმედაშვილის, ვ. ნორაკიძის, ქ. სიხარულიძის, თ. ჭყონიას. დ. კობიძის, ტ. რუხაძის, მ. ხუბუას და ს. ყუბანეიშვილის. აქვეა დაბეჭდილი ტ. კასრაძის მიერ შედგენილი კორნელი კეკელიძის შრომების ბიბლიოგრაფია.

მთავრობის ჯილდოს მიღებასთან და სამეცნიერო მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით იუბილარმა მიიღო მილოცვის დეპეშები და წერილები.

დაბადების 75 და მეცნიერული მოღვაწეობის 50 წლისთავი

1954 წლის 24 მაისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიეძღვნა კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს.

სხდომას დაესწრნენ: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები. წევრ-კორესპონდენტები. აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ზელმძღვანელები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის, ბათუმის, სოხუმის და ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტების წარმომადგენლები, სტუდენტები და გარეშე საზოგადოება.

სხდომა გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ე. ბურჭულაძემ. შესავალ სიტყვაში პროფ. ე. ბურჭულაძემ თქვა:

„ჩვენი ქვეყნის ფრიად სასიკადალო მეცნიერს და დიდად ღვაწლმოსილ პედაგოგს, საბჭოთა ახალგაზრდა კადრების დიდ სამჭედლოს ერთ-ერთ ფუძემდებელს და მოწინავე საბჭოთა მეცნიერების სახელოვან ამაგდარს — აკადემიკოსს კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს შეუსრულდა დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი.

ეს ღირსშესანიშნავი თარაღი ჩვენს საბედნიეროდ, თვით ძვირფასი იუბილარის საბედნიეროდ. დაემთხვა მთელი საბჭოთა ხალხის სიხარულსა და ზეიმის დღეებს, — როცა მთელი ქვეყანა აღნიშნავს

რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავს. როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის ბრწყინვალე ზეიშს, როგორც საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის დიდ ეროვნულ დღესასწაულს.

დიდ საბჭოთა ოჯახში, მოძმე ხალხებთან ერთად ხარობს და ზეიმობს ქართველობაც, რომელიც მხურვალედ მიესალმება დიდ რუს და უკრაინელ ხალხებს, ყველა საბჭოთა ადამიანებს.

ხარობს და ნეტარების განცდებს მისცემია ჩვენი საყვარელი იუბილარიც, რომელიც უმაღლესი ცოდნისა და კულტურის უკვდავების წყაროს კიევეში ეზიარა, იმ უძველეს და სასიქადულო ქალაქში, რომელიც ამ დღეებში მთავრობის უმაღლესი ჩილდოთი — ლენინის ორდენით იქნა დაჯილდოვებული.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მრავალრიცხოვანი და სახელოვანი კოლექტივების, მრავალი ათასობით სტუდენტთა, მეცნიერ-მუშაკთა და მუშა-მოსამსახურეთა პერსონალის ინიციატივით დღეს ეწყობა გაერთიანებული სხდომა ჩვენი ძვირფასი კორნელი კეკელიძის პატივსაცემად.

მხოლოდ ჩვენს საბჭოთა სამშობლოში, სადაც ჭეშმარიტად საბჭოთა მოწინავე მეცნიერი, ისევე როგორც ყველა საბჭოთა მუშაკი, გარემოსილია კომუნისტური პარტიის უდიდესი მზრუნველობით, — არის შესაძლებელი მთელმა ხალხმა გამოავლინოს იუბილარისადმი ესოდენ უსაზღვრო სოცარული და პატივისცემა, რისი მოწამენიც და ზონაწილენიც ჩვენ ახლა ვართ.

ნება მიბოძეთ — გაერთიანებული სხდომის ინიციატორთა და ყველა აქ დამსწრეთა სახელით მხურვალედ მივესალმო ჩვენს საყვარელ იუბილარს — დიდად პატივცემულ კორნელი სასონის ძე კეკელიძეს, — ვუსურვო მას ხანგრძლივი, უჭკნობი, სახელოვანი სიცოცხლე. ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს, ჩვენი მოწინავე მეცნიერების, ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობის საყეთილდღეოდ“.

პროფ. ე. ბურჭულაძის შესავალი სიტყვის შემდეგ სხდომამ მოისმინა პროფ. ალ. ბარამიძის მოხსენება „კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა“ (ვრცლად იხ. აქვე, გვ. 5—37); დოც. ივ. გიგინეიშვილის მოხსენება „პროფ. კორნელი კეკელიძე და ქართული ენის საკითხები“ (იხ. ჟურნ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1954 წ. № 7, VII) და პროფ. კ. გრიგოლიას მოხსენება „კორნელი კეკელიძე და საქართველოს ისტორია“ (იხ. „საიუბილეო კრებული კორნელი კეკელიძეს, დაბადების 80 წლისთავის აღსანიშნავად“).

მოსხენების შემდეგ იუბილარს მიართევს ადრესები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისაგან, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტისაგან*.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით იუბილარს მიესალმა პროფ. აკაკი შანიძე.

პროფ. აკაკი შანიძის სიტყვა

ძვირფასო კორნელი!

50 წელია, რაც შენ ემსახურები ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეს. ემსახურები განუწყვეტლივ, თავდადებით, პირნათლად და დიდი ნაყოფიერების წარმოჩენით. ამ ხნის განმავლობაში შენ იმდენი რამ და ისეთი რამ გააკეთე, რამაც სამართლიანად მოგიხვეჭა დიდი მეცნიერის სახელი, რომელსაც კარგად იცნობენ ჩვენში საყოველთაოდ, ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში საკმაოდ ფართო წრეებში, საზღვარგარეთაც კი --- სპეციალისტებს შორის.

შენმა პირველმა დიდმა ნაკვლევმა, რომელაც 1908 წელს დაიბეჭდა რუსულ ენაზე, ერთბაშად ნათელი მოჰფინა ზოგიერთი სახის ქართული ძეგლების რაობას. მათ შედგენილობას, წარმოშობასა და კანკითარებას. ამ ნაშრომით შენ ერთბაშად მიიპყარი მეცნიერთა ფართო წრეების ყურადღება რუსეთსა და საზღვარგარეთ. მას მოჰყვა (1912 წ.) გამოკვლევა ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლისა, როგორცაა ქართული ვერსია იერუსალიმის განგება-განწესებისა, რომელიც VII საუკუნეს განეკუთვნება. მან თავის დროს ერთგვარი სენსაცია გამოიწვია სპეციალისტთა წრეებში და ყველას აშკარად დაანახვია. თუ რა ძვირფასი საგანძურია ქართული ლიტერატურა, რომელსაც არა მარტო თავისთავადი მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელობა ქართველი ერისათვის, არამედ ამასთანავე ერთად იგი დიდად ეხმარება მეზობელ ერთა ისტორიის შესწავლას (სომხებისას, ასურებისას, ბერძნებისას).

იმავე 1912 წელს შენ გამოეცი ქართული ტექსტი იაკობის ეამისწირვისა. რომელმაც კიდევ უფრო ნათელი გახადა ქართული ლიტერატურის საგანძურში დაცული ძეგლების მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურისათვის. შემთხვევითი როდია, რომ ეს ძეგლი ქართულიდან ინგლისურად თარგმნეს.

* იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, IX, ტ., გვ. 426—453.

ამ ხანებში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაარსა სპეციალური ორგანო „Христианский Восток“ აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა ისტორიისა და ლიტერატურის საკითხების კვლევა-ძიებისათვის. თუ ამ ჟურნალმა პირველი ადგილი დაიკირა ევროპის სხვა ამგვარ ორგანოებს შორის, ეს იმითაც აიხსნება, რომ შიგ აქტიურად თანამშრომლობდი შენც, ჩვენო ამჟამად მსცოვანო და სახელოვანო იუბილარო. ამ ჟურნალის პირველსავე ტომში დაიბეჭდა შენი გამოკვლევა იოვანე ქსიფილინოსის შესახებ, რომელმაც, ქართულ წყაროებზე დაყრდნობით, ახალი ფურცელი გადაუშალა ბიზანტიის ლიტერატურის მკვლევართ. მას მოჰყვა რიგი სხვა ერთი მეორეზე მნიშვნელოვანი გამოკვლევებისა ძველი ქართული ტექსტების შესახებ, როგორცაა: იოანე ურპაელის ცხოვრება (III, 1913), იოანე დამასკელის ცხოვრება (III, 1914), პეტრე ახლის ცხოვრება (IV, 1915), ალათანგლე დამასკელის ცხოვრება (IV, 1915), ჩამოთვლილი ძეგლები გამოცემულია ქართულად, ახლავს რუსული თარგმანი, ისტორიულ-ლიტერატურული შესავალი, ენობრივი მიმოხილვა ძეგლისა და სხვ. თითოეულ მათგანს ყოველთვის ახალ-ახალი რამ შეჰქონდა მეცნიერებაში და გულდასმით ადევნებდნენ თვალყურს სპეციალისტები.

ძველი ქართული ტექსტების გამოცემის საქმე შენ კიდევ უფრო გასწიე წინ, როცა 1918 წელს გამოეცი, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ხარჯზე, კიმენური ტექსტების I ტომი, რომელიც შეიცავს 22 ტექსტს (საერთოდ 340 გვერდის მოცულობით).

ამ ხანებში ივანე ჯავახიშვილის თაოსნობით მეცნიერთა პატარა ჯგუფმა დაარსა პირველი უმაღლესი ქართული სასწავლებელი, რომელიც დღეს ერთი უმძლავრესი უნივერსიტეტთაგანია მთელს საბჭოთა კავშირში. ამ პატარა ჯგუფის ერთი წევრთაგანი შენც იყავი. ამ უნივერსიტეტში, დღიდან მისი დაარსებისა, შენ. ძვირფასო კორნელი, დაუცხრომლად მოღვაწეობ: კითხულობ ლექციებს, ზრდი ახალგაზრდა სპეციალისტებს. ხელმძღვანელობ ასპირანტებს, განაგებ კათედრას, ერთხანს მუშაობდი დეკანის თანამდებობაზედაც, პრორექტორადაც და სხვ.

ამასთანავე ერთად ეწეოდი და ეწევი ფართო კვლევით მუშაობას: 1923 წელს გამოვადა შენი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ I ტომი, 1924 წელს — II ტომი, სადაც ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი საკითხები უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, შენი დიდი ნიჭისა და ფართო მომზადების წყალობით. ჩინებულად არის განხილული, დახვეწილი და სისტემატური სახით წარმოდგენილი.

ამაზე არ შეჩერებულა შენი დაუღალავი მუშაობა. აღნიშნული წიგნის მეორესა და მესამე გამოცემაში (მეორე გამოვიდა 1941 წ.; მესამე — I ტომი 1951 წ., II—1952 წ.) მრავალი საკითხი გადაამუშავე და წიგნის ღირსება კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანე. დღეს ეს ორი ღირსიანი წიგნი ქართული ლიტერატურის ისტორიისა. რომელიც შენს კალამს ეკუთვნის, ქართული კულტურის ყოველი მოტრფიალის ბიბლიოთეკას ამშვენებს.

ამასთანავე ერთად. შენ არ შეგიწყვეტია მუშაობა ძველი, ქართული ტექსტების გამოცემაზე, რომელიც შენ ადრე დაიწაე პირიქით: კიდევ უფრო და უფრო გამამხვილე ყურადღება ამ მხრივ. მოვიგონოთ მიტროფანე ზმკარნელის თარგმანება ეკლესიასტისა (1920), კონსტანტი კახის ძარტილობა (1927), აბო ტფილელის მარტვილობა (1935). სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება (1935), ტიმოთე ანტიოქელის ცხოვრება (1940). ისტორიანი და აზმანი შარავანდელდანი (1941) და კიმენის II ტომი (1946). რომ არასპეციალისტათვისაც ნათელი გახდეს შენი დიდი და უღაო დამსახურება ამ მხრივ.

ამას გარდა. თუ გავიხსენებთ, რომ შენ გამოეცი ისეთი საერო ლიტერატურული ძეგლი, როგორცაა ნ. ციციშვილის „შვიდი მთიები“ (1930), და აგრეთვე მონაწილეობა მიიღე სხვა საერო ხასიათის ძეგლების ტექსტის დადგენასა და გამოცემაში (ვისრამიანისა, როსტომიანის II ტომისა, ვეფხისტყაოსნის და სხვ.). კიდევ უფრო ნათელი გახდება ყველასათვის შენი დიდი ღვაწლი ქართული ტექსტების გამოცემის საქმეში.

ტექსტების მეცნიერული გამოცემა, სათანადო კრიტიკული აპარატით. ზომ ერთი მხარეა შენი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობისა. თუ ამას დავსძენთ მრავალ გამოკვლევას ცალკეულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხებისას, რომელთაგანაც ზოგი გადაბეჭდილია შენი ეტიუდების ორ ტომში (I 1936, II 1945) და რომელთაც დიდი შემოქმედებითი მუშაობის ბეჭედი აზის, სიხარულით აევსება ყოველ პატიოსან მოქალაქეს გული და გაიმსჭვალება შენი უღრმესი სიყვარულით, რადგანაც ცხადზე უცხადესია, თუ რაოდენ ფართოა შენი კვლევა-ძიების სარბიელი. რაოდენ მახვილია შენი გონება და რაოდენ მნიშვნელოვანია შენი მიღწევები. რომელთაც დიდი მეცნიერის სახელი მოგიხვეჭეს.

ძვირფასო კორნელი! საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით მოგმართე შენ, ამ აკადემიის ნამდვილ წევრს და მის ერთ-ერთ ბურჯს, შენი დაბადების 75 წლის თავზე, შენი სამეცნიერო მოღვაწეობის ერგასეულის თავზე, გილოცავ სასიქადულო მოღვაწე-

ობის ბრწყინვალე შედეგებს და გულმხურვალედ ღისურვებ დღეგრძელობასა და ჯანმრთელობას საბჭოთა მეცნიერების საამაყოდ და მისი შემდგომი წარმატებისა და აყვავებისათვის.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით პროფ. კორნელი კეკელიძეს მიესალმა პროფ. გიორგი ახვლედიანი. ამავე უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტიდან — პროფ. არნ. ჩიქობავა.

პროფ. არნოლდ ჩიქობავას სიტყვა

ფილოლოგიის ფაკულტეტი მხურვალედ მიესალმება ფაკულტეტის სამეცნიერო კოლექტივის ღვაწლმოსილ წევრს კორნელი კეკელიძეს და ულოცავს მას სახელოვან 75 წლისთავს.

დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ათეულ ფაკულტეტს შეიცავს, ქართული სოციალისტური კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენს და საბჭოთა კავშირის 34 უნივერსიტეტის პირველ ხუთეულში დგას სამეცნიერო ძალების მიხედვით.

უნივერსიტეტი საბჭოთა სახელმწიფოს ყურადღებისა და ზრუნვის საგანს წარმოადგენს. 38 წლის წინათ კი, როდესაც აქ პროფ. კორნელი კეკელიძე პირველ საუნივერსიტეტო კურსს კითხულობდა, თბილისის უნივერსიტეტი კერძო უმაღლესი სასწავლებელი იყო, ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ჩამოყალიბებული, და მასში ერთი ფაკულტეტიღა მოიპოვებოდა.

ეს იყო პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებელი, რომლის სამეცნიერო ავტორიტეტიც დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად შეიძლებდა ახლად ფეხადგმული უნივერსიტეტი საუნივერსიტეტო კურსების სათანადო სამეცნიერო დონეზე დაყენებას; ქართული უმაღლესი სკოლის სამეცნიერო ავტორიტეტის დაცვა იმხანად დიდი მნიშვნელობის საჭეყუნო საქმეს წარმოადგენდა.

უნივერსიტეტის მოღვაწეთა პირველი თაობა მოწოდების სიმალეზე აღმოჩნდა. კორნელი კეკელიძე იდგა იმ პროფესორთა პირველ რიგებში, რომელთაც უნივერსიტეტის არსებობის პირველი სამი წლის განმავლობაში პირველი ქართული უმაღლესი სასწავლებლის ღირსების საქმე იტვირთეს და სახელოვნად გაუძღვნენ მას.

ქართული უმაღლესი განათლების ისტორიაში ეს დავიწყებას არაოდეს არ მიეცემა.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა უნივერსიტეტის დაარსებამდე კარგა ხნით ადრე დაიწყო; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კორნელი კეკელიძის მეცნიერული კვლევა-ძიება დიდი ინტენსიურობით მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

ამ მუშაობას ნაწილობრივ აჯამებს კორნელი კეკელიძის დიდი ორტომეული — „ქართული ლიტერატურის ისტორია“, პირველწყაროების ღრმა ცოდნასა და ფაქიზ ანალიზზე დაფუძნებული. ამ ფუნდამენტალურ შრომაზე ქართველი საბჭოთა ფილოლოგების თაობები აღიზარდა.

კორნელი კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ქართული ფილოლოგიის ქვაკუთხედს ქმნის.

მარტოოდენ პირველი ტომიც რომ ავიღოთ, იგი ერთი სპეციალისტის სასიცოცხლო საქმეს ეტოლება.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო აზროვნებას პირველწყაროთა ღრმა და ფაქიზი ანალიზი ახასიათებდა და ახასიათებს.

კორნელი კეკელიძის პირველი საუნივერსიტეტო კურსების ერთ-ერთ მსმენელთაგანს მე არ შემიძლია მადლობით არ მოვიგონო წარუხოცელი შთაბეჭდილება; რასაც მსმენელზე ტოვებდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო ფაქტების, თითქოს შემთხვევითი ჩასიათის ჩვენებათა ამეტყველება კულტურის ისტორიის რთული და ბუნდოვანი საკითხების გარკვევისას კ. კეკელიძის ლექციებზე.

მეცნიერება არ არის ფაქტების გროვა, მაგრამ ვერავითარი გონებამახვილი აზროვნება ვერ იქცევა მეცნიერულ ცოდნად, თუ ის არ ემყარება მტკიცედ დადგენილ ფაქტებს. ამ ფაქტების დადგენა პუმანიტარულ დარგებში იმდენადვე ძნელია, რამდენადაც აუცილებელი.

მეცნიერებასთან მისასვლელად არ არსებობს ფართო შარაგზა და მხოლოდ მას შეუძლია მიაღწიოს მეცნიერების ბრწყინვალე მწვერვალებს, ვისაც არ აშინებს დაღლა, რომელსაც მის კლდოვან ბილიკებზე ასვლა მოითხოვსო, — წერდა კ. მარქსი.

კორნელი კეკელიძის ლექციები ახალგაზრდობას უნერგავდა პირველწყაროებზე მუშაობის, ფაქტების ანალიზის კლდოვან ბილიკებზე სვლის ძნელი და მიუცილებელი საქმის სტივისცემასა და სიყვარულს.

კორნელი კეკელიძის სამეცნიერო აზრი დღესაც ისევე ნათელი და სპინტერესოა, როგორც ის იყო ამ 36 წლის წინათ, როცა თავის პირველ კურსს კითხულობდა.

დიდხანს ცოცხლობდეს ღვაწლმოსილი იუბილარი ჩვენი უნივერსიტეტის სასახელოდ — საბჭოთა მეცნიერების განვითარებისათვის მშრომელად!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტიდან იუბილარს მიესალმა პროფ. გ. წერეთელი.

პროფ. გიორგი ჯიჩიშვილის სიტყვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების სახელით მოგესალმებით და გულწრფელად გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ დღეს, თქვენი დაბადების 75 წლისა და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენ იმ დროს მოგიხდათ სამეცნიერო და სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა, როდესაც ზოგიერთ მაშინდელ რეაქციულ წრეებში კიდევ იგრძნობოდა გავლენა ყბადაღებული ბარონ ბრამბეუსისა, რომელიც თავისი „ბრწყინვალე ავტორიტეტით“ ამტკიცებდა, თითქოს გვიან საშუალო საუკუნეებამდე არაერთი ქართული მწერლობა არ არსებობდა. თქვენმა გამოჩენილმა წინაპორბედებმა ადვილად შესძლეს ამ ცილისწამების გაქარწყლება ძველ ქართულ ხელნაწერთა უმდიდრესი კოლექციების აღწერითა და ცალკეულ ძეგლოა გამოქვეყნებით, ისე რომ ცნობილი ა. ჰარნაკი (1851—1930) კი იძულებული იყო ეთქვა: „უეჭველია, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს მართლმადიდებლურ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან თუ არა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებიც შესძლებენ შეისწავლონ ენა, მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა... და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯეო?.

ასეთი მეცნიერი გამოჩნდა, მაგრამ არა გერმანიაში, არამედ ჩვენში, თქვენი სახით. თქვენ მეცნიერული აკრიბიითა და ღრმა ერუდიციით აღჭურვილი ბრწყინვალედ განაგრძობდით თქვენი წინამორბედების მიერ დაწყებულ დიდ საქმეს და აქვეყნებდით და მსოფლიო მეცნიერებისათვის მისაწვდომს ხდიდით ქართული მწერლობის ძვირფას ნიმუშებს.

მაგრამ თქვენი დამსახურება ამით არ განსაზღვრება. თქვენ წილად გხვდათ შეგვესრულებინათ უფრო დიდი მისია. თქვენი სამეცნიერო მოღვაწეობის დიდი ნაწილი ემთხვევა საბჭოთა პერიოდს, როდესაც თქვენ შეგექმნათ ყველა პირობა ფართო მეცნიერული მუშაობისათვის. ამან თქვენ საშუალება მოგცათ გაგეკეთებინათ ის რაც ვერ შესძლეს თქვენმა წინამორბედებმა: თქვენ დააფუძნეთ მეცნიერების ახალი დარგი ქართული ლიტერატურის ისტორია. თუ დღეს არსებობს დამოუკიდებელი მეცნიერული დისციპლინა — ქართული ლიტერატურის ისტორია. ეს უმთავრესად და ძირითადად თქვენი დამსახურებაა.

ამით თქვენ სამუდამოდ ჩასწერეთ თქვენი სახელი ქართული მეცნიერების ისტორიაში და ვიდრე არსებობს ქართული ენა, ქართული მეცნიერება და ქართული მწერლობა, დაუვიწყარი იქნება თქვენი სახელიც.

გისურვებთ მრავალი წლის სიცოცხლეს. ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ ნაყოფიერ მუშაობას ჩვენი მეცნიერებისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით კორნელი კეკელიძეს მიესალმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, ცნობილი პედაგოგისტი შალვა დადიანი.

შალვა დადიანის სიტყვა

ჩვენი ქვეყნის წარსულს, საქართველოს ისტორიას, ორი სიტყვით ასახსიათებს ჩვენი ხალხი: „მრავალი ჭირნახული“ საქართველო. ეს დახასიათება ძალიან უდგება სინამდვილეს. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოს თავის ისტორიის ვრცელ მანძილზე ბევრი ეგრეთწოდებული „ქამთა სიავე“ უნახავს, მრავალი ჭირი გადახდენია.

ეს „მრავალჭირნახულობა“, ჩემის აზრით, იმავე დროს გამოხატავს ხალხის იმ მოსაზრებას, რომ, ესე რომ არ ყოფილიყო, საქართველო მუდამ, განუწყვეტლივ, მოწინავე რიგებში იდგებოდა სხვა ხალხთა შორის. აქ ქლერს ერთგვარი ეროვნული სიამაყე, რომ ჩვენი ხალხი შემკულია საკაცობრიო საუკეთესო თვისებებით, არის მაღალნიჭიერი, გამჭკრიახი, გმირული სულის პატრონი, თავისუფლების მოყვარე. ამის დამამტკიცებელია მისი ქედდაუდრეკელობა „ქამთა სიავის“ წინაშე. ის გარემოება, რომ, როგორც კი მას მიეცემოდა დრო მშვიდობიანი მუშაობისა, მაშინვე ის ხელს მიყოფდა თავის სახელ-



კ. კველიძე სტუდენტობის დროს



4. კვებაძე (შუაში—II რ.) მეუღლით (პირველი—I რ.) მეზობლებთან
სოფ. ტობანიერში, თავისი სახლის აივანზე (1925 წ.)

მწიფობები საქმიანობის გაუმჯობესებას და არამცთუ მარტო თავის საზღვრების გამაგრებასა და ლაშქრის სიძლიერეზე ზრუნავდა, არამედ ის ზრუნავდა ხალხის კულტურის დონის ამაღლებაზე, ეძლეოდა მაღალ ფიქრსა და აზროვნებას დიდი ფილოსოფიური ხასიათის საგნებზე. ამისათვის ვითარდებოდა მისი საეკლესიო და საერო მწერლობა. ისტორიოგრაფია და პოეზია რომ თავის დროზე აიყვანა ქართულმა გენიამ დიდ მწვერვალებამდე. მხოლოდ ამ ხალხის ნიჭმა და გონებამ არც ეს იკმარა და იწყო მეცნიერული აზროვნება სიბრძნის მეტყველებასა და სხვა დარგებში. ამის დამამტკიცებელია უმთავრესად ის, რომ ჩვენს ხალხს საუკუნეთა სისწოში ჰქონია აკადემიებიც კი როგორც აღმოსავლეთ. ისე დასავლეთ საქართველოში.

აი უთუოდ ყველა ამას გულისხმობს ხალხი, როცა „მრავალქონა ხელობაზე“ ლაპარაკობს. აქედან ჩემის ფიქრით გამოდის: რომ დაგვეცლოდა, კიდევ უფრო ყოჩაღი ვიქნებოდით.

რომ დაგვეცლოდა! მაგრამ, ეტყობა, ჩვენი წინაპრები მოუცლელიც ფიქრობდნენ საწინაოდ და ითვისებდნენ საკაცობრიო მოწინავე იდეებს.

ბოლო ხანებში სომ ისინი დიდ რუსეთთან ერთად აქტიურად ჩაებნენ ეროვნულ და სოციალურ განმათავისუფლებელ რევოლუციურ ბრძოლაში. ერთგულნი გახდნენ მარქს-ენგელს-ლენინის მოძღვრებისა.

სწორედ ამ დროს საბედნიეროდ საქართველოც შევიდა დიდ საბჭოთა კავშირში და აქედან იწყება მისი სოციალურა და პოლიტიკური აღორძინება.

ხალხის გული გახარებულია, რომ დღეს ჩვენს ქვეყანას დიდი მიღწევები აქვს ეკონომიკასა, ტექნიკასა, ხელოვნებასა და თვით მეცნიერებაში. ჩვენ ვამაყობთ ამჟამად ჩვენი სამეცნიერო აკადემიით, რომელსაც გაუჩნდნენ თვით ჩვენი ხალხის წიაღიდან გამოსული მაღალხარისხიანი მოაზროვნეები. ნიჭიერებით აღსავსე მეცნიერისპეციალისტები.

ამ მშვენიერ და ღირსეულ პლეადას ეკუთვნის ჩვენი დიდათ პატივცემული და ძვირფასი მეცნიერი კორნელი კეკელიძე. მისი საუცხოო ნაშრომები ღაღადებენ მათი ავტორის დიდ მომზადებასა და გამჭირიახობაზე. მან სხვა ნამუშევართა შორის ქართველ ხალხს შემოუძღვნა დიდი განძი „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“. ამ ნაშრომით მან გააწუქა ბევრი ახალი საკითხი და სწორ გზაზე დააყენა ამ დარგის მეცნიერულ კვლევა-ძიების საქმე.

მე ერთხელ მაქვს ნათქვამი: რა კარგი იქნებოდა, რომ ზოგჯერ მხატვრული მწერლობის ოსტატს გვერდით მიუჯდებოდეს მეცნიერი

და თავისი ზუსტი ცოდნით შეამდიდრებდეს სიტყვა-კაზმულ ნაშრომს-მეთქი. აგრეთვე კარგი იქნებოდა, რომ თავის მხრით ზოგჯერ პოეტი მიუჯდებოდეს მეცნიერის საეარძელს და პოეზიის სხივოსნობით გაახალისებდეს მეცნიერის შემოქმედებას-მეთქი.

საბედნიეროდ ღრმად პატივცემულ პროფესორ კორნელის ეს არ დაჭირვებია, რადგან მის ცინცხალ ნიქს შესდგამს პოეტურობა. და ამიტომ არის ის ისე ხელმისაწვდომი და ყველასათვის გასაგები.

მე წილად მხვდა დიდად საპატიო დავალება, რომ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სახელით გულსავესებით ვუსურვო ღვაწლმოსილ მეცნიერს ხანგრძლივი, ჯანმრთელი სიცოცხლე და კვლავ ნაყოფიერი მუშაობა ჩვენი მეცნიერების გასამდიდრებლად, ხალხის საკეთილდღეოდ.

ვაშა ამ დიდებულ პიროვნებას!

სტულ. ელ. ტატიშვილის სიტყვა

პატივცემულო პროფესორო!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სახელით მხურვალედ მოგესალმებით და გილოცავთ თქვენი დაბადების 75-სა და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავს.

ძვირფასო მასწავლებლო, დღევანდელ თარიღს თქვენი სტუდენტები აღფრთოვანებული ვეგებებით. დღეს საშუალება გვეძლევა სახალხოდ გადაგიხადოთ მადლობა იმ უდიდესი ღვაწლისათვის, რაც მოახმარეთ ჩვენი სწორად აღზრდისა და სწავლების საქმეს.

ჩვენ, თქვენს სტუდენტებს, სამაგიდო წიგნად გვაქვს თქვენი ძვირფასი საგანძური „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ ორივე ტომი, რომლებითაც მუზეუმებსა და არქივებში დაცული უცნობი მასალა ჩვენთვის გახადეთ გასაგები და ხელმისაწვდომი.

ჩვენ, თქვენს წიგნებზე აღზრდილ სტუდენტებს, თქვენი გამოკვლევები და შრომები გვიღვიძებენ უდიდეს ინტერესს ძველი ქართული კულტურისადმი. გვიძლიერებენ სიყვარულს ქართული ლიტერატურისადმი. თქვენი ცხოვრება და მოღვაწეობა ყოველმხრივ მისაბაძი მაგალითია საბჭოთა ახალგაზრდობისათვის. თქვენ მაგალითზე ვხედავთ, როგორი უნდა იყოს ნამდვილი პატრიოტი-მამულიშვილი, თავისი ხალხისა და ქვეყნისათვის მშობლიური კულტურის წინსვლისათვის მებრძოლი ადამიანი.

საყვარელო მასწავლებლო, მე დამევალა გადმომეცა ჩემი ამბანაგების გულისთქმა, მათი კეთილი სურვილები საამაყო მეცნიერის შიშართ.

მათი სახელით გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

გისურვებთ თქვენი ნაყოფიერი პედაგოგიურ-სამეცნიერო მოღვაწეობის აღმავლობასა და წარმატებას ჩვენდა სასიხარულოდ და საბედნიეროდ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისადმი

ქ. თბილისი, № 435 24 მაისი, 1954 წ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს დაბადებიდან 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა. პროფ. კ. კეკელიძე იმ პროგრესულ ქართველ მოღვაწეთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. პროფ. კ. კეკელიძე უნივერსიტეტის დაარსებიდან ხელმძღვანელობს ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად დამუშავების საქმესა და ამ დარგში მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას, მისი მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა და კაბინეტი. პროფ. კ. კეკელიძემ ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული შემოქმედების მანძილზე შექმნა ფუძემდებელი გამოკვლევები და სახელმძღვანელოები ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა და მომზადდა ქართული ლიტერატურის ისტორიაში მომუშავე ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა, რომლებიც ამჟამად წარმატებით მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში.

პროფ. კ. კეკელიძის სამეცნიერო და პედაგოგიური დამსახურების აღსანიშნავად ვებრძანებ:

ეწოდოს პროფესორ კორნელი კეკელიძის სახელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კა-

ბინეტს და ამიერიდან იწოდოს იგი პ რ ო ფ. კ ო რ ნ ე ლ ი კ ე კ ე-
ლიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინე-
ტად*.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი
ე. ბურჭულაძე

კორნელი კეკელიძის სიტყვა

დიდად პატივცემულო ამხანაგებო და მეგობრებო! ჩემს ღირბ
ლექსიკონში ვერ მიპოვნია საჭირო სიტყვები, რომ უაღრესი მადლო-
ბა გადმოგცეთ იმ თანაგრძნობისათვის, რომელიც თქვენ აღმოუჩინ-
ეთ ჩემი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის დღევანდელ
თარიღს. გამოგიტყდებით, მე ერთგვარ უხერხულობას განვიცდი ყვე-
ლა იმის გამო. რაც ამ საღამოს ითქვა აქ ჩემ შესახებ. მართლაც, რა

* იუბილარმა მილოცვის დეპეშები და წერილები მიიღო: მოსკოვიდან — საბკოთა დიდი ენციკლოპედიის მთავარი რედაქცია (მთავარი რედაქტორის მოადგილე ზვორიკინი). ტარტუდან — ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტი (რექტორის მოად. ი. სილდმაიე) ლენინგრადიდან — სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკის სსრკ ხალხთა ლიტერატურის განყოფილების კოლექტივი (განყ. გამგე აბრამიშვილი). კიევიდან — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება (განყოფილების თავმჯდომარე პროფ. ბელოდელი, სწავლული მდივანი ბალკოვოი). იქიდანვე — კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტი (პრორექტორი ზამორი). ბაქოდან — აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორ-მასწავლებელთა პერსონალი და სტუდენტობა (რექტორი მამედ ალიევი). ქუთაისიდან — აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით დოც. ლ. კელიძე. იქიდანვე — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ლიტერატურის კათედრა. იქიდანვე — ქუთაისის ისტორიული მუზეუმის კოლექტივი. სოხუმიდან — სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური სასწავლებლის პედაგოგიკტივი. იქიდანვე — მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტობა (დირექტორი ნ. ხურციძე). ბათუმიდან — რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები (დირექტორი ნ. ნიჟარაძე, მოადგილე ბ. ქიქოძე). გორიდან — ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივი (დირექტორი დოც. გ. ხარაული). თელავიდან

დამსასურებაა ჩემის მხრით იმაში, რომ ბუნებამ ხელი შემიწყო და 75 წელიწადია ვცხოვრობ, ან რაა უჩვეულო იმაში, რომ 50 წელიწადი ვმუშაობ. საქმე ისაა. გავაკეთე თუ არა ამ ხნის განმავლობაში ისეთი რამე. რაც ნებას მაძლევდეს გავიმეორო ჩვენი პოეტის სიტყვები:

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარს ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა ზრუნავდეს.

ან, სხვანაირად, „სოფელს არა რა არგოს“. მე არ ვიცი, ვარგე თუ არა რამე სოფელს; იმას კი მუდამ „ვზრუნავდი“, რომ ჩემი საქმიანობით რამე სარგებელი მომეტანა ჩვენი ქვეყნისათვის. მე, რასაკვირველია, არ შეეუდგები იმის ჩამოთვლას, თუ რა გავაკეთე ამ ხნის განმავლობაში, ამაზე აქ სხვებმა ილაპარაკეს, შეიძლება გადაჭარბებულადაც, თქვენს ყურადღებას მივაქცევ მხოლოდ იმას, თუ ვინ ან რა მაძლევდა სტიმულს მეკეთებია ის, რაც გავაკეთე.

ჭერ კიდევ სტუდენტობის დროს გავეცანი იმ შეფასებას, რომელიც მისცეს მეთერთმეტე საუკუნეში ქედმაღალმა ბერძნებმა ანტიოქიის უზენაესი წარმომადგენლის პირით იმდროინდელ ჩვენს მოღვაწეს მწერლობისა და კულტურის დარგში — გიორგი ათონელს: „დაღაცათუ ნათესავი ხარ ქართველი, სხვითა ყოვლითა სწავლებითა სრულად ბერძენი ხარ“. ეს ნიშნავს: ქართველებს ძალა არ შესწევთ

—თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის კოლექტივის სახელით ნანობაშვილი. იქიდანვე — თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტები. ცხინვალიდან — პედაგოგიური ინსტიტუტის მასწავლებელთა და სტუდენტთა კოლექტივი (დირექტორი ჭიოვეი). იქიდანვე — ცხინვალის რაიონის სოფ. ქემერტის კოლმეურნეები და სპეციალისტები, მოსკოვიდან — ე. თოფურია. ლენინგრადიდან — ე. მეტრეველი, ზუგდიდიდან — ე. გამსახურდია. კისლოვოდსკიდან — ე. კრამაროვსკი. ობილისიდან — ფ. ა. ზაიცევი. იქიდანვე — ა. ჭანელიძე, იქიდანვე — ქ. სიხარულიძე, იქიდანვე — დ. კობიძე, იქიდანვე — გრიგორიანი. თელავიდან — დ. გოგოჭერი.

ამას გარდა იუბილარმა მიიღო დებეშები მის ყოფილ სტუდენტებისაგან და ნაცნობ-ნათესავებისაგან.

საკუთარი ლექსები მიუძღვნეს: მარიკა ბარათაშვილმა, ანა კალანდაძემ. ლ. ბუჩანელმა, ალ. კინჯარაულმა, ე. ბასილაშვილმა. გ. ტიბაძემ, ქ. ბურჯანაძემ. შ. გაფრინდაშვილმა და გ. გაგუამ.

„სწავლულებით“, ვანათლებით „ბერძნები“ გახდნენ. შენ თუ ასეთი გამხდარხარ, მხოლოდ გამონაკლისის სახით. მე მაშინვე დამებადა სურვილი, ჩვენი ძველი მწერლობისა და კულტურის შესწავლითა და გამომზეურებით. მეჩვენებია ყველა იმათთვის, ვინც თავის თავს კულტურტრეგერად თვლიდა და მედიდურად გვიყურებდა, რომ „სწავლულებით“ ქართველები არავის არ ჩამოუვარდებოდნენ ძველად.

მეორე: ამ საუკუნის პირველ წლებში, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც მე სტუდენტი ვიყავი. გამოჩენილმა გერმანელმა მეცნიერმა, აკადემიკოსმა ა. ჰარნაკმა განაცხადა: „ირაკვევა, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ-ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. გამოჩნდებიან განა ჩვენში, გერმანიაში, ახალგაზრდა მეცნიერები. რომელნიც შეძლებენ შეისწავლონ ენა. მწერლობა და ისტორია ამ ხალხისა, რომელსაც თავისი ძველი კულტურით ძმური ნათესაობა ჰქონია ჩვენთან, და გაგვაცნონ ახლოს მისი საუნჯეო“. ჩვენი მდიდარი კულტურის შესწავლა, ჰარნაკის აზრით. მხოლოდ გერმანელი მეცნიერებისაგან იყო მოსალოდნელი, მე კი ვფიქრობდი, ჯერ კიდევ მაშინ, რომ ეს საქმე პირველ ყოვლისა უნდა თვით ქართველებმა იკისრონ, რომ, თუ ვისმე შეუძლია ეს, პირველ რიგში ქართველ მეცნიერებს, ამისათვის საჭირო არაა, როგორც თეიმურაზ ბატონიშვილი სწერდა ერთხელ აკად. მ. ბროსეს, ევროპელებს ველოდოთ. ამ ვარემოებამაც წარმართა ჩემი სამეცნიერო ინტერესები. მე ვანვიზრახე ჩემი წვლილიც შემეტანა ამ დიდს, თავისთავად საჭირო და აუცილებელ საქმეში.

შევძელი კი ეს? როგორც არ უნდა იყოს. დღეს ყველგან შეგნებულია რომ არც ერთი საკითხი ძველი კულტურისა და მწერლობის ისტორიიდან არ შეიძლება გადაწყდეს. თუ ანგარიში არ გაეწია ქართულ მასალებსაც. მე კარგად ვგრძნობდი, რომ მე და ჩემთან ის ადამიანები, რომელნიც ჩემ დრომდე ან ჩემთან ერთად მუშაობდნენ ან მუშაობენ, ამ საქმეში უძლური აღმოვჩნდებოდით. ამისათვის საჭიროა მთელ თაობათა ინტენსიური მუშაობა; ჩემი სურვილი იყო მხოლოდ, იმავე პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ჩემსა შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“, ეს კი. მგონია, მიღწეულია: ყამირი გატეხილია, გზა გატკეპნილია. ექვი არ შეპარება. რომ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობა გამოჰყოფს თავისი რიგებრიდან არა ერთსა და ორ ენთუზიასტს, რომელნიც ამ გზას გააგრძელებენ და გააკეთებენ იმას, რაც ჯერ არ გაკეთებულა. ეს შესაძლებელი იქნება, რადგანაც ჩვენი პარტია და ხელისუფლება დიდად აფასებს

კულტურულ-ლიტერატურულ წარსულს და ყოველნაირად ხელს ეწყობს მის შესწავლასა და კრიტიკულად ათვისებას.

პირადად მე დიდი მადლობელი ვარ პარტიისა და ხელისუფლების. თუ საბჭოთა პერიოდამდე ჩემს მეცნიერულ მუშაობას პარტიზანული, ასე ვთქვათ, ხასიათი ჰქონდა, დღეს მე მუშაკი ვარ იმ მტკიცე, ერთსულოვანი და მძლავრად შეიარაღებული მეცნიერული ფრონტისა, რომელიც შექმნა ჩვენში ჩვენმა ხელისუფლებამ.

გაუმარჯოს ამ ხელმძღვანელობას, გაუმარჯოს ჩვენს მეცნიერებას, ვუსურვოთ მას წინსვლა და წარმატება.

კიდევ დიდი მადლობა ყურადღებისა და პატივისცემისათვის.

გამოფენა ქართული ლიტერატურის კაბინეტში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურის ისტორიის კაბინეტში მოწყობილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადების 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა.

გამოფენაზე წარმოდგენილი პროფესორ კ. კეკელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოსურათები თანმიმდევრობით ასახავს მსოფიანი მეცნიერის სახელოვან გზას. სტენდლში წარმოდგენილია პროფ. კ. კეკელიძის სურათები ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებთან ლექციაზე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრთა და თანამშრომელია შორის. რუსთაველას სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე, სოფელ ქემერტის (ცხინვალის რაიონი) კოლმეურნე ახალგაზრდობასთან, მეცნიერების, ლიტერატურის და ხელოვნების მუშაკებთან ერთად და სხვ.

გამოფენაზე წარმოდგენილია აგრეთვე პროფ კ. კეკელიძის ორასამდე სამეცნიერო ნაშრომი, გამოცემული ქართულსა და რუსულ ენებზე.

გამოფენა მნახველთა დიდ ინტერესს იწვევს*.

* გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954, 31 V, № 21 (82).

გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს დაბადების 75 და სამეცნიერო მუშაობის 50 წლისთავი შეუსრულდა. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი ჩვენმა საზოგადოებრიობამ გულთბილად აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

საეუბილეო სხდომას განსაკუთრებული ელფერი ჰქონდა იმიტომაც, რომ ძველი ქართული ლიტერატურის მსცოვანი მკვლევარ პროფესორი კორნელი კეკელიძე ქართული კულტურის ამ ორი დიადი კერის შექმნის, გაზრდისა და დავაჟიკების ღვაწლმოსილი მონაწილეა.

მეტად ღრმაშინაარსიანი და მრავალფეროვანია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ კ. კეკელიძის ნახევარი საუკუნის სამეცნიერო მოღვაწეობა. მოკლე საგაზეთო წერილში შეუძლებელია სრული სახით ვაჩვენოთ ის დიდი ამაგი, რომელიც კ. კეკელიძემ ქართული საბჭოთა მეცნიერების განვითარებას დასდო.

კორნელი კეკელიძე სამეცნიერო ასპარეზზე 1904 წელს გამოვიდა. მან როგორც მკვლევარმა, საზოგადოების ყურადღება სტუდენტობის პერიოდში მიიპყრო. კიევის სასულიერო აკადემიის ჯერ კიდევ ახალგაზრდა სტუდენტმა დაწერა საკანდიდატო დისერტაცია „Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах“. ამ მონუმენტურმა ნაშრომმა მის ავტორს ჰემმარიტი მკვლევარის სახელთან ერთად მალე მაგისტრის წოდებაც მოუპოვა. კ. კეკელიძის პირველ მეცნიერულ წარმატებებს „ივერია“ 1904 წელს აღფრთოვანებით შეხვდა. გაზეთი თავის მკითხველებს აუწყებდა, რომ ახლადკურსდამთავრებული ახალგაზრდა ქართველი კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორთა კრების გადაწყვეტილებით დატოვებულ იქნა აკადემიაში სტიპენდიანტად, ე. ი. საპროფესოროდ მოსამზადებლად. მეფის რუსეთის სინოდმა არ მოიწონა ძველი ქართული სასულიერო მწერლობისადმი ასეთი ყურადღება და არ დაადასტურა აკა-

დემიის საბჭოს დადგენილება. ამ გარემოებამ გული ვერ გაუტეხა ნიქიტა და ენერგიით აღსავსე ახალგაზრდა მკვლევარს. კ. კეკელიძემ 1905 წელს დაიწყო რა ქუთაისში მასწავლებლობა, ხელი მოჰკიდა გელათის ხელნაწერთა მდიდარი კოლექციის შესწავლას. ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ თბილისში კ. კეკელიძე დიდი ხალისით სწავლობს ძველ ხელნაწერებს, ადგენს მათ აღწერალობას და გზადაგზა აქვეყნებს თვალსაჩინო ძეგლებს.

საქართველოს სიძველეთსაცავებში კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილმა და ბრწყინვალედ გამოცემულმა ძეგლებმა ძველ ქართულ მწერლობას შორს გაუთქვა სახელი. გამოიჩინა, რომ ალ. ცაგარლის, ნ. შარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ ათონზე, სინასა და იერუსალიმში აღმოჩენილ ხელნაწერებზე ნაკლები მნიშვნელობისა როდია აქ. საქართველოში შემონახული, აქამდე მეცნიერულად შეუსწავლელი სასულიერო მწერლობის მრავალი ათეული კრებული. კ. კეკელიძემ წლების განმავლობაში შეუწელებელი ფილოლოგიური კვლევა-ძიებით დაამტკიცა, რომ ძველი ქართული მწერლობის შესწავლას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქართული კულტურის, არამედ მსოფლიოს ქრისტიანული კულტურის ისტორიისთვისაც. კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და გამოსცა მსოფლიო მნიშვნელობის რამდენიმე ძეგლი, რომელთა დედანი დაკარგულად ითვლება და მათი ორიგინალის მოვალეობას ახლა ძველი ქართული თარგმანი ასრულებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, მაგალითად, სვიმეონ ლოლოთეტის, იოანე ქსიფილინოსის და სხვათა მოღვაწეობის დამახასიათებელი ფაქტებისა და თხზულებების აღმოჩენა.

ძველი ქართული მწერლობის ამგვარი მნიშვნელობა შესანიშნავად აქვს წარმოდგენილი თვით პროფესორ კ. კეკელიძეს „ქართულ ლიტერატურას მტკიცე, განუყრელი კავშირი ჰქონდა წინა აზიის და დასავლეთის ხალხთა ლიტერატურასთან. სახელდობრ: სპარსულთან, სომხურთან, სირიულთან, არაბულთან, ბერძნულთან, რუსულთან და (დასავლეთ) ევროპულთან; ამიტომ მან შემოგვინახა უძველესი პერიოდის თარგმანებში ისეთი ძეგლები, რომელთა ორიგინალი დროთა მსვლელობაში დაკარგულია და მეცნიერებაში საძიებელი გამხდარა“.

პროფესორი კ. კეკელიძე მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემებისა და ისტორიულ-ლიტერატურული კვლევაძიების დროს დიდ ყურადღებას აქცევს ხალხების ურთიერთდამოკიდებულებას. ახლა ნათლად გარკვეულია, რომ ქართველი მოღვაწეები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნასა და განვითარებაში.

ღრმა მეცნიერული ერუდიციით განირჩევიან კ. კეკელიძის მიერ დიდი სიყვარულით გამოცემული კიმენური ძეგლები, სათანადო კომენტარებითურთ (ორი ტომი). კიმენური ჰაგიოგრაფია ქართულ ენაზე, ნათარგმნი და ორიგინალური. მეტად მდიდარია. კ. კეკელიძემ 253-ზე მეტი ასეთი ძეგლი აღრიცხა და ცნობები მათ შესახებ სისტემატური საძიებლის სახით შეიტანა თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში (მეორე გამოცემა). „კიმენის“ გამოქვეყნებით ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში კ. კეკელიძემ შემოიტანა VIII—X საუკუნეების მრავალი ძეგლი. საილუსტრაციოდ საკმარისი იქნება. თუ ვიტყვი, რომ „კიმენის“ მეორე ტომში დაბეჭდილი 13 ნაწარმოებიდან 8 თხზულების შესახებ ბიზანტოლოგებს აქამდე ცნობები არ მოეპოვებოდათ.

კ. კეკელიძეს მხოლოდ სასულიერო შინაარსის ძეგლების გამოქვეყნება როდი იზიდავდა. ის ასეთივე გატაცებით მუშაობდა და მუშაობს საერო მწერლობის ნაწარმოებთა გამოცემაზე („ვისრამიანი“, „ვეფხისტყაოსანი“, „როსტომიანი“, „შვიდი მთაები“, „კალმასობა“, „ისტორია და აზმანი“ და სხვ.).

პირველწყაროებზე ხანგრძლივმა დაკვირვებამ და ძეგლების ფილოლოგიურ-კრეატიულმა ანალიზმა პროფესორ კ. კეკელიძეს საშუალება მისცა შეექმნა ძველი ქართული მწერლობის სისტემატური კურსი, რაც რევოლუციამდე მხოლოდ საოცნებო საგანს წარმოადგენდა.

პროფესორ კ. კეკელიძის კალამს 250-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ეკუთვნის; მათ შორის ბევრია სქელტანიანი. ასეთ წიგნთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ საბჭოთა პერიოდში შექმნილი ორტომიანი „ქართული მწერლობის ისტორია“ (არსებობს მისი სამი გამოცემა). კ. კეკელიძის „ქართული მწერლობის ისტორია“ ჩვენი ლიტერატურათმცოდნეების, ისტორიკოსების, ენათმეცნიერების, საერთოდ ქართული კულტურის მკვლევართა სამაგიდო წიგნს წარმოადგენს. ამ მონუმენტურ ნაშრომში შეჯამებულია კ. კეკელიძის 50 წლის შეუნელებელი სამეცნიერო კვლევა-ძიება. იგი ძვირფასი საჩუქარია ქართული კულტურის ფრონტის მუშაკთათვის, ამიტომ ისინი ყოველთვის მადლობის გრძნობით იხსენიებენ ჯერ კიდევ ჯანლონით აღსავსე 75 წლის მხცოვან მეცნიერს.

პროფესორი კორნელი კეკელიძე გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეა. ის მონაწილეობდა მრავალი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში, არჩეული იყო თბილისის საბჭოს დეპუტატად (1927—1929, 1931 წ.წ.). საქართველოსა და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად (1927—

29 წწ.), წლების მანძილზე იყო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის პრორექტორი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი. კორნელი კეკელიძემ მრავალრიცხოვანი სამეცნიერო და პედაგოგიური კადრები აღზარდა.

პროფესორ კ. კეკელიძის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას ღირსეულად აფასებს საბჭოთა ხელისუფლება. 1943 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოებულ იქნა ორჯერ შრომის წითელი დროშის ორდენით და ორჯერ საპატიო სიგელით. მიმდინარე წელს პროფესორ კ. კეკელიძეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი მიანიჭა.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი მისთვის ჩვეული ენერგიით ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მუშაობას ეწევა თბალისის უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში. სულითა და გულით ვუსურვებთ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს. ჯანმრთელობას და ახალ მიღწევებს სამეცნიერო მუშაობაში*.

პროფესორი მიხეილ ჩიკოვანი.

НА СЛАВНОМ ПОСТУ

Исполнилось 50 лет научной деятельности действительного члена Академии наук Грузинской ССР, выдающегося советского ученого, профессора Корнелия Самсоновича Кекелидзе.

Полувековой путь К. С. Кекелидзе в науке—это путь истинных творческих исканий, большого вдохновенного труда, посвященного изучению грузинской литературы.

Фундаментальные труды К. С. Кекелидзе, благодаря которым он приобрел славу выдающегося ученого, созданы в условиях Советской власти, когда он получил возможность широко развернуть свой талант.

Многочисленные научные труды К. С. Кекелидзе свидетельствуют о том, с какой исключительной добросовестностью изучал он уже с юношеских лет сокровищницу грузинской духовной культуры, ее первоисточники как оригинальные, так и переводные.

На первых порах К. С. Кекелидзе занимался изучением грузинской духовной литературы. В дальнейшем он обра-

* გაზ. „კომუნისტი“, 1954, 20 VI, № 145 (9921).

щается к грузинской светской литературе классического периода, а также к грузинскому словесному искусству периода XV—XVIII веков.

Свои многолетние изыскания К. С. Кекелидзе подытожил в капитальном двухтомном труде «История древней грузинской литературы», который был опубликован в 1924—1925 гг. и затем переиздавался несколько раз.

Этим трудом К. С. Кекелидзе внес неоценимый вклад в грузинское литературоведение, в грузинскую культуру. Кекелидзе открыл множество новых литературных фактов, дал им правильное освещение, систематизировал их, поставил и решил в этой области важнейшие проблемы.

Анализируя те или иные литературные процессы, К. С. Кекелидзе не отрывает их от жизни, он рассматривает литературу как отображение жизни народа во всем ее многообразии.

«Грузинская литература. — пишет К. С. Кекелидзе, — имеет если не более, то, во всяком случае, шестнадцативековую историю. Литературные памятники у нас имеются уже с пятого века — в этом отношении наша литература является одной из древнейших литератур в мире. Велико и неизмеримо с точки зрения науки значение этой литературы, в ней запечатлены перипетии культурно-исторической жизни грузинской нации. В ее памятниках как оригинальных, так и переводных, выявлена творческая потенция грузинского народа».

Упомянутый двухтомный труд К. С. Кекелидзе по истории древней грузинской литературы, так же, как и другие его труды, нашел широкий отклик в науке. Благодаря стараниям Кекелидзе многие произведения из сокровищницы грузинской литературы сделались достоянием широкой общественности. В то же время он выявил много таких первостепенных литературных памятников, которые удостоверяют тесную духовную связь грузинского народа с передовой литературой других народов и, вместе с тем, представляют большой интерес, поскольку они давно отыскиваются наукой. Оригиналы этих памятников не сохранились у тех народов, которыми они были созданы и восстановить их представляется возможным только по грузинским переводам.

К. С. Кекелидзе является также выдающимся грузинским текстологом. Опубликованные им тексты памятников литературы и истории воспроизведены с исключительной тщательностью, а комментарии выделяются точностью и богатством историко-литературных сведений научной глубиной.

Круг научных интересов К. С. Кекелидзе весьма широк: древняя грузинская литература, проблемы истории Грузии, вопросы культурных взаимосвязей грузинского народа с дру-

гимн народам, новая грузинская литература и фольклор — вот неполный список тем его научного творчества.

К. С. Кекелидзе ведет большую общественно-педагогическую работу. Он — один из основоположников Тбилисского государственного университета. На протяжении ряда лет он состоял проректором этого университета и бесшестидесятилетним руководителем кафедры древней грузинской литературы. Долгое время К. С. Кекелидзе был директором Института истории грузинской литературы имени Руставели.

Пожелаем же выдающемуся грузинскому ученому Корнелию Самсоновичу Кекелидзе в день 50-летия его плодотворной деятельности новых успехов в научном творчестве на благо советского народа*.

Г. Абзианидзе

გამოჩენილი კართველი მეცნიერი

ქართული კულტურისა და ლიტერატურის დიდ მოამბეს, გამოჩენილ ქართველ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს დაბ. დღის 75 და სამეცნიერო მოღვაწეობის 50 წლისთავი შეუსრულდა. საბჭოთა საზოგადოებრიობამ ეს თარიღი ფართოდ აღნიშნა.

კორნელი კეკელიძის ნახევარსაუკუნოვანი გზა მეცნიერებაში — ეს არის შეუწყვეტელი შემოქმედებითი შრომის გზა. მისი ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც ავტორს გამოჩენილი მეცნიერის სახელი მოუპოვეს, ძირითადად შექმნილია საბჭოთა ხელისუფლების პირობებში და ფასდაუდებელ მონაპოვარს წარმოადგენს ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში. კ. კეკელიძემ არა მხოლოდ აღმოაჩინა უამრავი ახალი ლიტერატურული ძეგლი, არამედ ასლებური გაშუქება მისცა ძველი ქართული ლიტერატურის ძირითად მოვლენებს. მისი მეცნიერული ინტერესების წრე მეტად ფართოა. ძველი ქართული ლიტერატურა, საქართველოს ისტორიის პრობლემები. სხვა ხალხებთან ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის საკითხები. ახალი ქართული ლიტერატურა და ხალხური შემოქმედება — აი ძირითადი დარგები, რომლებიც ამ ორმოცდაათი წლის მანძილზე კ. კეკელიძის მეცნიერული კვლევა-ძიების საგანს შეადგენდა...

განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი „ქართული მწერლობის ისტორია“ ორ ტომად. ამ კაპიტალურ ნაშრომში წარმოდგენილია ქარ-

* Газ. „Заря Востока“, 1954. 16 VI. № 141 (9023).

თველი ხალხის სულიერი კულტურის სისტემატური და ღრმა მეცნიერული მიმოხილვა. მრავალი საკითხი და ფაქტი პირველად არის მასში განხილული. ამ გამოკვლევით კ. კეკელიძემ ნათელყო ქართული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა, მისი თვითმყოფადი და ორიგინალური ხასიათი.

კ. კეკელიძე სისტემატურად აქვეყნებს ძველი ქართული მწერლობის მანამდე უცნობ პირველხარისხოვან ძეგლებს, რითაც ახალი შუქი შეაქვს არა მარტო ქართული ლიტერატურის, არამედ მსოფლიო კულტურის ისტორიაში. საკმარისი იქნება თუ აღვნიშნავთ, რომ სვიმეონ ლოლოთეცისა და განსაკუთრებით იოანე ქსიფილინოსის მოღვაწეობა ნათელი გახდა მხოლოდ კ. კეკელიძის მიერ აღმოჩენილი ძეგლის საფუძველზე. ამ საქმეში კ. კეკელიძემ სავსებით ახალი სიტყვა თქვა.

დიდი მეცნიერული დაკვირვებებით და კომენტარებით ხასიათდებიან კ. კეკელიძის მიერ გამოცემული კომენტარული ძეგლები; იგი ასევე გატაცებით სწავლობს ძველი ქართული საერო მწერლობის ძეგლებსა და ნაწარმოებებს. მის მიერ ლიტერატურისა და ისტორიის დარგებში გამოცემული ძეგლების ტექსტი უდიდესი მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის დადგენილი. ხოლო მათი კომენტარები გამოირჩევა ისტორიულ-ლიტერატურული ცნობების სიზუსტითა და სიმდიდრით, ღრმა ერუდიციით.

კ. კეკელიძე მეცნიერულ საქმიანობაში არასოდეს არ შემოფარგლულა მარტოდენ კვლევა-ძიებითი მოღვაწეობით. იგი დღემდე ეწევა დაუღალავ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობას. მეტად დიდია მისი დამსახურება, როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებლისა. წლების მანძილზე ამ უნივერსიტეტის პრორექტორისა და ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის უცვლელი გამგისა. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა რამდენიმე ათასი ახალგაზრდა და მრავალი ათეული მეცნიერი მუშაკი. იგი გამოირჩევა იშვიათი გულსხმიერებით.

კ. კეკელიძე დიდი ხნის განმავლობაში იყო რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი. მისი ხელმძღვანელობით ამ დაწესებულებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ლიტერატურული მეცნიერების განვითარებაში.

დიდი სამამულო ომის წლებში, როგორც ეს შეპყვრის ნამდვილ პატრიოტ მეცნიერს. კ. კეკელიძე თავისი საჯარო გამოსვლებითა და წერილებით ჩვენს ხალხში ნერგავდა პატრიოტიზმის უწყმინდეს გრძნობას...

კ. კეკელიძე დღესაც ახალგაზრდული ენერჯით და ხალისით ემსახურება საბჭოთა მეცნიერების წინსვლის საქმეს.

ვუსურვოთ ჩვენს მსცოვანსა და გამოჩენილ მეცნიერს დღე-ვრძელობა და შემდგომი ნაყოფიერი მოღვაწეობა*.

პროფესორი შ. რადიანი

პროფ. კ. კეკელიძე და კვალი კართული მწერლობა

დიდია პროფ. კ. კეკელიძის დამსახურება მეცნიერების წინაშე. საზოგადოდ, და ქართული მეცნიერების მიმართ, კერძოდ.

პროფ. კ. კეკელიძის სახელთან დაკავშირებულთა ჩვენი მრავალსაუკუნოვანი კულტურის ისტორიის სხვა დარგთა შორის უპირატესად ქართული მწერლობის ისტორიის მეცნიერული შესწავლა. ამ დარგის კვლევა-თიება მან ურთულესი და მეტად მრავალფეროვანი ე. წ. სასულიერო მწერლობით დაიწყო. მდიდარ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში მან ამ მწერლობის არა ერთი და ორი მეტად საყურადღებო ძეგლი მიკვლია, დაამუშავა და მეცნიერულად გამოსცა სათანადო გამოკვლევითურთ.

პროფ. კ. კეკელიძემ საგანგებო კვლევის საგნად აქცია ხსენებული ქართული მწერლობის ისეთი უმდიდრესი დარგიც. როგორცაა კიმენური და მეტაფრასტული აგიოგრაფია. თარგმნილ აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა შორის მან არა ერთი და ორი ისეთი ძეგლი მიაკვლია და შეისწავლა. რომლის არსებობა მანამდის ან სულ უცნობი იყო, ანდა თუ იყო, დაკარგულად ითვლებოდა დედა ენაზე. ასეთი ძეგლების შესწავლითა და გამოქვეყნებით მან ერთხელ კიდევ ცხადყო ჩვენი ძველი მწერლობის უაღრესი მნიშვნელობა მსოფლიო მწერლობის ისტორიისათვის და მკვეთრად აჩვენა ის წვლილი, რომელიც მასში ქართველი მწერლების მოღვაწეობას შეუტანია ძველად.

უცხო, განსაკუთრებით ბიზანტიური წარმომავლობის ასეთი ქართული ძეგლების შესწავლისა და გამომზეურების გვერდით პროფ. კ. კეკელიძე დიდ ადგილს უთმობს მშობლიური მწერლობის ქმნილებათა განხილვასაც. ქართული ორიგინალური აგიოგრაფიის თითქმის ყველა ძეგლი აქვს მას კრიტიკული დამოკიდებულებით შესწავლილი და ამასთან გარკვეული მათი ადგილი და მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის. ზოგიერთი მათგანი მას კრა-

* „ლიტერატურული გაზეთი“, 1954, 25 VI, № 26 (894).

ტიკულად აქვს გამოქვეყნებული სათანადო ნაკვლევითურთ (აბო თბილელის წამება, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება).

დიდი მუშაობა აქვს გაწეული პროფ. კ. კეკელიძეს ქართული საერო მწერლობის შესასწავლადაც. არცერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ჩვენი მწერლობის ამ დარგში შეუსწავლელი და შეუფასებელი არ დარჩენია მის მეტად ნაყოფიერ კალამს.

თავისი თავდადებული და ნაყოფიერი შემოქმედებით პროფ. კ. კეკელიძე სრულად უდგას გვერდით იმ სახელოვან ქართველ მეცნიერთ, რომელთაც მეცნიერებისა და ხალხის სამსახურს მოახმარეს მთელი თავიანთი სიცოცხლე ჩვენს დიდ საბჭოთა ეპოქაში.

მზეგრძელობა და მრავალეამიერ ჩვენს მსცოვან მეცნიერს მშობლიური მეცნიერებისა და ხალხის საკეთილდღეოდ*.

პროფესორი ილ. აბულაძე

გამოჩენილი კართველი მეცნიერი

ამ დღეებში გამოჩენილ ქართველ მეკვლევარს. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს შეუსრულდა დაბადების 75 და სამეცნიერო მუშაობის 50 წელი.

კ. კეკელიძე სამეცნიერო მუშაობაში ახალგაზრდობიდანვე ჩაება. სწავლამოწყურებულმა ახალგაზრდამ ცარიზმის სულისშემხუთველ პირობებში თავისი ნიჭით, უნარითა და ენერგიული შრომით გაიკაფა გზა მეცნიერებისაკენ... თავისი მეცნიერული მუშაობის 50 წლის მანძილზე აღმოაჩინა და გამოსცა მსოფლიო მნიშვნელობის რამდენიმე ფასდაუდებელი ძეგლი. რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეები ყოველთვის აღფრთოვანებული ხვდებოდნენ კ. კეკელიძის ნარკვევებსა და ძეგლების პუბლიკაციას. მან ურყევი საბუთებით დაამტკიცა ქართული კულტურის გავლენა ბიზანტიურზე და ქართველი მოღვაწეების დამსახურება ბიზანტიური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. კ. კეკელიძის ნაშრომები ითარგმნა უცხო ენებზე.

რევოლუციამდე მან ქართული მწერლობის მრავალი საყურადღებო ძეგლი გამოაქვეყნა. მაგრამ ნამდვილი ფართო მეცნიერული მუშაობის შესაძლებლობა კ. კეკელიძეს ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მიეცა... საბჭოთა პერიოდში შექმნა კ. კეკელიძემ ორტომიანი „ქართული მწერლობის ისტორია“, რომელიც წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულ კურსს და რომელ-

* გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954, 24 V, № 20(81).

ზედაც აღიზარდა ქართული ლიტერატურის ისტორიკოსთა მრავალრიცხოვანი თაობა.

კ. კეკელიძე დიდი მონდომებით სწავლობდა ჩვენი ძველი მწერლობის სასულიერო და საერო პერიოდის ძეგლებს. მის თითოეულ ნაშრომსა და გამოცემას გარკვეულად ემჩნევა მეცნიერის დიდი გამოცდილება, ნიჭი, კრიტიკული აზრო და ჩვენი ხალხის წარსული კულტურის ღრმა ცოდნა.

კ. კეკელიძის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს მისი სიყვარული ახალგაზრდა კადრების აღზრდისადმი. ძნელია მოიძებნოს მკვლევარი, რომელიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში მუშაობდეს და უშუალოდ არ ეგრძნოს კ. კეკელიძის მზრუნველი დახმარება.

კ. კეკელიძე აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას ეწეოდა და ეწევა ამჟამადაც. მონაწილეობს მრავალი სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობაში.

თავისი პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობით კ. კეკელიძე მკიდროდა დაკავშირებული ქუთაისთან და მის სამეცნიერო დაწესებულებებთან. პირველდაწყებითი განათლება მან ქუთაისში მიიღო: აქვე დაიწყო მასწავლებლობა, გაეცნო გელათის ხელნაწერებს და შეადგინა მათი აღწერილობა. ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსებისთანავე იგი სათავეში ჩაუდგა ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და მთელი ენერგიით შეუდგა მეცნიერულ და პედაგოგიურ მუშაობას. კ. კეკელიძემ მიზნად დაისახა მოემზადებინა ინსტიტუტისათვის ადგილობრივი კადრი, რომელიც განაგრძობდა მეცნიერულ და პედაგოგიურ საქმიანობას. ახლახან მისი რედაქციით გამოქვეყნდა ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა.

1948 წელს კ. კეკელიძემ რამდენიმე ლექცია წაიკითხა ქუთაისში. ამ ლექციებში ქართული ლიტერატურის ისტორიის მრავალი გაურკვეველი და ბუნდოვანი საკითხი იყო გაშუქებული სრულიად ახლებურად.

გამოჩენილი მეცნიერი დიდი ინტერესით ადევნებს თვალს ჩვენი ქალაქის კულტურულ ცხოვრებას. გაზეთ „ინდუსტრიალური ქუთაისის“ არსებობის 25 წლისთავზე კ. კეკელიძე სწერდა გაზეთის რედაქციას:

„ვულოცავ გაზეთს სახელოვან 25 წლისთავს და ვუსურვებ მას კიდევ მრავალ 25 წელს ყოფილიყოს ჩვენი განახლებული ცხოვრების ჩირალდნად და შექუტრად“...

75 წლის მხტოვანი მეცნიერი კვლავ ახალგაზრდული ენერგიით განაგრძობს სამეცნიერო-შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და აყვავებისათვის*.

ლოცენტი დ. ბრეგაძე

* გაზ. „სტალინელი“, 1954, 25 VI, № 124 (6143).

იუბილესთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის შესახებ წერილები დაიბეჭდა: აკად. ა. შანიძის — „დამსახურებული მეცნიერი“, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954 წ. 24V, № 28 (81); აკად. ალ. ბარამიძის—„გამოჩენილი მეცნიერი“, გაზ. „სახალხო განთლება“, 1954 წ., 9. VI. № 23 (1291); მისივე „გამოჩენილი მკვლევარი“, თურნ. „მეცნიერება და ტექნიკა“, 1954 წ., VII, № 7; პროფ. ქს. სიხარულიძის—„მეცნიერების დიდი ამავდარი“, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954 წ., 24 V, № 20 (81); დოც. ლ. მენაბდის — „პროფესორი კორნელი კეკელიძე“ (გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954 წ., 24 V, № 20(81); შ. ჩიჭავაძის — „ღვაწლმოსილი მეცნიერი“, გაზ. „კოლმეურნის ხმა“, „ახალგაზრდა კომუნისტი“. 1954 წ., 3 VII № 79 (587); ლ. კიკინაძის—„დიდი მეცნიერი“, გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1954 წ., 2 VII; ე. გოგოლაშვილის—„საყვარელი მასწავლებელი“. გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1954, 24 V, № 20(84).

დაბადებიდან 80 წლისთავის იუბილე

საქართველოს მშრომელებმა ფართოდ აღნიშნეს გამოჩენილი მეცნიერის, ქართული კულტურის დიდი მოღვაწის—კორნელი სამსონის ძე კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავი.

1959 წ. 8 ივნისს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში შეიკრიბნენ ქართველი მეცნიერები, სტუდენტები, მწერლები, მსახიობები, კულტურის მუშაკები, სტუმრები მოაქმე რესპუბლიკებიდან, ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლები. ისინი აქ მოვიდნენ ღვაწლმოსილი მეცნიერის საიუბილეო საღამოზე, რომელიც მოაწყვეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა.

საიუბილეო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოს ნიკოლოზ მუსხელიშვილმა.

მოხსენებით — „აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა“ გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფ. ალექსანდრე ბარამიძე.

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს მიესალმნენ: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით—უნივერსიტეტის რექტორი აკადემიკოსი ევგენი ხარაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით—აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი რაფიელ დვალი; საქართველოს მწერლების სახელით — მწერალთა კავშირის პირველი მდივანი პოეტი ირაკლი აბაშიძე; საქართველოს სსრ განათლების მუშაკთა სახელით — განათლების მინისტრი. პროფესორი გიორგი ჭიბლაძე; საქართველოს სსრ კულტურის მოღვაწეთა სახელით — კულტურის მინისტრი დავით ჩხიკ-

ვიშვილი; საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სახელით — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი; აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით — დოცენტი დილარა ალიევა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი პოეტი-აკადემიკოსი გიორგი ლეონიძე; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სახელით — აკადემიკოსი აკაკი შანიძე; საქართველოს თეატრალური საზოგადოების სახელით — სსრკ სახალხო არტისტი ვერნიკო ანჯაფარიძე; იუბილარის მშობლიური რაიონის — ვანის მშრომელთა სახელით — პედაგოგი ალექსანდრე ნადირაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ქეთევან ლომთათიძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ილია აბულაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის სახელით — პროფესორი ვარლამ დონდუა; ალ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — დოცენტი კონსტანტინე მეძველია; პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — დოცენტი ბიძინა ჭიქოძე; გოგებაშვილის სახელობის თელავის პედინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი დოცენტი ნიკოლოზ ქორთუა; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის ინსტიტუტის სახელით — ინსტიტუტის დირექტორი ასლან ინაიშვილია; სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის სახელით — ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ალექსანდრე დლონტი; მ. გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის სახელით — დოცენტი ოთარ ჭურღულია და სხვები*.

* ვახ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1959 წ., ივნისი.

დიდად პატივცემულო ძვირფასო კორნელი!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა: სტუდენტთა და თანამშრომელთა მრავალათასიანი კოლექტივი მხურვალედ მოგესალმებათ და გულითადად გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს.

თბილისის უნივერსიტეტი განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით აღნიშნავს ამ სახელოვან თარიღს, რადგან ძირითადად უნივერსიტეტთანაა დაკავშირებული თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობა; არსებითად აქ გაიშალა თქვენი მაღალი შემოქმედება.

ჯერ კიდევ უნივერსიტეტის გახსნამდე მოიხვეჭეთ თქვენ სახელი, როგორც გამოჩენილმა მეცნიერმა, ძველი ქართული წერილობითი კულტურის დიდმა სპეციალისტმა. მით უფრო მნიშვნელოვანი იყო თქვენი მოღვაწეობა ახლად ფეხადგმული უნივერსიტეტისათვის, სადაც თქვენ შეგექმნათ ყოველგვარი პირობები დიდი მეცნიერული მუშაობის გასაშლელად. აქ შექმენით თქვენ ის, რითაც მოიპოვეთ მთელი ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული და უდიდესი პატივისცემა.

თქვენ იყავით და ხართ უნივერსიტეტის კოლექტივის ერთ-ერთი მესვეური და აქტიური მონაწილე მისი ყოველდღიური საქმიანობისა. თქვენ განუწყვეტლივ ხელმძღვანელობთ ჩვენი მშობლიური ლიტერატურის—ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრასა და მის კაბინეტს, რომელიც თქვენს სახელს ატარებს. ფასდაუდებელია ის ამაგი, რომელიც თქვენ დასდეთ უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად და სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის პრორექტორად მუშაობისას.

უდიდესია თქვენი დამსახურება ქართული ფილოლოგიის წინაშე, მთელი ქართული მეცნიერების წინაშე, თქვენი უშრეტეი ენერჯია უანგაროდ მოახმარეთ ძველი ქართული ლიტერატურის ურთულესი პრობლემის შესწავლას, ქართული სულიერი კულტურის დიდებული საგანძურის გამომზეურებას. თქვენს მრავალრიცხოვან შრომებში წარმოდგენილია ფართო პრობლემატიკა; თქვენ ინტენსიურად და მეტად ნაყოფიერად მუშაობდით როგორც სასულიერო, ისე საერო-მხატვრული ლიტერატურის სფეროში; განსაკუთრებული

გულმოდგინებითა და თავდადებით იღვწოდით უძველესი ქართული ლიტერატურის საკითხების გასაშუქებლად. თქვენ აღმოაჩინეთ და გამოაქვეყნეთ მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ძეგლები და ახლებურად გააშუქეთ საცილობელი პრობლემები.

უნივერსიტეტის კოლექტივი დიდი მადლიერებით აღნიშნავს, რომ მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად თქვენ შექმენით კაპიტალური შრომა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ნათლად ასახავს ქართული ლიტერატურის განვითარების გზას, გვაწვდის მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას, გვაძლევს ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შემოქმედებითი პროცესის მეცნიერულ ანალიზს.

განუზომელია თქვენი დამსახურება ქართული ფილოლოგიის მკვლევართა ახალგაზრდა კადრების მომზადების საქმეში, რომელთაგან ბევრი დღეს უკვე სახელმოხვეჭილი მეცნიერია. თქვენი უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, რომელიც შემდგომ ახლადდაარსებულ აკადემიას გადაეცა და რომელსაც წლების მანძილზე თქვენვე ხელმძღვანელობდით.

თქვენმა მრავალმხრივმა და უაღრესად ნაყოფიერმა სამეცნიერო-პედაგოგიურმა და საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა როგორც საქართველოში, ისე მთელ საბჭოთა კავშირში და მისი საზღვრების გარეთ.

თქვენი მოღვაწეობის ჯეროვანი შეფასება იყო თქვენი არჩევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასეს თქვენი მოღვაწეობა: თქვენ მოგენიჭათ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება, დაჯილდოვებული ბრძანდებით ორდენებითა და მედლებით.

ძვირფასო კორნელი!

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და თანამშრომლები, თქვენი თანამოღვაწენი და თქვენი მოწაფეები სულითა და გულით გილოცავენ ამ ღირსშესანიშნავ დღეს და გისურვებენ კვლავ ნაყოფიერ შემოქმედებითს მუშაობას საბჭოთა მეცნიერებისა და ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ.

მრავალჯამიერ იცოცხლეთ ქართველი ხალხის საყვარელო შვი-
ლო, ღვაწლმოსილო მეცნიერო და ღირსეულო მოქალაქევე, ქართუ-
ლი ლიტერატურათმცოდნეობის პატრიარქო, ძვირფასო კორნელი!

უნივერსიტეტის კოლექტივის დავალებით: თბილისის სახელმ-
წიფო უნივერსიტეტის

რექტორი პროფ. ე. ხარაძე

პარტკომის მდივანი დოც. გ. ჭანუყვაძე

ადგილკომის თავმჯდომარე დოც. პ. კეკელიძე

ალკკ კომიტეტის მდივანი ა. სანებლიძე

პროფკომის თავმჯდომარე ვ. ჭანჭლავა

საპარტიველოს სსრ მაცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმიანაგან

დიდად პატივცემულო და ძვირფასო კორნელი!

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი გუ-
ლითადად მოგესალმებათ თქვენ—გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს,
მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის უდიდეს მკვლევარს,
მშობელი ხალხის საამაყო, შუბლნათელსა და საყვარელ ადამიანს —
თქვენი დაბადების 80 წლისა და სამეცნიერო და პედაგოგიური მო-
ღვაწეობის 55 წლისთავის გამო გამართულ ღირსსახსოვარ იუბი-
ლეზე.

ნახევარი საუკუნის განმავლობაში თქვენ ძალ-ღონის დაუზოგა-
ვად და უანგაროდ ემსახურებით ქართული მეცნიერებისა და კულ-
ტურის წინსვლისა და აყვავების საქმეს. თქვენი მაღალი ნიჭოს, და-
უშრეტელი ენერჯიისა და სამაჯალითო შრომისმოყვარეობის მეო-
ხებით თქვენ იმთავითვე ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი დაიმ-
კვიდრეთ ქართველ მეცნიერთა სახელოვან პლეადაში. რომელმაც
მყარ ნიადაგზე დააფუძნა ჩვენში თანამედროვე მეცნიერული აზ-
როვნების მრავალი დარგი და განსაკუთრებული როლი შეასრულა
მათი განვითარებისა და წარმატებისათვის.

განუზომელია თქვენი ღვაწლი ქართული საბჭოთა სალიტერა-
ტურო და ფილოლოგიური მეცნიერების წინაშე, რომელიც ასობით
გამოკვლევით გაამდიდრეთ. თქვენ შექმენით ძველი ქართული
მწერლობის ისტორიის კაპიტალური ორტომეული. თქვენ ბრძანდე-
ბით ავტორი რამდენიმე ათეული ფუნდამენტური გამოკვლევისა.
რომლებშიც ბრწყინვალედ არის გაშუქებული ქართული ლიტერა-
ტურის ისტორიის კარდინალური საკითხები. თქვენ აღმოაჩინეთ და
მეცნიერულად გამოეცით მრავალი ლიტერატურული ძეგლი. ეამთა
სიავით გამოწვეულ დავიწყების ბურუსს გამოსტაცეთ ჩვენი ძველი
მწერლობის არაერთი შესანიშნავი წარმომადგენლის სახელი.

თქვენ ბრძანდებით უაღრესად ფართო მასშტაბისა და ბრწყინვალე ერუდიციის ფილოლოგოსი. ამან შესაძლებლობა მოგცათ გამოჯერკვიათ და ექვემიუტანლად დაგემტკიცებინათ ძველი ქართული ლიტერატურის მეტად საპატიო ადგილი და მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. თქვენმა კლასიკურმა შრომებმა ნათელი გახადა, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მსოფლიოს მთელ რაგ ხალხთა ლიტერატურისა და კულტურის ისტორიის ჯეროვანი სისრულით შესწავლა.

მეცნიერებას და საზოგადოებას თქვენ დიდი ღვაწლი დასდეთ აგრეთვე ცხოველი პრაქტიკულ-ორგანიზაციული საქმიანობით. თქვენ ბრძანდებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანი და მისი ზრდა-განვითარებისათვის დაუღალავი მებრძოლი. თქვენ აღზარდეთ ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა არა ერთი თაობა, რომლებიც ამჟამად დიდად ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევიან. მეტად მნიშვნელოვანია თქვენი როლი უმაღლესი განათლების მქონე ათასობით სპეციალისტთა მომზადებასა და გამოშვებაში. ათეული წლების მანძილზე თქვენ დედაბოძად უღაგხართ ჩვენი ახლოგზრდობის. ჩვენი ფართო საზოგადოებრიობის აღჭურვის საქმეს მშობლიური ლიტერატურის ისტორიის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისათვის, რომლის უზუცესი და სახელოვანი აკადემიკოსი თქვენ ბრძანდებით, განსაკუთრებით ძვირფასია ის ჰემშარიტად დიდი და შესანიშნავი მოღვაწეობა. რომელსაც თქვენ ყოველთვის ეწეოდით და ახლაც ცხოველი ენთუზიაზმით განაგრძობთ.

დიდად აფასებენ თქვენ დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს წინაშე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ამის გამოხატულებაა თქვენი არაერთგზის დაჯილდოება სხვადასხვა მაღალი ჯილდოთი და საპატიო წოდებათა მონიჭება. თქვენ ეკუთვნით იმ რჩეულ ადამიანთა რიცხვს, რომლებმაც თავიანთი ფასდაუდებელი და უანგარო მოღვაწეობით ხალხის მხურვალე სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭეს.

სულითა და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო, საყვარელო კორნელი, კიდევ მრავალ წელს სიცოცხლეს და ახალ დიდ შემოქმედებითს წარმატებებს საბჭოთა მეცნიერების სასახელოდ, ქართველი ხალხის საამაყოდ და სასიხარულოდ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში:

**ნ. მუსხელიშვილი, რ. დვალი, გ. ძოწენიძე,
ვ. მახალდიანი, ნ. კეცხოველი.**

აკადემიკოს კორნელი ქეკელიძეს!

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა, ქართველმა მწერლებმა დამავალეს მე მოგესალმით ამ თქვენს დიდებულ დღესასწაულზე, ჩვენო ძვირფასო მეგობარო. ჩვენი ღვაწლით და ამაგით. საქმით და ასაკით უფროსო ძმად კორნელი!

მოვალეობა, რომელსაც მე დღეს თქვენს წინაშე ვასრულებ ასევე საპატიო და სასურველი იქნებოდა ყოველი ქართველი მწერლისთვის. მოხუცია ის თუ ახალგაზრდა, რადგან ყოველი მათგანი დიდადაა დავალებული თქვენი მაღალი შემოქმედებით, ხოლო ბევრი ჩვენგანი კი თქვენგან პირადადაც, როგორც მასწავლებლისგან აღმზრდელისგან, სამეცნიერო ხელმძღვანელისგან. ასევე მთელის სულითა და გულით გადმოგვცემდათ დღეს ყოველი ქართველი მწერალი მხურვალე სალამსა და ღრმა მადლობას მთელი ჩვენი კოლექტივის სახელით. კოლექტივისა. რომლის ერთი სასახელო წევრიც თქვენ ბრძანდებით.

აბა ვინ უნდა მოგესალმოს. პირველ რიგში. თქვენს ამ სახელოვან იუბილეზე, ვინ უნდა წარმოდგეს თქვენს წინაშე მადლობის სიტყვით პირველ რიგში, თუ არა ჩვენ. ქართველი მწერლები, რომელთა შორეული წინაპრების, შორეული მგოსნებისა და რომანისტების ცოცხალი სულის მესაიდუმლეც თქვენა ხართ. თქვენ, ჩვენი თანამედროვე კაცი, ისე გადმოგვცემთ მათი სულის მოძრაობის ურთულეს ამბებს. როგორც ამას შესძლებდა მხოლოდ მათი თანამედროვე.

დინჯად, მაგრამ შეფარული აღფრთოვანებით თქვენ დროშასავით მაღლა სწევთ ყველაფერს, რაც ძველად ჩვენი ხალხის შემოქმედებით გენიას მსოფლიო კულტურის საგანძურში თავისი შეუტანია.

თქვენ თქვენი ფრთხილი და მზრუნველი ხელებით ისე ღრმად ჩაწვდით და შედით ჩვენი მწერლობის ძველი მუხის ფესვებში, როგორც თქვენი მეგობარა ივანე ჯავახიშვილი ჩვენი ერის ისტორიის საიდუმლო სათავეებში, ისე როგორც მცხეთის სარკოფაგებში არქეოლოგის ფრთხილი ფუნჯი მტვერს აცლის ჩვენი ძველი ოქრომკედლობის საოცრებებს: დიდებულ დიადემებს, ოდესლაც დაცლილ ფიალებს, უნაზეს საყურეებს.

ჩვენ ასე გვგონია, — ჩვენი მწერლობის იგვე ძველი მუხის ფესვები აწვდიან საზრდოს თქვენს შემოქმედებითს ენერჯიასაც. ასე დაუშრეტელად და შეუსუსტებლად რომ ხარობს აგერ რამდენი

ათეული წელიწადია. თუ ეს ასეა,—მაგ თქვენს ენერგიას დიდი დღე უწერია; ქართველი მწერლები მხოლოდ ფიზიკურ ჯანმრთელობას გისურვებენ, გისურვებენ ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჩვენი გონიერი წარსულის კიდევ უფრო ნათელსაყოფად. ჩვენი გმირული აწმყოს და დიადი მომავლის საკეთილდღეოდ.

დიდად გმადლობთ ძვირფასო კორნელი, თქვენი დაუფასებელი ღვაწლისთვის ქართული მწერლობის წინაშე.

მარად თქვენი ირაკლი აბაშიძე.
1959 8—VI.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსათვის

დიდად პატივცემულო კორნელი!

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო მასწავლებელთა და პროფესორ-ლექტორთა მრავალათასიანი კოლექტივის სახელით მხურვალედ მოგესალმებათ თქვენ, სახელოვან იუბილარს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს თქვენი დაბადებიდან ოთხმოცი და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის ორმოცდათხუთმეტი წლის-თავზე.

ძვირფასო კორნელი! ხანგრძლივი, ღრმა მეცნიერული კვლევითი მუშაობით თქვენ მტკიცე საფუძველზე დაამკვიდრეთ მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმე, კერძოდ ძველ ქართულ ლიტერატურას თავისი კანონიერი ადგილი მოუპოვეთ მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურაში, რისთვისაც სრულიად სამართლიანად ითვლებით ქართული ლიტერატურის ისტორიის ფუძემდებლად.

თქვენ აღმოაჩინეთ, შეისწავლეთ და ვრცელი გამოკვლევისა და სათანადო სამეცნიერო აპარატის დართვით გამოეცით მრავალი ქართული ლიტერატურული ძეგლი. რითაც დაიმკვიდრეთ ჩვენი ღრობის ერთ-ერთი უდიდესი ტექსტოლოგის სახელი.

თქვენი კვლევა-ძიების არე არ იფარგლება მხოლოდ ძველი ქართული ლიტერატურით, არანაკლები ინტენსივობითა და სიღრმით იკვლევთ საქართველოს ისტორიის, ქართული ენის, ფოლკლორის, სამართლისა და ქართული ლიტერატურის სხვა ხალხების ლიტერატურასთან ურთიერთობის საკითხებს.

ორმოცდათხუთმეტი წლის მანძილზე თქვენ დაწერეთ 250-ზე მეტი ბრწყინვალე სამეცნიერო შრომა, რომლებსაც უდიდესი მეც-

ნიერული ღირებულება აქვთ არამართო მდიდარი ქართული ეროვნული კულტურის შესწავლისათვის, არამედ ბიზანტიისა და მსოფლიო ლიტერატურის კვლევა-ძიების საქმეშიც.

თქვენი მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე შეიქმნა „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის“ ორი დიდტანიანი ტომი და ხუთ ტომად გამოქვეყნებული „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“. ეს შრომები სამართლიანად ეთვლებიან ქართული კულტურით დაინტერესებულ პირთა სამაგიდო და სახელმძღვანელო წიგნებად.

ძვირფასო კორნელი! თქვენ ეკუთვნით იმ მოწინავე ქართველ მეცნიერთა პლეადას, რომელმაც მრავალ წინააღმდეგობათა დაძლევის შემდეგ დააარსა ჩვენი ეროვნული კულტურის დიდი ტაძარი — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც დღემდე ხელმძღვანელობთ ძველი ქართული ლიტერატურის კათედრას.

თქვენ, პატივეცემულო კორნელი, არ იფარგლებით მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობით. თქვენი საზოგადოებრივი მოღვაწეობის დასაწყისში მასწავლებლობდით ქუთაისისა და თბილისის ეპარქიალურ სასწავლებლებში, სადაც შეუპოვრად იბრძოდით ქართული ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სწავლების მაღალ დონეზე დაყენებისათვის.

თქვენ აქტიური მონაწილე ხართ საბჭოთა საქართველოს კულტურული მშენებლობისა; თქვენ იყავით განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარე, რუსეთიდან ქართული სიძველეების საევაკუაციო კომისიის წევრი, მრავალი სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე როგორც საქართველოში. ისე სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

თქვენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი შემადგენლობის ნამდვილი წევრი ხართ. ქართული სამეცნიერო აზროვნების ამ ცენტრში ახლაც თქვენთვის დამახასიათებელი შრომის-მოყვარეობითა და ენერჯით განაგრძობთ უალრესად საინტერესო სამეცნიერო მოღვაწეობას.

როგორც მეზნებარე პატრიოტი, მშობლიური ენისა და ერის კეთილდღეობისათვის თავდადებული, უანგარო მებრძოლი. თქვენ ყოველთვის გამოირჩეოდით ქართველ მეცნიერთა შორის.

პატივეცემულო კორნელი! თქვენი ხანგრძლივი მეცნიერული, პედაგოგიურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობით ღირსეულად დაიმსახურეთ საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა.

კომუნისტური პარტია, საბჭოთა მთავრობა, მადლიერად თქვენი მოწაფეები და თანამოღვაწენი უსაზღვრო სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავენ თქვენი დაბადების 80 და სამეცნიერო მოღვაწეობის 55 წლისთავს. შეიძლება ითქვას, რომ ეს იუბილე არა მარტო თქვენი მრავალფეროვანი მოღვაწეობის აღნიშვნაა, არამედ ქართული ეროვნული კულტურის დღესასწაულია.

ჩვენო ძვირფასო მსოფიანო მეცნიერო! საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თავის სამოცათასიანი კოლექტივის სახელით მხურვალედ მოგესალმებათ და გისურვებთ ხანგრძლივ განმრთელ სიცოცხლეს ჩვენი საყვარელი საბჭოთა მეცნიერების, ჩვენი სამშობლოს საბედნიეროდ!

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი, პროფესორი

გ. ნ. ჭიბლაძე

8 ივნისი, 1959 წ.

აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის არაფილიზის, ლიტერატურისა და ენის ინსტიტუტისა და ნიჟამის სახელობის მუზეუმისაგან

Дорогой профессор Корнелий Самсонович!

Президиум, Институт литературы и языка и музей литературы им. Низами Академии наук Азербайджанской ССР от всей души шлют Вам, старейшему представителю советской науки, горячие поздравления по случаю Вашего славного 80-летия. Вместе с Академией наук Грузии и всей советской научной общественностью мы радуемся этому знаменательному дню.

Вы — один из выдающихся представителей старшего поколения грузинских филологов, своими трудами положили начало глубокому изучению древнегрузинской литературы. Ваши работы в области исследования агиографической литературы Грузии, монументальные труды по истории древнегрузинской литературы, созданные Вами многочисленные монографии — всё это является неоценимым вкладом в советскую науку.

Вы отдали всю Вашу кипучую энергию и талант делу подготовки научных кадров.

Вы по праву можете гордиться тем, что среди профессоров, доцентов и научных работников республики работает славная плеяда Ваших воспитанников. Вкладывая в это большое и благородное дело весь свой богатый научный опыт, Вы своим непосредственным участием содействовали воспитанию и росту научных кадров Азербайджана и других братских республик.

Отдавая много сил педагогической деятельности, Вы своими лекциями воспитывали в молодом поколении горячую любовь к родной литературе, прививали вкус к исследовательской работе, к изучению древних памятников культуры своего народа.

Благодаря Вашим переводам на русский язык памятников древнегрузинской истории и литературы, Вы познакомили широкую советскую общественность с сокровищами культуры Вашего народа.

Ученые Азербайджана высоко ценят Ваши замечательные труды «Низами и Грузия», «Низами и Руставели», явившиеся большим вкладом в историю изучения литературных связей азербайджанского и грузинского народов.

Вся Ваша деятельность проникнута глубоким патриотизмом, советским энтузиазмом.

Ваша трудоспособность, кипучая энергия не знает предела.

Мы уверены, дорогой Корнелий Самсонович, что Ваша глубоко содержательная научно-общественная и практическая деятельность еще много лет будет способствовать расцвету науки нашей социалистической Родины.

Президиум, Институт литературы и языка и музей им. Низами Академии наук Азербайджанской ССР приветствует Вас, как лучшего и передового представителя научных и общественных деятелей Грузии, желает Вам многих, многих лет жизни, здоровья и дальнейших творческих успехов.

**Президиум Академии наук
Азербайджанской ССР,
Институт литературы и языка,
Музей имени Низами.**

Баку, 3 июня 1959 года.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის
ინსტიტუტისაგან

დიდად პატივცემულო, ძვირფასო კორნელი!

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის კოლექტივი, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მხურვალედ მოგესალმებათ და გულითადად გილოცავთ დაბადების 80 წლისთავს.

რებაში მისმა ცნობილმა გამოკვლევამ სვიმონ მეტაფრასტისა და იოანე ქსიფილინოსის შესახებ. რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ბიზანტიურ ლიტერატურაში. ამისი ვარკვევა შესაძლებელი გახდა მხოლოდ ქართული მასალების მიხედვით. კ. კეკელიძემ პირველმა ცხადყო ძველი ქართული სასულიერო მწერლობის შესწავლის დიდი ეროვნული და ზოგად ორიენტალური მნიშვნელობა. მან თვალნათლივ დაანახვა „ე. წ. „დიდი“ ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურტრეგერის პრეტენზიებით გამოდიოდნენ და გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასდროს არ შეადგენდა მათს მონოპოლიასა და პრივილეგიას, რომ ისეთ პატარა ხალხს, როგორც იყო ქართველობა, არამც თუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც კი შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საუნიჭეში“. კ. კეკელიძის ამ სიტყვებმა არ შეიძლება არ გაგვახსენოს ძველი ქართველი პატრიოტი მოღვაწეები იოანე საბანოს ძე, იოანე-ზოსიმე, ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები და სხვა, რომელთაც მაღლა ეჭირათ ქართული კულტურის დროშა. კ. კეკელიძე ჩვენს საუკუნეში საბელოვნად აგრძელებს მათს ტრადიციას. მისი შრომების წყალობით დღეს მსოფლიო მეცნიერებაში არ შეიძლება გადაწყვეტილად ჩაითვალოს ქრისტიანული კულტურის არც ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, თუ იქ ქართული მასალები არაა ჩეროვნად გამოყენებული.

კ. კეკელიძის მეცნიერული მოღვაწეობის ერთგვარ შეჯამებას წარმოადგენს მისი ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ორი სქელტანიანი ტომი, რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1923—1924 წლებში. ეს იყო დიდი მოვლენა ქართული კულტურის ისტორიაში. მას აღფრთოვანებით გამოეხმაურა ცნობილი ორიენტალისტი პაულ პეტრესი.

ხანდაზმულობის მიუხედავად, მსოფლიო მეცნიერი ისევ ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობს ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. კ. კეკელიძეზეა ზედგამოჭრილი პოეტის სიტყვები: „თავზე—იანვარი, გულში—მაისი“. თითქოს სიმბოლურია ისიც, რომ ჩვენმა საზოგადოებამ მისი დაბადების 80 წლისთავი აღნიშნა მაისსა და ივნისში. მრავალ მაისს ვუსურვებთ მსოფლიო მეცნიერს ქართველი ერის, ქართული კულტურისა და ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ*.

შერმანდინ ონიანი

* ეურნ. „საბჭოთა ხელოვნება“. 1959, № 6.



223-59

მეგობრული შარკი გ. ფირცხალავასი.

1959 წლის 8 ივნისს ქართველმა საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა მხცოვანი მეცნიერის აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაბადების 80 წლისთავი. საიუბილეო დღეებში კორნელი კეკელიძის მშობლიური სოფლის ტობანიერის კოლმეურნეობამ იგი აირჩია კოლმეურნეობის საპატიო წევრად.

მუიწვარის თეთრო ძმობილო,
 კაცო მასავეთ ნათელო,
 ქართული სიბრძნის ტაძარში
 გათეთრებულო ქართველო.

ოთხმოცი წლის ხარ, კოლწვერი,
 უმიზნებ ბრიგადირობას,
 თუ ძველებურად გათონხნი,
 არ აგცილდება გმირობა*.

* ჟურნ. „ნიანგი“, 1959, VII, № 14.

აკად. კორნელი კეკელიძის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა სპეციალური კრებული („საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს პროფესორ კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავად“, რედაქტორები ალ. ბარამიძე, ს. ულენტი, გ. ჯიბლაძე), სადაც მონაწილეობას იღებენ: ალ. ბარამიძე, ა. შანიძე, გ. აბზიანიძე, ილ. აბულაძე, შ. ამირანაშვილი, გ. ახვლედიანი, რ. ბარამიძე, ვ. ბერიძე, კ. გამსახურდია, ა. გაწერელია, ალ. გვახარია, კ. გრიგოლია, ი. გრიშაშვილი, მ. ზანდუკელი, კ. იმედაშვილი, ნ. მახათაძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, ლ. მენაბდე, ე. მეტრეველი, რ. მიმინოშვილი, გ. მიქაძე, შ. ონიანი, ტ. რუხაძე, ქ. სიხარულიძე, ივ. სურგულაძე, ალ. ფოცხიშვილი, სოლ. ყუბანეიშვილი, მ. ჩიქოვანი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ცაიშვილი, ქ. ცხადაძე, ლ. ძოწენიძე, ა. ხინთიბიძე, გ. ჯიბლაძე, ა. კასრაძე.

კრებული (7 X 11) შეიცავს 494 გვ.*. ამ კრებულში კორნელი კეკელიძეზე დაბეჭდილია შემდეგი ნარკვევები: ალ. ბარამიძე—კორნელი კეკელიძე; ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, გვ. 1—21; კონსტანტინე გამსახურდია—კორნელი კეკელიძე, გვ. 87—91; აკაკი გაწერელია—კორნელი კეკელიძე გვ. 93—94; ალ. გვახარია—ქართული აღმოსავლური ლიტერატურული ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი აკად. კ. კეკელიძის შრომებში, გვ. 97—109; კონსტანტინე გრიგოლია — კორნელი კეკელიძე და ქართული ისტორიოგრაფია, გვ. 111

*იუბილესთან დაკავშირებით კორნელი კეკელიძის შესახებ წერილები დაიბეჭდა: პროფ. ალ. ბარამიძის — გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გაზ. „კომუნისტი“, 1959, 7 VI, № 130 (11436); დოც. ბ. ქიქოძის — „გაწერელია მეცნიერი, გაზ. „საბჭოთა აპარა“, 1959, 3 VI, № 108 (10660); ს. ჯაყელის — „კორნელი კეკელიძე“ გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959, VI № 68 (6670) „კორნელი კეკელიძე“, — გაზ. „ლაპარაკობს თბილისი“, 1959, 5 VI, № 23 (86); დოც. შ. ჩიქვიძის — უხუცესი მეცნიერი, გაზ. „კოლმეურნის ხმა“ 1959, 10, VI, № 69; Вечер, посвященный юбилею академика К. Кекелидзе, газ. „Советская Абхазия“, 1959, 21 X № 208 (10755); პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგის — „კორნელი კეკელიძე“, გაზ. „სოფეტაკან ვოასტან“ 1959, 7 VI, №130 (9043); ბ. ნიქუბას, — „კორნელი კეკელიძე“ გაზ. „აფსნი ყაფშ“, 1959, 21 X, №209 (8273), ლ. კიკინაძის — დიდი მეცნიერი, გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1954, 2 VII; აკადემიკოს კ. კეკელიძის დაბადების 80 წლისთავი, გაზ. „თბილისი“, 1959, 25 V, №121 (1819); აკადემიკოს კ. კეკელიძის იუბილე, გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959, 26 V, №62(6664); Юбилей К. С. Кекелидзе, газ. „Вечерний Тбилиси“, 1959, 26 V, № 122 (1817). პროფ. ა. შანიძის — დასახურებული მეცნიერი.

---118. ლ. მენაბდე—ქართული პავიოგრაფიის შესწავლის ისტორიიდან, გვ. 233—245; რ. მიმინოშვილი—კორნელი კეკელიძე—ქართულ-ბერძნული ლიტერატურული ურთიერთობის დიდი მკვლევარი. გვ. 263—276; ქსენია სიხარულიძე — კორნელი კეკელიძე და ქართული ხალხური შემოქმედების საკითხები, გვ. 305—319; ივ. სურგულაძე — კორნელი კეკელიძე და ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, გვ. 321—332; გიორგი ჭიბლაძე—ქართული ფილოლოგიის პატრიარქი, გვ. 425—449.

გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1959, 24 V, № 20(81); დოც. ლ. მენაბდის—დიდი ქართველი მეცნიერი, გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1959, 22 VI № 16 (257); კორნელი კეკელიძის იუბილე; გაზ. „ახალგაზრდა სტალინელი“, 1959, 22 VI. № 16 (257); დოც. ქ. სანიკიძის—გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, გაზ. „სტალინელი“, 1959, 20 VI, № 120 (7428); გ. აბზიანიძის—სასიკაძულო ქართველი მეცნიერი, გაზ. „თბილისი“, 1959 წ. 8 VI. № 133 (1831); И. Богомолов—Маститый ученый, газ. Молодой Сталинец“ 1959 г. 18 IV, № 47 (5277); ლ. ჭიჭინაძის—თქვენი მკვლევს იუბილე, გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1959 წ., 12 VI, № 24 (1252).

გარდაცვალება და დაკრძალვა

ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ უძძიმესი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი კორნელი სამსონის ძე კეკელიძე.

კ. კეკელიძე დაიბადა 1879 წლის 18 აპრილს სოფელ ტობანიერში (ვანის რაიონი) ხელმოკლე გლეხის ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. აქედან გადავიდა თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1893 წელს მონაწილეობდა სემინარიაელთა მღვლავარებაში. როგორც სასულიერო სასწავლებელში, ისე სემინარიაში იგი გამოირჩეოდა ნიჭითა და გულმოდგინებით. 1900 წელს მან სწავლა განაგრძო კიევის სასულიერო აკადემიაში სიტყვიერების ფაკულტეტზე. აკადემიაში თეოლოგიურ დისციპლინებთან ერთად ფართოდ ისწავლებოდა სამოქალაქო დისციპლინებიც, კერძოდ, ფილოლოგიის დარგიდან. კ. კეკელიძე იმთავითვე აქტიურად ჩაება სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობაში. აკადემიაში სწავლის დამთავრების შემდეგ აკადემიის საბჭოს დადგენილებით კ. კეკელიძე დატოვებულ იქნა პროფესორობისათვის მოსამზადებლად.

1904 წელს ქართული ლიტურგიკული ძეგლების შესახებ მან საკანდიდატო დისერტაციად წარადგინა ვრცელი ნაშრომი, რომელმაც გამოჩენილ მეცნიერ-სპეციალისტთა მეტად მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1908 წელს კ. კეკელიძემ ამავე თემაზე ბრწყინვალედ დიცვა სამაგისტრო დისერტაცია. ამის შემდეგ კ. კეკელიძე ზედიზედ აქვეყნებს დიდმნიშვნელოვან შრომებს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თანაც ეწევა ინტენსიურ და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას. თავისი ჩინებული გამოკვლევებითა და ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა მეცნიერულ-კრიტიკული პუბლიკაციებით კ. კეკელიძემ ახალგაზრდობიდანვე საქვეყნოდ გაითქვა სახელი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ახალი და განსაკუთრებით ნაყოფიერი პერიოდი კორნელი კეკელიძის მოღვაწეობაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და რომლის წინსვლა და წარმატების უდიდეს ბურჯთაგანი თვითონ იყო, ფრთები შეესხა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობას. აქ მისი თაოსნობით ყალიბდება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა, რომლის პირველი და უცვლელი ხელმძღვანელი იგი იყო საცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

კორნელი კეკელიძე ეკუთვნის იმ გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მეცნიერთა რიცხვს, რომლებიც არჩეულ იქნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველ შემადგენლობაში, როგორც აკადემიის დამფუძნებელი.

ფასდაუდებელია კორნელი კეკელიძის როლი და მნიშვნელობა მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი ქართული ლიტერატურის შესწავლაში. იგი არის ძველი ქართული მწერლობის ისტორიის ნამდვილი მეცნიერული შესწავლის ფუძემდებელი და უდიდესი მკვლევარი. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს ორასორმოცდაათზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი. მათ შორის ათობით ვრცელა მონოგრაფიული გამოკვლევა. ეს ნაშრომები, რომლებიც გამოირჩევა მასალის სიმდიდრითა და სიახლით, მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით, საფუძვლად დაედო მის საყოველთაოდ ცნობილ მონუმენტურ ორტომულს — „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ქართული საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის, მთელი ჩვენი მეცნიერების ამ ძვირფასი განძს.

კორნელი კეკელიძე იყო არაჩვეულებრივი ერუდიციისა და მეტად ფართო დიაპაზონის მკვლევარი. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის არაერთი პრობლემატური საკითხის გარკვევაში, სახელდობრ, გამოავლინა და შეისწავლა ბიზანტიური მწერლობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ძეგლები, რომელთა დედნები დაკარგულად ითვლება და რომლებიც შემონახული აღმოჩნდა მხოლოდ ქართულ ენაზე.

დიდია კორნელი კეკელიძის დამსახურება პედაგოგიურ ასპარეზზე. იგი გატაცებით ასწავლიდა ქართველ ახალგაზრდობას მშობლიურ ლიტერატურას და ღრმად უნერგავდა მის სიყვარულს. კორნელი კეკელიძემ აღზარდა ქართული ლიტერატურის ისტორიის მკვლევართა თაობები, რომლებიც მხარში ამოუდგნენ თავიანთ ღვაწლმოსილ მხცოვან მასწავლებელს და მისი უშუალო ხელმძღვა-

ნელობით ბევრი რამ გააკეთეს მეცნიერების ამ დარგის განვითარებისათვის.

უაღრესად თვალსაჩინოა კორნელი კეკელიძის ამაგი და დამსახურება საზოგადოებრივ საქმიანობაში, რომლისთვისაც, მიუხედავად ინტენსიური და დაძაბული მეცნიერული მუშაობისა, იგი ყოველთვის პოულობდა დროსა და ენერგიას და დიდი ხალისით ეწეოდა მას.

მრავალი წლის მანძილზე კორნელი კეკელიძე ნაყოფიერად იღწვოდა ფრიად პასუხსაგებ თანამდებობაზე მეცნიერების. განათლები-სა თუ კულტურის დარგში და აქაც პირნათლად, ჩვეული ენთუზიაზ-მით ემსახურებოდა ჩვენს ხალხს, სოციალისტურ სამშობლოს.

კორნელი კეკელიძე იყო ჭეშმარიტი პატრიოტი და დიდი მო-ქალაქე, რომელიც მეცნიერების უპირველეს მოვალეობად მიიჩნე-ვდა ხალხის უანგარო სამსახურს. მას ამკობდა იშვიათი გულისხმიერე-ბა, არაჩვეულებრივად მიმზიდველი უბრალოება და თავმდაბლობა, ამასთან შეურიგებელი პრინციპულობა და მკაცრი მომთხოვნელობა მუშაობაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდად აფასებ-დნენ და აფასებენ კორნელი კეკელიძის ღვაწლსა და ამაგს მეცნიე-რების წინაშე. მას მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებუ-ლი მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით, აგრეთვე შრომის წი-თელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით.

დიდი მეცნიერისა და მოქალაქის, სამშობლოს სამაგალითო მო-ქირნახულის კორნელი კეკელიძის ნათელი ხსოვნა მუდამ იცოცხ-ლებს ქართველი ხალხის გულში*.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის
ისტორიის ინსტიტუტი

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 10 VI, № 135 (12343).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და
მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და მინისტრთა საბჭო ღრმა
მწუხარებით იუწყებიან დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერის. სა-
ქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის. თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის უხუცესი პროფესორის
კორნელი სამსონის ძე კაკელიძის
ვარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

აკადემიკოს ა. ს. კაკელიძის დაკრძალვის მომწყობი კომისიის შემადგენელი
შეასახებ

შეიქმნა აკადემიკოს კ. ს. კეკელიძის დაკრძალვის მომწყობი კო-
მისია შემდეგი შემადგენლობით: გ. ს. ძოწენიძე, (თავმჯდომარე).
ი. ბ. აბაშიძე, ა. გ. ბარამიძე, ი. ს. დოლიძე, გ. ნ. ლე-
ონიძე, ა. ე. მელაძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, ა. გ. შა-
ნიძე, ე. კ. ხარაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით აკადემი-
კოს კ. ს. კეკელიძის დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო*.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებით იუ-
წყება, რომ ამა წლის 7 ივნისს გარდაიცვალა დიდი ქართველი საბჭო-
თა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემი-
კოსი, უნივერსიტეტის უხუცესი პროფესორი

კორნელი სამსონის ძე კაკელიძე

სამოქალაქო პანაშვიდი 9, 10 ივნისს საღამოს 8 საათზე განსვენ-
ებულს ბინაზე, პლემხანოვის პროსპექტი № 104.

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 9 VI, № 134 (12342), 12 VI, 136 (12344).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის

პორნალი სამსონის ძე აკაელიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს მწერალთა კავშირის უხუცესი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის

პორნალი სამსონის ძე აკაელიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს*.

აკადემიკოს ბ. ს. აკაელიძის ხსოვნის უკვდავოფის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კ. ს. კეკელიძის ხსოვნის უკვდავოფის შესახებ.

კ. ს. კეკელიძის სახელი მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტს. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს წინადადება მიეცა მიაკუთვნოს კ. ს. კეკელიძის სახელი ქალაქ თბილისის ერთ-ერთ ქუჩას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე დაწესდა კ. ს. კეკელიძის სახელობის ორი სტიპენდია.

მიღებულია გადაწყვეტილება უახლოეს წლებში დამთავრდეს კ. ს. კეკელიძის თხზულებათა კრებულის გამოცემა.

აკადემიკოს კ. ს. კეკელიძის საფლავზე დაიდგმება ბიუსტი*.

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 9 VI, № 134 (12342), 12 VI, 136 (12344).

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია 11 ივნისს საღამოს 8 საათზე, განსვენებულის ბინაზე (პლენანოვის პროსპექტი № 104).

12 ივნისს აკადემიკოს კ. ს. კეკელიძის ცხედარი დასვენებულ იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, სადაც შესვლა დაიწყება დღის 1 საათზე.

დაკრძალვა მოხდება 12 ივნისს საღამოს 6 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში.*

* * *

დიდი მწუხარებით გამოეთხოვენ 12 ივნისს საქართველოს მშრომელები გამოჩენილ ქართველ საბჭოთა მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს. რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უხუცეს პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს.

კუბო განსვენებულის ნეშტით დასვენებული იყო თბილისის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში. მწუხარების დუმილით ჩაუარეს კუბოს მეცნიერებმა და მუშებმა, სტუდენტებმა და კულტურის მოღვაწეებმა, მოსამსახურებმა და ნორჩმა პიონერებმა.

კ. ს. კეკელიძის კუბოსთან სამგლოვიარო ვახტზე იდგნენ დაკრძალვის მომწუხრი მთავრობის კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. ი. მუსხელიშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანი ს. კ. ჩხარტიშვილი და ე. ა. სალუქვაძე, ცნობილი მეცნიერები, მწერლები, კულტურის მოღვაწეები და სხვ.

განსვენებულის გამოსათხოვებლად მოვიდნენ ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, პ. ვ. კოვანოვი, გ. ა. გეგეშიძე, დ. გ. სტურუა, ვ. მ. სირაძე, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, ი. გ. რთველიაშვილი, რ. ი. ფრუიძე, გ. ი. ჩოგოვაძე, შ. ი. ჭანუყვაძე და ზ. ა. კვაჭაძე.

საღამოს 6 საათზე კუბო, რომელშიც აკადემიკოს კ. ს. კეკელიძის ცხედარი ასვენია, გამოაქვთ და დგამენ უნივერსიტეტის შენობის წინ მაღალ კვარცხლბეკზე.

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 10 № VI, № 135 (12343).

იწყება სამგლოვიარო მიტინგი. მიტინგი გახსნა დაკრძალვის მომწყობი კომისიის თავმჯდომარემ აკად. გ. ს. ძოწენიძემ*.

აკად. ზიორაგი ძოწენიძის სიტყვა

არა ერთი სახელოვანი შვილი მიიბარა მადლიანმა ქართულმა მიწამ. ქართველი ხალხის საყვარელ ადგილებად იქცა მთაწმინდისა და დიდუბის პანთეონები, სადაც ჩვენი ხალხის სასახელო ადამიანები განისვენებენ. მაგრამ, ქართული კულტურის და მეცნიერების ძირითადმა კერამ, უნივერსიტეტის ეზომ, მხოლოდ თრჯერ გადაიხსნა თავისი მკერდი, რათა ჩაეკრა გულში მისი შესანიშნავი შვილები: ივანე ჯავახიშვილი, უნივერსიტეტის დამაარსებელი და მეთაური, და პეტრე მელიქიშვილი, უნივერსიტეტის პირველი რექტორი.

დღეს მესამედ შეირხა უნივერსიტეტის ეზო იმისათვის, რომ მიიღოს თავის წიაღში შესანიშნავი მოქალაქე და ადამიანი, დიდი მეცნიერი და მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის დიდი თანამებრძოლი, სახელგანთქმული მეცნიერი კორნელი კეკელიძე.

ბოლო ხანებში კორნელი ხშირად ამბობდა: ჩემი ოცნებაა ყოველ დღე ვიჯდე უნივერსიტეტის ბაღში და ვტკბებოდე მისი მშვენიერებითო, და აი ეს ოცნებაც აუსრულდა მას. დღეიდან მას საშუალება ექნება უყუროს თავის საყვარელ უნივერსიტეტს, რომლის შექმნას და განვითარებას მოანდომა მან თავისი სიცოცხლის საუკეთესო ნაწილი: შეეხმიანოს მეცნიერებას დაწაფებულ სტუდენტ ახალგაზრდობას, რომლის აღზრდას ის თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე ემსახურებოდა. უნივერსიტეტი — ეს უდიდესი ძეგლია, რომელიც წილად ხვდა კორნელი კეკელიძეს ივანე ჯავახიშვილთან და პეტრე მელიქიშვილთან ერთად. ასე დააფასა საბჭოთა საქართველომ კორნელი კეკელიძის ღვაწლი თავისი ხალხის წინაშე.

აკად. მგვანი ხარაძის სიტყვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

პატივცემულო ამხანაგებო!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლობა, სტუდენტობა და თანამშრომელთა კოლექტივი— მთელ

* გაზ. „კომუნისტი“ 1962, 13 VI, № 137 (12345).

ქართველ საზოგადოებასთან ერთად — ემშვიდობება დღეს უნივერსიტეტის ერთ-ერთ დამაარსებელს, საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილ მოღვაწეს, ძველი ქართული ლიტერატურის მეცნიერული ისტორიის ფუძემდებელს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პარველივე შემადგენლობის აკადემიკოსს, უნივერსიტეტის უხუცეს პროფესორს **კორნელი კეკელიძე**ს.

ჯერ კიდევ ჩვენი უნივერსიტეტის დაარსებამდე, ძველი რეჟიმის პირობებში კორნელი კეკელიძემ დიდი შრომითა და შეუპოვრობით გაიკაფა გზა მეცნიერებისაკენ და მოიხვეჭა სახელი როგორც ძველი ქართული წერილობითი კულტურის გამოჩენილმა მკვლევარმა. უნივერსიტეტში კი, სადაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას შეექმნა კეთილმოყოფელი პირობები დიდი მეცნიერული მუშაობის გასაშლელად, უნივერსიტეტში, რომელიც მის თვალწინ დაიბადა, რომლის წინსვლისა და ზრდის ხელმძღვანელი მონაწილე იგი გახდა, კორნელი კეკელიძემ შექმნა ის დიდი განძი მეცნიერებაში, რომლითაც საბოლოოდ მოიპოვა ქართველი ხალხის საყოველთაო სიყვარული და უდიდესი პატივისცემა.

უნივერსიტეტის კედლებში, მისი დაარსების დღიდან გამუდმებით ეწეოდა კორნელი კეკელიძე მეცნიერ-მასწავლებლის უანგარო, ქართული კულტურის უდიდესი სიყვარულით გამსჭვალულს. ნაყოფიერ მოღვაწეობას, შეუცვლელად განაგებდა მის მიერ შექმნილს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას.

აქ მუშაობით შემატა მან ქართულსა და მსოფლიო ფილოლოგიურ მეცნიერებას ორი ასეული სამეცნიერო ნაშრომი. ძველი ქართული მწერლობისადმი მიძღვნილ ამ ნაშრომებში გამოამჟღეურა მან ქართული სულიერი კულტურის დიდებულ საგანძური, აღმოაჩინა და გამოაქვეყნა მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ძეგლები და ახლებურად გააშუქა არაერთი რთული პრობლემა. მრავალი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად კ. კეკელიძემ შექმნა კაპიტალური ნაშრომი „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ნათლად ასახავს ჩვენი მშობლიური ლიტერატურის განვითარების გზებს, გვაწვდის მდიდარსა და მრავალფეროვან მასალას, გვაძლევს ჩვენი ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შემოქმედებითი პროცესის მეცნიერულ ანალიზს. მსოფლიო ლიტერატურის ისტორია მან გაამდიდრა აგრეთვე ბიზანტიური მწერლობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ძეგლების გამოვლინება-შესწავლით. რომელნიც შემონახულნი აღმოჩნდნენ მხოლოდ ქართულ თარგმანებში.

ქ. კეკელიძის ნაშრომების მნიშვნელობა სცილდება ქართულის ფარგლებს. ამიტომაც, რომ მისი ბევრი გამოკვლევა თარგმნილია უცხო ენებზე.

ფასდაუდებელია კორნელი კეკელიძის ღვაწლი პედაგოგიურ ასპარეზზე. იგი გატაცებით ასწავლიდა ქართველ ახალგაზრდობას მშობლიურ ლიტერატურას და არა მარტო დარიგებით, არამედ უფრო მეტად პირადი მაგალითით, მეცნიერის მთელი მისი მიმზიდველი იერით, უნერგავდა შრომის, მეცნიერების. სამშობლოს სიყვარულს.

მრავლისმომცველი იყო კორნელი კეკელიძის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც. ის წლებს განმავლობაში ხელმძღვანელობდა, როგორც უნივერსიტეტის პრორექტორი, სასწავლო-სამეცნიერო დარგს, იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის პირველი დირექტორი. ის იყო ამიერკავკასიისა და საბჭოთა კავშირის ხალხების ძმური მეგობრობის იდეის მქადაგებელი და სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესების თავდადებული მებრძოლი მეცნიერი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს მსცოვანი მეცნიერის დიდი ღვაწლი და დამსახურება ქვეყნისა და ხალხის წინაშე. იგი დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, მედლებითა და საგულებით, თავის დროზე მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ამ სევდიან წუთებში, როცა აკადემიკოს ქ. კეკელიძის — ქართველი ხალხის ამ სასიქადულო შვილის ნეშტს მივაბარებთ მშობლიურ მიწას უნივერსიტეტის ეზოში, გვამხნევენს მტკიცე რწმენა იმისა. რომ მისი სახე, მიმზიდველი სახე ქვეშაირი პატრიოტისა და დიდი მეცნიერ-მოქალაქისა. ხალხის უანგარო მსახურისა და თავმდაბალი, გულისხმიერი მასწავლებლისა — მომავალ თაობებში გადავა როგორც დიადი მისაბაძი მაგალითი და მისი მადლიანი ხელით მობნეული ცოდნის თესლი გაიხარებს და აღმოცენდება მრავალი ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდის შრომაში. რომელსაც საქიროებს და რომელსაც დიდის იმედით მოელის ნათელი მომავლის მშენებელი ჩვენი ხალხი.

მშვიდობით დიდო მოღვაწე. ქართველი ხალხის საამაყო შვილო, ძვირფასო კორნელი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია მთელ ქართველ ხალხთან ერთად დიდი მწუხარებით გლოვობს თავისი სიამაყისა და მშვენების კორნელი კეკელიძის დაკარგვას.

გარდაიცვალა თანამედროვე ქართველოლოგიის უპირველესი და უწარჩინებულესი სიბრძნისმეტყველი მოძღვარი, დაეცა ქართული კულტურის ისტორიის დიდი მემკვიდრე, უნივერსიტეტისა და აკადემიის... მეცნიერებათა ამ ორი დიდებული ტაძრის ქურუმთუხუცესი.

ქართველოლოგიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილის შემდეგ ქართულ საბჭოთა მეცნიერებას არ განუცდია ასეთი დიდი დანაკლისი.

კორნელი კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერების ფუძემდებელი და შემქმნელია. მისი კლასიკური შრომები, რომლებშიც გადაწყვეტილია ქართული კულტურის ისტორიის კარდინალური საკითხები ქართველოლოგიის უძვირფასესი საგანძურია. კორნელი კეკელიძე შუა საუკუნეების საქრისტიანო ლიტერატურის მსოფლიო ავტორიტეტია. ბიზანტიოლოგია დიდად დავალებულია აკად. კორნელი კეკელიძის შრომებით.

კ. კეკელიძე იყო დიდი ტექსტოლოგი და წყაროთმცოდნე. მის მიერ აღდგენილი და გამოცემული ტექსტები ქართული საისტორიო წყაროთმცოდნეობის დიდი შენაძენია. ერთ კარგ მამულიშვილს სასახლოდ მარტო ის ეყოფოდა, რაც კორნელი კეკელიძემ ქართული სჯულმდებლობის ისტორიის შესწავლისათვის გააკეთა.

დიდა კ. კეკელიძის დამსახურება ქართული საისტორიო წყაროების მეცნიერული კომენტარების დარგში. მან დაგვიტოვა „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებისა და ქართული ორიგინალური სასულიერო მწერლობის ცნობილ ნაწარმოებთა უზადო რუსული თარგმანები.

კორნელი კეკელიძემ საფუძვლიანად დაამკვიდრა ქართულ მეცნიერებაში დარბაისლური ქართული ენა. მის ნაშრომებში გაშლილია მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის მდიდარი მხატვრული ლექსიკა.

კორნელი კეკელიძე ახალგაზრდა თაობების დიდი აღმზრდელი იყო. მისი მოწაფეები, სახელგანთქმული მეცნიერები და მწერლები, ამჟამად ამშვენებენ ქართულ მეცნიერებასა და ლიტერატურას. იგი

იყო ბრწყინვალე ლექტორი, რომლის ლექციებში უხეად მოსჩქედდა დიდი ერუდიცია.

კორნელი კეკელიძე იყო დიდი პატრიოტი, იშვიათი ადამიანი და მოქალაქე, თავმდაბალი და გულისხმიერი მასწავლებელი. მეცნიერების უპირველეს დანიშნულებას იგი ხალხის სამსახურში ხედავდა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა ღვაწლმოსილ მეცნიერს 1959 წელს 80 წლის იუბილე გადაუხადა. იუბილარმა მისი ღვაწლის მაღალი შეფასებისათვის გულითადი მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას, ხოლო ჩვენს ახლანდელსა და მომავალ თაობებს უანდერძა: დაუცხრომლად განაგრძეთ ქართველოლოგიის საკითხების მეცნიერული კვლევა-ძიება, რათა ამ მუშაობის ცენტრმა სამშობლოს ფარგლებს გარეთ არ გადაინაცვლოს.

ჩვენო დიდო მოამაგვე, შენი სიცოცხლის ყოველი წუთი ძვირფასი იყო ქართული მეცნიერებისათვის. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში შენ, მძიმედ დაავადებულმა, ინტელექტისა და ნებისყოფის გასაოცარი სიმტკიცე გამოიჩინე.

სიკვდილმა გაცხოველებული მეცნიერული მუშაობის საგუნდავოზე მოგისწრო, როცა, მთელი სხეულის დაუძღურების მიუხედავად, შენი ნათელი გონება დიდი გატაცებით მუშაობდა საქვეყნოდ ცნობილი შენი ეტიუდების მე-9 ტომზე, რომელიც, საბედნიეროდ, დამთავრებული დაგვიტოვე.

დიდო მასწავლებლო, ორმოცდახუთი წელაწადი დაუცხრომლად ასაზრდოებდი ჩვენს მასაზრდოებელ დედას—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელმაც სანუქჟოდ აღასრულა შენი ანდერძი „დედაშვილობას, მეტს არ გთხოვ, შენს მიწას მიმაბარეო“. ამ წმიდათა წიაღში გარდაცვლილთ არ კრძალავენ. აქ მხოლოდ უკვდავნი განისვენებენ. შენი დიდი მეცნიერული ღვაწლით შენ მეორედ დაიბადე და ამიერიდან, როგორც უკვდავი, სამუდამოდ დაემკვიდრე ქართული მეცნიერების ურჩეულეს ქურუმთა ამ დიდებულ საყაენეში.

მაშ განისვენე მშვიდად, აქ, ორი დიდი მამულიშვილის—ქართველოლოგიის მამამთავრის ივანე ჯავახიშვილისა და სახელგანთქმული მეცნიერის პეტრე მელიქიშვილის გვერდით. დიდი ივანეს შუქი შორს, ძალუმად და მრავალმხრივ ანათებს. ეს შუქი ძალასა და სინათლეს მატებს შენს უკვდავ სახეს. თითქოს საგანგებოდ თქვენზე უთქვამს ერის დიდებას რუსთაველს:

„მთვარე ცისკრისა ვარსკვლავსა რა თანა-შეესწოროსა,
ორნივე სწორად ნათობენ, მოქშორდეს მოეშოროსა“.

თქვენ მარადჩაუქრობელ შუქურად დარჩებით. ჩვენი ასალგა-
ზრდობისათვის, ჩვენი მომავალი თაობებისათვის.

მწვიდობით, ჩვენო დიდო მოძღვარო, მამასავით საყვარელო
ძვირფასო კორნელი*.

აბაღ. ირაკლი აბაშიძის სიტყვა

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი

შენი დაკარგვით ძმომე სატკივარი უპირველესად ქართულმა
მწერლობამ იგრძნო, ძვირფასი კორნელი! ქართულმა მწერლობამ,
რომლის დიდებული ტრადიციების კვლევასა და გამოჩინებას შენ გა-
ნუზომლად დიდი ამაგი დასდე, შენს სულით მდიდრულ, დიდი მეც-
ნიერის ჰეშმარიტი შთაგონებით ამაღლებულ ცხოვრებაში.

შენა ხარ ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მხატვრული მწერლობის
ნამდვილი მეცნიერული ისტორიის მამა. შენ დაადგი გვირგვინი ქარ-
თული მწერლობის დიდებული ისტორიის სისტემაში მოყვანის საშ-
ვილიშვილო საქმეს. და ეს განა მართო ჩვენი მხატვრული მწერლო-
ბის ისტორიაა? შენ ჩვენი კულტურის უძველესი ფესვების წვდომის
გასაოცარი უნარით, საუკუნეების ბინდ-ბუნდში როგორც გამჭვარ-
ვალე შინაში მჭვრეტელი თვალთ, გამოცდილი არქეოლოგიის მზრუ-
ნველი ხელით ამოხიდე და თვალწინ გადაგვიშალე ჩვენი ერის სუ-
ლიერი ცხოვრების ყოველი დარგის მაღალი ტრადიციები. შენ აამე-
ტყველე არა მართო მხატვრული. არამედ ჩვენი პოლიტიკური, ფი-
ლოსოფიური, თეოლოგიური, იურიდიული ცხოვრების უკვდავი ძეგ-
ლები. შენ შენი სულიერი ძმის ივანე ჯავახიშვილის მსგავსად უტყუარ-
ი საბუთებით, ისე როგორც ეს ჰეშმარიტად დიდ მეცნიერს შეეფე-
რება, გვიამბე ყველაფერზე: რაც კარგი და ლამაზი შეუქმნია ქართ-
ველ კაცს, რაც ჩვენს წინაპრებს მსოფლიო კულტურის საგანძურში
შეუტანიათ.

შენ გაუთქვი სახელი ჩვენს ქართულ სამამულო მეცნიერებას
მსოფლიო ასპარეზზე. შენ გამოაჩინე კაცობრიობის წინაშე ქართუ-
ლი მწერლობის მთელი ბრწყინვალეობა, სიდიადე რუსთაველის მზიუ

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერე-
ბათა განყოფილების „მოამბე“, 1962, № 2, გვ. 257.

რი გენიისა, ძველი ქართული დიდი ოსტატების ქმნილებებისა, რომლებიც ნათელი აზრის შუქურებად დგანან საუკუნეებში.

ვის შეუძლიან, რა სასწაულმომქმედ მანქანას, დღესვე ერთბაშად აწონოს შენი დიდებული ღვაწლი და სანამ შენ ჯერ კიდევ ჩვენს შორის ხარ, დააფასოს და ორ სიტყვაში გითხრას ამ ღვაწლის შესაფერი მადლობა. მაგრამ ამ მადლობას არც გვთხოვდი და არცა გვთხოვ ისე, როგორც სამარის კართან არ სთხოვს მადლობას საკუთარ შვილებს მშობელი მამა, მშობლიური მზრუნველობისათვის. შენ ამ ღვაწლს. შენ ცხოვრებად თვლიდი, მოვალეობად სთვლიდი შენი ქვეყნის წინაშე ილიასებურად, აკაკისებურად. ივანე ჯავახიშვილისებურად.

შენი ხნის კაცზე აღარ იტყვიან უდროოდ დავკარგეთ, მაგრამ შენისთანა კაცი ქვეყნისათვის ყოველთვის უდროოდაა დააარგული. ჩვენს კულტურას, ჩვენს მწერლობას, ჩვენი ქვეყნის წარსულის საუნჯეთა კვლევის საქმეს კიდევ დიდხანს სჭირდებოდა შენი ძლევამოსილი გონება, შენი მახვილად მხედველი თვალი, შენი შთამაგონებელი სიტყვა. კიდევ დიდხანს, სანამ ჯერ კიდევ იქ ყველაფერი ცნობილი და ნათელი არ არის. დე, შენმა შვილებმა, შენმა მოწაფეებმა განაგრძონ შენგან დიდებულად თავდადებული საქმე.

უსაზღვროდ მადლიერი ქართული მწერლობა თავს იხრის შენს ცხედართან.

მშვიდობით, ძვირფასო კორნელი! ნეტავ მას, ვინც შენგვარად აღასრულებს თავის ვალს სამშობლო ქვეყნის წინაშე.

ააად. გიორგი ლეონიძის სიტყვა

საქართველოს სახალხო პოეტი, რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორი

ძვირფასო მეგობრებო!

დღეიდან აქ, ამ ეზოში, აღიმართება საფლავი. რომელსაც პატივით უნდა მიმართოს თვალნი თითოეულმა ქართველმა. ამ დიდად ვალმოხდილი მამულიშვილი მოღვაწე მეცნიერის საფლავზე უნდა დაფიქრდეს ჩვენი ახალგაზრდობა. ამ სამართით უნდა იამაყოს ერმა. ასეთი სამარეები ერის სიცოცხლეს ლაღადებენ.

დავკარგეთ ბუმბერაზი მაძიებელი, დიდი მკვლევარი-მელაღადასე ძველი ქართველი ლიტერატურისა, ვისიც მადლიანი ნიქი და უმაგალითო შრომა ეთაყვანებოდა ქართულ მწერლობას. ქართველი ხალხის სულის გონების და ნების ამსახველს, რომელიც დიდი მგრძნო-

ბიერებით ემსახურებოდა ქართული კულტურის ისტორიას, ქართულ სიტყვას, ქართულს აზრს!

კორნელი კეკელიძე ეკუთვნის საქართველოს დიდ მწერალთა, ფილოსოფოსთა, მეისტორიეთა, თარგმანთა, გამომეძიებელთა დიდ რაზმს, ვინც დათესა ცრემლი და მოიმკო ღვაწლი.

კორნელი კეკელიძის კალამი გადაწვდა მსოფლიო კულტურის საკითხებსაც. კეკელიძემ დაგვანახა თუ რა დიდი საუნჯე შეუტანია ძველ ქართულ მწერლობას მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიაში. კერძოდ ქართველების მონაწილეობა ბერძნულ-ბიზანტიური კულტურის შექმნაში.—ჩვენი პატარა სამშობლო უდაო მეტოქეობას უწევდა ისეთ დიდ ქვეყანას, როგორც იყო ბიზანტია. -- სიამაყით აცხადებდა იგი.

კორნელი კეკელიძემ დაგვანახვა, თუ როგორ თვალ-ყურს ადევნებდა ყოველთვის საქართველო მსოფლიო კულტურის მონაპოვარს და როგორ იცავდა იმავე ღროს თავის დამოუკიდებლობას—თვით-მყოფობას.

კორნელი კეკელიძის ნაშრომებიდან მარტო ერთი მისი ქართული ლიტერატურის ისტორია იყო საკმარისი, რომ ჩამომავლობის მადლიერ ხსოვნაში გადასულიყო მისი სახელი. და აკი ამ შრომამ კიდევაც ათქმევინა უცხოელ მეცნიერებს, რომ კეკელიძის ქართული ლიტერატურის ისტორია არის დასაბუთება საქართველოს ინტელექტუალურ ღირსებათაო.

გონებამკვეთრო, მაღალ შრომათა მკვლევარო, ღრმად მწერალო, დიდო მხედველო წინაპართა ღვაწლისა, მისი სიღრმისა და ძალისა, ბერო გუთნის დედავ, ძვირფასო კორნელი! ბევრი ყამირი გასტეხე, გადახან და მრავალფერი ნაყოფი ააღორძინე და ჩვენ მოგვართველიანე. „არა რაი არის ესრე ტკბილი, ვითარცა სიყვარული მამულისა“! ამ ძველ ქართულ აღთქმას, ამ სიყვარულს შენ ყველაფერი შესწირე. დღესაც და ხვალაც ბევრი გეტყვის შემსგავსებულ სიტყვას. მაგრამ ყველაზე მკვერმეტყველი იქნება თვით შენი საქმენი და შრომანი, შენი დაუცხრომელი კვლევანი და ძიებანი.

და მართლაც, ვის უქნია შენოდნობა შენ დარგში? ვინ ამალღდა ასე? სახელწოდებანი შენი ნაშრომებისა არის ტროფეი ქართული საბჭოთა მეცნიერებისა. შენ სიმაშვრალით დაიძინე, მაგრამ ღვიძავს შენს ღვაწლს. ერის სიყვარულს სიკვდილი ვერ შეეხება!

შენ ქართული უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფუძემდებელს, შენს დიდ ძმასთან ივანე ჯავახიშვილთან ერთად უზომო ტრფიალებით გიყვარდა იგი და შენი სურვილი იყო თვით მის გვერდით შერთვოდი მშობელ მიწას.

აჰა, აგისრულდა ნატვრა! აკი ამ ტაძრის ლამაზ მიწას შეესაკუთრე, შეუწიალდი, რათა თვით შენს ფერფლსაც კი მუდამ სმენოდეს ახალგაზრდობის გუგუნია, ჭაბუკთა ყიჟინა. სიცოცხლის ფეთქა. შემოქმედებაც ხომ სწორედ იქ არის. საღაც სიცოცხლეა და შენ ხომ დიდი შემოქმედი იყავი!

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. რომელსაც შენ დაუდევ ბალავარი, რომლის მოყვარული მამა იყავი, დაგტირის. როგორც პირმშო შვილი.

ვილა ვასტენს ახალ ახოს შენებებრად? ვილა გამარგლის შენსავით მეცნიერების ყანას? ვილა მორწყავს, ვინლა დაათავავენბს?

მაგრამ ნუ ვიტყვით ობლობას! კორნელი კეკელიძის დიდ საყვარულს სამშობლოსა და მეცნიერებისადმი იტვირთავენ მისი მემკვიდრე მოწაფეები, ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერები და მხნეობით წაიღებენ მის დროშას.

ხსენება და დიდება, სამუდამო მშვიდობა დიდ მეცნიერს. ხოლო ჩვენ წავიდეთ უფრო წინ! გავძლიერდეთ შრომით, რათა ჩვენც შეგვეტანოს ღირსეული წვლილი ეროვნული კულტურის საგანძურში და მოჭირნახულე კორნელი კეკელიძის სახელი დეე ყოფილიყოს ჩვენი გამამხნეებელი და გზის წინა გამკაფავი!

დიდება მის სახელს!

მშვიდობა დიდო მასწავლებლო!

პროფ. ვერვან სეზაკის სიტყვა

სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

Дорогие друзья!

Президиум Академии наук Армении, ректорат Ереванского университета поручили мне проводить в последний путь дорогого друга, одного из выдающихся сыновей грузинского народа, маститого ученого Корнелия Кекелидзе.

Я не буду перечислять его заслуги перед своим народом, перед грузинской филологией, перед мировой наукой; об этом здесь уже кое что было сказано, но все равно полностью рассказать об этом невозможно. Я только хочу отметить, что ученые Армении вместе с грузинскими учеными, вместе с братским грузинским народом, переживают горечь тяжелой утраты, сознают понесенную нами огромную потерю. Но утешением нам должно послужить то, что наш дорогой учитель, редкий человек, профессор-академик Корнелий Кекелидзе, ос-

тавляя своих друзей и семью, уходя от Академии наук Грузинской ССР, от своих друзей академиков и коллег, вершел в ту вечную академию, где в нетленной славе живут Петриши, Руставели, Саба-Сулхан Орбелиани, Акакий, Илья, Джавахишвили, Меликшвили и многие другие лучшие сыновья грузинского народа, где нет смерти... Пусть это послужит нам отрадой!

ძვირფასო დიდო მასწავლებლო, ძვირფასო მეგობარო, სომხურად გეტყვი: დაე მსუბუქი იყოს მიწა თქვენს საფლავზე, საქართველოს მიწა, თქვენი სამშობლოს მიწა, დედამიწა.

აააღ. ალექსანდრე ბარამიძის სიტყვა
კ. კეკელიძის მოწაფე

ახალი ქართული კულტურის დიადი კერა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამუდამოდ იბარებს თავის ბაღნარში ბუმბერაზ ქართველ მეცნიერსა და შესანიშნავ საბჭოთა მოქალაქეს — კორნელი სამსონის ძე კეკელიძეს.

მშობლიური ქვეყანა უზომო გულისტკივილით ეთხოვება ღვაწლმოსილ სასიქადულო შვილს. ქართველ მეცნიერთა დამგლოვიარებულ ოჯახს გამოაკლდა დამამშვენებელი წევრი. ჩვენ კი, მის მოწაფეებს, გვმორდება უსაყვარლესი პროფესორი, მასწავლებელი, მამა.

მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ჭაბუკობის წლებიდან მოკიდებული თითქმის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, კ. კეკელიძე თავდადებულად ემსახურებოდა მდიდარი და მრავალსაუკუნოვანი ქართული სულიერი კულტურის მეცნიერულად შესწავლის კეთილშობილურ საქმეს. მძიმედ ავადმყოფი, თავის საბედისწერო სავარძელს მიჯაჭვული, მაგრამ სულიერად მხნე და გონებით ნათელმხედველი. ოდნავადაც არ ანელებდა დაძაბულ შრომას. მკაცრი აკრძალვის მიუხედავად, დროს იპარავდა, კალამს არ ელეოდა, ჩასჩიჩინებდა წიგნებს. ასწორებდა ეტიუდების ახალი ტომის საკორექტურო ფურცლებს, ამოწმებდა და აზუსტებდა შემდეგი ტომის მასალებს. სამერმისო საკვლევა-ძიებო და საგამომცემლო გეგმებს ადგენდა. თანაც წუხდა, დელავდა, შფოთავდა. შფოთავდა, რომ მოუძღვრებელი სხეული ბორკავდა და გასაქანს არ აძლევდა, ფრთებს აკვეცდა მის სამეცნიერო-შემოქმედებითს აღმაფრენას. წუხდა. უზომოდ წუხდა, რომ განუხორციელებელი რჩებოდა ბევრი ნაფიქრ-ნააზრევი, ბევრი ნაოცნებარი. მისთვის ჩვეული ენერჯითა და შემართებით ავადმყო-

ფი მკვლევარი გულდაგულ ებრძოდა მისი სადგომის კარებზე მომდგარი სიკვდილის აჩრდილს.

ბუნების ულმობელმა კანონებმა მაინც თავისი გაატანეს. 7 ივნისის დღის მიწურულში ჩაქრა დიდი ნათელი სიცოცხლე. შეწყდა მაქისცემა, დაწყნარდა მშფოთვარე გული.

ამიერიდან კ. კეკელიძე ისტორიას ეკუთვნის.

ერთი შეხედვით კუშტი და გულჩათსრობილი. სინამდვილეში— მიზიდიველი, თბილი, კეთილი, მოყვარული, მგრძობიარე. ზოგჯერ გულჩვილი, თავმდაბალი, თავაზიანი. მაგრამ პრინციპული, პირდაპირი, შეუპოვარი და უკომპრომისო — ასე გვეხატება ჩვენ კორნელი კეკელიძე როგორც ადამიანი და როგორც მეცნიერი.

ჩვენი მწერლობის დიდი მკვლევარის სამაგალითო სიტყვა და საქმე შორს გაცდა მშობლიური მეცნიერების ფარგლებს. მან თვალსაჩინო წვლილი შეიტანა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიის საგანძურშიც.

თავისი ბრწყინვალე გამოკვლევებით კ. კეკელიძემ თავიც ისახელა და მშობლიური ქვეყანაც ასახელა. მან აამალა ქართული მეცნიერული ფილოლოგიის პრესტიჟი და განამტკიცა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი, სამაგიეროდ ქართველი ხალხის ღრმა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა.

კ. კეკელიძის ნათელი სახე უკვდავი იქნება ერის ხსნოვნაში. მაგრამ რა შეუწელებს მწუხარებას მის მოწაფეებს?

მშვიდობით ჩვენო მეცნიერების სიამაყე და ჩემო ძვირფასო მასწავლებლო!*

ამხ. ალექსანდრე ნაფიჩაძის სიტყვა

ვანის რაიონის მშრომელთა წარმომადგენელი

ძვირფასო პატივცემულო კორნელი!

მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ჩვენ. თქვენი რაიონის შვილები. ვწუხვართ და მძიმედ განვიცდით ამ უალრესად დიდ დანაკლისს. ეს დანაკლისი ვის არ ეკუთვნის პატივცემულო მეცნიერო, ვის არ აწუხებს. თქვენ ხომ ჩვენი ერის სიმაყე ხართ. თქვენ ხომ ის ხართ. ვინც დაულალავად, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იღწვოდა ქართული კულტურის, მისი მდიდარი წარსულისა და ბედნიერი მომავლისათვის. თქვენ ხომ ისა ხართ. ვინც ქართული მდიდარი მწერლობა გააცნო მთელ მსოფლიოს.

* „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, 15 VI, № 25 (1299).

ძვირფასო კორნელი! რა სისარულით მოვდიოდით ჩვენ სამი წლის უკან თქვენს იუბილეზე. მაშინ ვანელმა მშრომელებმა გამოგვგზავნეს და გამოგვატანეს თქვენდამი ღრმა საყვარული და პატივისცემა. მიტინგიც მოვიწვიეთ, კოლმეურნეობის საპატიო წევრადაც ავირჩიეს, ვანური ღვინოც გამოგვატანეს — ჩვენს კორნელს გაეხარებოდა. მაგრამ დღეს იმავე მშრომელების სახეზე ცრემლები სდის. ერთმად გაიძახიან — აღარ გვყავს ჩვენი სოფლის თავი კაცი, ჩვენი საყვარელი, ჩვენი მოამაგე, ჩვენი მამა და დამრიგებელი კორნელიო. გვთხრეს და გვთხოვეს ბევრი ვიტყვიოთ იმიტომ, რომ ჩვენი ცრემლით მათი ცრემლებაც გამოვხატოთ.

დიდო მეცნიერო! შენ გიყვარდა შემოქმედი ადამიანები. თქვენ ხშირად იგონებდით ჩვენი რაიონის სახელოვან შვილებსაც და როცა საყვარელი ვალაკტიონის გარდაცვალება ვახსენეთ, თქვენ თქვით, რომ ვალაკტიონი არ მომკვდარა, იგი არასოდეს არ მოკვდებოდა, ის მარად იცოცხლებსო.

ახლა თქვენ მოგმართავთ ძვირფასო მოამაგე! თქვენ არ მომკვდარხართ. არც არასოდეს მოკვდებით. თქვენ მუდამ იცოცხლებთ. ამის თავდება თქვენი მდიდარი შემოქმედება.

თქვენ ჩვენს ხალხს, ჩვენს ახალგაზრდობას დაუტოვეთ ნოყიერი საკვები თქვენი შემოქმედება და ამ საკვებს. ამ სულიერ საზრდოს ისინი გამოიყენებენ ისე, როგორადაც თქვენ გსურდათ.

უკანასკნელად გეთხოვები ჩვენი რაიონის სახელოვანო ადამიანო, ჩვენო სპეტაკო მოხუცო! იძინე მარად და ეს თქვენი სახელოვანი გზა იყოს სიმბოლო და შექუჩა მომავალი თაობებისათვის.

მშვიდობით. მშვიდობით ჩვენო საყვარელო კორნელი.

აბხ. გურამ შარაძის სიტყვა

თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი

შეწყდა სიცოცხლე ჩვენი მასწავლებლის, დიდი მეცნიერისა და ადამიანის. რამაც ახალგაზრდას. ყველა ქართველს, ქართული კულტურის ყოველ მოამაგეს თუ მოტრფიალეს გული ჩაწყვიტა.

განსაკუთრებით ძნელია ლაპარაკი სულის ნაღველის ამ უმძიმეს წუთებში, როდესაც ვდგავართ იმ დიდი მეცნიერისა და ადამიანის ცხედრის წინაშე, რომელმაც საძირკველი დაუდო ჩვენს უნივერსიტეტს, წინ წასწია და გააფართოვა ქართული მეცნიერების მრავალი

დარგი, ქართულ ფილოლოგიურ აზროვნებას თავისი უზარმაზარ ერუდიციითა და ნიჭიერებით მსოფლიო რეზონანსი მოუპოვა.

ჩემი თაობა ბედნიერია იმით, რომ მოესწრო კორნელი კეკელიძის ლამაზ სიცოცხლეს. უნივერსიტეტში ჩვენი შემოსვლის ფეხბედნიერი მეკვლე სწორედ ის იყო. პირველი ლექციის წინ გამოგვიცხადეს: თქვენს მოსასალმებლად პროფესორი კორნელი კეკელიძე მობრძანდებოა. აუდიტორიაში შემოვიდა დარბაისელი მოხუცი. იგი გველაპარაკებოდა უნივერსიტეტის სტუდენტის მაღალ სახელზე, გვილოცავდა არჩეულ გზას და ბოლოს ასე დაამთავრა: თქვენ შემოდხართ უნივერსიტეტში, ცოდნის წმიდათა წმიდა ტაძარში, კარგად შეიგნეთ თქვენი მოვალეობის გრძნობა და დაეწაფეთ მეცნიერებასო.

პროფ. კ. კეკელიძე ახალგაზრდობის დიდი მეგობარი, მასწავლებელი და აღმზრდელი იყო. იგი წარმართავდა სტუდენტთა სამეცნიერო მუშაობას, ყოველი მისი გამოსვლა, საგულისხმო რჩევა, აზრისა და ცოდნის ნამდვილ ზეიმად იქცეოდა.

ძველთაგანვეა ცნობილი: „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“. კორნელი კეკელიძის დიდმა შემოქმედებამ, დიდებულმა საქმემ და ნიჭმა გამოაჩინა არა მარტო მისი ბუნების სიფაქიზე და სიდარბაისლე, არამედ ქართული ენის, ქართველი ერის ისტორიისა და ლიტერატურის სიკეთე და კეთილშობილება.

თავისი პიროვნებით, თავისი ნააზრევით, მონუმენტური შრომებითა და გამოკვლევებით კორნელი კეკელიძე ყოველთვის აღკვაფრთოვანებდა და მშობლიური კულტურისათვის თავდადების, ხალხის უანგარო სამსახურის, განუწყვეტელი შრომის მაგალითს გვაძლევდა.

იგი იყო მეოცე საუკუნის ქართული მეცნიერების ერთ-ერთი დედაბოძი. მან გააფართოვა ჩვენი სულიერი კულტურისა და აზროვნების წრე, ცოდნის სადავე ხელში მისცა ჩვენს ახალგაზრდობას და მოგვიწოდდა, რომ ქართული მრავალსაუკუნოვანი მდიდარი კულტურის შესწავლაში მუდამ ვიდგეთ მოწინავე რიგებში.

გეთხოვებით დიდო მეცნიერო და ადამიანო!*

მიტინგი დამთავრდა. კუბო სამარეში ჩაასვენეს უნივერსიტეტის ეზოში ი. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა და პ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი ს საფლავების გვერდით.

* გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“. 1962, 16 VI, № 22 (375).

Госуниверситет, товaрнщу Харaдзе

Из Москвѣ — Постпредство Совета Министров Грузинской ССР при Совете Министров СССР выжарает соболезнование по поводу кончины видного ученого, профессора университета, академика Корнелия Самсоновича Кекелидзе.

Грузпостпред Артмеладзе.

პლენანოვის პროსპექტი 104,
აკადემიკოს კორნელი კეკელიძის
დაკრძალვის მომწყობ კომისიას

ბათუმიდან — აჭარის ასსრ, მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ღიდი ქართველი მეცნიერის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ღვაწლმოსილი პედაგოგის, უხუცესი პროფესორის, კორნელი სამსონის ძე კეკელიძის გარდაცვალების გამო.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დავითაძე.

საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტს მუსხელიშვილს

ქუთაისიდან — ქალაქ ქუთაისის მშრომელები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები უღრმეს მწუხარებას გამოთქვამენ ღიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის კორნელი სამსონის ძე კეკელიძის გარდაცვალების გამო. კეკელიძის გარდაცვალებით ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ ღიდი დანაკლისი განიცადა, მაგრამ მისი შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა მუდამ სამაგალითო დარჩება მეცნიერთა ახალი კადრებისათვის. კორნელი კეკელიძის ათელი ხსოვნა მუდამ იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში

საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის
მღივნები შ. კობახიძე, ს. ფხაკაძე.

მშრომელთა დეპუტატების ქუთაისის საქალაქო
საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე უ. ცვეტიანიძე.

ვ ა ნ ი დ ა ნ — ღრმა მწუხარებას გამოვსთქვამთ დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, თბილისის უნივერსიტეტის უზუცესი პროფესორის, ქართული კულტურისა და მეცნიერების დიდი ამაგდარის, ძვირფასი კორნელი კეკელიძის გარდაცვალების გამო.

საქართველოს კპ ვანის რაიკომი.

ვანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს
აღმასკომი.

Университет, Харадзе

Из Москвы — Министерство с прискорбием узнало о смерти старейшего профессора Тбилисского университета Корнелия Самсоновича Кекелидзе и выражает глубокое соболезнование коллективу университета и семье покойного.

Минвуз В. Елютин.

Ректору университета академику
Харадзе

Из Киева — Писатели Советской Украины глубоко скорбят в связи с утратой выдающегося грузинского советского ученого, академика, общественного деятеля, большого друга Украины дорогого Корнелия Самсоновича Кекелидзе. Выражаем глубокое соболезнование семье, друзьям покойного и литераторам Грузии.

По поручению СП Украины
Бажан, Гончар, Збанацкий, Козаченко,
Тычина, Рыльский, Дмитерко, Воронько,
Косарик, Новицкий.

Университет, академику Харадзе

Из Москвы — Выражаем глубокое соболезнование по поводу кончины Корнелия Самсоновича Кекелидзе, выдающегося ученого, крупнейшего знатока древнегрузинской письменности, исследователя древней грузинской литературы, одного из старейших авторов советских энциклопедий.

Сов. энциклопедия Шаумян.

Государственный университет, ректору Харадзе

Из Москвы — Вместе с Вами глубоко скорбим по поводу кончины выдающегося советского ученого, автора замечательных трудов истории грузинской литературы академика Корнелия Самсоновича Кекелидзе. Выражаем искреннее соболезнование семье покойного, его друзьям, литературной общественности Грузии.

Редакция журнала «Вопросы литературы»
Гайсарьян.

Университет, ректору академику Харадзе

Из Новосибирска — Выражаю глубокое соболезнование по поводу кончины выдающегося ученого Корнелия Самсоновича Кекелидзе. Грузинский народ навсегда сохранит светлую память о своем выдающемся сыне, внесшем неоценимый вклад в дело изучения истории и литературы, его славного прошлого. Поистине счастливым был Корнелий Самсонович, что он был не только активным участником, но также свидетелем небывалого возрождения и расцвета науки и культуры любимой Родины. Товарищи по работе и ученики никогда не забудут замечательный образ прекрасного человека, друга и учителя Корнелия Самсоновича Кекелидзе. Выражаю искреннее сочувствие семье покойного.

Академик Векуа.

Наука, академику Мухелишвили

Из Еревана — Президиум и Отделение общественных наук Академии наук Армянской ССР глубоко скорбят по поводу кончины выдающегося советского грузинского ученого, крупнейшего специалиста истории грузинской литературы академика Академии наук Грузинской ССР Корнелия Самсоновича Кекелидзе. Научная общественность Республики выражает искреннее соболезнование ученым Грузии и семье покойного.

Президиум АН Армянской ССР,
Отделение общественных наук АН Армянской ССР.

Государственный университет,
Ректору академику Харадзе

Из Еревана — Наша научная общественность глубоко потрясена большой утратой братского грузинского народа, кончиной выдающегося ученого, крупного знатока грузинской литературы академика профессора Тбилисского универси-

тета Корнелия Кекелидзе. От имени ректората и профессорско-преподавательского состава Ереванского университета и от себя лично выражаю глубокую скорбь и прошу передать соболезнование семье покойного. Сожалею, что по состоянию здоровья не смогу приехать лично и присутствовать на похоронах.

Ректор, академик Арутюнян.

Университет, ректору
Евгению Кириловичу Харадзе

Из Еревана — Ученый Совет и весь коллектив Института литературы имени Абегиана Академии наук Армянской ССР глубоко скорбит по поводу смерти замечательного сына грузинского народа, выдающегося ученого академика Корнелия Самсоновича Кекелидзе. Пусть легка будет земля человеку, создавшему свою долгую прекрасную жизнь за расцвет культуры родного народа, за тесную духовную близость грузинского и армянского народов.

Директор Института Гурген Овнан.

Государственный университет

Из Баку — Ученые Академии наук Азербайджана глубоко скорбят о кончине выдающегося советского ученого, старейшего педагога, академика Корнелия Самсоновича Кекелидзе, имя которого заняло прочное место в числе замечательных ученых литературоведов. Своими трудами Корнелий Самсонович внес неоценимый вклад в дело изучения истории древнегрузинской литературы. Перу Корнелия Самсоновича так же принадлежат работы по литературным взаимосвязям грузинского и азербайджанского народов. Имя замечательного человека, прекрасного ученого, старейшего педагога Корнелия Самсоновича навсегда останется в памяти ученых Азербайджана.

Президент Академии наук Азербайджана Халилов.

Государственный университет,
Ректору академику Харадзе

Из Еревана — Глубоко потрясен кончиной маститого ученого, крупнейшего исследователя грузинской литературы, очаровательного человека, моего большого друга академика Корнелия Кекелидзе. Это большая потеря не только для гру-

зисского народа, но и для всех поклонников его блестящего таланта и неповторимой личности. Выражаю глубочайшую скорбь, разделяю Ваше тяжелое горе. Светлая память дорогого Корнелия Кекелидзе вечно будет жить в наших сердцах.

Проректор Ереванского университета
Ваче Налбандян.

Пр. Ильи Чавчавадзе I, Университет,
ректору академику Харадзе

Из Комарово-Ленинградской — Глубоко взволнован горестным известием о смерти выдающегося грузинского филолога академика Корнелия Самсоновича Кекелидзе. Позвольте мне разделить Вашу скорбь по этой огромной непознаваемой утрате.

Член корреспондент АН СССР
Берков.

Улица Плеханова 104, Кекелидзе

Из Москвы — Прошу принять мое искреннее соболезнование по поводу смерти дорогого всем нам академика Корнелия Самсоновича Кекелидзе. В его лице наука потеряла крупнейшего исследователя истории духовной культуры Грузии и Кавказа. Светлая память о нем долго будет жить в сердцах его почитателей учеников.

Член корреспондент Академии наук Армении
Еремян Сурен.


Университет, академику Харадзе

Из Москвы — Глубокоуважаемый Евгений Кириллович! С глубоким прискорбием узнал о смерти Корнелия Самсоновича Кекелидзе. Университет, грузинская наука и весь грузинский народ долго будут чувствовать горечь этой утраты. Склоняю голову перед могилой этого большого ученого и вдохновенного патриота. Примите выражение моего искреннего сочувствия. Прошу Вас передать мое соболезнование семье Кекелидзе.

Ираклий Андроников.

სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს აკადემიკოს
ევგენი ხარაძეს

თ ბ ი ლ ის ი დ ა ნ — ვიზიარებთ თქვენს და მშობლიური უნივერსიტეტის კოლექტივის განუსაზღვრელ მწუხარებას დიდი ქართ-
123



კ. კეკელიძე ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სამსახურის სხდომაზე



ქ. კვიციანი (1 რიგი, შუაში) ქართული ლიტერატურის ისტორიის

ველი მეცნიერის, უანგარო საზოგადო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის პროფესორ კორნელი კეკელიძის გარდაცვალების გამო. მისი ბრწყინვალე მეცნიერული შრომებია. მხნეობა, ძიების სიღრმე. მღუღარება სულისა, მუდამ მისაბაძი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის, მომავალი თაობისათვის*.

პროფესორი შალვა ამირანაშვილი.

წ ე რ ი ლ ე ბ ი

უკვდავი აზრის სვებიცხოველი

წავადა ჩვენგან ნათელი კაცი: ქვეყნის წინაშე სამავალითოდ ვალ-მოსდელი. დიდი ღვაწლით დამშვენებული.

უკვე კარგა ხანია ქართველ მეცნიერთა შორის არავინ ისე არ იწვევდა ჩემში მოწიწებასა და თაყვანისცემას, როგორც კორნელი კეკელიძე. და ივანე ჭავჭავაძის შემდეგ არც ერთი მათგანის სამღვაწეოდ გამოთხოვებას არ დაუწყვეტია გული ესოდენ მწარედ.

* მის ვარდა მიღებული იქნა სამძიმრის დეპეშები:

მოსკოვიდან — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილება: ვინოგრადოვი, ზრაპჩენკო, ბარხუდაროვი. იქიდანვე — მ. კორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტი, დირექტორი ანისიმოვი. იქიდანვე — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის კოლექტივის სახელით გაფუროვი. იქიდანვე — სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ბიზანტოლოგიის სექტორისა და ეურნ. „ვიზანტიისკი ერემენიკი“-ის რედაქციისაგან, უდალცოვა. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების ფუნდამენტალური ბიბლიოთეკა, დირექტორი შუნკოვა. ლენინგრადიდან — სსრკ აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილება, გამგის მოადგილე ლ. პეტროსიანი. — იქიდანვე — ლენინგრადის უნივერსიტეტი, რექტორი ალექსანდროვი. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზიის ხალხთა ინსტიტუტის კავკასიის კაბინეტი რ. ორბელი. საურ. კაკაბაძე, იუზბაშიანი, რუსინოვა. იქიდანვე — სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დეპუტატი ა. აბრამიშვილი. კიევიდან — კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. პარტკომი, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და პირადად რექტორი შვეცი რიგიდან — ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემია, პრეზიდენტი პლაუდე. ხარკოვიდან — ხარკოვის უნივერსიტეტი, რექტორი ლავრუშინი. ბაქოდან — აზერბაიჯანის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რექტორი მესხიევი, ფრუნზედან — ყირგიზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორი ტაბიშლიევი. დუშანბედან — ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება.

მადლიერი ქართველი ხალხი მდულარე ცრემლით. ღრმა სინანულით აცილებს თავის დიდებულ მოქირანახულეს. ჩვეულებრივ, ასეთი ხანდაზმული კაცის გარდაცვალებაზე, ჩვენი ძვირფასი კორნელი რომ ბრძანდებოდა, ნუგეშად იტყვიან ხოლმე: მაინც სანამდე უნდა ეცოცხლა, ცას ხომ არ გამოეკვრებოდაო. კორნელი კეკელიძის მიმართ კი წელთა სიმრავლე აბა რა სახსენებელია. მას ჩვენში ყველანი. მახლობელი თუ შორეული, მივსტირით როგორც უდროოდ და-
კარგულს.

აკადემიკოსი მუხამედოვი. ტ ა რ ტ უ დ ა ნ -- ტარტეს უნივერსიტეტის კოლექტივი, რექტორი კლემენტი. მ ი ნ ს კ ი დ ა ნ -- ბელორუსიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება. ტ ა შ კ ე ნ ტ ი დ ა ნ -- უზსეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილება, ზახილოვი. ა შ ხ ა ბ ა დ ი დ ა ნ -- თურქმენეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, პრეზიდენტი ბატიროვი. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- თურქმენეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი, რექტორი აზიშოვი. კ ი შ ი ნ ი ო ვ ი დ ა ნ -- კიშინიოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი, რექტორი ჩეპურნოვი. ლ ვ ო ვ ი დ ა ნ -- ლვოვის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რექტორი ლაზარენკო. პ ე რ მ ი დ ა ნ -- პერმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პრორექტორი ლაპკინი. პ ე ტ რ ო ზ ა ვ ო დ ს კ ი დ ა ნ -- პეტროზავოდსკის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი, პრორექტორი ვესელოვი. ნ ა ლ ჩ ი კ ი დ ა ნ -- კაბარდინო-ბალკარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პარტიზურ და ადგილკომი, რექტორი ბალკაროვი. ს ა მ ა რ ყ ა ნ დ ი დ ა ნ -- სამარყანდის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივი, რექტორი ტულაგანოვი. გ ო რ ი დ ა ნ -- ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, რექტორი გ. ხარაული. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, გამგე კ. გუგუშვილი. ბ ა თ უ მ ი დ ა ნ -- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო ცენტრითი ინსტიტუტის კოლექტივი, დირექტორი ა. ინაიშვილი, ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-ლექტორთა და სტუდენტთა სახელით რექტორი ქემხაძე. ს ო ხ უ მ ი დ ა ნ -- სოხუმის მ. გორკის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი და პროფესორ-მასწავლებლები, რექტორი დ. ძიძარია. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- სოხუმის მ. გორკის სახელობის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრები. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- საქართველოს სტატროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლექტივი, რექტორი გ. ბერაძე. თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ -- თუხუევის მუშაკები. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რექტორი ქორთუა. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა, გამგე ა. გვენცაძე. ც ხ ი ნ ვ ა ლ ი დ ა ნ -- საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო ცენტრითი ინსტიტუტი, გაბარაევი. ი ქ ი დ ა ნ ვ ე -- სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლობა და სტუდენტობა, რექტორი ცხოვრებოვი. ი ქ ი დ ა ნ ვ ე --

ასეა, ინტენსიური და დაძაბული შემოქმედება წლებს ხარბად შთანთქავს, დრო სწრაფად გადის. მოიხედავ უკან და, თითქოს არც გკერა, რა ბევრი ხანი გასულა. მაგრამ ნეტავი იმას, ვინც შემოქმედების ისეთი ხეავითა და ბარაქით დაუტვირთავს თავისი სიკოცხლის ყოველი წელი, დღე და საათი, როგორც კორნელი კეკელიძეს. მას გაწეული აქვს ჭეშმარიტად ტიტანური შრომა.

თავისი მაღალი ნიჭი და საოცარი უნარი დაუღალავი მუშაობის: კორნელი კეკელიძემ მთლიანად მოახმარა მშობელი ხალხის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის საქვეყნოდ გამომზეურებას. მან პირველმა იშვიათი მეცნიერული სიღრმითა და სისრულით გამოიკვლია მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობა და მიუჩინა მას — ერის დიდების. ამ საწყაულს — თავისი ღირსეული და მეტად საპატიო ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

კორნელი კეკელიძე იყო ერთი უმძლავრესი ბურჯთავანი მთელი ქართული საბჭოთა მეცნიერებისა, მისი ნამდვილი სიამაყე და მშვენიება. იგი იყო არაჩვეულებრივად ფართო დიაპაზონის მოღვაწე და დიდბუნებოვანი ადამიანი, რომელსაც ცხოვლად აინტერესებდა ჩვენში მეცნიერების ყოველი დარგის განვითარება და დაწინაურება, ჩვენი ხალხის ყოველი წარმატება.

მახსოვს, რაოდენი მზრუნველობით გვეკიდებოდა კორნელი კეკელიძე ახალგაზრდა ქართველ მათემატიკოსებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლის მთელს სამეცნიერო საქმიანობას იგი წლების განმავლობაში უძღვებოდა. მას არა ერთი ძვირფასი რჩევა მოუცია ჩვენთვის ქართული მათემატიკური ტერმინოლოგიის

სამხრეთ ოსეთის პედინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა. გამგე ო. ქაჯია. დ ი დ ი ჯ ი ხ ა ი შ ი დ ა ნ — დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორი, მასწავლებლობა და მოსწავლეთა კოლექტივი. ბ ა თ უ შ ი დ ა ნ — ი. ბოცვაძე; ა. ჩაველიშვილი. ლ ა ი თ უ რ ი დ ა ნ — ლაი-თურის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, დირექტორი კვიციანი. თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ — კახეთის ფოლკლორული ექსპედიცია. ქ უ თ ა ი ს ი დ ა ნ — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორაჟი და ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა. ი ქ ი დ ა ნ ე — ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის თანამშრომლების სახელით ქ. ნიკოლეიშვილი. ი ქ ი დ ა ნ ე — მასწავლებლთა დახელოვნების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის თანამშრომლები. შ ო ა კ ო ე ი დ ა ნ — ბლავი. ი ქ ი დ ა ნ ე — გ. მარგველაშვილი. ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი დ ა ნ — კრაჩკოვსკაია. კ ი ე ვ ი დ ა ნ — ე. და ი. კრამარენკოები. თ ბ ი ლ ს ი დ ა ნ — ა. ზურაბაშვილი. ი ქ ი დ ა ნ ე ე — ლ. ქიაჩელი. ქ უ თ ა ი ს ი დ ა ნ — მ. მრეკელიშვილი. ი ქ ი დ ა ნ ე ე — ქ. სანიკიძე. წ ყ ა ლ ტ უ ბ ო დ ა ნ — მ. ზანდუკელი. ზ უ გ დ ი დ ი დ ა ნ — შ. შენგელი. ჩ ა ქ ე ი დ ა ნ — იკად. ბახტაძე. ზ ო მ ლ ე თ ი დ ა ნ — ა. გოგუაძე.

შემუშავებისას. მისი გულისხმიერი მოპყრობა და თავაზიანი დახმარება შემდგომშიაც არ მოგვკლებია და მუდამ გვაძხვნივებდა. შემოქმედებითი შემართებისათვის ძალ-ღონეს გვმატებდა მე და ჩემ კოლეგებს.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დაკარგვა მეტად მძიმე დანაკლისია ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებრიობისათვის. მთელი ჩვენი ხალხისათვის. განსაკუთრებით მჭიმეა იგი ჩვენთვის, მისი პირადი მეგობრებისათვის. ძვირფას კორნელისთან ახალგაზრდობიდანვე დავკავშირებული ვიყავე გულითადი და სათუთი მეგობრობით. სხვანაირი მეგობრობა მას არც შეეძლო.

იგი დღეს აღარ გვყავს. მაგრამ დარჩა მისი უკვდავი ნაღვანე. რომელიც საუკუნეობით იბრწყინებს ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის შეურყეველ ნაშანსვეტად. მსგავსად სვეტიცხოვლის დიდებული ტაძრისა.

კორნელი კეკელიძე თვითონ არის ქართული აზრის სვეტიცხოველი*.

ნიკო მუსხელიშვილი,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი.

..ვიზიტი მსოფლიოთა და მათგანითი ყრმათა...“

წაიკა შეურყეველი სვეტი. ქართველმა ერმა დაკარგა დიდებული მოღვანე, ერთ-ერთი დიდი მშენებელი ქართული საბჭოთა მეცნიერებისა.

ჩავსვენა დიდი მნათობი.. აღმატებული მკვლევარი ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიისა, ქართული ფილოლოგიის ფუძემდებელი. დაუცსრომელი გამომეძიებელი, რომელმაც აღმოაჩინა და მსოფლიო მეცნიერებას შესძინა არა ერთი პირველხარისხოვანი ძეგლი ქართული საგანძურადან, რომელმაც ძლიერი ანალიტიკური გონებით ნათელი მოჰქინა და თავისი ადგილი მიუჩინა ამ ძეგლებს არა მარტო ქართული კულტურის ისტორიაში.

კორნელი კეკელიძემ აღამალა შარავანდედი ქართული მეცნიერებისა. მან ერთმა პირველთაგანმა შეძლო ეჩვენებინა ყველასათვის, რომ ქართულ ლიტერატურას აქვს არა მარტო ეროვნული მნიშვნელობა, არამედ მსოფლიო რეზონანსიც და იგი დიდად ეხმარება სხვა ხალხთა კულტურის ისტორიის შესწავლის საქმეს. სწორედ ამ დიდი

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 12 VI, № 136 (12344).

მეცნიერის ფუნდამენტალური შრომების წყალობით გახდა ნათელი ძველ ქართულ მწერლობაში შემონახულ უცხო ძეგლთა მნიშვნელობა მსოფლიო ლიტერატურისათვის.

კორნელი კეკელიძემ სახელი გაუთქვა ქართულ მეცნიერებას. ქართულ კულტურას და ხელი შეუწყო მოეპოვებინა კუთვნილი ადგილი საკაცობრიო კულტურის ისტორიაში. ამ მხრივ თასდაუღებელია კეკელიძის ღვაწლი ქართველი ერის წინაშე.

იგი იყო ნამდვილი მაძიებელი ქართული მარგალიტისა საქართველოს ძველი მემკვიდრეობის უნაპირო ზღვაში. რაძდესი აზრი, რამდენი მხატვრული სილამაზე ამოუზიდავს მას ნანგრევებიდან, წარსულის დავიწყების უფსკრულიდან. რომ ჩვენთვის კიდევ უფრო შეეყვარებინა აწმყო და დაეახლოვებინა მომავალი.

ჩვენ დიდად ვუმადლით მის დაუღლე მარჯვენას, რომელმაც შემოკრიბა მიმოფანტული ჩვენი საუნჯენი და დაახვავა დიდებად ერისა! ჩვენ ვუმადლით ბრწყინვალე გონებას, რომელმაც დიდი ნიჭიერებით გააშუქა. გაამზიურა იგი მონაპოვარი საამაყოდ ჩვენი ეროვნებისა!

ჩვენი გული აღსავსეა ღრმა მადლობით დიდი მეცნიერის კორნელი კეკელიძისადმი; მან აღზარდა მრავალი თაობა მეცნიერთა და გაატანა მადლი ქართული ეტრატისა. მან შექმნა შესანიშნავი კერა — რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი. რომელმაც მისი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საბჭოთა ლიტერატურული მეცნიერების განვითარებაში.

სწორედ კორნელი კეკელიძეზეა ზედგამოჭრილი ძველი ნათქვამი — „გვირგვინი მსცოვანთა და მაგალითი ყრმათა“. მისი მკლავი ჭეშმარიტად ნამგალი იყო ქართულ ყანაში. მისი შრომითი მხნეობა. მისი ფეხჩაუსრელობა მუდამ მისაბაძი იქნება ჩვენი ახალგაზრდობისათვის. მომავალი თაობებისათვის. ათასჯერ ღამენათევი იგი არ იყო ჩვეული უშრომელ დღეს. მან „არა სცა რული თვალთა თვისთა“.

მისი ჭაღარა შრომისა და ბრძოლის ქარცეცხლში გამოვლილი წმინდა ჭაღარაა. რომელიც სამკაულია ერისა. კორნელი კეკელიძე მუდამ ცხოვრობდა, მუშაობდა ინტენსიურად და ბოლო ამოქმენამდე არ ჩამქრალა მისი ნათელი გონება და ძლიერება სულისა!

რარიგ გვაამაყებს მისი თვალსაჩინო ნაამაგარი, ბასილ ზარზმელისა არ იყოს, „თუ ვითარ ტყბილად მშვენიერი დამწიფდა მტევანი მისთა ნამუშავეთა“...

კორნელი კეკელიძე მთელი სიცოცხლე ემსახურა ქართველ ერს წადიერებით, გულმოდგინებით, რუღუნებით, მღვიძარებით და მოსწრაფებით. მთელ მის ცხოვრებას შეიძლება ვუწოდოთ ღვაწლი და შრომა; იგი ეტოლება ძველ ქართველ დიდოსტატებს. ქართული აზ-

რის მნათობებს. წინამძღვრებს, ხუროთმოძღვრებს, რომელთაც თავიანთი მხრებით ზიდეს ქართული შემოქმედების სახელი და რომელთა ბრწყინვალე ღვაწლი მუდამ ჩაუქრობლად ენთება ქართველი ერის წინაშე*.

გიორგი ლეონიძე,

პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რუსთაველის სახელობის ქართულ ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის დირექტორი.

ქართული ფილოლოგიის მამა

უსაზღვრო მწუხარებით ემშვიდობება ქართული მწერლობა დღეს ჩვენი ლიტერატურის. ჩვენი კულტურის დიდ მოამაგეს კორნელი კეკელიძეს.

წავიდა ჩვენგან უბადლო მემატთანე მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისა, დაუცხრომელი მკვლევარი, შექმოსილი მეცნიერი.

თავისი გონების ძლევამოსილებით, ქვეყნისა და ხალხის საქმისათვის თავდადებით, თავისი ნათელი შთაგონებით კორნელი კეკელიძე თავად ჰგავდა იმ დიდებულ შემოქმედს, რომლებიც თხუთმეტ საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე თავიანთი ხელით ქმნიდნენ ქართული კულტურის ისტორიას. ბუმბერაზული იყო მათი შრომა, ფასდაუღებელი იყო მათი უძილო ღამეები; ეს უძილო ღამეები. რომ არა, ჩვენ არ გვექნებოდა ახლა არც ჩვენი კულტურა. არც ჩვენი ისტორია. დიახ, კორნელი კეკელიძე თავად იყო შემოქმედი ამ კულტურისა და ამ ისტორიისა ისევე, როგორც ის წინაპრები. რომელთა ღვაწლის კვლევას მან მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შეაღწია.

ისინი, ის ჩვენი წინაპრები იმ დროის. ძველი საქართველოს კორნელი კეკელიძეები და ივანე ჯავახიშვილები იყვნენ, და საგნებით ბუნებრივია გრძნობა იმისა, რომ ჩვენ მათს ნაწარმოებში სტრიქონსა და სტრიქონს შუა ვხედავთ. როგორ დარწმუნებით გულისხმობენ და სშირად შორიდან. საუკუნეების სიღრმიდან ელაპარაკებიან კიდევ თავიანთი საქმის განმგრძობთ, თავიანთ მომავალს. ღრმად დარწმუნებულნი, რომ მემკვიდრენი ყოველ სიტყვას გაუგებენ მათ და საკაცობრიო სარბიელზე გამოსულ ქართულ აზრს კიდევ უფრო ფართო სარბიელზე გაიტანენ, უფრო ვააბრწყინებენ და აამაღლებენ.

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 10 VI, № 135 (12343).

და ეს ასეც მოხდა. ამაზე მეტყველებენ ვეებერთელა წიგნები, კორნელი კეკელიძისა. ეს წიგნები თავად არის ჩვენი ქართული უნივერსიტეტი, ჩვენი ქართული აკადემია. ქართული საბჭოთა ფილოლოგია.

ჰეროდოტეს ძველმა ბერძნებმა ისტორიის მამა უწოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ჰეროდოტემდე მათ არაერთი ისტორიკოსი ჰყავდათ. კორნელი კეკელიძე არის მამა ქართული ფილოლოგიისა, მიუხედავად იმისა, რომ მას არაერთი წინამორბედი ჰყავდა. რომელთაც ფასდაუდებელი ამაგი დასდეს ქართული ლიტერატურის ისტორიის შესწავლის საქმეს. კორნელი კეკელიძემ დაავიკრავინა წინა თაობათა დაწყებული საქმე და მთლიან სისტემაში მოიყვანა ქართული ლიტერატურის ისტორია; და განა ეს ქაოტო ჩვენი, მხატვრული მწერლობის ისტორიაა? იგი მოიცავს ერის სულიერი ცხოვრების ყველა დარგს, არა მარტო მხატვრულ, არამედ პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, თეოლოგიურ, იურიდიულ ძეგლებსაც; იგი ისევე, როგორც ივანე ჯავახიშვილი მოგვითხრობს ყველაფერზე, რაც კარგი, ლამაზი შეუქმნია ქართველ კაცს, მოგვითხრობს ყველაფერზე, რაც ქართველს მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში შეუტანია.

შემთხვევითი როდი იყო, რომ ლიტერატურის ისტორიის მეცნიერებას კორნელი კეკელიძემ ასე უნივერსალური და ყოვლისმომცველი ხასიათი მისცა. სულ ახლახანს გამოცემული თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა:

„თუ სხვა, უცხო ერისა და ქვეყნის ლიტერატურის ისტორიაში ეპიგრაფიკულ მასალებსაც კი ეთმობა ადგილი, რატომ ჩვენ არ უნდა აღვნიშნოთ ისეთი ძეგლები მაინც, რომელნიც მაჩვენებელნი არიან ჩვენი წინაპრების ინტელექტუალური ინტერესებისა და მოთხოვნილებებისა, საზოგადოდ, ჩვენი კულტურული წარსულისა? ჩვენი მონანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია. ქართველების ძველ წერილობითს კულტურას და ვუჩვენოთ ე. წ. „დიდ“ ერებს კაპიტალისტური სამყაროდან, რომელნიც კულტურტრევერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასოდეს არ შეადგენდა მათს მონოპოლიასა და პრივილეგიას. რომ ასეთ პატარა ხალხს, როგორიც იყო ქართველობა, არამცთუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლადიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურში“.

ოთხმოც წელს გადაცილებული აყო კორნელი კეკელიძე. როცა ამ სტრიქონებს წერდა. და საინტერესოა იმისი აღნიშვნა. რომ ეს

დიდი დედააზრი, ეს კეთილშობილური მიზანი მთელი თავისი სამეცნიერო მოღვაწეობისა მას ნათლად ედგა თვალწინ, როცა ჯერ კიდევ ოცდაექვსი წლის ქაბუკი იყო და აქვეყნებდა თავის პირველ სამეცნიერო შრომას „ახალი საგალობლები აბო თბილელისა“. იმ დღეებიდან დაწყებული მისი ყოველი ახალი შრომა ნათელყოფდა. თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობისაა ქართული წყაროები არა მარტო ჩვენი არამედ მეზობელ ხალხთა ისტორიის შესწავლისათვისაც. ამიტომ იყო, რომ ახალგაზრდა მეცნიერის ერთ-ერთ შრომას მსოფლიო მეცნიერების საყოველთაოდ აღიარებულმა ავტორიტეტებმა უწოდეს სენსაციური აღმოჩენა ბიზანტიოლოგიაში.

ქართული წყაროების შესწავლის გზით მან შუქი მოჰქვინა არაერთ საკითხს. რომლებიც მანამდე ბნელით მოცული და გაურკვეველი იყო დასავლეთ-ევროპული. საერთოდ მსოფლიო ისტორიოგრაფიისა და ფილოლოგიისათვის.

ასე გაუთქვა მან სახელი ქართულ წყაროებს. ქართულ მეცნიერებას მსოფლიო ასპარეზზე.

კორნელი კეკელიძემ მთელი კაცობრიობის წინაშე გამოაჩინა მთელი ბრწყინვალეობა ქართული ლიტერატურისა, მან მსოფლიოს დაანახვა სიდიადე რუსთაველის მზიური გენიისა. სიდიადე ძველი ქართველი დიდოსტატების ქმნილებებისა. რომლებიც ნათელი აზრის ჩაუქრობელ შუქურებად დგანან საუკუნეებში.

როგორც შეჰფერის დიდ და ნამდვილ მეცნიერს, რომლის თვალსა და გონებას შეუძლია ჩასწვდეს ისტორიის ყოველ საიდუმლოებას. — ის ყველა საუკუნეში. მეხუთეშიც და მეათეშიც, მეთორმეტეშიც და მეთვრამეტეშიც — ისე გრძნობდა თავს, თითქოს შინ, თავის სახლში, თავის ეპოქაში ყოფილიყოს; ის თავის სახლში იყო ზედაზნისა თუ გარეჯის მეუღაბნოეთა მღვიმეებშიც; გელათისა თუ იყალთოს აკადემიებშიც და საბჭოთა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაშიც, ყველგან, სადაც ქართული აზრი ანთია და ბრწყინავს.

კორნელი კეკელიძე დიდი მშენებელი იყო ქართული საბჭოთა კულტურისა და ამიტომ ასე სათუთად უვლიდა, ასე მზრუნველად დასაროდა მის შორეულ, საუკუნეების სიღრმეში წასულ ფესვებსაც და ახლის ყლორტებსაც, რომლებიც საბჭოთა საქართველოს მზეში იზრდებიან.

მადლიერი სამშობლო დღეს ჩვენს ღვაწლმოსილ მეცნიერს კორნელი კეკელიძეს ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის გვერდით ღირსეულად მიაბარებს თბილისის სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის მიწას, უნივერსიტეტისა, რომლის ერთ-ერთი პირველი დამა-
არსებელი იგი იყო*.

ირაკლი აბაშიძე,
პოეტი-აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის
გამგებობის პირველი მდივანი.

МЫСЛИТЕЛЬ, ПАТРИОТ, ГРАЖДАНИН

На протяжении долгой жизни Корнелий Самсонович Кекелидзе самоотверженно служил науке. Он родился в 1879 году в селении Тобаниери в Имеретии, получил среднее образование в семинарии, а высшее — в Киевской духовной академии. Однако его вовсе не интересовала и не привлекала духовная карьера. Еще со студенческих лет он всецело отдавался научно-исследовательской работе.

Будучи преподавателем, после окончания академии в 1904 году, Корнелий Самсонович дорабатывал свою кандидатскую диссертацию и в 1908 году представил и защитил ее как магистерскую. Это был первый, огромный по значению, вклад Кекелидзе в науку, который касался литургических грузинских рукописных памятников, получивший достойное признание как отечественной науки, так и за границей.

Из дальнейших крупных публикаций новых грузинских материалов по рукописным собраниям с историко-литературным освещением их был Иерусалимский канонарь, являющийся исключительной важности источником VII века по истории Палестины.

Необходимо особо подчеркнуть, что Кекелидзе отказался от фотографически точного воспроизведения рукописных текстов, как это делалось в Грузии до того времени. Он усвоил и применил разработанные с начала века Н. Я. Марром уточненные филологические приемы критической обработки древних грузинских рукописных текстов, или, как выражался сам Марр, «всю теорию грузинского языка», что и сделало все его издания образцом научной четкости.

Основание Тбилисского университета дало Корнелию Кекелидзе возможность полностью осуществить призвание ученого и педагога. Здесь, в университете, Кекелидзе читал лекции по истории грузинской литературы — древней духовной и светской XI—XVIII веков. Уже в 1923 и 1924 годах им изданы два объемистых тома (по 600 с лишним страниц каждый), посвященные этим двум большим разделам грузинской литературы. В них систематизированы и последовательно изложе-

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 12 VI, № 136 (12344).

ны результаты его трудов, накопленные за десятилетия исследований памятников грузинской письменности.

Ученым блестяще освещены вопросы о значении и изучении грузинской древней литературы; о начальных ее этапах, языке и алфавитах; об исторических периодах и, наконец, о центрах литературной деятельности в самой Грузии и за ее пределами. Весь материал об отдельных авторах и переводчиках раскрывается в исторической последовательности, а затем рассматривается по характеру содержания литературных произведений от библиологии до духовной поэзии включительно. Далее Корнелий Кекелидзе осветил общие вопросы об условиях и начальных этапах грузинской светской литературы, ее отношении к духовной, предшествующем изучении и основных периодах развития. Само изложение, совершенное по форме, глубокое по содержанию, поражает обилием материала и делится исторически и по литературным видам: эпос — лирика — драма, сперва классический период — XI—XII века, а затем период возрождения — XVI—XVIII столетия.

История грузинских литургических памятников детальной образом разрабатывалась ученым на всем протяжении его исследовательской деятельности.

Труды ученого являются исключительно важными в развитии понимания общих явлений истории феодальной Грузии. Об этом достаточно ярко свидетельствуют такие его работы, как монография, посвященная 13 сирийским подвижникам, труд о христианизации Грузии и множество других.

«История древней грузинской литературы» выдержала за последние 20 лет 4 дополненных и переработанных, притом частично сильно расширенных издания.

Этот монументальный исследовательский труд дополняется большим числом специальных публикаций, впервые печатаемых произведений и отдельными статьями. Теперь большинство из них сведено в отдельные тома, озаглавленные «Этюды по истории древнегрузинской литературы». С 1945 по 1961 гг. издано 7 томов, 8-й том подготовлен автором к печати. Хочется пожелать, чтобы из литературного наследия автора были опубликованы и другие его отдельные статьи по вопросам истории.

Включение чисто исторических памятников в перерабатывавшиеся им издания «Истории древней грузинской литературы» привело Кекелидзе к их изучению и как собственно исторических документов. Помимо исследований посвященных автором текстам Леванты Мровели, истории Вахтаंगा Горгасали, «Истории и восхвалению вениценосцев», он издает последний текст с восстановленным искажением, а позднее дает еще и комментированный русский его перевод.

Когда общественность Грузии и страны готовилась отметить 750-летие поэмы Шота Руставели, К. С. Кекелидзе принимал в этой подготовке самое активное участие: написал ряд популярных статей на грузинском и русском языках, участвовал в осуществлении изданий текста поэмы и руководил обработкой руствелологических текстов.

С огромной многосторонней исследовательской деятельностью, которую выдающийся грузинский ученый вел со дня основания Тбилисского университета и до последних дней своей жизни, неразрывно связана его неутомимая деятельность по руководству подготовкой научной смены.

Почти 60 лет напряженной работы отдал К. С. Кекелидзе науке. Его талант, прозорливость в отыскании и выявлении богатств родной письменности, его неиссякаемое трудолюбие снискали ученому мировую известность. Такие монументальные издания, как два тома его агнографических «Кеймена» или сочинения Иоанна Сабаншдзе и Василия Зарзмели и другие, его установления авторства византийских писателей Симеона Метафраста и Иоанна Ксифилина по грузинским материалам, редактирование многих томов описаний рукописей различных собраний, наконец, характеристики научных деятелей и выступления по волнующим темам современности хорошо дополняют деятельность крупного советского ученого.

Народ по заслугам оценил Корнелия Самсоновича Кекелидзе — имя его будет жить вечно*.

Г. Н. Чубинашвили,

академик Академии наук Грузинской ССР,
заслуженный деятель науки.

კორნელი კეკელიძე

წაიქცა ქართული ფილოლოგიის ბერძენთა. უხანო სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა დიდი მეცნიერა და ღვაწლმოსილი მამულიშვილი, აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. საერთოდ ფილოლოგია შუადრებით ახალგაზრდა მეცნიერული დისციპლინაა. განსაკუთრებით ჩვენში. ადვილი არ იყო ეგზომ დიდი სახელის ვათქმა იმ ქვეყანაში, რომელსაც ჰყავდა ისეთი ფილოლოგები. როგორც იყვნენ ალექსანდრე ცაგარელი და აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. სავსებით უნიკალური ორიენტალისტი ნიკო მარი, რომელმაც მსოფლიო რეზონანსი მიანიჭა ქართველოლოგიას, ენათმეცნიერებას.

ცხადია, მარტოოდენ პატრიოტიზმი და თავდადება არა კმარა — და იმისათვის, რომ ქართული ენის, ქართული მწერლობის ისტორი-

* Газ. «Восток», 1962, 12 VI, 135, (11455).

ისათვის მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა რომელიმე მათგანს. ქართული ენა და ქართული მწერლობა ხუთმეტზე მეტი საუკუნის მანძილზე პერმანენტულად ეხებოდა ისეთ უძველესსა და უდიდეს ენებს, როგორცაა ბერძნული, არაბული და ირანული.

სამივენი უკვე მემკვიდრეობად იქცნენ და მათი შესწავლა შეეძლო ისეთ მეცნიერს, რომელსაც ამ სამი ენის გარდა უნდა სცოდნოდა სამი უდიდესი ენა ევროპისა: ლათინური, ფრანგული და გერმანული, რადგან ამათ გარეშე წინა აზიისა და კავკასიის კულტურათა შესწავლა ყოველად შეუძლებელია.

ასეთი მეცნიერი იყო აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, ვისაც მისი ფუნდამენტური შრომები გულდასმით გადაუკითხავს. მას უცილობოდ შეაპყრობს გაოცება მისი მრავალმხრივი და საფუძვლიანი ერუდიციის წინაშე. საკმარისია გაეცნოთ იმ ანალიზს. რომელსაც უწევს აკად. კ. კეკელიძე ჩვენს მეხოტბეებსა და რუსთაველის გენიოსურ პოემას, თვალნათლივ დაწმუნდეთ თუ რა ღრმა ცოდნას იჩენს იგი არაბთა, სპარსთა, ძველ ბერძენთა და ბიზანტიელთა უძველესი კულტურების მიმართ.

მე არა მგონია, თეოლოგის აკად. პარნაკის შემდეგ ვინმე ასე ზედმიწევნით იცნობდეს პატრისტიკულ ლიტერატურასა და ქრისტიანულ თეოლოგიას. იგიც საგულისხმოა, რომ დიდი ორიენტალისტი კორნელი კეკელიძე თავის კვლევის საგანს ყოველთვის პირველ წყაროების შემწეობით იკვლევს. იგი ღრმად მოაზროვნე ანალიტიკოსია, თავის დასკვნებში მუდამ ფრთხილი და ზომიერი. მას კარგად ესმოდა, რომ ისტორია მყისვე უსაზმნო ბელეტრისტიკად იქცევა, უკეთუ მკვლევარმა ფაქტოლოგიის ლოგიკას თავი აარიდა და უსაფუძველო პიპოთეზების ფარვატერში შესცურდა. თანამედროვე ფილოლოგიაში, მე ვიტყვოდი, მთელს მსოფლიოში იშვიათად იპოვნით ისეთ ერუდიტსა და გულდინჯ მკვლევარს, როგორც იყო აწ განსვენებული აკად. კ. კეკელიძე. ამისთვის საკმარისია თვალი გადაავლოთ მის გამოკვლევას, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ გამო.

როგორც ქართული მწერლობის, ისე ქართველოლოგიის წინაშე თანადროულობამ დააყენა ფრიალ საშურო და საჭირო საკითხი — მ ს ო ფ ლ ი ო რ ე ზ ო ნ ა ნ ს ი ს მ ო პ ო ვ ე ბ ა. დღეს ამის გარეშე როგორც მეცნიერება, ისე მწერლობა შინზრდილი გაღიმათიანა და სხვა არაფერი. აკად. ნ. მარს ვერავენ წაართმევს ამ მხრით უდიდეს დამსახურებას. მან სორბონის უნივერსიტეტში წაკითხულ ლექციებში ქართული ენა აიყვანა უხუცესი და უდიდესი ენების რანგზე (იხ. მისი „ქართველი ერის კულტურული შუბლი“).

კორნელი კეკელიძეც ამ დიდ საქმეს ემსახურებოდა. იგი უფრო შორს წავიდა, მან თვალნათლივ დაგვიმტკიცა. რომ ჩვენ პროვინცი-ელ ბეყეირათებისდარად სხვათა ნაცოხნით როდი ვიკვებებოდით, არამედ ჩვენი ჰაგიოგრაფები და ჩვენი მწერლები არ ჭერდებოდნენ უცხო კულტურათა რეცეპტიულ აღქმას. სხვებზედაც ვახდენდით ზე-გავლენას. ბიზანტიელთა მოწაფენიც ვყოფილვართ. მათი მასწავლებ-ლებიც გავმზადრავართ.

რა დასამალია, V საუკუნეში არც ბიზანტიის, არც ევროპის რომელიმე ხალხს არ მოეპოვება ისეთი შედეგთა პროზაული ხელოვნე-ბისა, როგორიცაა იაკობ კურტაველის ვიტა — „წამებაჲ წმინდისა შუშანიკისა“, არც თუ „ამირანდარეჯანიანის“ ბადალი გააჩნდა იმ სა-უკუნეში ვინმეს. არც ბიზანტიას. არც იტალიასა და არც საფრანგეთს არა ჰქონიათ გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული რომანის თანა-ტოლი, არც პოეზიაში მოეპოვებოდათ ამ ხალხებს ისეთი შედეგთა. როგორიცაა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“. რომელიც კარდინა-ლურად განირჩევა ინდოეთისა და ირანის გაპრანქული ჰიპერბოლაზ-მებით დამძიმებული პოემებისაგან.

აკად. კ. კეკელიძემ საფუძვლიანად უარპყო ზოგ მეცნიერთა აკ-ვიატებული ჰიპოთეზები, თითქოს რუსთაველი ყოფილიყოს რომე-ლიმე უცხო ფილოსოფიური მიმდინარეობების ადვოკატი. რუსთავე-ლის ხელოვანება ისეთივე ორიგინალური იყო, როგორიც მისი მსო-ფლმხედველობა. ასე რომ, მისი პოეზიის ძირების ძებნა თუნდაც პლატონურ, გინა ნეოპლატონურ ფილოსოფიაში უსაფუძვლო ცდად უნდა მივიჩნიოთ. მე არ მესმის რა საჭიროა დიდზე დიდი პოეტი რომელიმე ფილოსოფოსის ინტელექტუალურ სატელიტად რომ ჩავთვა-ლოთ. გოეტე ისე კარგად იცნობდა სპინოზას ფილოსოფიას, როგორც რუსთაველი პლატონისას, მაგრამ არც გოეტე ყოფილა სპინოზას მოწაფე და არც რუსთაველი პლატონისა. უანალოგო სიმაღლეს :ღ-წევს „ვისრამიანის“ ქართული ვერსიის ავტორი. ამ მხრით მას ვერ გაუტოლდება ტრისტან და იზოლდას რომანი, რამდენადაც ეს უკანასკნელი „ვისრამიანთან“ შედარებით საკმაოდ სქემატიურია ყოვე-ლივე ეს ანიჭებს ქართულ მწერლობას სავსებით უნივერსალურ ხა-სიათსა და რანგს.

აკად. კ. კეკელიძეს მოთხრობილი აქვს თუ როგორ გაზიადეს ჯე-ლალ ედდინმა და მონღოლთა სარდლებმა ქართული ხელნაწერები საქართველოდან. ახლა ვინ იცის რამდენი ქმნილება დაიღუპა ტფი-ლის-ქალაქის მრავალგზისი აოხრებისა და გადაბუჯვის დროს. ან რა დასაჯერებელია კურტაველს ყოველივე წინამორბედის გარეშე. კალ-

მის ერთი მოსმით შეექმნას ისეთი შედეგრი პოეზიისა, როგორცაა „წმ. მუჰანაჲის წამება“: ასე რომ, ქართული აღფაბეტისა და ქართული მწერლობის სათავენი მეხუთე საუკუნეზე უფრო ადრიან ეპოქაში უნდა ვეჭოთ. ნაციონალური მწერლობისათვის ინტერნაციონალური რეზონანსის მინიჭება — ეს იყო და დარჩება ქართული კულტურის უმთავრეს დევიზად, ამის გარეშე სხვა ყოველივე უნდა ჩაითვალოს მსოფლიო პროვინციის უმწეო ლულულად.

ქართველ ხალხსა და ქართულ კულტურას ერთ რაშეში ჰქონიათ ბედი. ჩვენ ორი ათასი წლას განმავლობაში ვიდექით ხმლითა. ჯვრათა და კალმით აღქურვილნი ევროპისა და აზიის კულტურათა ურთიერთთან შეხლის სამანებზე. გერმანიის დიდი ისტორიკოსი რანკე მართებულად აღნიშნავს თავის ისტორიულ დიალოგებში (იგულისხმება პროფ. რანკეს საუბრები ბავარიის მეფესთან ლიუდვიგ II-სთან). რომ კაცობრაული კულტურა ემყარებოდა ორი უდიდესი ფაქტორის, ევროპისა და აზიის ცივილიზაციების ურთიერთთან შეხლის ზამბარებს.

ეს ცალკობანი და ბრძოლანი ამ კულტურებისა ჩვენი სამშობლოს ფარჯლებშიაც ხდებოდა. ბერძნულ, არაბულ და ირანულ კულტურათა კვინტესენცია პოეტური პარაპოლეგების ენით გადმოგვცა დიდმა რუსთაველმა. მანვე აითვისა ძველ ბერძნულ და არაბულ კულტურათა ფლუიდები, მაგრამ იგი აითვისა არა ისე, როგორც ეს ეპიკონებს სჩვევიათ ხოლმე, არამედ გადაადნო ისინი ნაციონალური კულტურის ქურაში და ამის გამოც შეძლო რუსთაველმა ადრიან რენესანსზე ორი საუკუნით ადრე მოეცა ჩვენთვის ისეთი ქმნილება, რომელიც გამტფარია ადრიან; რენესანსის მაღალი ჰუმანიზმით. ბოლოს ორიოდ საუკუნით დანტეზე ადრე რუსთაველმა პირველად გაბედა ბოლორიტმოვანი ლექსი შეექმნა. ამიტომაც რუსთაველი და მისი პოეზია ჯერაც შეუცნობი ენიგმა მსოფლიო პოეზიის ისტორიაში.

კანა მარტო დიდი მეცნიერები და მწერლები ჰყავდა საქართველოს. ცნობილ, გერმანიის იმპერატორ კარლოს დიდს პაჰაგანით შეასწავლეს გერმანელმა სწავლულებმა ხელის მოწერა. ამ ასპექტში ხომ გასათვარია ბაგრატ მეოთხის სენტენცია, მეთერთმეტე საუკუნეში წარმოთქმულა: „რაცა თვალით არ ვიხილო არა მრწამს“. ეს ბრძნული სენტენცია დიხაჲ დაამშვენებდა ფრანგული სკეპტიური ფილოსოფიის მამამთავარს ვოლტერსაც. ჩვენს გულში დიდ გაცეხას იწვევს ბაგრატ მეოთხის შვილიშვილის, დავით აღმაშენებლის რელიგიური სკეპტიციზმი: „ვინ უწყის რაი არს კონცხსა მას შინა და რასა თაყვანსა ვცემთ“.

დავით აღმაშენებლის თანამედროვე არაბი ისტორიკოსი და მოგზაური იბნ აზრაყ ალ-ფარიყი გვიმოწმებს: დავით მეფის სასახლეში სტუმრობდნენ იმეამინდელი სუფიები და ასასინები, რეაქციული ისლამის დაუძინებელი მტრები, ხოლო თავათ დავით მეფე ტოლერანტობას, შემწყნარებლობას იჩენდა უცხო რელიგიათა წარმომადგენლების მიმართ.

ეს ყოველად ქრისტიანი მეფე ასტრონომიითა და ფილოსოფიით იყო გატაცებული, არაბულ და ბერძნულ წიგნებს კითხულობდა და მანვე დაგვიწერა თავისი ცხოვრების ნაღვლიანი რეკვიემი „გალობანი სინანულისანი“. თითქმის მისი თანამედროვე იყო ბიზანტიის იმპერატორი ნიკიფორე ბოტანიატი, რომელიც ყოველად უნიჭო ლექსებს ჯღაბნიდა. როცა იძულებით აღკვეცეს ბერად, თავისი გულისწუხილი ვერ დამალა ბაგრატიონთა უღამაზესი ნაშეირის. მარამ დედოფლის ქმარმა და მონასტერში მისვლისთანავე პირადან აღმოხდა: რა სამწუხაროა. ძროხის ხაშლამას ველარ მივირთმევო ამიერიდან.

XI—XII საუკუნის ბიზანტიელ და ევროპელ იმპერატორებსა და მეფეებს ნადირობისა, მუცელმერთობისა და სიძვის დიაცების გარდა არაფერი აწუხებდათ, მათ შორის გამონაკლისს წარმოადგენდა რომის იმპერატორი ფრიდრიხ II, რომელიც დავით მეფის დარად არაბული ფილოსოფიით მისტიკითა და ასტროლოგიით იყო გატაცებული.

* * *

რუსთაველიც დიხაბა ენიგმა იყო და ამიტომაც უტყვავს ბრძენს. სამანებზე მუდამ უცნაური ფენომენნი წარმოშობილანო. ეს ზედმიწევნით ითქმის ქართული კულტურის გამოც.

ჩვენი ენა, ჩვენი მწერლობა და მთელი ჩვენი კულტურა საუკუნეთა მანძილზე სწორედ ამ საკვირველებათა სამანებზე იდგნენ.

ამ სამანებზე ებრძოდნენ ურთიერთს რომაელები და ირანელები. არაბები და ბერძნები, ქრისტიანიზმი და მაზდეანიზმი. იუდაიზმი და ისლამიზმი.

ეს ყოველივე შესანიშნავად ესმოდა კ. კეკელიძეს. გადაიკითხეთ მისი უზარმაზარი ტომები და შტუდიები და ნახავთ განსაცვიფრებელ ერუდიციასა და გულმოდგინებას. რაც უმთავრესია, თავგამეტებულ შრომას.

ამიტომაც თავისი დიდი ღვაწლით და უჭკნობი სახელით იგი მოგვაგონებს ჩვენს ტაძართა მშენებლებს — გრიგოლ ხანძთელსა და კლარჯეთელ მამამთავართ, ჩვენი ენის კანონიზატორებს, მწერლებს.

კომენტატორებს, ისტორიკოსებსა და მთარგმნელებს: გიორგი მთაწმინდელსა და არსენ აყალთოელს, გიორგი მერჩულესა და ეფრემ მცირეს, ბოლოს, ჩვენს ეპისკოპოსებსა და მღვდელმთავრებს. რომელიც საქართველოს, იერუსალიმის, ანტიოქიისა და სინას მთის ქართულ მონასტრებში სწერდნენ და თარგმნიდნენ იმ ბნელსაუკუნეთა ნათელ კერათა მეურვენი. რადგან მათ საუკუნეთა ბნელ ღამეებშიც სჯეროდათ, რომ ქართული ენა მუდამ უკვდავი იქნება.

მხოლოდ და მხოლოდ თავისი კოლოსალური ენერჯის მეოხებით შეძლო აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ თავისი დიდი შრომების დაწერა. აქ უმთავრესი იყო დიდი სიყვარულის ძალა, რომელმაც დასთარგუნა სიბერე.

ამიტომაც არ გაჰკარებია მის ნათელ გონებას სკლეროზი და ყოველ თანამედროვეს, ვისაც ესმის ამ დადკაცის თავდადების ფასი. უთუოდ წამოსცდება ძველთაძველი სიბრძნე: „დიდ არს ძალი სიყვარულისაჲ. რომელიც შეუძლებელსაც შესაძლებლად ჰყოფს“.

და ეს იყო სიყვარული მამულისადმი, რომელსაც კორნელი კეკელიძემ თავისი სანგრძლივო სიცოცხლე შეაღია ჩვენს თვალწინ. მსუბუქიმც აყოს ქართული მაწა ამ დღე-მეცნიერისა და მამულიშვილისათვის*.

კონსტანტინე გამსახურდია,

მწერალი—აკადემიკოსი.
თბილისი, 1962 წ. 12. VI.

ქართული მეცნიერების პატრიარქი

აი. დაისვენეს კორნელი კეკელიძის ხელებმაც. რომელთაც ასე ბრწყინვალედ მოიხადეს ვალი ქართული კულტურის სასახელოდ.

დაულალავ შრომას მიჩვეული ეს ხელები, იმავე დროს, თავისებურად ღამაზნიც იყვნენ — კ. კეკელიძე მათ მიმზიდველად და მშვენივრად ამოძრავებდა ხოლმე მოხსენების ან კამათის დროს.

კ. კეკელიძეს ახასიათებდა ჭაბუკური ვნებიანობა და შინაგანი დისცაპლინა. დუმილი ოქრო რჩეული და ბრძნული ღაღადისი საქირობების დროს. ამ საპირისპირო თვისებათა ბედნიერ სიმბიოზს წარმოადგენდა მისი პიროვნება.

საქვეყნოდ ცნობილია მისი დამსახურებანი და არაერთხელ თქმულის განმეორება ტრავიალობა იქნებოდა. ვიტყვი მხოლოდ,

* „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, 15 VI, № 25 (1299).

რომ კ. კეკელიძე ჩვენს დროში ისეთივე ფანტიკური სიყვარულით ემსახურებოდა ქართული მწერლობის საქმეს, როგორც მრავალი საუკუნის წინ ექვთიმე ათონელი და გიორგი მთაწმინდელი, ეფრემ მცირე და არსენ იყალთოელი. ამ ბატისფრთით აღჭურვილთა ღვაწლი ადაფრთოვანებდა მათი ცხოვრებისა და მემკვიდრეობის შეუღდარებელ მკვლევარსაც

კ. კეკელიძემ მონუმენტურ ბიბლიის მსგავსი შრომები დააწყო ქართული კულტურის ანალოგზე. რომელნიც საუკუნეთა მანძილზე დარჩებიან მანიშნებლად ჩვენი ხალხის გონებრივი და სულიერი სიმდიდრისა. კ. კეკელიძეზე არ კმარა ითქვას, რომ იგი ჩინებული მკვლევარი, ფალოლოგი ან ისტორიკოსი იყო. ეს სახელწოდებანი ვერ ამოსწურავენ მის სრულად განსაკუთრებულ როლს ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. კ. კეკელიძე თვითონ იყო გამოხატულება ქართველი ერის ჰუმანიტარული კულტურისა საზოგადოდ და ივანე ჯავახიშვილთან ერთად იგი ამ კულტურის პასპორტად დარჩება მარადისობაში.

გასაოცარი იყო კ. კეკელიძის ერუდიცია. იგი ეკუთვნოდა იმ სეზბედნაერთა რიცხვს, რომელნიც თავის მენსიფრებაში, როგორც შემკუმშულ ეტიუდში, მთელი კაცობრიობის სულიერი განვითარების ისტორიასაც იტყვენ.

და რაოდენ შთამაგონებელი იყო კ. კეკელიძის გონების ფიზიკური საბუთოფელიც: მკიცრო, სხივოსანი თმებით დაფარული თავი, ფართო შუბლი და ჰკვიანი თვალები.

მოხუცებულობაში აბრეშუმისებური სითეთრე ეწვია მის თმასა და წვერულვას. ხოლო პერგამენტის გამჟვირვალობა--მის პირისკანს. ასე მომხიბლავად ბერდებთან სულმნათნი.

საშინელ გულისტკივილს იწვევს გარდაცვალება ადამიანისა, რომელიც მოკრძალებისა და განცვიფრების გამოძწვევი ჯათის შემდეგაც თავისთავის ქანდაკების მსგავსად იდგა მკითხველთა თუ მაჟურებელთა წინაშე.

მაგრამ უღმობელი ჯალათი კეკელიძემ სხვამხრივ დაამარცხა.

კ. კეკელიძემ პირველად გახადა ცნობილი ჩვენთვის ძველი ქართული თარგმანი იოანე დამასკელის შემზარავი ლექსისა სიკვდილზე. სადაც ნათქვამია, რომ ამოების მსახვრალი ხელი ყოველივეს ახრდილივით უჩინარს ჰყოფს ხოლმე.

თურმე მწარედ სცდებოდა ბიზანტიელი ჰიმნოგრაფი. ამოების და ყრუ სიჩუმის დემონი სირცხვილეული იხევს უკან კ. კეკელიძის უკვდავი ღვაწლის წინაშე და არაა ძალა, რომელსაც შეეძლოს

ჩააქროს ცეცხლი. ქართული მეცნიერების პატრიარქის საცეცხლურში რომ ღვივის*.

აკაკი გაწერილია,
პროფესორი.

უკანასკნელი სიტყვა კორნელი კეკელიძეს

ქართული ფილოლოგიის ძველმა პლეადამ დაჰკარგა დიდი მეცნიერი — გარდაიცვალა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე. მისი სახელი ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს ამშვენებდა ჩვენს მეცნიერებას.

ძნელია იმ აზრს შეურიგდე, რომ ამიერიდან ჩვენ ვეღარ გავიგონებთ კორნელი კეკელიძის ხმას, ვეღარ მოვუსმენთ, როგორც ევნაპი იტყოდა, „ცოცხალ უნივერსიტეტს“, რომელსაც ფენომენალურ ცოდნასთან ერთად, ხანდაზმულობის მიუხედავად, გასაოცარი გონების სინათლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შერჩა. 84 წელი გაატარა ამ ქვეყნად კორნელი კეკელიძემ და აქედან 60 წელი მეცნიერების. ქართველი ხალხის უანგარო სამსახურს მოახმარა. პეტრე მელიქიშვილთან და ივანე ჯავახიშვილთან ერთად იგი იყო ჩვენი მშობლიური უნივერსიტეტის ფუძემდებელი და კვლტურულ მსოფლიოში სახელგანთქმული პროფესორი.

ძველი ქართული ლიტერატურის ნამდვილად უდიდესი და უბადლო მკოდნე კორნელი კეკელიძე მაღალ გონებრივ შემართებას ყოველთვის დაუღალავი შრომით აგვირგვინებდა. მარტოოდენ მას შეეძლო 82 წლის ასაკშიაც საუნივერსიტეტო ლექციების კურსი წაეკითხა სავსებით უნაკლოდ და 84 წელს მიღწეულს კვლავ პირველხარისხოვანი ფილოლოგიური გამოკვლევებით გაემდიდრებინა მშობლიური მეცნიერება. მთელი მისი მემკვიდრეობა 15 მოზრდილ ტომშიაც ვერ ჩაეტევა; აქედან, ფუნდამენტალური ორტომიანი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ გარდა, „ეტიუდეზის“ მე-9 წიგნის გამზადება თვითონვე მოასწრო... და წამოეწია სიკვდილი!.. მის საშინელ აჩრდილს კორნელი კეკელიძე ისე ებრძოდა, როგორც ახალგაზრდობაში არქივის ძველ ფოლიანტებს; გვეგონა გაუძლებდა, მაგრამ შევცდით, დაგვაიწყდა, რომ ხანდაზმულობის დროს ჰაბუკურ მონდომებას როდი შეუძლია ღრმად მოხუცის ფიზიკური ძალები ძველი ენერგიით აღადგინონ.

ეს ძალები უკვე შერყეული იყო ექვსი ათეული წლის მანძილზე, მძიმე შრომით წიგნთსაცავების მტვერში; მუდამ წიგნთან, თითქმის

* „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, 15 VI, № 25 (1299).

განუშორებლად საწერ მაგიდასთან, ასე ხანგრძლივად უმადლესი სკოლის კათედრასთან დგომა და ლექციების წაკითხვა — ადვილია ამის თქმა, მაგრამ შესრულება მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. რამდენი უნდა ემუშავა მას, რომ ამოექეჩა უძველესი წყაროები და მეცნიერებაში მათთვის გზა გაეკაფა, სრულიად ახალი ჰორიზონტები დაენახებინა.

კორნელი კეკელიძეს შორეული წარსულისა და თანამედროვეობის ფაქტების მჭიდროდ დაკავშირების დიდი უნარი ჰქონდა. გასაოცარი იყო აგრეთვე მისი დიპაზონი — უამრავი მასალის უზადო ცოდნა, ბოლომდე უხარვეზო მესხიერებით, განათებული. და წყაროების ენციკლოპედიური მარაგი.

პირველად კორნელი კეკელიძემ გვიჩვენა, რომ ქართული მწერლობის ხუთმეტსაუკუნოვანი ისტორია მარტოდენ მარგალიტების კრებული კი არ არის, შედეგების ოკეანეცაა, რომლის ჰორიზონტები ძალიან ფართოა. პირველად მან მოგვცა კიმენური და მეტაფრასული რედაქციების ღრმად მეცნიერული, სისტემატიკური დახასიათება. უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ადრინდელ ნაშრომს სვიმეონ მეტაფრასტის შესახებ და იმ დებულების წამოწყებას, რომ პრობლემა მეტაფრასტისა მთლიანად ვერ გადაწყდებოდა ვერც დასავლეთ ვეროპულ ისტორიოგრაფიასა და ვერც სხვა ერის მწერლობაში, თუ ქართული წყაროები უგულვებელყოფილი იქნებოდა. მაშინ კი სწორედ ამ წყაროებს უყურებდნენ ალმაცერად ან სრულიად გვერდს უვლიდნენ. ამას მიუმატეთ აგიოგრაფიული ძეგლების მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების ანალიზი, პირველი ცდა იმისა, რომ ჩასახვიდან მე-19 საუკუნემდე ქართული მწერლობა წარმოდგენილი ყოფილიყო, როგორც „ლიტერატურული პროცესის მთლიანი სურათი“ და თქვენთვის ნათელი გახდება კორნელი კეკელიძის გოლიათური შრომის შედეგი.

როგორც წარსულის დიდმა მკვლევარმა, კორნელი კეკელიძემ შესანიშნავად იცოდა, რომ უფაქტოდ ისტორია არ არსებობს, მაგრამ თვით ფაქტიც ისტორია არ არის, თუ მისი ანალიზი სარწმუნო შეჯერებას გვერდს უვლის. ემპირიკონი როდია კემმარტი ისტორიკოსი. ვისაც სურს ისტორიკოსი იყოს, დიდერუდიციასთან ერთად ანალიტიკოსისა და თეორეტიკოსის გონებას უნდა ფლობდეს არა ჰიპოთეზების, არამედ, უეჭველი ფაქტების საფუძველზე მეცნიერული კემმარტიების დადგენა მისი მთავარი მიზანი უნდა იყოს. ყველა ეს თვისება ბედნიერად იყო შეთავსებული ჩვენი მსცოვანი მეცნიერის პიროვნებაში. ანალიტიკური მეთოდით ფაქტებზე ამალღება, მაგრამ ფაქტებზე დაყრდნობა — ეს კორნელი კეკელიძის დიდი მემ-

კვიდრეობის უპირველესი ნიშანია. არქაულ მასალებზე თანამედროვე გამართული მხატვრული ენით წერა, ისე, რომ იდეალიზაცია არ გამოგვიდეს — ესეც კორნელი კეკელიძის დამახასიათებელი მანერაა. თავისი შრომებით პირველად მან გაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელშიაც კარგად არის ნაჩვენები, რომ ქართული რენესანსი წინ უსწრებდა ევროპულ რენესანსს. ამით სავსებით გაცხადდა ის დებულება, რომ ქართული მეცნიერული აზრი გაცილებით ადრე გათავისუფლდა როგორც ეკლესიური სქოლასტიკის, ისე მისტიკის ბორკილებსაგან.

არჩვეულებრივი შრომისმოყვარეობით, თავმდაბლობითა და პატიოსნებით კორნელი კეკელიძე მისი მრავალრიცხოვანი მოწაფეებისათვის შთაგონებაც იყო და სანიმუშო მაგალითიც. ეს ადამიანური ღირსებები მსცოვან მეცნიერს სამარის კარამდე შერჩა, ხოლო სამუდამო ადგილი უკვდავთა შორის დაემკვიდრა.

კორნელი კეკელიძის გარდაცვალება არამარტო ქართული ფილოლოგიის, არამედ, მთელი საბჭოთა მეცნიერების უდიდესი დანაკლისია. როგორც აუნაზღაურებელი იყო ივანე ჯავახიშვილის დეკლავა, ასევე აუნაზღაურებელია კორნელი კეკელიძის სიკვდილი. თავიანთ დარგებში მათ ერთი და იგივე საქმე გააქეთეს. ისინი ერთმანეთის გვერდით დგანან.

გულისტკივილით ვეთხოვებით დიდ ქართველ მეცნიერს, რომლის უანგარო ამაგს ისტორია არასოდეს არ დაივიწყებს. ჩვენი სახელოვანი მასწავლებლის უკვდავი საქმე საუკუნეებში ყოველთვის უკვდავად გამოაჩენს მის ღვაწლმოსილებას, დამსახურებასა და სახელს*.

გ. ჭიბლაძე,
აკადემიკოსი.

საბაჟო მასწავლებელი

არიან ისეთი დიდი ძვირფასი ადამიანები, რომელთა შესახებ არ გინდათ იფიქროთ, რომ ისინი ოდესმე აღარ იქნებიან. ასეთთა რიცხვს ეკუთვნოდა თავისი კოლეგებისა და მოწაფეებისათვის აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე.

დრომ მაინც თავისი გაიტანა. ქარაველ მეცნიერთა ფორუმს, გამოაკლდა ჩვენი კულტურის ისტორიის უბადლო მკვლევარი და მსოფლიოში სახელმწიფოეკილი ფილოლოგი. მხოლოდ სიცოცხლის

* ეურნ. „ცისკარი“, 1962, VII № 7.

უკანასკნელ დღეს გაჩერდა ის ძვირფასა მარჯვენა. რომელსაც მადლიანი კალმით ათასობით თაბახი გადაუხნავს. და თუმცა სიცოცხლე საათებით იწურებოდა, ნათელი თავი სიკვდილს მაინც ვერ ურიგდებოდა. მარცხენა ხელით მაინც მარჯვენას სინჯავდა. კვლავ მის მუშაობაზე ფიქრობდა.

ვინც იცის, რამდენი ძვირფასი რამ დარჩა სათქმელი. ამ გოლიათი მეცნიერის აზროვნებას წელთა სიმრავლე ხომ არასდროს არ დასტუობია, იგი ხომ უკანასკნელ წუთამდე გასაოცარი სიზუსტითა და დატვირთვით მუშაობდა. მეტად სამძიმოა იმის შეგნებაც, რომ დღეიდან საგრძნობლად დიდი ცარიელი ადგილი რჩება უძველესი ქართული მწერლობის შემსწავლელთა რიგებში.

მეცნიერული თუ პედაგოგიური მოღვაწეობით აკადემიკოსი კ. კეკელიძე ყველასათვის მაგალითი იყო. მასში შეერთებული იყო ყველა ის ძვირფასი თვისება. რომელიც ქეშმარიტ მეცნიერსა და მაღალი ბუნების ადამიანს უნდა ამკობდეს.

მისი ამპლუა რთული ფილოლოგიური პრობლემების პოზიციური კვლევა იყო. ესთეტიკურ სიამოვნებას ჰვერის მკითხველს ის რკინის ლოგია და მდიდარი საბუთიანობა, რომლითაც იგი ურთულეს საკითხებს უაღრესად დამაჯერებლად წყვეტდა. საჭირო შემთხვევაში არც პოლემიკას გაუბრბოდა. ამ დროს პირდაპირ საოცარი ძალთ ამოქმედდებოდა ქართული ფილოლოგიის ეს მძიმე არტილერია. რომლისგან თავის დაღწევა თითქმის ყოველთვის უიმედო საქმე იყო. მაგრამ მოპაექრეთაც სიამოვნებას ჰვერიდა ასეთ მოწინააღმდეგესთან შერკინება, რადგან ამ დროს კიდევ მეტს სწავლობდნენ მისგან.

საოცრად გულისხმიერი და მომთხოვნი იყო ის თავისი მოწაფეებისადმი.

აკადემიკოსი კ. კეკელიძე კვლავ დიდ მასწავლებლად რჩება ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია თავისი ხალხი და ხალხისათვის სამსახური. მშობლიური ხალხის კულტურული ღვაწლის გამომზეურებას შესწირა მან თავისი ნათელი სიცოცხლე და ეს ამაგი ამჭერადაც დაუფასდა: იგი მომავალშიც თავის მოწაფეთა ახლოს. საყვარელი უნივერსიტეტის მარად მწვანე ბაღში იქნება.

ვინც ერის სიყვარულსა და ხალხის წმინდა ცრემლს დაიძსახურებს, მას სიკვდილი ვერას დააკლებს!*

დ. გამეზარდაშვილი,
პროფესორი.

* გაზ. „კომუნისტი“, 1962, 12 VI, № 136 (12344).

კორნელი კეკელიძემ პირნათლად მოიხადა დიდი ვალი მშობლიური მეცნიერების წინაშე: 83 წელი იცოცხლა და 60 წელზე მეტი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმეს ძიანდომა. სიცოცხლის ბოლო წუთებამდე ნათელი გონება შერჩა, სანამ შეეძლო, სამუშაო მაგადას უჯდა და რომელიმე ახლადმიღებულ წიგნს ან მასალებს ჩაჰკირკიტებდა. მას, როგორც ქართული მწერლობის ისტორიის უდიდეს პრობლემატიკოსს, მხოლოდ ის აწუხებდა, რომ კიდევ ბევრი რამ დარჩა დაუმთავრებელი და გასაკეთებელი... და ეს მაშინ, როცა ანდერძად დაგვიტოვა 300-ზე მეტი ნაშრომი, ძველი ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურის ისტორიის ფუძემდებელი ორტომიანი მეცნიერული კურსი, „ეტრუდების“ ათამდე ტომი, მრავალი მონოგრაფიული გამოკვლევა და ქართული მწერლობის ტექსტების კრიტიკული გამოცემანი.

ახლა, როცა კ. კეკელიძეს ვეთხოვებით, ძნელია მისმა მადლიერმა მოწაფეებმა ყველაფერი ვთქვათ მასზე, მის მოღვაწეობასა და შრომებზე ტომები დაიწერება მომავალში. ამჟამად ისღა დაპრჩენია — გავიმეორო გიორგი მთაწმინდელის (1009—1065) სიტყვები, რომლითაც მან დაახასიათა მსოფლიო მნიშვნელობის ერთ-ერთი ქართველი მოღვაწე: „მეგვეითარი“ მეცნიერი ძველი ქართული მწერლობის ისტორიისა „ალარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვკვონებ, თუ არცალა გამოჩინებად არს“.

კორნელი კეკელიძეს სურდა არ გამართლებულიყო ეს სიტყვები*.

ტრიფონ რუხაძე,
დოცენტი.

სიცოცხლის უკანასკნელ დღეებშიც

კორნელი კეკელიძის მთელი შეგნებული ცხოვრება, მისი ნათელი და ლამაზი სიცოცხლე. მთელი ინტენსიური და მრავალმხრივი საქმიანობა დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის კვლევასთან. დიდი ნიჭისა და უშრეტო ენერჯიის მეცნიერი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობის თავდადებული მოჭირნახულე იყო. თავისი შრომით ის ცდილობდა მშობელი ხალხის მოწიფულობის წარმოჩენას და ამით ხელს უწყობდა ჩვენი საზოგადოებრი-

* ვაზ. „კომუნისტი“, 1962, 12 VI, № 136 (12344).

ობის შემდგომ კულტურულ დაწინაურებას, ჩვენი ლიტერატურის ზრდაგანვითარებასა და აღმავლობას. იგი ქეშმარიტი მსახური იყო თავისი ხალხისა და მშობელმა ხალხმაც გულწრფელად შეიყვარა იგი.

საქვეყნოდ სახელმძღვანელომეცნიერმა გასათვარი შრომითი ნაყოფიერება გამოიჩინა. ამ საუკუნის დამდეგიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე კორნელი კეკელიძე თავდადებით იღწვოდა ქართულ კულტურულ-ლიტერატურულ ასპარეზზე და ამ ხნის განმავლობაში 270-ზე მეტი შრომა გამოაქვეყნა, მათ შორის — ოცდაათამდე წიგნი.

ჩვენს წინაა კორნელი კეკელიძის უკანასკნელი წიგნის — „ეტიუდების“ მერვე ტომი. იგი დაწერილია კულტურულ-ლიტერატურული მემკვიდრეობის უაღრესად ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის შედეგად. ამ ტომში შესული წერილებიდან ავტორს განსაკუთრებით საყურადღებოდ მიაჩნდა პირველი შრომა: „უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თუენისა“. ეს, მართლაც, შესანიშნავი გამოკვლევაა.

კორნელი კეკელიძემ ცნობილი ამერიკელი ქართველოლოგის რ. ბლეიკისაგან გაიგო, რომ ამერიკაში დაცული ყოფილა მე-11 საუკუნის ძვირფასი ქართული ხელნაწერი, რომელშიც საყურადღებო ჰიმნოგრაფიული მასალა იყო შემონახული. პროფ. რ. ბლეიკის მოულოდნელი ვარდაცვალების გამო კორნელი კეკელიძემ ველარ დააზუსტა აღნიშნული ხელნაწერის ადგილმდებარეობა და შედგენილობა. შემდეგში ეს ხელნაწერი მოიხსენია ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორმა, გამოჩენილმა ორიენტალისტმა ე. გარიტმა, რომელსაც ცნობა მიეღო ჩვენი საზოგადოებრიობისათვის კარგად ნაცნობი ქართველოლოგის — დ. ლანგისაგან. კორნელი კეკელიძე დაუკავშირდა დ. ლანგს და მისგან მიიღო ხელით ადაწერილი ზოგიერთი ფურცელი ამ კრებულისა, ხოლო შემდეგში — მიკროფილმიც. მიღებულ მასალას კორნელი კეკელიძე მისთვის ჩვეული გულისხმიერებით გაეცნო, ყურადღებით მოეკიდა და უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევა უძღვნა, რითაც შეავსო ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის ერთი ხარვეზი, გააშუქა და წარმოაჩინა ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ერთი უცნობი მხარე.

კორნელი კეკელიძე უკანასკნელ ხანს საქმოდ მძიმედ დაავადდა. დიდშრომაგამოვლილი სხეული გადაიქანცა. მისმა ახლობლებმა იცინან, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე მსცოვანი მეცნიერა ლანგის არ მიჰკარებია. ის თავის საყვარელ სავარძელში იჯდა და ღამითაც იქ ეძინა და რაოდენ გასათვარია, რომ ასეთ პირობებშიც კი

შეუწებელ ინტერესს იჩენდა შემოქმედებითი საქმიანობისადმი, ასეთ ვითარებაშიც კი განაგრძობდა მუშაობას.

აი, მე ხელთა მაქვს ზემოხსენებული წიგნის მესამე ფორმის სა-კორექტურო ფურცლები, რომელთაც განსვენებული უკანასკნელად გაეცნო. პირველი ფურცლის ზემო არშიაზე მინაწერია: „24—25, V, 62, წავიკითხე. გასწორდეს, როგორც ნაჩვენებია. კ. კეკელიძე“. ესაა უკანასკნელი მინაწერი შესრულებული იმ ხელით. რომელსაც ამ სა-უკუნის დამდეგიდან კარგად იცნობენ ჩვენი ასოთამწყობები. ვფურ-ცლავთ ამ ფორმას და ვეცნობით იმ საქმიანობას, რომელსაც მეცნიე-რი ეწეოდა გარდაცვალებამდე სულ რაღაც ათიოდე დღის წინ. აქ ნასწორებია კორექტურული შეცდომები, დაზუსტებულია ზოგიერთი საკუთარი სახელის დაწერა-რიცხვა და ა. შ.

საინტერესოა ერთი დეტალი: 34-ე გვერდზე ავტორი მსჯელობს ექვთიმე ათონელზე, კერძოდ. მის გადატვირთვაზე ლიტერატურული და ადმინისტრაციული საქმიანობით. არშიაზე პატარა ფურცელი და-უწებებია და ზედ წაუწერია: „მამის საკვდილის შემდეგ მას [ექვთი-მეს —ლ. მ.] კისერზე დააწვა ზრუნვა არამც თუ ქართველთა, ივე-რიის. არამედ ბერძენთა მონასტრებისაც. უიმისოდ მთაწმიდის არც ერთი მონასტრის საქმე არ კეთდებოდა. ყველა მასთან ის „შრომისა თარგმანებისასა არა დააცადებდა. არცა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა. არამედ ყოვლადვე იჭირვინ და ლამეთა ათევნ. რამეთუ უფ-რომსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნია ფრიადისა უცალოები-საგან და საურავთა“.

რაოდენ საყურადღებოა! რაოდენ ნიშანდობლივია!

გიორგი ათონელის სიტყვები: „არა სცემდა განსუენებასა თავ-სა თვისსაო“—ხომ ზედგამოჭრილია კორნელი კეკელიძეზე, რომელიც მართლაც უკანასკნელ დღემდე ენერგიულად მუშაობდა სამეცნიერო ასპარეზზე.

ასეთ ადამიანებს მშობელი ერი არ ივიწყებს.

კორნელი კეკელიძის სახელი მარად იცოცხლებს, მისი ხსოვნა უკვდავი იქნება მისი მშობელი სალხის გულში. მისი კოლეგები და მოწაფეები ეცდებიან წარმატებით განაგრძონ ის საქმე, რომელსაც იგი ასე გულმხურვალედ და სიყვარულით ემსახურებოდა*.

ლევან მენაბდე,
ლოცნტი.

* გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1962, 16 VI № 22 (375).

მეტად ძნელია იდგე ახლადგაქრილ საფლავთან და წერდე ადამიანზე, რომელმაც მთელი აზრიანი სიცოცხლე შეაღია დროის ფერფლიდან ამოკრეფილ აზრებს! ჩვენი საუკუნის სამოცი წლის განმავლობაში იგი თანამდევნი იყო ქართული ეროვნული კულტურისა. სამოცი წლის განმავლობაში მას დიდ სახალხო საუნჯეში შექონდა ნაღვაწი, აგვირგვინებდა ქართული მეცნიერების მრავალთაღვიან შენობას.

ახლა იგი უმოქმედოდ განისვენებს...

თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ყოველდღე შემოვიდოდა უნივერსიტეტში, მოქმონდა აუწყველი ცოდნა და თავის მსმენელთ უზიარებდა გამოწვლილვით ამოკითხულს. რამდენი თაობა და წყება გამოუზრდია მას და რამდენისთვის დაუბრუნებია ცოდნა და მეცნიერება! რა მრავალფეროვანი იყო მისი კვლევის საგანი და რა ძალით აირეკლა იგი დიდ და დაუღალავ კვლევითს მუშაობაში! რა ღრმად შევიდა იგი ქართული მხატვრული სიტყვისა და აზრის ზღვაში, რა მიმდინარეობა და დანაღეჟი არ აღმოაჩინა მან საუკუნეთა წყებაში, რამდენი ბრძოლა და ნგრევა, თავის კვეთა და სისხლის კალო, რამდენი წამება და ცრემლი! მაგრამ რაოდენ დიდი იყო მეცნიერული აღტაცება, როცა გუმანი გაუმართლდებოდა. თუმცა, არასოდეს, სამოცი წლის განმავლობაში. ახალბედა მეცნიერებით თავდავიწყებული არ ყოფილა და მეცნიერული გამარჯვების სიხარულს ყოველთვის ოლიგაიელის სიმშვიდით გადმოსცემდა. იგი ურყევი იყო როგორც ფაქტი, იგი გამოცდილი მორკინალი იყო. იცოდა არჩევა საბრძოლო ასპარეზისა და უყვარდა ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინება. პირველი ელდა და გლოვის ზარი, ცრემლით შეშრება ჭირისუფლის თვალზე და მერე შეიგრძნობა სიცარიელე იმ უზარმაზარი ადგილისა, რომელიც მას ეპყრა მრავალ წელს.

როგორაც უნდა იყოს კვლევა უძველესი და ძველი ქართული აზრისა, იგი ვერ წარიმართება მისი სახელის უხსენებლად.

რამდენადაც უნდა წინ წავიდეს ქართული ეროვნული მეცნიერება, იგი ვერ ასცდება ამ მუშაკის ნაკვალევს.

ქართული ეროვნული კულტურის დიდი მოაზრე გარდაიცვალა! ვაი, რომ მისი არილი ჩრდილმა მოიცვა და იქვედარ მიიტანს იგი საოცარი გონების ნაყოფს...

...რომ მისი ცოდნა, სხვათათვის გადაცემული, ერთ ნაკრებად შეერთებული, მის მიერ დატოვებულს ვერ შეეპოლება...

ვაი, რომ ველარავინ მოისმენს მის ბაგეთაგან დიდი მეცნიერული მუშაობით მიღებულ აზრებს... და იგი ნაღვაწს ველარ მოაწერს ესოდენ ნაცნობსა და მახლობელ სახელსა და გვარს — კორნელიძე*.

სოლომონ ხუციშვილი,
დოცენტი.

გამოჩენილი კართველი მეცნიერი

მძიმეზე მძიმე დანაკლისი განიცადა ჩვენმა მეცნიერებამ. გარდაიცვალა კორნელი კეკელიძე — ახალი ქართული ფილოლოგიის მამათავარი. კორნელი კეკელიძე იმ გამოჩენილ მეცნიერთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც წმინდათა წმინდა მოვალეობად მიიჩნიეს ახალი ქართული კულტურის აღორძინება. ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი. კორნელი კეკელიძე, აი ის თავდადებული რაინდები, რომელთა ღვაწლი ფასდაუდებელია ქართული სამეცნიერო აზრის დიდებული კერიის — უნივერსიტეტის დაარსებაში. თვითონ კორნელი კეკელიძე დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა ხელმძღვანელობდა იმ მნიშვნელოვან უბანს, რომელსაც ძველი ქართული მწერლობა ეწოდება.

არაჩვეულებრივად დიდი ერუდიცია, განსაკვიფრებელი მეცნიერული აღლო და თავისი საქმისადმი თითქმის ფანატიზმამდე ასული სიყვარული აძლევდა მას საშუალებას რომ წინასწარ ეგრძნო და გადაეწყვიტა ურთულესი პრობლემები. იშვიათია ისეთი დარგი ჩვენი წარსული კულტურის სფეროდან. რომელსაც არ შეხებოდეს იგი და ღრმა კვალი არ გაეკლოს. შესანიშნავ მკვლევარ-ტექსტოლოგს გამოქვეყნებული აქვს ძველი მწერლობის ძვირფასი ძეგლები. მასვილი დაკვირვებები მოუპოვება ძველი ქართული ენის თავისებურებებზე. საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ქართული სამართლის საკითხებზე და ამასთან რამდენიმე ურთულესი ტერმინი გახსნილი და ამოშიფრული. კორნელი კეკელიძე ამავე დროს ბრწყინვალე ისტორიკოსია. მან ფუნდამენტური შრომები მიუძღვნა ძველ ქართულ მატრიანებს, მათი წყაროებს საკითხებს და პრაქტიკულადაც შეეცადა შუქი მოეფინა უძველესი საისტორიო ძეგლებისათვის. საკმარისია აღინიშნოს მეცნიერის ღვაწლი თამარის შესანიშნავი. მაგრამ ჩვენამდე სასტიკად დამახინჯებული ისტორიის („ისტორია და აზმანი“...) აღდგენა-გამოცემის საქმეში. ეს არის ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის იშვიათი ნიმუში. აღნიშნული ტექსტის აღდგენით მკვლევა-

* გაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1962, 16 VI, № 22 (375).

რმა დიდი სამსახური გაუწია ქართულ ისტორიულ მეცნიერებას. ეს უძველესი ტექსტი მან ამავე დროს თარგმნა და ხელმისაწვდომი გახადა რუსი და დასავლეთევროპელი ისტორიკოსებისათვისაც. კორნელი კეკელიძის, როგორც ისტორიკოსის, დასახასიათებლად საკმარისია დავასახელოთ მისი ისეთი საყურადღებო ნაშრომები, როგორიც არის „ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი“, „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, „ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია“, „ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში“ და სხვა.

მაგრამ აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, როგორც გამოჩენილი მეცნიერი და მკვლევარი, ჩვენ ძირითადად წარმოგვიდგება იმ დარგში, რომელსაც ეწოდება ძველი ქართული მწერლობის ისტორია.

ინტერესი მრავალსაუკუნოვანი ქართული მწერლობისადმი მას იმთავითვე გაეღვიძა. როგორც თვითონვე შენიშნავს ერთ ადგილას, ამაში დიდი წვლილი მიუძღვით მის მასწავლებლებს ცნობილ ისტორიკოსს თედო ჟორდანიასა და სხვებს. თბილისის სასულიერო სემინარიის დასრულების შემდეგ კორნელი კეკელიძე სწავლობდა კიევის სასულიერო აკადემიაში. აქ გაიარა სეროზული სკოლა და აქვე მიიღო პირველი მეცნიერული ნათლობაც. ახალგაზრდა მკვლევარი საფუძვლიანად გაეცნო როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ქრისტიან ხალხთა კულტურის სულიერ მონაპოვრებს და კარგად იგარძნო, თუ შესწავლის თვალსაზრისით რა მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურა.

ახალგაზრდა მეცნიერმა მიზნად დაისახა მზის სინათლეზე გამოეტანა ძველი ქართული მწერლობის უნიკალური ძეგლები და ამით წვლილი შეეტანა ჩვენი ხალხის ეროვნული აღორძინების საქმეში. მისი პირველი შრომაც ამ საკითხებს მიეძღვნა. 1904 წლიდან იგი სწავლობდა მაშინდელ ქართულ სიძველეთსაცავებში გადარჩენილ ხელნაწერებს და უკვე 1908 წელს კიევის აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წარუდგინა სამაგისტრო დისერტაცია: „ქართული ლიტურგიკული ძეგლები და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა“.

ცნობილმა რუსმა მეცნიერებმა ნ. პეტროვმა, ა. დმიტრიევსკიმ, ა. გლაგოლემა და სხვებმა აღფრთოვანებული რეცენზიები უძღვნეს ახალგაზრდა მკვლევარის პირველ ფუნდამენტურ ნაშრომს და პირდაპირ აღიარეს, კორნელი კეკელიძის სახით დიდი ერუდიციითა და ნიჭით დაჯილდოვებული მეცნიერი წარმოგვიდგაო. სწორედ ამავე წლებში კორნელი კეკელიძეს კიევის აკადემიამ შესთავაზა კათედრა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, მან უარი განაცხადა ამ საპა-

ტიო თანამდებობაზე. იგი აქ. თავის სამშობლოში, ახლოს თავის შესასწავლ ობიექტებთან არჩევდა მუშაობას და ფიქრობდა, რომ ამ გზით მეტ სარგებლობას მოუტანდა როგორც მეცნიერებას, ისე სამშობლოს.

ძველი ქართული მწერლობის შესწავლის საკითხები იმ დროს მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ახალგაზრდა მკვლევარს სრულიად არ აშინებდა ასეთი ვითარება. განსაცვიფრებელი ენერგიით შეუდგა ააშავდა აშვილო საქმეს -- ძველი ქართული მწერლობის მთლიანი კურსის შექმნას.

პირველ რიგში აუცილებელი იყო ძველი ქართული მწერლობის ზღვა მასალის მოწესრიგება. კატალოგიზაცია და ერთ სისტემაში მოყვანა. ამასთან იგი ბეჭდური გზით აქვეყნებდა სრულიად უცნობ უნიკალურ ძეგლებს და პარალელურად მუშაობდა ძველი ქართული მწერლობის ბნელით მოცული საკითხების მონოგრაფიულ შესწავლაზე. საკმარისია აღინიშნოს შესანიშნავ გამოცემები უძვირფასესი ძეგლებისა „იერუსალიმის განჩინება“ და „ძველი ქართული არქივრეტიკონი“. რომელთა გამოსვლამ დიდი გამოხმაურება გამოიწვია მაშინდელ სამეცნიერო წრეებში. სწორედ ამ წლებში კორნელი კეკელიძემ საინტერესო გამოკვლევებთან ერთად ქართველოლოგიაში სრულიად მოულოდნელი აღმოჩენებით გაამდიდრა ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია. ქართულ მასალებზე დაყრდნობით გააკვია ბიზანტიური ლიტერატურის მიმდინარეობის ე. წ. მეტაფრასტული სკოლის თავისებურებები და დაადგინა ამ სკოლის მეთაურთა მოღვაწეობის სრულიად უცნობი მომენტები. აღსანიშნავია, რომ კ. კეკელიძის შესანიშნავმა გამოკვლევებმა, რომლებიც ამ წლებში ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ, უცხოურ ენებზე და ქართული ტექსტების მეცნიერულმა გამოცემებმა დიდად შეუწყო ხელი იმ დაინტერესებას, რომელსაც იჩინენ რუსი და უცხოელი მეცნიერები ქართული კულტურისადმი. კორნელი კეკელიძემ ერთ-ერთმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ ძველ ქართულ მწერლობას თარგმანების სახით შეუწახავს მსოფლიო მნიშვნელობის ბევრი ძეგლი, რომელთა დედნები ამჟამად დაკარგულად ითვლება.

კორნელი კეკელიძის მოღვაწეობაში სრულიად ახალი ეტაპი დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც იგი თავის დიდ სამეცნიერო მუშაობას უკავშირებს ახლად დაარსებულ ქართულ უნივერსიტეტს და სათავეში უდგება ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას. კვლევით მუშაობასთან ერთად გამოჩენილი მეცნიერი დიდი გულისყურით ეპყრობოდა ახალგაზრდა კადრების აღზრდას და, შეიძლება პირდაპირ ითქვას, არის

უპირველესი მოძღვარი და მასწავლებელი ამ დარგში მომუშავე მეცნიერებისა, რომლებიც დღეს ემსახურებიან ქართული კულტურის ჯეროვნად შესწავლას.

უნივერსიტეტის დაარსების რამდენიმე წლის შემდეგ გამოდის კორნელი კეკელიძის ფუნდამენტური შრომები—ქართული ლიტერატურის ისტორიის პირველი და მეორე ტომები. ეს იყო ჩვენი მეცნიერების დიდი მონაპოვარი. აღნიშნულ ტომებში კორნელი კეკელიძემ თავი მოუყარა მის მიერვე გაწეული კვლევადიების შედეგებს და შექმნა ძველი ქართული ლიტერატურის ერთი მთლიანი კურსი. თუ მანამდე კორნელი კეკელიძე გვევლინებოდა როგორც ძველი ქართული ძეგლების აღწერა-მოწესრიგების ინიციატორი, აღნიშნული ტომების გამოსვლით კი იგი საფუძველს უყრის სრულიად ახალ ეტაპს ქართული მწერლობის შესწავლის საქმეში. კერძოდ, საქმე ეხება მეცნიერების სფეროების გაფართოებას და ფილოლოგიურ კვლევასთან ერთად განმაზოგადებელი სახის მონოგრაფიების დამუშავებას. ამ ტომების გამოსვლამ ნათელი გახადა ისიც, რომ კორნელი კეკელიძე არის არა მარტო სასულიერო მწერლობის, არამედ ძველი ქართული საერო მწერლობის უბადლო მცოდნე. კ. კეკელიძე წლების მანძილზე ხვეწდა და ამუშავებდა, ახალი მასალებით ავსებდა თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ფუძემდებელ ტომებს.

დიდი მეცნიერის არა ერთი გამოკვლევა თარგმნილა რუსულ და უცხოურ ენებზე. მისი შრომები განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს აღმოსავლეთის ლიტერატურით დაინტერესებულ წრეებში, ხოლო კაპიტალური წიგნის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ პირველი ტომი ამას წინათ მთლიანად ითარგმნა გერმანულ ენაზე.

კორნელი კეკელიძეს უკანასკნელ დღეებამდე არ შეუწყვეტია მეცნიერული აზროვნება და ხანდაზმულობის მიუხედავად იმედიანად შესტყეოდა მომავალს. დიდი პიროვნების თავმდაბლობა ისევე ამშვენებდა მას, როგორც მის ბიბლიურად მშვიდ სახეს პირველი თოვლივით სპეტაკი თმა*.

სარგის ცაიშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

* გაზ. „თბილისი“, 1962, 11 IV, № 136 (2753).

ქართული მწერლობისა და კულტურის მოღვაწეთა შორის ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელთაც თანაბარი ცოდნითა და ერუდიციით შეეძლოთ ემუშავათ ქართველოლოგიის ყველა დარგში, როგორც აკადემიკოს კორნელ კეკელიძეს. მისი სამეცნიერო კვლევა-ძიებითი ინტერესები ერთნაირი ძალით სწვდებოდა ქართული ლიტერატურის ისტორიის, ენათმეცნიერებისა და ისტორიოგრაფიის საკითხებს. მას ჰქონდა ნათელი გონება და ზღვა მასალაში გაგნების შეუღარებელი უნარი.

ხელნაწერების საფუძვლიანად შესწავლამ, მეცნიერული ლიტერატურის დამუშავებამ და ქართული ფილოლოგიის დარგების ღრმა ცოდნამ კ. კეკელიძეს საშუალება მისცა ყველა წინამორბედ მკვლევარზე სრულყოფილად წარმოედგინა ძველი ქართული მწერლობის დარგები და მისი ისტორია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა.

კ. კეკელიძის ფილოლოგიურმა გამოკვლევებმა და ძეგლების პუბლიკაციებმა შესამჩნევლად გააცხოველა ქართველოლოგიური კვლევა-ძიება არა მარტო საქართველოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. ბევრ უცხოელ მკვლევარს შეაგნებინა ქართული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა, ზოგიერთ მათგანს კი გაუჩინა სურვილი ჩვენი ენისა და მწერლობის შესწავლისა.

ქართული ლიტერატურათმცოდნეობის განვითარებაში დიდი როლი ითამაშა 1923—1924 წლებში გამოქვეყნებულმა მისმა ორტომიანმა კაპიტალურმა შრომამ „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც შევსებულ-შესწორებული სახით რამდენჯერმე გამოიცა. კ. კეკელიძის ამ შრომამ განაცვიფრა მეცნიერული მსოფლიო მასალის სიუხვითა და სერიოზულობით და ის სამაგიდო წიგნად იქცა, როგორც მკვლევრების, ისე მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. განსაკუთრებით დიდი წარმატება ხვდა წილად ამ ნაშრომის პირველ ტომს, რომელიც ითარგმნა გერმანულ ენაზე. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მთავარი ღირსება ის არის, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არა მარტო ძველი ქართული მწერლობის თავისთავადობის ცხადყოფას, არამედ მისი მსოფლიო მნიშვნელობის ჩვენებასაც.

ამ ნაშრომის შექმნას წინ უძღოდა არანაკლებ მნიშვნელოვანი მონოგრაფიული გამოკვლევები და პუბლიკაციები, უმთავრესად ძველი ქართული სასულიერო მწერლობის საკითხებზე, როგორიცაა „ქართული ლიტურგიკული ძეგლები სამამულო წიგნსაცავებში და

მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (1908 წ.), „იარუსალიმის განჩინება VII საუკუნისა“ (1912 წ.), „ძველი ქართული არქიერატონი“ (1912 წ.) და სხვა.

მეტად ნაყოფიერი იყო კეკელიძის მუშაობა ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების კვლევაში, რომელსაც დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს მსოფლიოს გამოჩენილი ბიზანტინისტები. 1910—1912 წლებში, ქართული წყაროების მიხედვით, მან შუქი მოჰფინა X საუკუნის ბიზანტიელი მწერლის სვიმეონ ლოდოთეტის ნაკლებად შესწავლილ ცხოვრებასა და ლიტერატურულ საქმიანობას და გამოავლინა მის მიერ დაწყებული საქმის გამგრძელებელი, უცნობი ბიზანტიელი მწერალი იოანე ქსიფილინოსი, რომელსაც დიდი როლი უთამაშნია „წმიდათა ცხოვრებათა“ კიმენური ტექსტების ლიტერატურულად დამუშავებაში...

ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის პრობლემის წამოყენებამ კ. კეკელიძე მიიყვანა უმთავრესად იმ აგიოგრაფიული თხზულებების მეცნიერულად დამუშავებისა და პუბლიკაციის საჭიროებამდე, რომელია ბერძნული დედნები დაკარგულია და თარგმანების სახით მხოლოდ ქართულ ენაზეა შემონახული. მათი დამუშავება და პუბლიკაცია: აქტუალური იყო არა მარტო საკუთრივ ქართული მწერლობის ისტორიის შესასწავლად. არამედ ბიზანტიური ლიტერატურული ცხოვრების გასათვალისწინებლადაც. ამ მუშაობის შედეგად 1918 და 1946 წლებში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ნათარგმნი აგიოგრაფიული თხზულებების კიმენური ტექსტების ორი ტომი სათანადო ფილოლოგიური აპარატით და რუსულ სამეცნიერო ყურნალში დაბეჭდა ტექსტები ხატმბრძოლობის ეპოქის ახლად აღმოჩენილი აგიოგრაფიული ძეგლი („ცხოვრება წმიდისა რომანისი“), „იოანე უპრაელის ცხოვრება და მოქალაქეობა“, „იოანე დამასკელის ცხოვრების ქართული ვერსია“, „ცხოვრება ახლისა პეტრემსი“, „ცხოვრება აგათანგელოსისი“ და სხვ.

ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსის შექმნაზე მუშაობამ მკვლევარს დაუხასხა ახალი ამოცანები და პრობლემები, რომელთა გადაჭრისათვის საჭირო იყო ცალკეული საკითხების მონოგრაფიული შესწავლა. კ. კეკელიძე დიდი შეუპოვრობით შეუდგა ქართული სასულიერო და საერო მხატვრული მწერლობის, ბიბლიოლოგიის, ეგზეგეტიკის, ჰიმნოგრაფიის და სხვა დარგების, საქართველოს ისტორიის, ძველი ქართული ენის, პალეოგრაფიის, სპარსულ-ქართული და ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის ურთულესი საკითხების განხილვას, რის შედეგადაც გამოაქვეყნა მონოგრა-

ფიული ნარკვევები ქართული სასულიერო მწერლობის ისტორიიდან — „ორი ექვთიმე ძველს ქართულ მწერლობაში“ (1923 წ.), „საკითხა სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ“ (1926 წ.). კონსტანტინე კახის მარტილობა და ვინაობა“ (1927 წ.). „ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან“ (1938 წ.) და სხვა მრავალი, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა.

კ. კეკელიძეს აგიოგრაფიულ ტექსტებს გარდა ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი პუბლიკაციები ქართული ეგზეგეტიკური, ჰიმნოგრაფიული, ისტორიული და საერო მხატვრული მწერლობის ძეგლებისა. მისი მონაწილეობით მომზადდა ვეფხისტყაოსნის საიუბილეო ტექსტი (ის იყო პოემის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე); „ვისრამიანის“ მეორე გამოცემა; „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომი, დავით გურამიშვილის „დავითიანი“, ნიკოლოზ ბარათაშვილის თხზულებანი და სხვ.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კ. კეკელიძის ნაშრომს „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა უცხოეთის სამეცნიერო წრეებში და ითარგმნა გერმანულ ენაზე. რამდენადაც ის შეიცავს მეტად საყურადღებო და ხშირად უნიკალურ ცნობებს მსოფლიო მნიშვნელობის ამა თუ იმ ავტორებსა და თხზულებებზე.

უკანასკნელ ხანში კ. კეკელიძემ დაიწყო სხვადასხვა სამეცნიერო ორგანოებში დაბეჭდილი საკუთარი გამოკვლევების თავმოყრა და გამოცემა „ეტიუდების“ სახით (სიცოცხლეში მოასწრო შვიდი ტომის დაბეჭდვა, ამჟამად იბეჭდება მერვე, სოლო მზადაა დასაბეჭდად მეცხრე ტომი).

კ. კეკელიძე არ იყო შემოფარგლული მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიებით. იგი ეწეოდა დიდ საგანმანათლებლო-საზოგადოებრივ მოღვაწეობას. ათეული წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს და ძალას არ იშურებდა ახალი სამეცნიერო კადრების აღზრდის საქმისთვის. ის იყო დიდი მომთხოვნე, ზუსტი, დაუზარელი და ბოლომდე პრინციპული როგორც თავის სამეცნიერო საქმიანობაში, ისე სხვების. განსაკუთრებით კი თავისი მოწაფეების მიმართ.

განუსაზღვრელია აკადემიკოს კორნელი კეკელიძის დედაწლი ძველი ქართული კულტურის შესწავლასა და მეცნიერული აზრის განვითარებაში. მისი შეუღახველი ავტორიტეტი ქართულ ფილოლოგია-

ში ყოველთვის იქნება მოწიწების საგანი და შთაგონების წყარო ქართული მეცნიერების მოღვაწეთათვის*.

გაიოზ იმედაშვილი.

ივანე ლოლაშვილი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები.

ბრწყინვალე მეცნიერის ცხოვრების ზეა

დიდი ქართველი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უზუცესი პროფესორი, აკადემიკოსი კორნელი სამსონის კეკელიძე თითქმის 60 წლის განმავლობაში სწავლობდა და იკვლევდა მრავალმხრივსა და მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს მწერლობას — ძველ ქართულ ლიტერატურას და ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს. განუწყვეტლევ ასწავლიდა ასალგაზრდობას და მონაწილეობდა ამ ხნის განმავლობაში წამოწყებულ ეროვნული მნიშვნელობის საგანმანათლებლო საქმეებში.

ჩვენი ხალხის ეს მოამაგე და სასიქადულო პიროვნება, ავტორი ბიოგრაფიის ერთ-ერთი რედაქციის მიხედვით დაიბადა 1879 წლის 2 თებერვალს, ხოლო ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით კი — ამავე წლის 18 აპრილს ვანის რაიონის სოფელ ტობანიერში; მან 81 წელი იცხოვრა, ბოლომდე შეინარჩუნა უაღრესად ნათელი აზროვნება, ასალგაზრდული ენერჯია და გარდაიცვალა თბილისში, ა. წ. 7 ივნისს 22 საათსა და 25 წუთზე.

განსვენებული მამის წინათაობა ზემო გურიის სოფ. ზოტიდან (უფრო ზუსტად — ბეოლიეთიდან) წასულა და იმერეთის ს. ტობანი; ერში დასასწავლელა. ჩანს, რომ წინაპრები ხელმოკლე ყოფილან, — მათ მემკვიდრეს, ე. ი. ჩვენი მეცნიერის — კორნელის მამას, მედავითნე სამსონ იესეს ძე კეკელიძეს სხვისი მიწის დამუშავებაც კი უხდებოდა. გამრჩე ყოფილა კორნელის დედაც — თებრონე უშვერიძის ასული. გონიერ მშობლებს არაფერი არ დაუზოგავთ, რათა შვილებისათვის ესწავლებინათ...

* „ლიტერატურული გაზეთი“ 1962, 15 VI, № 25 (1299).

კიევის აკადემიის დასრულებისას 1904 წელს, მისმა სადიპლომო ნაშრომმა ქართული ლიტურგიული ძეგლების შესახებ მაღალი შეფასება ჯაიმსახურა...

კ. კეკელიძე მუდამ განაგრძობდა სტუდენტობისას დაწყებულ ინტენსიურ მეცნიერულ მუშაობას. 1904 წლიდან ის საქართველოსა და კიევში, ხოლო 1912 წლიდან პეტერბურგსა და სხვაგანაც აქვეყნებს ნაშრომებს. ზემოხსენებული სადიპლომო ნაშრომის სრულყოფილი რედაქცია ცალკე წიგნადაც გამოიცა სათაურით „მშობლიურ წიგნთსაცავებში დაცული ქართული ლიტურგიული ძეგლები და მათი მეცნიერული მნიშვნელობა“ (თბილისი, 1908 წ., გვ. XXXI+515+XIII. რუსულ ენაზე). მისი ავტორი 1908 წელსავე ამ ნაშრომით ბრწყინვალედ იცავს სამაგისტრო დისერტაციას.

კ. კეკელიძე არის 350-მდე გამოქვეყნებული მეცნიერული გამოკვლევის, მეცნიერულ-პოპულარული წიგნაკისა და წერილის ავტორი. რომელთა შორის ორი ათეული დიდტანიანი წიგნია, ავტორის ნაშრომები გამოირჩევა მასალის სიმდიდრითა და სიახლით. მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით. რომლებიც საფუძვლად დაედო მის კაპიტალურ ორტომეულს — „ძველი ქართული მწერლობის ისტორიას“. არსებობს ამ ფუძემდებელი ნაშრომის I ტომის ხუთი გამოცემა (1923, 1941, 1951, 1954 და 1960 წ.) და II ტომის ოთხი გამოცემა (1924, 1941, 1952 და 1958). პირველ ტომს შესავლად უძღვის ძველი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბების და ქართული მწერლობის შესწავლის მიმოხილვა, გარკვეულია ქართული ლიტერატურის განვითარების პერიოდები. ვრცლადაა დახასიათებული სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრები საქართველოსა და მის გარეთ, შემდეგ დახასიათებულია ძველი ქართველი 76 ავტორი. ლიტერატურული ძეგლები სისტემატიზირებული და განხილულია ასე: აპოკრიფები, ეგზეგეტიკა, დოგმატიკა, პოლემიკა, აგიოგრაფია, ასკეტიკა და მისტიკა. ჰომილეტიკა, კანონიკა, ლიტურგიკა, პოეზია.

მეორე ტომში შესწავლილია ქართული კლასიკური პერიოდის ლიტერატურა: ეპოსი, ლირიკა; აღორძინების პერიოდის ლიტერატურა --- საგმირო, რომანტიკული. საზღაპრო. დიდაქტაკურ-რომანტიკული საისტორიო ეპოსი, ლირიკა და დრამა.

ხსენებული ორი ტომი არ არის ჩვეულებრივი კურსი. არ არის მხოლოდ სასწავლო მიმოხილვითი სახელმძღვანელო, არამედ იგი

არის ფართო დიაპაზონისა და კვლევითი ხასიათის ქმნილება, ამიტომ პირველი ტომის წინასიტყვაობაშივე წერს ავტორი, რომ ამ წიგნში გათვალისწინებულია უმაღლესი სკოლის პროგრამა და ამდენად იგი სახელმძღვანელოცაა, მაგრამ ძირითადად მაინც „ეს კურსი არის ფართოდ წამოყენებული ისტორიულ-ლიტერატურული. უშუალოდ პირველ წყაროებზე დამყარებული კვლევა-ძიებითი ხასიათის ნაშრომი“ (1960 წ. გამოც., გვ. 6)...

„ეტიუდების“ პირველი ტომის წინასიტყვაობაში კ. კეკელიძე წერს, რომ მას 50 წლის განმავლობაში მრავალი გამოკვლევა გამოუქვეყნებია, „მათი მიზანი: — განაგრძობს ავტორი, — იყო შევსება, დაზუსტება და გაღრმავება იმ საკითხებისა და მასალისა, რომელიც მოთავსებულია ჩემს ორტომიან კურსში. ამიტომ ეს ნარკვევებიც ისევე საჭიროა, როგორც დასახელებული „კურსი“, და მართლაც ეს ასეა.

„ეტიუდებში“ შესულ ცალკეულ გამოკვლევებს შორის არის ისეთი გზამკვლევი ნაშრომები, როგორიცაა მაგალითად, კ. კეკელიძის მრავალრიცხოვანი რუსთველოლოგიური ნარკვევები (ტ. IV), „ძველი ქართული წელიწადი“, „იოანე ქართველის კალენდარი (X ს.)“, „წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში (ძეგლთა დათარიღებისათვის)“, „ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის“, „მთარგმნელობითი მეთოდები ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი“, „ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში“, „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, „კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში“. უბადლო მონოგრაფია „უცხო ავტორები ძველ ქართულ ლიტერატურაში“ („ეტიუდები“, V, გვ. 5—114), „ქართული ნათარგმნი აგიოგრაფია“ (იქვე, გვ. 115—211), „ქსიფილინოსის კრებული“ და სხვა მრავალი.

კ. კეკელიძე ძალიან დაკვირებული ტექსტოლოგი იყო. ძეგლის „იერუსალიმის განჩინება. VII საუკუნისა. ქართული ვერსია“ (რუსულ ენაზე, 1912 წ., VII—346). გამოცემისათვის იგი, დიდად მომთხონი ნ. მარის წარდგინებით, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დააჯილდოვა მ. ახმატოვის სახელობის პრემიით.

კ. კეკელიძემ ასევე სამაგალითოდ გამოაქვეყნა აგრეთვე „წველი ქართული არქიერატყონი“ (1921 წ.). კიმენი“ ტ. I (1918 წ.) და ტ. II (1946 წ.) „თარგმანებაჲ ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმჯრნელ მიტროპოლიტისაჲ“ (1920 წ.) და სხვა.

ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა გამოაქვეყნა აგრეთვე მთელი რივი ძალიან საყურადღებო რეცენზიებისა. იგივე რედაქტორობდა სხვა-

თა მონოგრაფიებს, ოპონენტი იყო და მას წერილობით აქვს გარჩეული 20-მდე სადოქტორო და უფრო მეტი საკანდიდატო დისერტაციები.

კ. კეკელიძე ეპოქის შემქმნელია ქართულ ფილოლოგიაში, მან ჩამოაყალიბა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია უძველესი დროიდან მეცხრამეტე საუკუნემდე. მისმა ნაშრომებმა, ნ. მარის შემდეგ, შექმნეს ახალი ეტაპი ამ დარგში, მის გამოკვლევებს გვერდს ვერ აუვლის ძველი ქართული მწერლობის ვერც ერთი სერიოზული პეკლევარი...

კ. კეკელიძემ არა მარტო გამოკვლევებით გაიტანა ქართული მწერლობის ისტორია დიდ სარბიელზე, არამედ მანვე გააცნო სპეციალისტებს მთელი რიგი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ძეგლები ქართული მწერლობისა. მაგალითად, მან ბრწყინვალედ თარგმნა რუსულ ენაზე იაკობ ტურტაველის „შუშანი“, წამება“, იოანე საბანისძის „აბოს წამება“, ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და სხვ. მის თითოეულ თარგმანს ახლავს მთარგმნელისავე გამოკვლევა. შენიშვნები და კომენტარები.

კ. კეკელიძე იყო სამშობლოს დიდი პატრიოტი, იგი თავის ფართო განათლებასა და საოცარ ერუდიციას ახმარდა ჩვენი კულტურის მსოფლიო არენაზე გატანის საქმესაც.

ყოველივე აღნიშნულს გარდა, განუზომელია კ. კეკელიძის დევალი. როგორც პედაგოგისა, მისი ლექციები და პაექტობა დისერტაციების დაცვაზე ბევრის მიმოცემა იყო მსმენელთათვის. კორნელი კეკელიძე იყო ქართველი ერის სულიერი კულტურის შესანიშნავი მკვლევარი, ახალგაზრდობის აღმზრდელი და საზოგადო მოღვაწე. კარგი ორგანიზატორი. ის დააფასა ჩვენმა ეპოქამ, — კ. კეკელიძეს მინიჭებული ჰქონდა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება, დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით, შრომის წითელი დროშის ორი ორდენითა და მედლებით.

ქვეშარტად კორნელი კეკელიძე იყო მამა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა*.

იოსებ მეგრელიძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

* „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, 15 VI, № 25 (1299)

1962 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა ქართული მეცნიერების დიდი მოამბე: გამოჩენილი ფილოლოგი და ლიტერატურის ისტორიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. პროფესორი კორნელი კეკელიძე.

უაღრესად დიდია ის დანაკლისი, რომელიც ქართულ მეცნიერებას; კერძოდ ქართულ ფილოლოგიას ეწია მისი ერთ-ერთი სასიქადულო ფუძემდებლისა და დაუცხრომელი მუშაკის კორნელი კეკელიძის გარდაცვალებით.

კორნელი კეკელიძე ფართო მასშტაბით იკვლევდა ქართულ მწერლობას. არ დარჩენილა მისი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დარგი, რომელშიც ღრმად შესამჩნევი კვალი არ გაველო განსვენებულ მეცნიერს. ბევრი მათგანის ყამირი ხომ პირველად მხოლოდ მისმა მადლიანმა ხელმა გატეხა!

ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, კეკელიძემ მწვავედ იგრძნო, თუ რა დაბალ დონეზე იდგა მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის შესწავლის საქმე. ის ხედავდა, რომ მდიდარი ქართული სულიერი კულტურა ელოდება შემსწავლელსა და შემფასებელს. ეს განსაკუთრებით ეხებოდა მწერლობის ძველ პერიოდს. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან მან გადაწყვიტა კვლევისა და შესწავლის საგნად ძველი ქართული სასულიერო მწერლობა გაეხადა. უკვე ამ დროიდან იგი შეუდგა ქართული ლიტერატურული ძეგლების აღწერასა და შესწავლას. 1904 წელს კი კიევის სასულიერო აკადემიას საკანდიდატო ნაშრომიც წარუდგინა თემაზე: «Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение».

აკადემიის დამთავრების შემდეგ 1905 წელს ის ბრუნდება საქართველოში, იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას და ამასთანავე ენერჯიულად განაგრძობს კვლევა-ძიებას.

კ. კეკელიძე ხედავდა, რომ ძველი ქართული მწერლობის შესწავლისათვის პირველ რიგში საჭირო იყო აღწერა და მოწესრიგება იმ დიდძალი ხელნაწერი მასალისა, რაც სიძველეთა საცავებში იყო თავმოყრილი როგორც საქართველოში. ისე საქართველოს გარეთ. მისთვის ჩვეული მუყაითობით ის შეუდგა ამ მეტად საჭირო და შრომატევად საქმეს. აქტიურად ჩაება საეკლესიო მუზეუმის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების საქმიანობაში. ხელი მიჰყო ამ საზოგადო-

ებათა ხელნაწერი ფონდებზე შესწავლასა და აღწერას და თან გზა-დაგზა აქვეყნებდა ხელნაწერებში მის მიერ ახლად მოპოვებულ მასალებს. ქართული ხელნაწერების ბრწყინვალე ცოდნა იყო ის საძიარკველი. რომელზედაც აიგო შემდეგ კ. კეკელიძის მონუმენტალური შრომა — ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორტომეული.

ახალგაზრდა მეცნიერის საქმიანობით თავიდანვე დაინტერესდა აკად. ნ. მარი. ნ. მარმა კ. კეკელიძე მიიწვია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოს «Христианский Восток»-ის თანამშრომლად. რომელშიც მან 1912—17 წლების მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა.

თავისა სამეცნიერო შტუდიებით კ. კეკელიძემ აღრევე შეიძინა ქრისტიანული მწერლობის დარგში დიდი სპეციალისტის სახელი. უკვე ამ დროისათვის მას იცნობენ და ანგარიშს უწევენ რუსეთისა და საზღვარგარეთის გამოჩენილი მეცნიერები.

კ. კეკელიძის პირველი ნაშრომების გამოქვეყნებისთანავე სპეციალისტების ძალიან ფართო წრისათვის ნათელი გახდა, თუ რა დიდ საგანძურს იტევდა მსოფლიო მეცნიერებისათვის ძველი ქართული სასულიერო მწერლობა და რა შესანიშნავი მეურვე გაუჩნდა მას კორნელი კეკელიძის სახით. ქართული მწერლობის მნიშვნელობა ქრისტიანული აღმოსავლეთისა და ბიზანტიური მწერლობის შესწავლისათვის განსაკუთრებით აშკარა მას შემდეგ გახდა, რაც კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა «Иерусалимский Канонарь» (1912) და „Превне-грузинский Архиварион“ (1912). ორივე ნაშრომზე აღფრთოვანებული რეცენზიები დაიწერა.

1915 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ კ. კეკელიძეს დაავალა რამდენიმე ტომად განზრახული სერიის „Monumenta hagiographica Georgica“-ს რედაქტორობა. ქართული აგიოგრაფიული ძეგლების შესწავლა და პუბლიკაცია მანამდეც იყო მკვლევარის ყურადღების ცენტრში. ამერიიდან კი ის საგანგებოდ შეუდგა „Monumenta“-სთვის მასალების შეგროვებას. 1918 წელს გამოიცა „Monumenta“-ს პირველი ტომი, რომელიც მოიცავდა კიმენურ ტექსტებს. მომდევნო ტომის გამოქვეყნება მოხერხდა მხოლოდ 1946 წელს. კიმენის ორივე ტომში მრავლად არის შესული ისეთი აგიოგრაფიული ტექსტები. რომელთა ბერძნული დედნები დაკარგულია და მხოლოდ ქართულმა თარგმანმა შემოგვინახა. ამ მიმართულებით მუშაობა კ. კეკელიძეს არ შეუწყვეტია სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მან მრავალი ნაშრომი უძღვნა ქართულ-ბი-

ზანტიური ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებს და მრავალ ხარვეზი შეავსო როგორც ბიზანტიის, ასევე ქრისტიანული აღმოსავლეთის ხალხთა მწერლობის ისტორიამ.

მეცნიერთა განსაკუთრებული ყურადღება კ. კეკელიძის იმ შრომება მიიპყრო, რომლებიც ბიზანტიურ-მეტაფრასტიკას მიეძღვნა. ესაა მისი ორი კაპიტალური ნაშრომი: «Симеон Метафраст по грузинским источникам» და „Иоанн Ксифилин, предолжатель Симеона Метафраста“. ქართულ წყაროების საშუალებით მან საბოლოოდ გაარკვია ბიზანტიური მეტაფრასტიკის მამამთავრის სვიმეონ ლოლოთეტის მოღვაწეობის ხასიათი და მისი შრომების მოცულობა, ხოლო მეორის მხრე ქართულ მასალებშივე აღმოაჩინა მანამდე უცნობი ბიზანტიელი მწერალი ქსიფილინოსი, სვიმეონ ლოლოთეტის შრომათა გამგრძელებელი.

სახელოვანი ქართველი მეცნიერი სამეცნიერო-კვლევით მუშაობასთან ერთად დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. ამის მეტყველია მისი აქტიური მონაწილეობა ჯერ ქართული უნივერსიტეტის დამაარსებელთა საინიციატივო ჯგუფში, რომელსაც დიდი ივანე ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდა და. მერმე, უნივერსიტეტის განმტკიცებისათვის ზრუნვა.

1923-სა და 1924 წლებში კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორტომეული. ეს კაპიტალური ნაშრომი, სადაც თავმოყრილი, გამოძიებული და შეფასებულია V-XVIII საუკუნეების ქართული სულიერი კულტურის დიდძალი მასალა, ნავარაუდევია იყო როგორც სპეციალისტ მკვლევარებისათვის, ასევე თბილისის უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, რომელთაც კ. კეკელიძე უკითხავდა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსს.

ქართული ლიტერატურის ორტომეული ოთხჯერ გამოიცა. ყოველი ახალი გამოცემა შევსებულია მრავალი ახალი მასალით და ფაქტების ახლებური გააზრებით. ეს ორი ტომი წარმოადგენს ძველი ქართული მწერლობის პირველ მეცნიერულ დამუშავებას. ამ წიგნების მეშვეობით ძველმა ქართულმა მწერლობამ დაიკავა ღირსეული ადგილი მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

ლიტერატურის ისტორიის პარალელურად დაიბეჭდა „ეტრუდების“ 8 ტომი. კ. კეკელიძე 300-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორია.

ყველაფერი ეს თავდადებულ სიყვარულისა და გოლიათური შრომის ნაყოფია. იგი ერთნაირი სიყვარულითა და სიფაქიზით და-

ტრიალებდა თავს მშობლიური ხალხის მდიდარ და მრავალსაუკუნოვანი კულტურული ცხოვრების ყოველ უბანს.

საქართველოს წარსულის დიდი მკვლევარი ჩვენამდე შემონახული წერილობით ძეგლთა გამოვლინების, შეკრების. მოვლა-დაცვისა და შესწავლის საქმეს ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამიტომ დიდი სიხარულით შეხვდა ის სელნაწერთა ინსტიტუტის დაარსებას აკადემიის სისტემაში და ცხოველი მონაწილეობაც მიიღო მის ჩამოყალიბებაში; თავისი, როგორც სამეცნიერო საბჭოს წევრის. ოჩევიტა და თანამშრომლობით ფასდაუდებელი ამაგი დასდო ამ ახალ სამეცნიერო დაწესებულებასაც.

კ. კეკელიძისათვის შემოქმედებითი წვისა და დაუღალავი შრომის გარეშე წარმოუდგენელი იყო არსებობა. მას არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა მეცნიერის ყურადღება განაწილებულიყო რაიმე სხვა საგანზე. როდესაც ჯერ კიდევ ამდენი იყო გასაკეთებელი. კარგ პეურვესავით ის იცნობდა მასზე მინდობილი უბნის ყოველ ნაკლს და ცდილობდა მის გამოსწორებას.

რაც დრო გადიოდა და მცირდებოდა კ. კეკელიძის ფიზიკური შესაძლებლობა. მით უფრო იზრდებოდა საოცარი ძალის სურვილი; რაც შეიძლება მეტი მოესწრო, რომ მოუწესრიგებელი. გაურკვეველი და დაუმუშავებელი არაფერი დაეტოვებინა. მას მუდამ ჰქონდა გარკვეული გეგმა, რომლის განხორციელებაც გადაუდებელ საქმედ მიაჩნდა. ის ყოველ წუთს ეშურებოდა და კვლევა-ძიების გარდა დრო არაფერზე ემეტებოდა. ამიტომაც, რომ კ. კეკელიძეს არც ერთი წუთით არ გაუგდია ხელიდან კალამი, არც ერთი წუთით არ შენელება მეცნიერული ქეშმარიტების ლაბის სურვილი. ამიტომაც, რომ მიუხედავად მძიმე შრომაში გატარებული 84 წლისა, კ. კეკელიძის მუდამ დაძაბულ გონებას ბინდი არ მიჰკარებია. მიუხედავად სნეულებისა. არცერთი წუთით არ შეუწყვეტია ფიქრი თავის საყვარელ საქმეზე*.

დიდი მართვანი მეცნიერი

საბჭოთა მეცნიერებამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 83 წლის ასაკში გარდაიცვალა სახელოვანი მეცნიერი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახუ-

* საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორნ. კეკელიძის სახელობის სელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, 1962, ტ. IV.

რებული მოღვაწე, პროფესორი კორნელი სამსონის ძე კეკელიძე. ქართულმა ფილოლოგიამ დაკარგა ნათელი გონებისა და დიდი ერუდიციის მკვლევარი. ახალგაზრდობამ — მზრუნველი და გულისხმიერი აღმზრდელი, ხოლო ქართველმა საზოგადოებრიობამ — უანგარო საზოგადო მოღვაწე და სპეტაკი მოქალაქე. რომელიც ამშვენებდა ჩვენს საუკუნეს.

თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების თითქმის ექვსი ათეული წელი კ. კეკელიძემ ქართველი ერის კულტურული ცხოვრების კვლევა-ძიებას შეაღწია და ამ ხნის განმავლობაში გამოაქვეყნა 200-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, რომელთა მნიშვნელობა ფრიად დიდია. კ. კეკელიძის შრომები მეცნიერული პოემებია, რომლებიც მხატვრული ოსტატობითა და ღრმა მეცნიერული მსჯელობით. სადა და მადლიანი ქართულით გაცოცხლებულია გარდასული საუკუნეების მოღვაწეთა სახეები და შეფასებულია მათი უანგარო შრომა ქართველი ხალხის ინტელექტუალურ ცხოვრებაში.

მრავალმხრივი და ენციკლოპედიური იყო კ. კეკელიძის ინტერესთა სფერო და სამეცნიერო თემატიკა. მრავალი დამე გაუთევეია მას არქივის მტვრით დაფარული ხელნაწერების კითხვაში. წარსულის ლაბირინთებში მოგზაურობამ გაათეთრა მგზნებარე მამულიშვილი. მან ზოპარული ამირანის დევგმირული ძალით გადმოანგრია საგელგუჯრების და ფოლიანტების მთები და აღმოაჩინა უამთა სიავის მტვერში დაფერფლილი ქეშმარატებანი. ამ დიდი მოწამეობრივი შრომის შედეგად მოგვცა კ. კეკელიძემ ლიტერატურული ცხოვრების მთლიანი სურათი V საუკუნიდან XIX საუკუნემდე და მკაფიოდ დაგვანახა თუ რა „ინტელექტუალური და მორალური ინტერესები ამოძრავებდა იმ ხანებში ამა თუ იმ ხალხს, რა იდეები, აზრები და საკითხები იპყრობდნენ მის ყურადღებას, როგორ ითვისებდა ის ამ იდეებს და აზრებს. ერთი სიტყვით — როგორი იყო მისი გონებრივი და ზნეობრივი დონე. მისი ესთეტიკურ-მხატვრული გემოვნება და ლიტერატურული განვითარება“.

ბუნების მიერ ბრწყინვალე ტალანტით დაჯილდოებულმა მეცნიერმა თავისი მნიშვნელოვანი გამოკვლევებით სახელი გაითქვა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირში, არამედ მის საზღვრებს გაერთაც. საუკუნეებს გადაეცემა კ. კეკელიძის ქართული მწერლობის ისტორიის ორი სქელტანიანი ტომი. რომლებშიც მოცემულია ძველი ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვანი და მრავალფეროვანი ისტორიის ერთობლივი შემოქმედებითი პროცესის ღრმა მეცნიერული ანალიზი; სამაგიდო წიგნებად დარჩება ფილოლოგთა და ის-

ტიროკოსთათვის ექვსი ტომი „ეტიუდებისა“ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. თაობიდან თაობას გადაეცემა მის მიერ მეცნიერულად გამოცემული და კომენტირებული ძველი ქართული სასულიერო თუ საერო მწერლობის მნიშვნელოვანი ძეგლები და მრავალი ცალკეული გამოკვლევა, რომლებმაც შუქი მოჰფინეს არა მხოლოდ ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის ბურჟუაზიული მოცულ მრავალ საკითხს, არამედ საქართველოსთან ურთიერთობაში მყოფი მრავალი ქვეყნის ლიტერატურისა და ისტორიის საკითხებს.

განსაკუთრებით დიდია კ. კეკელიძის დამსახურება ძველი ქართული სასულიერო მწერლობის წინაშე. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მას. როგორც სასულიერო მწერლობის მკვლევარს და ამ მწერლობის ისტორიის სისტემატიზატორს. ტოლი არ ჰყავდა. ამ შემთხვევაში ზედგამოჭრილია გიორგი ათონელის სიტყვები ექვთიმე ათონელის მისამართით თქმული: მკვლევარი და მეცნიერი „ეგევითარი... არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩვენსა და ვკვონებ. თუ არღაცა გამოჩინებად არს“.

არანაკლები შრომა გასწია კ. კეკელიძემ ძველი ქართული საერო ლიტერატურის ისტორიის კურსის ჩამოყალიბებისათვის. მან დიდი მეცნიერული სიღრმით გამოიკვლია საერო მწერლობის წარმოშობისა და განვითარების რთული პროცესი და ამ დარგშიც მრავალი ახალი ყურადღაღები დებულება განავითარა. რომელნიც შემდგომში ცალკეული გამოკვლევების თემებად იქცნენ.

კ. კეკელიძემ რუსულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ძველი ქართული მწერლობის საუკეთესო ძეგლები. რითაც დიდად შეუწყო ხელი ქართული მწერლობის პოპულარიზაციას. კ. კეკელიძის უდიდესი დამსახურება ისიცაა, რომ თავისი ფუნდამენტალური გამოკვლევებით აამაღლა ქართული ლიტერატურის პრესტიჟი მსოფლიო მეცნიერების თვალში.

არანაკლებ ნაყოფიერი იყო კ. კეკელიძის მოღვაწეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში. მსცოვანმა მეცნიერმა მრავალი სიახლე შეიტანა საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობაში. ხშირ შემთხვევაში შეავსო ან დააზუსტა ცალკეული ცნობები ამა თუ იმ ისტორიული თხზულების. მისი ავტორის ან თვით მოვლენის შესახებ. გამოაქვეყნა მრავალი ძველი ისტორიული ხასიათისა, აღადგინა შერყვნილი ტექსტები და შეისწავლა საქართველოს ისტორიის სპეციფიკური პრობლემები. კ. კეკელიძის მრავალი შრომა ქართული საისტორიო

მწერლობაში დარჩება როგორც ისტორიოგრაფიული ხასიათის ძვირფასი საუნჯე.

დიდი ერუდაციის მეცნიერი უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართული ხალხური შემოქმედების საკითხებსაც. კ. კეკელიძის შრომებში დასმული და გადაჭრილია როგორც ლიტერატურათმცოდნეობის, ასევე ფოლკლორისტიკის ისეთი მნიშვნელოვანი თეორიული საკითხები, როგორიცაა ქართული ხალხური სიტყვიერების ადგილი მსოფლიო ლიტერატურასა და ხალხურ შემოქმედებაში, ხალხური სიტყვიერებისა და ლიტერატურის ურთიერთობა, სხვადასხვა ენარის ხალხურ ნაწარმოებთა ტრადიცია საქართველოში და სხვა მრავალი.

კ. კეკელიძემ თავისი ავტორიტეტული სიტყვა თქვა XIX საუკუნის ქართული მწერლობის მთელ რიგ საკითხებზეც. ასეთ შრომათა რიგს მიეკუთვნება მისი „სამიჯნურო ცთუნების პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში“ და „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის“. ქართველი მკითხველი დიდად არის დავალებული კ. კეკელიძის მეთაურობით მომზადებული და დაბეჭდილი ნ. ბარათაშვილის თხზულებათა სრული კრებულის საიუბილეო გამოცემით.

დიდ მეცნიერს არც ქართული სამართლის ისტორიის საკითხები გამორჩენია მხედველობიდან. მისი შეხედულებანი ქართული სამართლის ისტორიის სხვადასხვა ინსტიტუტის შესახებ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ საკითხების მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის.

კ. კეკელიძე იყო არა მხოლოდ დიდი მეცნიერი, არამედ ის იყო ასევე დიდი პედაგოგი, მეტად მგრძნობიარე. გულისხმიერი და უაღრესად თავმდაბალი ადამიანი, მხოლოდ მას შეუძლია შეაფასოს იგი. როგორც დიდი მასწავლებელი, ვისაც მოუხმენია მისი ლექციები. -- მისი აუჩქარებელი და დამაჯერებელი თხრობა. განუცდია მისი ლოგიკის გასაოცარი უნარი და პოლემიკის შეუდარებელი ძალა. მისი მამობრივი მზრუნველობით აღიზარდა მრავალი თაობა. მრავალი სამეცნიერო კადრი.

ფართო სამეცნიერო მუშაობასთან კ. კეკელიძე გასაოცარი ენერგიით ათავსებდა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. ის იყო პირველი. და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. უცვლელი ხელმძღვანელი უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრისა. 10 წლის განმავლობაში იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. ხოლო 5 წელი -- პრორექტორი.

კ. კეკელიძე სამგზის იყო არჩეული თბილისის საბჭოს დეპუტატად. ხოლო ორგზის -- საქართველოს და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. სხვადასხვა დროს ის

იყო განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სატერმინოლოგიო კომისიის თავმჯდომარე და სხვ.

ვალმოხდილი წავიდა ჩვენგან დიდი მეცნიერი და სასიქადულო მამულიშვილი... ამ დღეს, როდესაც საბოლოოდ ვეთხოვებით ამაგდარ მასწავლებელს, ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ მისი სხივოსანი სახე გაგვყვება სიცოცხლის მთელ გზაზე როგორც სიმბოლო პატიოსნებისა, ჰუმანურობისა, მეცნიერული გმირობისა და პრინციპულობისა, რითაც მოხიბლულნი და მოჯადოებულნი ვიყავით მისი მოწაფეები*.

იოსებ ბოცვაძე,
ლოცენტი.

ღვაწლმოსილი მეცნიერი

1962 წლის შვიდ ივნისს საღამოს ათ საათსა და ოცდახუთ წუთზე შეწყდა მაჩისცემა იმ ღვაწლმოსილი ადამიანისა, რომელიც ბურჯად ედგა ქართული კულტურის ორ დიდ კერას—სახელმწიფო უნივერსიტეტსა და მეცნიერებათა აკადემიას...

მრავალფეროვანი იყო აკადემიკოს კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. ის ეწეოდა ძველი ქართული სამწერლობო ძეგლების აღნუსხვა-კატალოგიზაციას და სამეცნიერო აღწერილობათა შედგენას, ძეგლების სამეცნიერო პუბლიკაციას; გამოაქვეყნა მონოგრაფიული გამოკვლევები. კვლევა-ძიებით მიღებული შედეგების განზოგადება-დასისტემების გზით ქართული ლიტერატურის ისტორიის მთლიანი სამეცნიერო კურსი ჩამოაყალიბდა.

შეუძლებელია აღნუსხვა იმ მრავალი და უაღრესად მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომებისა, რომლითაც კ. კეკელიძემ გამოიკვლია არა მარტო მშობლიური მწერლობის საკითხები, არამედ მსოფლიო კულტურის უაღრესად საინტერესო პრობლემები, მაგალითად. მის მიერ ქსიფილინოსის კრებულის აღმოჩენას ევროპელებმა „სენსაციური მოვლენა“ უწოდეს მეცნიერებაში.

კ. კეკელიძემ თავისი ნაყოფიერი შრომითა და კოლოსალური მეცნიერული აპარატურით, შეისწავლა და გამოიკვლია ჩვენი უძველესი

* გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1962, 12 VI, № 116 (11434).

დიდი წერილობითი კულტურა და შექმნა ქართული მწერლობის მთლიანი კურსი.

კ. კეკელიძემ აღმოაჩინა და გააანალიზა მრავალი ბიზანტიური ძეგლი, რომელთა დედანი ადარ არსებობს და მსოფლიო ლიტერატურას შემოენახა მხოლოდ ქართული თარგმანების საშუალებით. ასე რომ, ქართული წყაროებით მდიდრდება და ივსება მსოფლიო კულტურის ესა თუ ის სფერო.

კ. კეკელიძეს უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ეკუთვნის არა მარტო ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში, არამედ აღმოსავლურ, ებრაულ, სპარსულ-არაბულ მწერლობის ისტორიაშიც. ამ სფეროშიაც ქართულად ნათარგმნი ძეგლების საშუალებით აკად. კორნელი კეკელიძემ ნათელი სიზარტყნა სპარსულ-არაბული მწერლობის მრავალ ბუნდოვან საკვამლეზე.

სასულიერო მწერლობის დიდი სპეციალისტი კ. კეკელიძე მეტად ნაყოფიერად მუშაობდა ქართულ საერო მწერლობის სფეროშიც. განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის რუსთველოლოგიის დარგში. დიდი წვლილი აქვს შეტანილი კ. კეკელიძემ ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენაში და ამ ძეგლთან დაკავშირებულ ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების გარკვევაში, ასევე ღრმად და საფუძვლიანად აქვს გამოკვლეული კლასიკური და აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობა.

ძველ მწერლობაში მომუშავე ამ მეცნიერს ეკუთვნის უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევები ქართული ფოლკლორისა და ახალი ქართული ლიტერატურის საკითხებზე.

ფასდაუდებელია აკადემიკოს კ. კეკელიძის ღვაწლი საქართველოს ისტორიის საკითხების შესწავლაში.

აკად. კ. კეკელიძის მერ გამოცემული ნაშრომები და ტექსტები იმდენად მნიშვნელოვანია როგორც ქართველოლოგიის, ისე მსოფლიო საქრისტიანო მწერლობაში, რომ ისინი თარგმნილია ლათინურ, გერმანულ და სხვა ენებზე. თვით აკად. კ. კეკელიძემ არა ერთი ქართული ძეგლი თარგმნა და გამოაქვეყნა რუსულ ენაზე, რომელთაც დაურთო თავისივე გამოკვლევები.

უაღრესად ნაყოფიერი და მრავალმხრივი იყო აკად. კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. მან თავისი გამოკვლევებით ვაამდიდრა მეცნიერების სხვადასხვა სფერო — ისტორია თუ ენათმეცნიერება. სამართლის ისტორია თუ ფოლკლორისტიკა, საერო ქართული თუ

აღმოსავლური მწერლობა. მაგრამ ჩვენი დეაწლმოსილი მეცნიერის სტიქია მაინც სასულიერო მწერლობა იყო.

კ. კეკელიძის კონცეფციით, სასულიერო მწერლობა გარკვეულ პერიოდში იყო ერთ-ერთი ფორმა, რომელშიც გამოვლინდა ჩვენი ხალხის კულტურა და მისწრაფებები. აგრეთვე მისმა მაღალმა მხატვრულმა დონემ შეუწყო ხელი ჩვენი მდიდარი კლასიკური ლიტერატურის შექმნას.

მის მეცნიერულ მუშაობაში სახელმძღვანელო პრინციპი იყო ქვეშარიტების ძიება. ის უპირველესად თვით იცავდა იმ პრინციპებს, რომელთაც ამ რამდენიმე ხნის წინ მიმართა თავის მოწაფეებს: იყავით თავგანწირვამდე მოყვარული თქვენი ერისა და სპეციალობის, ერიდეთ სენსაციებს და რეკლამებს, მეცნიერებას ნუ გამოიყენებთ ცრუ პატრიოტული სპეკულაციისათვის, ბევრი იშრომეთ, დააგროვეთ ბევრი ცოდნა, რადგან ფაქტები საჭიროებენ ღრმა და მიუკერძოებელ ანალიზს. ეს პირველ ყოვლისა ნიშანდობლივი იყო თვით აკად. კ. კეკელიძისათვის.

განუზომელია ის დანაკლისი, რომელსაც მეცნიერება განიცდის აკად. კ. კეკელიძის გარდაცვალებით. მით უფრო, რომ განსვენებული აკადემიკოსი უკანასკნელ ამოსუნთქვამდე შრომისუნარიანი, ხალხით აღსავსე იყო; მას უკანასკნელ წუთამდე შერჩა მეცნიერის ყველა ის თვისება, რითაც შექმნა მან ესოდენ დიდი სამეცნიერო მემკვიდრეობა; ვეღარ მოესწრო „ეტიუდების“ VIII ტომის გამოსვლას, რომელიც ამჟამად იბეჭდება და რომლის ერთ-ერთ ფორმას კორექტურა ხუთი დღის წინ გაუკეთა; ასევე გამოუცემელი დარჩა მას სრულიად გამზადებული „ეტიუდების“ IX ტომი და, ვინ იცის, რამდენი რამ დარჩა საბოლოოდ „გასაჩარხნი“ თუ საერთოდ ქალაღზე გადასატანი. ბუნებამ არ უსმინა მის უკანასკნელ თქმას: „ცოტა კიდევ მინდა ვიცოცხლო, რადგან ბევრი მაქვს გასაკეთებელი“*.

რევაზ ბარამიძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

* გ.ზ. „სახალხო განათლება“, 1962, 13 VI, № 24 (1708).

გარდაიცვალა დიდი ქართველი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უხუცესი პროფესორი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე კორნელი სამსონის ძე კეკელიძე. 7 ივნისს შეწყდა მაჩისცემა იმ ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეს.

კ. კეკელიძემ სტუდენტობისას შეიგრძნო ის საველალო მდგომარეობა, რომელშიც იმყოფებოდა მშობლიური ლიტერატურა მეცნიერული შესწავლის თვალსაზრისით. ამიტომ კიევის აკადემიის დამთავრების სადიპლომო შრომად მან აირჩია საქართველოს წიგნთსაცავებში დაცული ქართული ლიტერატურული ძეგლების დამუშავება, რის შედეგადაც 1904 წელს კ. კეკელიძემ წარადგინა საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი, რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა. კ. კეკელიძის ხელმძღვანელი ცნობილი პროფესორი ა. დმიტრიევსკი აღტაცებული წერდა: „... კ. ს. კეკელიძის სახით ქართველოლოგია და ჩვენი მეცნიერება იძენენ შრომისმოყვარე და ნიჭიერ მუშაკს“.

ასე დაიწყო კ. კეკელიძის მეცნიერული ნათლობა.

თავისი სამეცნიერო მოღვაწეობა კ. კეკელიძემ განაგრძო რუსეთ-საქართველოს სიძველეთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერების უშუალო გაცნობით. მან სისტემაში მოიყვანა, აღწერა და მეცნიერულად შეისწავლა ისეთი ხელნაწერები, რომლებიც მანამდე სრულიად უცნობი იყო. ამ გზით კ. კეკელიძემ გამოავლინა მრავალი ახალი მეტად ყურადსაღები ძეგლი, რომლებიც მნიშვნელოვნად აესებენ მსოფლიო საქრისტიანო ლიტერატურის ისტორიის ხარვეზებს. სწორად გაითვალისწინა რა მის მიერ აღმოჩენილ ძეგლთა დიდი მნიშვნელობა. მეცნიერი შეუდგა მათ გამომზეურებას. წლების მანძილზე ის ზედღებდ აქვეყნებს ამ პირველხარისხოვან ძეგლებს, რითაც რუსეთისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო წრეების ყურადღებას იპყრობს.

1912 წელს კ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ შრომაზე პროფ. ა. დმიტრიევსკი წერდა: კ. კეკელიძის „იერუსალიმის განჩინება“ შეკრებილი მასალის სიმდიდრით და სამეცნიერო წყაროთა სიახლით დიდ განძად შევა მსოფლიო მეცნიერებაშიო“. იმავე წელს კეკელიძის მიერ გამოცემული იოანე ქსიფილინოსის ნაშრომის შესახებ კი აკადემიკოსი ლატიშევი აღნიშნავდა: „კ. კეკელიძეს სრულ-

ლი უფლება ჰქონდა ეთქვა, რომ მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტი წარმოადგენს თავისებურ აღმოჩენას შუა საუკუნეების ბიზანტიის მწერლობაში“.

ქ. კეკელიძის ნაშრომებით უცხოელ მკვლევართათვის ცხადი გახდა ქართული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა, რამაც მათში გააღვიძა შეუწელებელი ინტერესი ქართული კულტურისა და მწერლობის შესწავლისადმი.

მოპოვებულმა წარმატებებმა სტიმული მისცა მკვლევარს ხელი მოეკიდა ძველი ქართული მწერლობის კიდევ უფრო ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის. მართლაც, არ დარჩენილა სასულიერო მწერლობის თითქმის არც ერთი დარგი, რომ მის: შესწავლაში ქ. კეკელიძეს მნიშვნელოვანი წვლილი არ შეეტანოს.

ქ. კეკელიძე სწავლობს ქართული ანბანის წარმოშობას, ძველი ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბებას, საქართველოსა და მის გარეთ არსებული ქართული სწავლა-განათლებისა და ლიტერატურის ცენტრებს. ქართული ლიტერატურის განვითარების საკითხებთან დაკავშირებულ პრობლემებს და ა. შ. იგი ადრევე შეუდგა ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგის შესწავლას. მათი მსოფლიო კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის გარკვევას. მის მიერ საფუძვლიანად არის გამოკვლეული ბიბლიოლოგიის, აგიოგრაფიის, ასკეტიკის, კანონიკის, ეგზეგეტიკის, ჰომილეტიკის და სხვა დარგების მთელი რიგი პრობლემები.

ქ. კეკელიძისთვის ყოველთვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლიტერატურულ ურთიერთობათა კვლევა. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების შესწავლისას ქ. კეკელიძემ გამოარკვია, რომ ქართულ კულტურას გარკვეული წვლილი მიუძღვის ბიზანტიური კულტურის წინაშე.

ამრიგად, თავისი აღმოჩენებითა და გამოკვლევებით ქ. კეკელიძემ მთელი სიღრმით დაასაბუთა ქართული სასულიერო მწერლობის მნიშვნელობა და მისი შესწავლის საჭიროება, რასაც მანამდე სათანადო ყურადღება არ ეთმობოდა და ხშირად სკეპტიკურადაც უყურებდნენ მკვლევარნი.

ქ. კეკელიძის მეცნიერული ინტერესები მარტო სასულიერო მწერლობით არ შემოიფარგლა. შეუდარებელი შრომისმოყვარეობისა და დიდი ერუდიციის მკვლევარმა 1924 წელს გამოაქვეყნა ძველი ქართული საერო მხატვრული ლიტერატურის ისტორია, რომელშიც ამომწურავად არის განხილული საერო მწერლობის ჩასახვა-განვითარების ვიზუზები და მონოგრაფიულად შესწავლილია მისი ყველა მნი-



კ. კიკვიძე სტუმრად ბოლნისის პიონერთა ბა ნაკში (1959 წ.)

შენელოვანი წარმომადგენლის ცხოვრება-შემოქმედება. ამიერიდან კ. კეკელიძის კვლევა-ძიების საგნად ხდება საერთოდ ძველი ქართული მწერლობა.

დიდი ხნის განმავლობაში საერო ლიტერატურის აღმოცენებას უცხოური ლიტერატურის გავლენით ხსნიდნენ. კ. კეკელიძისა და მისი მოწაფეების ფუნდამენტურმა გამოკვლევებმა ნათელი მოჰფინეს ამ საკითხს. მათი შრომებით დღეს უკვე დადგენილია, რომ საერომხატვრული ლიტერატურა უშუალო გაგრძელებაა მდიდარი ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობისა, რომ ქართულმა საეკლესიო მწერლობამ ნიადაგი შეამზადა საერო ლიტერატურის ჩამოსაყალიბებლად.

კ. კეკელიძემ არა ერთი გამოკვლევა მიუძღვნა კლასიკური ხანის ქართული ლიტერატურული ძეგლების ღრმად და საფუძვლიანად შესწავლას. ამ შრომებში მან მოგვცა ლიტერატურული მოვლენების სწორი გადაწყვეტა. თხზულებათა მხატვრულ-იდეური ანალიზი. გაარკვია ტექსტებში დაშვებული სხვადასხვა სახის შეცდომები. დააზუსტა თხზულებებში მოხსენებულ პირთა იწიარება, განსაზღვრა ამ ქმნილებათა დაწერის თარიღები და ა. შ.

მკვლევარმა დიდი მუშაობა ჩაატარა აგრეთვე ე. წ. აღორძინების ხანის მწერალთა ცხოვრება-შემოქმედების შესასწავლად. ჯერ კიდევ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში — ვრცლად და ამომწურავად შეისწავლა აღორძინების ხანის ეპოსი, ლირიკა, დრამა და მისი თვალსაჩინო წარმომადგენლები. მას დეტალურად და საფუძვლიანად აქვს განხილული ამ პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი მხატვრული ძეგლი. შესწავლილი ჰყავს ყველა თვალსაჩინო მწერალი, გაანალიზებული აქვს იმ დროის ლიტერატურული ფაქტები, იგი საინტერესო დაკვირვებებს იძლევა ცალკეულ ისტორიულ-ფილოლოგიურ საკითხებზე. ამასთან, კ. კეკელიძე დიდი მონდომებითა და საქმის სიყვარულით აქვეყნებს საერო ლიტერატურის ძეგლებსაც. ცალკე თუ სხვებთან ერთად მან მეცნიერულ-კრიტიკულად გამოსცა „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მეორე ტომი. „ვასრამიანი“, „ბარამგურაიანი“ („შეიდი მთიები“), დ. გურამიშვილის „დავითიანი“. იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ ორი ტომი და სხვა თხზულებანი.

დიდი დამსახურება მიუძღვის კ. კეკელიძეს შოთა რუსთაველი-სა და მისი პოემის შესწავლის საქმეში. რუსთველოლოგიურ პრობლემებთან დაკავშირებით მას დაწერილი აქვს ოცდახუთამდე გამოკვლევა და მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის სტატია, რომლებშიც

ის საგანგებოდ იკვლევს ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობას. პოემის დაწერის თარიღს, თხზულების ფაბულის წყაროს, მის სტროფულ შედგენილობას, ჩანართს და დანართ სტროფებს, დაბოლოების საკითხს. პოემის დამატება-გაგრძელებებს. „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-შინაარსობლივსა და ლიტერატურულ-მხატვრულ მხარეებთან დაკავშირებულ მთელ რიგ ურთულეს საკითხებს. კ. კეკელიძე საგანგებოდ სწავლობდა აგრეთვე ვეფხისტყაოსნის შემცველ უძველეს ხელნაწერებს, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება პოემის წარყვნილი ადგილების შესასწორებლად და კრاتيკული ტექსტის დასადგენად. კ. კეკელიძის დასკვნები პოემის შედგენილობისა და მისი ავტორის შესახებ ძირითადად გაზიარებულია მეცნიერებაში.

კ. კეკელიძე იყო ერთ-ერთი თავმჯდომარე იმ სარედაქციო კომისიისა, რომელმაც მოამზადა პოემის საიუბილეო (1937 წ.) გამოცემა. კეკელიძის თანამონაწილეობით იბეჭდებოდა ვეფხისტყაოსნის შემდგომ გამოცემები. უკანასკნელ დროს კი ის იყო წევრი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შექმნილი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიისა, რომელიც ხელმძღვანელობს პოემის ახალი აკადემიური გამოცემის მომზადებას.

ფართო განათლებასა და დიდ ერუდიციასთან ერთად უდიდესი შრომისმოყვარეობა ღვაწლმოსილ მეცნიერს შესაძლებლობას აძლევდა თანაბარი ცოდნით ემუშავა ქართველთმეტყველების ყველა დარგში. ქართული საბჭოთა ფილოლოგიის მამამთავარი ამავე დროს ქართული ისტორიისა და საისტორიო წყაროების საუცხოო მცოდნე იყო. ის იკვლევდა ქართველი ხალხის პოლიტიკურ-კულტურული ისტორიის საკითხებს, სწავლობდა ძველი ქართული მემკვიდრეობის თხზულებებს, საისტორიო ძეგლებს, ქრონოლოგიის, პალეოგრაფიისა და ეპიგრაფიკის საკითხებს. „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ ტომებში მას სათითაოდ ჰქავს განხილული საქართველოს თითქმის ყველა მემკვიდრე. რომელთაგან ზოგიერთის შესახებ ჩვენ ძალიან ცოტა. ან სულ არაფერი ვიცოდით. ისეთ ყურადსაღებ შრომებში კი, როგორცაა: „ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები“, „ვახტანგ გორგასლის ისტორიკოსი და მისი ისტორია“, „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“, „საქართველოს სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარება რუსთაველის ეპოქაში“, „აშუშა პიტიახშის ბექდის წარწერის გაგებისათვის“, „წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში“ და

ა. შ.. მრავლად შეხვდებით სრულიად ახალსა და გონებამახვილურ დაკვირვებებს, რომლებიც უქს ჰფენენ ისტორიის ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებს. აღადგენენ წარსულის საინტერესო ფურცლებს. ზედმიწევნით ადგენენ ფაქტებს. აზუსტებენ დროთა ვითარებაში და მანინჯებულსა და გაუგებარ ტერმინებს.

დიდი წვლილი მიუძღვის კ. კეკელიძეს ძველი ქართული ძეგლებისა და საისტორიო წყაროების პუბლიკაციის საქმეშიც. მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ის სიყვარულითა და მთელი ენერგიით მუშაობდა წარყვნილი ძეგლების გამართვა-დადგენასა და მათს მეცნიერულ-კრიტიკულ გამოცემაზე. ტექსტების გამოქვეყნებას ის დიდი სიფრთხილითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა. ამიტომ მის მიერ დაბეჭდილი ტექსტები შესწავლილია კეთილსინდისიერად და საქმის საფუძვლიანი ცოდნით. ამის სანიმუშოდ საკმარისია დაეასახელოთ ბასილ ზარზმელის თხზულების — „სერაპიონ ზარზმელის ცნობვების“ გამოცემა და თამარის პირველი ისტორიკოსის ძალზე შერყვნილი ტექსტის („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“) გამართვა-გასწორება და აღდგენის ცდა.

ძველი ქართული მწერლობის კეკელიძისეულ გამოცემებს ყოველთვის თან ახლავს გამოკლევა და სათანადო მეცნიერული აპარატურა. ამ გამოცემებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერულად დამუშავებისათვის.

აღსანიშნავია ისიც, რომ მკვლევარმა რუსულად თარგმნა. გამოკლევა და კომენტარები დაურთო და გამოაქვეყნა ძველი ქართული ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები. როგორცაა იაკობ ხუცესის „მარტვილობა შუშანიკისა“. იოანე საბანისძის „მარტვილობა აბო თბილელისა“, ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცნობვება“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ და „ეტიუდების“ ტომებში დაბეჭდილი მასალა. დასახელებული თარგმანებით ძველი ქართული მწერლობის ძეგლები ხელმისაწვდომი გახდა სპეციალისტთა ფართო წრეებისთვის.

როგორც ვნახეთ. მეტად მრავალმხრივი იყო კ. კეკელიძის სამეცნიერო მოღვაწეობა. ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ის შეუწელებლად იკვლევდა ქართული ხალხის მდიდარსა და მრავალსაუკუნოვან კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

კ. კეკელიძის ფართო მეცნიერული კვლევის ერთგვარი შეჯამებაა მისი ქართული ლიტერატურის ისტორიის ორი მოზრდილი ტომი და „ეტიუდების“ რვა წიგნი (მეცხრე წიგნი შემზადებულია დასაბეჭდად), რომლებშიც ზედმიწევნით არის განხილული ქართული ლი-

ტერატურის ისტორიის ძირითადი საკვანძო საკითხები უძველეს-
დროიდან XIX საუკუნემდე. საერთოდ კი მას დაბეჭდილი აქვს 270-
მდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან სან ათეულამდე ცალკე წი-
გნის სახით არის გამოქვეყნებული. თვალს კავლებთ რა კ. კეკელიძის
სქელტანიან წიგნებს, კიდევ ერთხელ გვახსენდება მისი შრომისადმი
საოცარი სიყვარული, მეცნიერებისადმი თავდადება და თავისი ხალ-
ხისადმი უანგარო სამსახური.

აღნიშნული შრომებით კ. კეკელიძემ ქართული ლიტერატურის
მეცნიერული შესწავლის დონე ისეთ სიმაღლეზე აიყვანა, რომ მომავ-
ალი თაობებისთვის ის დიდხანს იქნება მისაბამ მაგალითად.

მეცნიერულ მოღვაწეობასთან ერთად კ. კეკელიძე აქტიურად
ენეოდა დიდ საზოგადოებრივ-პედაგოგიურ მუშაობასაც. ის იყო
ერთ-ერთი ფუძემდებელთაგანი თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტისა. წლების მანძილზე იყო ამ უნივერსიტეტის პრორექტორი
და უცვლელი ხელმძღვანელი ძველი ქართული ლიტერატურის კა-
თედრისა. მრავალი წლის განმავლობაში კ. კეკელიძე განაგებდა
შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტს.

ღვაწლმოსილი მეცნიერის დაუღალავ კალამს სიცოცხლის უკა-
ნასკნელ წუთამდე არ შეშრობია მელანი. სანამ უღმობელმა ავადმ-
ყოფობამ მისი ფიზიკური გონება არ მოადუნა, სავარძელში მიჯაჭვე-
ლი მისთვის ჩვეული ენერგიითა და საქმის დიდი სიყვარულით
„ეტიუდების“ მორიგი ტომის საავტორო კორექტურას კითხულო-
ბდა. ამიერიდან კი მისი მუღამ მშრომელი კალამი სამუდამო მოსვე-
ნებას მიეცა*.

გივი შიქაძე

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ისტორიის
ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

* აკად. კორნ. კეკელიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით დაბეჭდილია კი-
დედ შემდეგი წერილები:

ა. შანიძის— ჩვენი სამშობლოს დიდი მოპირნახულე, გაზ. „კომუნისტი“,
1962 წ., 12 VI, № 136 (12344); ი. დოლიძის — დიდი მეცნიერი და მოქალაქე.
ეურნ. „მნათობი“, 1962 წ., VII, № 7; А. Барамидзе— Древность и современ-
ность, газ. „Заря Востока“, 1962 г., 12 VI, № 135 (1455); Г. Абзанидзе— Лето-
писец грузинской культуры, газ „Заря Востока“, 1962 г., 12 VI, № 135 (1455).

უცხოელების გამოხმაურება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს!
პატივცემულო ბატონო!

ღრმა მწუხარებით მივიღე ჩემი პატივცემული მასწავლებლისა და მეგობრის, აკადემიკოსის, პროფესორ კორნელი კეკელიძის გარდაცვალების მაუწყებელი დეპეშა. ეს სამწუხარო ამბავი ვაცნობე ლონდონის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ასევე აზიის სამეფო საზოგადოებას. რომელთა გულწრფელი თანაგრძნობაც დავალბული მაქვს გადმოგცეთ თქვენ, პროფესორ კეკელიძის ოჯახს. ნათესავეებსა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. კორნელი კეკელიძის გარდაცვალება განსაკუთრებით სამწუხაროა აღმოსავლეთისა და აფრიკის მცოდნეობის სკოლისათვის, სადაც ჩამოყალიბებულია ქართველოლოგიისა და კავკასიის მცოდნეობის ჯგუფი. რომელსაც დიდ მხნეობას მატებდა პროფესორ კეკელიძის დახმარება და შთაჯონება.

პროფესორ კეკელიძეს დიდი ხნის განმავლობაში სცემდნენ პატივს დიდ ბრიტანეთში. როგორც ქართული ლიტერატურის ისტორიის თანამედროვე სკოლის ფუძემდებელს და ძველი ქართული კულტურის ფასდაუდებელ ძეგლთა მსხნელს დავიწყებისა და დანკრევისაგან. ქართველოლოგიის ინგლისელი პიონერები. ბატონ ოლივერ ორდროპის მსგავსად, დიდად აფასებდნენ მის შრომებს. მის წიგნებს საპატიო ადგილი უჭირავს ბრიტანეთის მუზეუმის წიგნთსაცავებსა და ბრიტანეთის სხვა მნიშვნელოვან კოლექციებში.

ბედნიერი იყო ჩემი ცხოვრების ის წუთი, როდესაც წილად მხვდა სიამოვნება შევხვედროდი პროფესორ კეკელიძეს 1960 წელს შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში და მას შემდეგ აღარ გამიწყვეტია წერილობითი კავშირი მასთან. მიმდინარე წლის იანვარში ვინახულე პროფესორ კეკელიძის სასემინარო ოთახი უნივერსიტეტში.

თუმცა პროფესორი კეკელიძე ცოცხალი აღარ არის. მაგრამ მისი შრომები ცოცხლობენ და მის დიდ შემოქმედებას აგრძელებენ

„კორნელი კეკელიძე“—„ლიტერატურული ძიებანი“. ტ. XIV. 1962 წ. (სარედაქციო წერილი). მ. ქურდაძის — უკვდავების მდინარე იყო, ვაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1962 წ., 16 VI, № 22 (375), ხ. ბერულავას — მხილოდ პაუკანი, მშობელი ხალხი (ლექსი), „ლიტერატურული გაზეთი“. 1962 წ. 15 VI, № 25 (1299), გ. ფარულავასი—ქართული მწერლობის ქომაგი, ვაზ. „თბილისის უნივერსიტეტი“, 1962, 16 VI, № 22(375).

მისი მოწაფეები (და სტუდენტები), რომელთაგან მრავალს მე სიამაყით ვთვლი ჩემს პირად მეგობართა შორის.

მადლობელი ვიქნები, თუ გადასცემთ ამ წერილს ქართველ საზოგადოებას გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით*.

დიდი პატივისცემით დოქტორი დ. მ. ლენგი.

13 ივნისი 1962 წ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პ ა რ ი ზ ი დ ა ნ :

გამოჩენილი მეცნიერის კორნელი კეკელიძის გარდაცვალების გამო გულითად თანაგრძნობას ვუცხადებ რექტორსა და უნივერსიტეტს**.

პროფესორი მერსიე.

13 ივნისი, 1962 წ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს პროფ.

ე. ხარაძეს!

ბატონო!

დიდად დავალებული ვარ თქვენგან, რომ მაცნობეთ აკადემიკოს კორნელი კეკელიძის გარდაცვალება. ყველგან, სადაც კი ქართველოლოგიით არიან დაინტერესებული, განსვენებულის სახელი უდიდესი პატივისცემით სარგებლობს. ყველას ფიქრი და სიმპათია, ვინც კი აფასებს იმ ლიტერატურულ მემკვიდრეობას, რომლის საგანძურიც კეკელიძის ღვაწლით კარგად გაიცნო მსოფლიომ. მიპყრობილია ამ უნივერსიტეტისადმი, რომლის დაფუძნება და შემდგომი განვითარება მკიდროდაა დაკავშირებული კეკელიძის სახელთან და რომელიც ესოდენ მძიმედ განიცდის მის დაკარგვას.

პატივი მაქვს, ბატონო, დავრჩე თქვენს მორჩილ მსახურად***

რ. პ. სტივენსონი*.

* დევიდ მარშალ ლენგი — ინგლისელი ქართველოლოგი, ლონდონის უნივერსიტეტის პროფესორი. წერილის ქართული თარგმანი გამოაქვეყნა დოც. აკ. ურუშაძემ, „უცხოელი მეცნიერები აკადემიკოს კორნელი კეკელიძის შესახებ“, გაზ. „კომუნისტი“, 1962, 10 VII, № 160 (12368).

** მერსიე — პარიზელი პროფესორი.

*** რ. პ. სტივენსონი — ინგლისელი ფილოლოგი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი.

ბოლანდისტების საზოგადოება
24, სენ-მიშენის ბულვარი,
ბრიუსელი 4

18 ივნისი, 1962.

აკადემიკოს ევგენი ხარაძეს,
თბილისის უნივერსიტეტის რექტორს!

ბატონო აკადემიკოსო!

ბოლანდისტების საზოგადოებას სურს გამოთქვას თავისი პატივსაცემა ისეთი გამოჩენილი მეცნიერის ხსოვნისა, როგორც იყო კორნელი კეკელიძე.

განსვენებულ პაულ პეტერსივით ჩვენ დიდად ვაფასებთ კ. კეკელიძის მეცნიერულ გამოცემებსა და შრომებს, ჩვენ სავსებით ვიზიარებთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის უნივერსიტეტის მწუხარებას.

მორის კოენ,
ბოლანდისტების პრეზიდენტი.

ფრანსუა ალენ,

ბოლანდისტი,

პოლ დევო.

ბოლანდისტი,

მიშელ ვან ეს ბრეკ.

Глубокоуважаемый Академик Харაдзе!

С чувством горести я прочел Ваше сообщение о кончине К. С. Кекелидзе, сделавшего так много для грузинской филологии и литературы. Я крайне ценю и его прекрасные русские переводы источников, приучавшие широкие круги читателей проникать в судьбы Грузии и интересоваться ими.

По странному совпадению, как раз утром того дня, когда пришла Ваша телеграмма, я получил от профессора Sir Harold Bailey записку с напоминанием, что в 1960 году вышел подготовленный К. С. Кекелидзе текст Висрамини, а я многие годы занимаюсь его персидским подлинником. Это было указанием на то, как пересекаются пути далеких друг от друга исследователей.

Я чрезвычайно ценю Ваше внимание и желание приобщить меня к чувствам и интересам Вашего Университета*.

С искренним уважением **В. Минорский.**

15 июня 1962 г.

* ვ. მინორსკი — ბრიტანეთის აკადემიის წევრი. პროფესორი, წერილი ვაბოგზავნილია კემბრიჯიდან, ქართული თარგმანი გამოაქვეყნა აკ. ურუშაძემ, „უცხოელი მეცნიერები აკადემიკოს კორნელი კეკელიძის შესახებ“, იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1962 წ., 10 VII, № 160 (12368).

ველთბილი ნეკროლოგი დაბეჭდა კ. კეკელიძეზე ოსლოს უნივერსიტეტის რექტორმა. ცნობილმა ქართველოლოგმა პანს ფოხტმა. ფრანგულ ეურნალში.

კორნელი კეკელიძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია*

1904 წ.

1. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение: ცნობები იხ. ჟურნ. Труды Киевской дух. акад., кн. 10, стр. 306—317 (იხ. № 5).

1905 წ.

2. ახალი საგალობლები აბო თბილელისა: მწყემსი, № 13—14.

3. К вопросу о времени празднования Рождества Христова в древней церкви: Труды Киевской дух. акад., № 1, стр. 1—10 (см. № 317).

1906 წ.

4. Литургическая справка по вопросу об автокефалии грузинской церкви: Дух. Вестник груз. экзархата, № 9 — 10, стр. 3—9.

4* Открытое письмо прот. Т. Буткевичу: С. Петербургския Ведомости. № 279, 17 (30) декабря (ს. გორგაძისა და კ. ცინცაძის თანაავტორობით).

* ბიბლიოგრაფიაში შეტანილი არაა კ. კეკელიძის წარდგინებით დაბეჭდილი შრომები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბეში და საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბეში. აგრეთვე ენციკლოპედიებში დაბეჭდილი წერილები, დისერტაციებისა და მოხსენებათა თეზისები, რომლებიც აკად. კორნ. კეკელიძის რედაქციითაა გამოქვეყნებული.

პ ი რ ო ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი: თ—რედ.-თანარედაქტორობით, რედაქ.-რედაქციით, რეც.-რეცენზია. პირველად დაბეჭდილ შრომას რიგითი ნუმერაციით მიაიითებული აქვს შემდეგში გამოქვეყნებული შესწორებული რედაქცია.

სოლ. ყუბანეიშვილი.

5. Литургические грузинские памятники в отечественных книгохранилищах и их научное значение, Тифлис, с. XXXI, 515, XIII.

6. К вопросу о важности и своевременности научной разработки памятников древнегрузинской церковной, в частности литургической, письменности: Труды Киев. дух. акад. ноябрь, стр. 1—9.

7. რედაქ.: სამღვდელმთავრო კონდაკი. ძველი ტექსტის მიხედვით. ტფილისი, 240 გვ. [კ. ცინცაძესთან ერთად].

1910 წ.

8. Симеон Метафраст по грузинским источникам: Труды Киевской дух. акад., февраль, стр. 1—10 (см. № 281).

9. Новооткрытый агнологический памятник иконоборческой эпохи. [Житие романа Нового]: Труды Киевской дух. акад., июнь, стр. 1—38.

10. Несколько замечаний по поводу рецензии С. Авалиани на нашу книгу: «Литургические грузинские памятники»...: Богосл. Вестник, октябрь, стр. 353—356.

11. რეც: სახარება-ოთხთავე ორთა ხელნაწერთაგან [913] და [995] წელთათა, გამოსცა პროფ. ვლადიმერ ბენეშევიჩმა. ს-პეტერბურგი, 1909: Заб. Речь II—III.

1911 წ.

12. Эпизод из начальной истории египетского монашества: Труды Киевской дух. акад., март, стр. 1—48.

1912 წ.

13. Иерусалимский Канонарь VII века, грузинская версия. Тбилиси, с. VII, 346.

14. Иоани Ксифилии, продолжатель Симеона Метафраста: Христианский Восток, т. I, в. 3, стр. 325—346.

15. Сведения грузинских источников о преподобном Максиме Исповеднике: Труды Киевской дух. акад., сент. — ноябрь, стр. 1—77.

16. კურთხევანის დაბეჭდვის გამო. ბ. ბ. კეთილის მოსურნის, ალ. ხახანაშვილის და სხვ. წერილების პასუხად (პიროსის კ. ცინცაძის და ი. აბულაძის თანაავტორობით): განათლება, № 2. გვ. 147—155.

17. Древнегрузинский Архнератикон. Грузинский текст. Издании Комитета церк. музея под ред. и с предисл. К. Кекелидзе, Тб. с. XXX, 142.

1913 წ.

18. Историко-агиографические отрывки: Христианский Восток, т. I, в. 2, стр. 187—198.

19. Житие епископов херсонских в грузинской Минее: Известия археол. ком., в. 49, стр. 75—88. [Совместно с акад. В. Латышевым].

19*. ქართული ლექსიკონის შესახებ (ი. ჯავახიშვილის, ა. შანიძის, ვ. ბერიძისა და ს. გორგაძის თანაავტორობით).

1914 წ.

20. ანტონ კათოლიკოსის სალიტურლიკო მოღვაწეობიდან. თბილისი, 14 გვ.

21. К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви. Спб. с. 8.

22. Житие и подвиги Иоанна католикоса Урхайского Христианский Восток, т. II, в. 3, стр. 301—348.

23. О грузинском обычае встречать Новый год с зажженными факелами: Дух. Вестник груз. экз., № 7, стр. 269—271.

1915 წ.

24. Грузинская версия арабского жития Иоанна Дамаскина: Христианский Восток, т. III, в. 2, стр. 119—174.

25. Житие Петра Нового, мученика Капетолийского: Христианский Восток, т. IV, в. 1, стр. 1—71.

26. Об изданиях грузинских агиографических памятников. [Протоколы VII заседания историко-филологического отделения Академии Наук 15/IV 1915 г., прил. I, к § 123] (см. № 318).

27. სახელმძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად. ქართული ლექსიკონის შესახებ. ტფილისი, გვ. 1—8 (ივ. ჯავახიშვილთან და იუსტ. აბულაძესთან ერთად).

28. ქართული ეროვნული სიგელები: საქართველო, № 71. 72.

29. მცხეთობა: საქართველო, № 106 [ხელის მოწერა: ქართველი].

30. სიტყვა. თქმული ვაჟა-ფშაველას დაკრძალვის დღეს: საქართველო, № 61.

31. Житие Агафангела католикоса Дамасского: Христианский Восток, т. IV, в. 3, стр. 246—283.

32. როგორ აღმოჩნდნენ საქართველოს ეკლესიის მდგომარეობას?: საქართველო. № 41 [ხელის მოწერა: მეგობარი]

33. კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი: საქართველო, № 51.

34. საქართველოს საეგზარქოსო (ისტორიულ-კანონიკური ცნობა): საქართველო, № 55.

35. ახალი სიურპრიზი [აფხაზეთის ეპარქიის შესახებ]: საქართველო, № 70 [ხელის მოწერა: ნელი].

36. მცირე შენიშვნა [კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის დაარსების გამო]: საქართველო, № 86.

37. პროვოკაცია თუ სიბეცე? აღ. რემიზოვი და სომხების სურფ-სარქისი: საქართველო, № 124.

38. თედო ჟორდანიას კუბოსთან [ნეკროლოგი]: საქართველო, № 242 [ხელის მოწერა: ნამოწაფარი].

1917 წ.

39. ღვთისმსახურება და სამღვდლოება (ისტორიულ-არქეოლოგიური ნარკვევა): სვეტიცხოველი, № 4, გვ. 12—16.

40. რედაქ.: დაუჯდომელი სუეტისა ცხოველისა და კუართისა საუფლოისა, ძველი ქართული ტექსტი. ტფილისი, 16 გვ.

41. წესი. რომელი იქმნების ხელდასხმასა ზედა ეპისკოპოსისა. თბილისი.

1918 წ.

42. იოანე პეტრიწის სამწერლო მოღვაწეობიდან: პროძეთე. № 1, გვ. 62—70.

43. კიმენი ტ. I. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები იანვრისა, თებერვლის, მარტის. აპრილის და მაისის თვეთა, ტექსტები, ტფილისი. რუსეთის მეცნ. აკად. გამოცემა, გვ. XLVII, 351.

1920 წ.

44. ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიიდან (ცხოვრება ილარიონ ქართველისა), ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, № 1, გვ. 39—67.

45. თარგმანებად ეკლესიასტისაჲ მიტროფანე ზმკრნელ მიტროპოლიტისაჲ: ტფილისის უნივერსიტეტი, გამოცემა, გვ. I—LXXXIII, 1—229.

1923 წ.

46. როდისაა გადაწერილი ადიშის სახარება: ტფილისის უნივერსიტეტი, ტ. II, გვ. 392—397.

47. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. ძველი მწერლობა, ტფილისის უნივერსიტეტი, გამოცემა, 695 გვ.

48. ლეონტი მროველის ლიტერატურული წყაროები: ტფილისის უნივერსიტეტი, ტ. III, გვ. 27—56.

49. ესქატოლოგიური მოტივები ძველ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში: ჩვენი მეცნიერება. № 1, გვ. 59—64.

50. ორი ექვთიმე ძველ ქართულ მწერლობაში: ჩვენი მეცნიერება. № 2—3, გვ. 102—121.

51. ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია (ისტორიულ-ლიტერატურული ექსკურსი): ჩვენი მეცნიერება, № 4. გვ. 17—47.

1924 წ.

52. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. საერო მწერლობა XI—XVIII სს. ტფილისი. გამომცემელი თ. ჩიქვანაია. 526 გვ.

53. წერილი რედაქციის მიმართ [ქართული ლიტერატურის ისტორიის გამოცემის შესახებ]: კომუნისტი, № 249, X 30.

1925 წ.

54. რამდენიმე ჯერ კიდევ გაურკვეველი ტერმინი ჩვენი საისტორიო მწერლობისა: ტფილისის უნივერსიტეტი, ტ. V, გვ. 306—312.

54*. ძველი ქართული თეატრი: ხელოვნება № 1, გვ. 19—27.

55. თარგმანები: ჩვენი მეცნიერება. სამეცნიერო კრებული, თბ. 1923—1925.

1926 წ.

56. საკითხი სირიელ მოღვაწეთა ქართლში მოსვლის შესახებ. კულტურულ-ისტორიული პრობლემა: ტფილისის უნივერსიტეტი, ტ. VI, გვ. 82—107. (იხ. № 268*; თეზისები რუსულ ენაზე დაიბეჭდა

წიგნში: 2-ი კრავედუჩესკიი სუედი ჩერნომორსკოგო პობერჟუა ი ჰაპ. კავკაზა 25/IX—5/X 25 გ. პოსტანოვლ. ი რეზოლუციი, ბატუმი, 1925, ს. 34).

57. ხოსროვ-შირინიანის ქართული ვერსია: ჩვენი მეცნიერება. № 17—18, გვ. 21—23.

58. ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები: მიმომხილველი. № 1, გვ. 1—53. (თეზისები რუსულ ენაზე დაიბეჭდა წიგნში: 2-ი კრავედუჩესკიი სუედი ჩერნომორსკოგო პობერჟუა ი ჰაპ. კავკაზა. პოსტანოვლ. ი რეზოლუციი. ბატუმი, 1925, ს. 40).

59. ხანმეტი და ჰემეტი ტექსტები. ლიტერატურული მიმომხილვა: მიმომხილველი, № 1, გვ. 261—267.

60 რეც.: Coussen H. Über georgisch. Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerosalems betreffend, B. Kühlen, München-Gladbach. 1923 წ. S. 1—42: მიმომხილველი, № 1, გვ. 268—269.

61. რეც.: Kirsopp Lake and Robert P. Blake. The text of the Gospels and the Koridethi Codex (Reprinted from the Harvard Theological Review, vol. XVI № 3. Juli, p. 267—286. 1923): მიმომხილველი, № 1, გვ. 269—270.

62. რეც.: Blake, Robert. Catalogue des manuscrits Géorgiens de la bibliothèque patriarcale Grecque à Jerusalem (Extrait de la „Revue de l'Orient Chrétien“, Paris, 3-e série, t. III-XXIII), № 3—4, 1922-23 p. 345—413: მიმომხილველი. № 1, გვ. 270—271.

63. რეც.: კაკაბაძე ს. საისტორიო ძიებანი. ტფილისი, სახელგამი, 1924: მიმომხილველი, № 1, გვ. 272—273.

64. რეც.: Peeters Paul. Histoires monastiques Georgiennes. Bruxelles, p. 317: მიმომხილველი № 1, გვ. 275—279.

65. რეც.: Peeters Paul. La passion Géorgienne des Théodore, Julien, Eubulus, Malcamon, Mocimus et Salamaues.—Analecta Bollandiana, t. XLIV, f. 1 et 2, 1926: მიმომხილველი, № 1, გვ. 280—284.

1927 წ.

66. კონსტანტი კახის მარტვილობა და ვინაობა. ტფილისის უნივ. მოამბე. ტ. VII, გვ. 160—173.

67. საბჭოთა აღმშენებლობის ხელისშემწყობ მეცნიერ-ტექნიკოსთა საზოგადოების დაარსების გამო (საუბარი პროფ. კ. კეკელიძესთან): კომუნისტი, 23 X.

68. რეც.: ინგოროყვა პ. რუსთველიანა ტ. I, ტფ., სახელგამი, 1926: მნათობი, № 2, გვ. 181—204.

69. რეც.: კიდევ ვეფხისტყაოსნის გარშემო, ს. კაკაბაძის მიერ გამოცემულ ვეფხისტყაოსანზე: მნათობი, № 5—6, გვ. 167—188.

1926 წ.

70. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 1918—1928. ზოგადი მიმოხილვა: მნათობი, № 2.

71. უცხო ავტორები ძველს ქართულ მწერლობაში: ტფილისის უნივ. მოამბე, ტ. VIII, გვ. 99—202 (იხ. № 278).

72. Die Bekehrung Georgiens zum Christentum mit einer Karte.—Morgenland Darstellungen aus Geschichte und Kultur des Ostens. Leipzig, H. 18, p. 1—51.

73. რეც.: გრიშაშვილი ი. ძველი და ახალი ტფილისი. ლიტერატურული ბოჭემა. ტფილისი, სახელგამი, 1927: ქართული მწერლობა, № 4, გვ. 133—134.

1929 წ.

74. იერემია იბერიელი (ანტინესტორიანი მოღვაწე V საუკ.): ტფილისის უნივ. მოამბე, ტ. IX, გვ. 187—198.

75. ქართული კულტურის ორი დღესასწაული. ქართული წიგნის ბეჭდვის 300 წ. და ანბანის შემოღების 1500 წლისთავი: მნათობი, № 5—6, გვ. 151—167; № 7, გვ. 135—150.

1930 წ.

76. კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში: ტფილისის უნივ. მოამბე, ტ. X, გვ. 313—345.

77. ციცაშვილი ნოდარ. შვიდი მთიები. ბარამ კური, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით. გამოკვლევით და ლექსიკონით. ტფილისი „ქართული წიგნი“, გვ. I—XXXIV, 1—275.

78. წინასიტყვაობა: გორგაძე ს. ქართული ლექსი. ლექსთა წყობის გამოკვლევა. ტფილისი, სახელგამი.

79. თ—რედ: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე.
1919—1930 წ. ტ. I—X.

1931 წ.

80. ავტორი ვეფხისტყაოსნისა და დრო მისი დაწერისა: მნათობი, № 7—8. გვ. 152—171; № 9—10, გვ. 213—226.

1933 წ.

81. ქართული ფეოდალური ლიტერატურის პერიოდიზაცია. სოციოლოგია ძველი ქართული მწერლობისა და დიალექტიკა მისი განვითარებისა, თბილისი, დაუსწრ. პედ. ინსტ. გამოცემა, 76 გვ.

1934 წ.

82. ტფილისი ძველ ქართულ ლიტერატურაში: ლიტ. გაზ., № 23 (იხ. № 286).

83. ფირდოუსი. აბუ-ლ-ყასიმ ტუსელი. შაჰ-ნამე. ქართული ვერსიები, ტ. II, ტფილისის სახ. უნივ. გამოცემა (იუსტ. აბულაძე. ალ. ბარამიძე. პ. ინგოროყვასა და აკ. შანიძესთან ერთად).

84. Шах-намэ Фирдоуси в грузинской литературе: Заря Востока. № 216. 16.IX.

1935 წ

85. Julianos roman'-ის კვალი ადრინდელს ქართულს მწერლობაში: ლიტერატურული მემკვიდრეობა. I. თბილისი. გვ. 57—61.

86. ნიკიფორე ირბახი—ინციკატორი ქართული სტამბისა რომში: ლიტ. მემკვ., I, თბ., გვ. 135—155.

87. ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. I. იოანე საბანისძე, II. ბასილ ზარზმელი, პროფ. კ. კეკელიძის რედაქციითა და გამოკვლევით. თბილისი. სახელმწ. უნივ. გამოცემა, 186 გვ.

88. საუბარი ვეფხისტყაოსნის ტექსტის დამდგენი კომისიის თავმჯდომარე კ. კეკელიძესთან: საბჭ. ხელოვნება, № 2, გვ. 11—12.

ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. I, გვ. 107—140.

კრებულში მოთავსებულია შრომები:

89. ქართული თარგმანი გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფიკა (ისტორ. ლიტერ. შენიშვნები).

90. ითარგმნა (ცდა მისი ეტიმოლოგიის გარკვევისა).

91 სპეკალი, ახლად აღმოჩენილი ფილოსოფიური შრომა ანტონ I-ისა.

92. Руставели и Низами Гянджеви. К вопросу об ирано-грузинских связях: თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, V. გვ. 157—178.

93. რუსთაველოლოგიური შტუდიები: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, III, გვ. 116—137.

94. რედაქ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. ტ. I. ტფილისი (ალ. ბარამიძესთან ერთად).

1937 წ.

95. საქართველოს სოციალ-ეკონომიური და კულტურული ვითარება რუსთაველის ეპოქაში: შოთა რუსთაველი სკოლაში. ტფილისი, გვ. 1—27.

96. რუსთაველი და მისი შენობა: ბოლშევიკი. № 11. გვ. 57—71 (იხ. № 122).

97. Rustaveli dsv rynda gyrgystanun igtimai saiasi ve kultur vorijati: Sota Rustaveli. S. 39—56.

98. რედ.: რუსთაველი შ. ვეფხისტყაოსანი. თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო გამოცემა (იუსტ. აბულაძესთან, პ. ინგოროვასთან და სხვ. ერთად).

99. რუსთაველის გავლენა ქართულ პოეზიაზე: კომუნისტ. № 285, 14 XII.

100. რამდენიმე დღე უზბეკისტანში: ბოლშ. კადრ. № 18.

101. Эпоха Руставели: Заря Востока, № 293, 22 XII.

102. Эпоха Руставели: Правда, № 354, 26 XII.

103. Источник мудрости [Вепхистკაოსანი]: Известия, № 300, 26 XII.

104. Бессмертная поэма [Вепхистკაოსანი]: Лит. Газ., № 69, 20 XII.

105. რედ.: შოთა რუსთაველი სკოლაში. კრებული: თბ. პედაგოგიის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამოცემა. (მის. ჩიქოვანთან ერთად).

1938 წ.

106. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. როგორც ლიტერატურული წყარო: რუსთაველის კრებული: თბილისი, სახელგამი, გვ. 121—158.

107. ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიიდან: ტფილისსაზ უნივ. შრომები, სერ. I, ტ. VII, გვ. 139—160 (იხ. № 179).

108. ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხი ძველს ქართულ მწერლობაში (Liber Generationis-ის ქართული ვერსია): ტფილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. VII, გვ. 1—15.

109. რედაქ.: ვისრამიანი, გამოცემა მე-2, თბილისი. სახელგამი. (ალ. ბარამიძესთან და პ. ინგოროყვასთან ერთად).

110. შოთა—ქართველი ერის ღვიძლი შვილია: ბოლშ. კადრ., № 1, 16 I.

111. რედ.: იაკობ ცურტაველი. მარტვილობაჲ შუშანიკისი. ილ. აბულაძის გამოცემა. თბ. სახ. უნივ. გამ.

112. რედ.: რუსთაველის კრებული, თბ., სახელგამი. (პ. ინგოროყვასთან ერთად).

1939 წ.

113. Конспекттивный курс истории древнегрузинской литературы. Тбилиси, с. 118.

114. რუსთველოლოგიის საკითხები. ა) ვეფხისტყაოსნის პირველი გამოცემა; ბ) რუსთველის სადაურობისა და სახელისათვის; გ) ვეფხისტყაოსნის დაბოლოებისათვის: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. X, გვ. 95—115.

115. ვინ არის ნარგიზოვანის ავტორი? ლიტ. საქართველო, № 34.

116. Социально-политическое и культурное состояние Грузии в эпоху Руставели: Шота Руставели и его время. М. ГИХЛ, стр. 103—141.

117. რედაქ.: რუხაძე ტ. ქართული ეპოსი გარდამავალი ხანის ლიტერატურაში. თბ., სახ. უნივ. გამოცემა.

1940 წ.

118. „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის: აკაკი წერეთელი. საიუბილეო კრებული. თბილისის სახ. უნივ. გამოცემა. გვ. 196—202.

119. ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა: თბილისი, სახ. უნივ. შრომები, ტ. XVI გვ. 91—104

120. ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი: ენიშკის მოაპბე. ტ. V—VI; გვ. 83—101.

121. ტიმოთე ანტიოქელი, უცნობი სირიელი მოღვაწე VIII საუკუნისა. (ტექსტი და გამოკვლევა): ენიშკი-ს მოაპბე. ტ. VII. გვ. 1—150.

122. დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი საშუალო საუკუნეებისა: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. XI, ნაკვ. I, გვ. 113—132.

123. დიდი მოამაგის ხსოვნას [ი. გოგებაშვილის დაბადებიდან 100 წლისთავის გიმო]: კომუნისტი, № 253, 30. X. გამოხმაურება: „ინდუსტრიული ქუთაისი“, № 251; „საბჭოთა აქარა“, № 251; „საბჭოთა აფხაზეთი“, № 251 (იხ. № 126).

124. დიდი ადამიანის ხსოვნას [ი. ა. ჯავახიშვილის გარდაცვალების გიმო]: კომუნისტი, № 269, 20. XI.

125. სპორტი ძველ საქართველოში (მოკლე შენიშვნა): ახალგაზრდა კომუნისტი, № 208.

126. Яков Гогобашвили [К столетию со дня рождения]: Батумский рабочий, № 252, 20.X.

127. რედ.: ბარამიძე ალ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. II, XV—XVIII ს. თბ. სახ. უნივ. გამოცემა.

1941 წ.

128. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა. ტ. I, მეორე შეესებული და შესწორებული გამოცემა თბილისის საელმწიფო უნივერსიტეტისა. 726 გვ.

129. ქართული ლიტერატურის ისტორია. ძველი მწერლობა, ტ. II. მეორე შეესებული და შესწორებული გამოცემა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა, 671 გვ.

130. მიღწევები ქართული ლიტერატურის ისტორიის დარგში საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავზე: სსრკ მეცნ. აკად. საქ. ფილიალის კრებული. თბილისი

131. ქართული ლიტერატურის ისტორია და უნივერსიტეტი: თბილისის სახ. უნივერ. შრომები, ტ. XIX, გვ. 141—154.

132. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი [და მისი ამოცანები]: თბილისის სახ. უნივ, ერთდროული საიუბილეო გამოცემა [25 II].

133. ძველი ქართული წელიწადი: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. XVIII, გვ. 1—28.

134. რედაქ.: ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა): თბილისი. საქ. მეცნ. აკად. გამოცემა, 164 გვ.

135. Низами Гянджеви и Грузия. Накануне 800-летия. Низами Гянджеви (Беседа с академиком К. Кекелидзе): Заря Востока, № 143.

136. რედ.: იმედაშვილი გ. რუსთაველოლოგია, ისტორიულ-კრიტიკული შრომები, თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა.

1942 წ.

137. ბარამ-გურიანის ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში: მნათობი, № 10, გვ. 126—130.

138. ერთი მომენტი ქართული პოლიტიკური აზროვნებისა კლასიკური ხანის ლიტერატურაში. [ჩანარუხაძის „თამარიაში“ ნახმარადავით სოსლანის ტიტულის „ეფრემიანი“-ს მნიშვნელობა]: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. XXV, გვ. 43—49.

139. მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა და მისი ცნობები ქართული მწერლობის შესახებ: ლიტ. მატრიანე, № 3—4, გვ. 321—332.

140. როსტომიანის ერთი საკითხისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, გვ. 845—847.

141. ძველი ლიტერატურის ძეგლთა გამოცემისათვის: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 7, გვ. 739—742.

142. „წინაშე“, „თანა“, „ზედა“ თანდებულთა სინტაქსური ფუნქციისათვის ძველ ქართულში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 2 გვ. 177—182; № 3, გვ. 283—287.

143. დავით გურამიშვილის განათლების ელემენტები: ლიტ. საქართველო, № 30.

144. კიდევ „ატადეს“ შესახებ: ლიტ. საქართველო, № 43, 2 XII.

145. გერმანელი იმპერიალისტების განადგურების დიდი პროგრამა: კომუნისტი, № 264, 6 XI.

146. რედ.: ბარამიძე ალ. პატრიოტული მოტივები ძველ ქართულ პოეზიაში (XVI—XVIII ს. ს.) თბ. სახ. უნივ. გამოცემა.

147. რედ.: იმედაშვილი გ. ქართული კლასიკური ხანის მწერლობის პატრიოტიკა. თბ. სახ. უნივ. გამოცემა.

148. რედ.: რუხაძე ტრ. ქართველები რუსეთის 1812 წლის სამამულო ომში (იმდროინდელ ქართულ ლიტერატურაში). თბ. სახ. უნივ. გამოცემა, 47 გვ.

149. რედ.: სიხარულიძე ქს. ქართველი ხალხის ბრძოლა სამშობლოსათვის ერეკლე II ხელმძღვანელობით (ფოლკლორულ მასალათა მიხედვით). თბ. სახ. უნივ. გამოცემა.

150. რედ.: ყუბანეიშვილი ს. სამშობლოსათვის ბრძოლისა და თავდადების მოტივები ძველ ქართულ ლიტერატურაში (V—XII სს). თბ. სახ. უნივ. გამოცემა.

151. რედ.: ჭილაია ს. სამშობლოსათვის თავდადების იდეა ქართულ საბჭოთა პოეზიაში. თბ. სახ. უნივ. გამოცემა.

1943 წ.

152. ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო კერებო საშუალო საუკუნეთა მაჩლობელ აღმოსავლეთში: ენიმკის მოამბე. ტ. XVII, გვ. 107—119.

153. ციტატი იპოლიტე რომელიდან გიორგი მერჩულის შრომაში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 3, გვ. 269—272.

წერილები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან (პირველი სერია): ლიტ. ძიებანი, ტ. I, გვ. 1—57.

სერიაში მოთავებულა:

154. რომანი „ტავრომენიანი“ ძველ ქართულ ლიტერატურაში (საერო მწერლობის წარმოშობის პრობლემისათვის).

155 „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები.

156. ვინ არიან „ბესები“?

157. რეც.: Абуладзе И.т. и Шарашидзе Х. К вопросу об члени и родные Руставели (Сообщ. АН СССР, 1941, т. II, № 7): ლიტ. ძიებანი, ტ. I, გვ. 275--277.

158. შოთა რუსთაველი და ხალხთა მეგობრობა: მებრძოლი, №96. 26 XII; Боец ПРКА № 307 (7639), 25 XII.

159. ჩვენი უნივერსიტეტი [25 წლისთავს გამო]: ლიტერატურული საქართველო, № 10 (286), 20 IV.

160. რედ.: სახარულიძე ქს. თამარ მეფე სალხურო შემოქმედებაში. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ.

161. რედ.: ლიტერატურული ძიებანი. 1943—1953.

1944 წ.

162. ანტიკის გადანაშთები ძველ ქართულ მწერლობაში: ენიმკის მოამბე. ტ. XIV, გვ. 117—127.

163. მოსე ჭანაშვილი და ქართული ლიტერატურის ისტორია: მნათობი. № 12, გვ. 84—96.

164. „ხუც“ ტერმინისათვის სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში: საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 3, გვ. 353—355.

165. მცირე შენიშვნა (სეფასიანების სექტის გავლენის წინააღმდეგ ვეფხისტყაოსანში). [ა. ბარამიძესთან და ვ. ბერიძესთან ერთად]: ლიტ. და ხელოვნ., № 22, 23, VI.

166. თ—რედ.: თბ. სახ. უნივერსიტეტის შრომები, 1935—1944.

1945 წ.

ეტყუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II. თბილისის სახ. უნივ. გამოცემა. 383 გვ.

კრებულში მოთავსებულია შრომები:

167. ქართული საერთო მწერლობის წარმოშობის პრობლემა-სათვის. გვ. 1—5.

168. „წმიდა მხედრები“, გვ. 6—12.

169. „სამიჯნურო ცთუნების“ პრობლემისათვის ქართულ ლიტერატურაში. გვ. 13—22.

* რომანი ტავრომენიანი ძველ ქართულ ლიტერატურაში, გვ. 23—33 (იხ. № 154).

170. ძველი ქართული ავანტიურული რომანი და მისი წინამორბედი ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში, გვ. 34—63.

* „ბაში-აჩუკის“ ერთი ეპიზოდისათვის, გვ. 64—70 (იხ. № 113).

* Julianos roman'-ის კვალი ადრინდელს ქართულს მწერლობაში, გვ. 71—80. (იხ. № 85).

* ბარამ-გურიანის ნოველათა სიუჟეტური პარალელები ქართულ ფოლკლორში. გვ. 81—86 (იხ. № 137).

171. ორი მოხეტიალე სიუჟეტისათვის ქართულ ფოლკლორსა და მწერლობაში, გვ. 87—98.

172. ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული პარალელები, გვ. 99—107.

173. გიმნოსოფისტები ძველ ქართულ ლიტერატურაში. გვ. 108—129.

174. ცნობები სობილასა და მისი წიგნების შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში, გვ. 130—150.

175. გართობა-სანახაობათა ისტორიისათვის ძველ საქართველოში, გვ. 151—159.

176. კ. ჭიჭინაძის მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი. გვ. 160—170.

177. პოემა „სამარდიანი“, გვ. 171—194.

178. შემოქმედებითი პროცესი ძველ ქართულ ლიტერატურაში იდეოლოგიური ხასიათის ზოგიერთ მომენტთან დაკავშირებით. გვ. 195—217.

179. ათონის ლიტერატურული სკოლას ისტორიიდან, გვ. 218—236.

180. ექვთიმე ათონელის მთარგმნელობითი მოღვაწეობის ერთი ნიმუში, გვ. 237—268.

181. „ნინოს ცხოვრების“ მათიანესეული რედაქციის ავტორი. გვ. 269—280.

182. Отражение восточного суфизма в древнегрузинской поэзии. с. 281—286.

183. Алишер Навоӣ в грузинской литературе, с. 287.—291.

* ნიკიფორე ირბახი—ინიციატორი ქართული სტამბისა რომში, გვ. 293—313, (იხ. № 86).

184. ქართული კულტურის ისტორიისათვის მონღოლთა ბატონობის ხანაში, გვ. 314—324.

185. წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში. გვ. 325—341 (იხ. №№ 46, 120, 139).

186. ქრისტიანობა და მითრაიზმი, გვ. 342—353.

187. საიათნოვა [150 წელი საიათნოვას გარდაცვალებიდან]: ლიტ. და ხელოვნება, № 32, 30. IX.

188. აკად. ნ. მარი და ქართული ლიტერატურის ისტორია (მოხსენების სქემა [თეზისები] წიგნში: საქართ. სსრ მეცნ. აკად. საზოგად. მეცნიერებათა განყოფილების XVIII სამეცნიერო სესია.

189. მოსწავლე ანალგაზრობას [პროფესიის არჩევის შესახებ]: ახალგ. კომუნისტი, № 25, 30 VI.

190. სალამი იუბილარს [გაზ. ანალგაზრდა კომუნისტის 20 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით]. ახალგ. კომუნისტი, № 132 133, 8 XII.

191. რედ.: ბარათაშვილი ნიკ. თხზულებანი. საიუბილეო გამოც. თბ. სახელგამი.

192. რედ.: ბარამიძე ალ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. I, II გვ., თბ. სახ. უნივ. გამ.

1946 წ.

193. კიმენი, ტ. II. ქართული პაგიოგრაფიული ძეგლები, თბილისი. საქართ. სსრ მეცნ. აკად. გამოცემა. 239 გვ.

194. აკადემიკოსი ნ. მარი და ქართული ლიტერატურის ისტორია: მნათობი. № 11, გვ. 134—143.

195. აღვზარდოთ ღირსეული თაობა: სახ. განათლება, № 5, 4 IV.

196. მალოცვა გაზ. „ინდუსტრიულ ქუთაისს“ (მისი არსებობის 25 წლისთავის გამო): ინდუსტრ. ქუთაისი, № 68, 3 IV.

197. საყვარელი პედაგოგი (ლ. ბზვანელის დაბადებიდან 75 წლის შესრულების გამო): სახ. განათლება, № 19. 1 IV.

198. რედ.: ჩიქოვანი მიხ. ქართული ფოლკლორი, თბ., სახელგამი.

1947 წ.

199. მარტვირი ქართველი (VI—VII ს.) და მისი შრომა „სინა-ნულისათვის და სიმდაბლისა“: ლიტ. ძიებანი, ტ. 3, გვ. 261—313.

200. Выдающийся государственный деятель, ученый поэт (Вахтаंग VI): Заря Востока, № 73, 10 IV.

201. კომენტარები „აბდულმესიანის“ ზოგიერთი ტაეპისა (მეოცე საუკუნის გამოცემათა გამო): ლიტ. ძიებანი, ტ. 3, გვ. 361—374.

202. საქართველო და ნიზამი განჯელი: სახალხო განათლება, № 39. 2ა IX (იხ. № 276).

203. წერილი რედაქციისადმი [გაზ. „კომუნისტი“ № 172 გამოქვეყნებული წერილის „უგზო-უკვლო ძიებანი“-ს გამო]: კომუნისტი, № 199. 5 X.

204. ბიზანტიური მეტაფრასტიკა და ქართული აგიოგრაფია: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. 30—31B, გვ. 19—95 (იხ. № 280).

205. წინასიტყვაობა და რედ.: ს. ყუბანეიშვილი—ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ. სახ. უნივერსიტეტის გამომცემა.

206. მშობლიური, საყვარელი... [მოსკოვის 800 წლისთავის გამო]: კომუნისტი, № 107, 6 IX.

207. ქართველი ხალხის ერთგული შვილი [აკად. ს. ჯანაშიას გარდაცვალების გამო]: კომუნისტი, № 230, 18 XI.

207.* Ред.: Ш. Нуцубидзе, Руставели и восточный ренессанс, изд. «Заря Востока».

1948 წ.

208. ორენტიოსისა და ძმათა მისთა მარტილობა: ლიტ. ძიებანი, ტ. 4, გვ. 93—128.

209 რუსთაველისა და ქართული რენესანსის საკითხისათვის: ლიტ. და ხელოვნ., № 24, 20 VI (იხ. № 274).

210. „გოდებო“ უნარი და „გლოვის წესი“ ძველს ქართულს ლიტერატურაში: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. 33, გვ. 73—106.

211. ქართველი ქალები შაჰ-აბას პირველის კარზე: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. 34 ა—ნ, გვ. 373—384.

212. რედაქ.: იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. თბილისი. სახელგამი. ტ. 2 (ალ. ბარამიძესთან ერთად).

213. Литературоведение в Грузии: Заря Востока, № 15, 21 I.

214. Найдена могила Давида Гурамушвили: Заря Востока, № 69, 4 IV.

215. მრავალ ახალ წელს, ძვირფასნო [მოსწავლე ახალგაზრდებს]: ნორჩი ლენინელი, № 1, I.

216. ხმა ქემერტიდან: საბჭოთა ოსეთი, № 168, 27 VIII. გამოხმაურება: კომუნისტი, № 177, 5 IX.

217. რედაქ.: საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), ტ. III.

1949 წ.

218. აშუშა პიტიახშის ბეჭდის წარწერის გაკვებისათვის: ლიტ. ძიებანი, ტ. 5, გვ. 125—132.

219. კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ანარქული ძველ ქართულ ლიტერატურაში. საქართველოს სსრ პოლიტ. და მეცნ. ცოდნის განავრც. საზ. გამოცემა.

220. რედ.: ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I. საქ. სსრ საარქ. სამმართველო, გამოც.

221. რედ.: რუხაძე ტ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, გამომც. ხელოვნება.

222. რედ.: ვეფხისტყაოსანი. ჩანართი და დანართი. სოლ. იორდანაშვილის გამოცემა: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

222.* Ред.: Висрамиани, перевод с древнегрузинского С. Иорданшвили, изд. «Заря Востока».

1950 წ.

223. იოანე ქართველის კალენდარი (X ს.) შესწორებული ტექსტი და გამოკვლევა: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. 39. გვ. 23—76.

223* უნივერსიტეტის პირველი რექტორი [პ. ძელიქიშვილი]: კომუნისტი, № 148, 11, VII.

224. რედ.: ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი. ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა, ტ. II, თბილისი. საქართველოს სსრ საარქივო სამმართველო, გამოც.

225. რედ.: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (II კოლექცია), ტ. IV.

1951 წ.

226. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. თბილისის სახ. უნივ. გამოცემა, ტ. I, (მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა) 670 გვ.

227. მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი: ლიტ. ძიებანი, ტ. VII. გვ. 169—183.

1952 წ.

228. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. თბილისის სახ. უნივ. გამოცემა, ტ. 2. (მესამე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა), VI, 624 გვ.

229. რედ.: ბარამიძე ა. ნარკვევები ქართ. ლიტ. ისტ. ტ. III, თბ. უნ. გამ.

230. ზოგიერთი საკითხი ექვეთიე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ: თბილისის სახ. უნივ. შრომები, ტ. 51, გვ. 195—208.

231. ვეფხისტყაოსნის ახალი გამოცემის გამო (ა. ბარამიძის და ა. შანიძის თანაავტორობით): ლიტერატურული ძიებანი, ტ. VIII, გვ. 345—360.

232. მეფერამეტე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიიდან [ირაკლი პირველის შვილების დავით იმამყულიხანისა და მკერინეს ლიტერატურული მოღვაწეობა]: ლიტ. ძიებანი, ტ. 8, გვ. 153—177.

233. რედ.: ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. I. საქ. მეცნ. აკად. გამ.

1954 წ.

234. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია (ა. ბარამიძესთან ერთად), თბილისი. საქ. სსრ მეცნ. აკად. გამოც. ტ. I. 457 გვ.

235. История и восхваление венценосцев. Груз. текст, перевод, исследованием и комментариями снабдил К. С. Кекелидзе. Издание АН Груз. ССР, с. 110.

236. მეცნიერება ქრისტეს შობის შესახებ: თბილისი, საქ. პოლიტ. და მეცნ. ცოდნის გამავრც. საზ. გამოცემა.

237. რედაქ.: რუხაძე ტ. ძველი ქართული ლირიკის ისტორიიდან: საქართველოს განათლების სამინისტროს სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამოცემა.

1955 წ.

ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტ. III, თბილისის სახ. უნივ. გამოცემა, 310 გვ.

კრებულში მოთავსებულია შრომები:

238. ქართული წვლილი ბიზანტიურ ლიტერატურაში. გვ. 1—11.

239. ვინ არის ლიბანიოსის აღრესატი ბაკური? გვ. 12—15.

240. იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან, გვ. 16—22.

241. ვინ არიან მემბტიანის „ბაპაროს და ნავაზი?“, გვ. 23—26.

242. კომენტარები „თამარიანის“ ზოგიერთი ტაეპისა, გვ. 27—

36.

243. ვინ არის „მოქცევა ქართლისაჲს“. გლონოქორ?, გვ. 37.

244. არტემი მთაფოლო, გვ. 40—41.
245. ანტიმაზნდისტური პოლემიკის ფილოსოფიური დასაბუთება უძველეს ქართულ მწერლობაში. გვ. 42—60.
246. Грузинское возрождение, с. 61—64.
247. ერთი ადგილის შესახებ ათონელების ბიოგრაფიაში. გვ. 65—68.
248. მიტაცება ბერძენთა მიერ ქართული ლიტერატურული კერისა ათონზე და მისი მდგომარეობა. მე-16—17 საუკუნეებში. გვ. 69—86.
249. Отклики в Грузии на падение Константинополя (к 500-летию взятия Константинополя турками), с. 87—95.
250. Идея братства закавказских народов по генеалогической схеме грузинского историка XI века Леонтия Мровели, с. 96—107.
251. ქართული სტამბის ისტორიიდან მეტვრამეტე საუკუნეში. გვ. 108—115.
